საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

მასალები
გურიის
სოციალურ-ეკონომიკური
შესწავლისათვის

გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები, ლექსიკონი
და საძიებელი დაურთო **გულნარა ცეცხლაძემ**

თბილისი
2003

უაკ (UDC) 39 (479.22)
მ 362

ნაშრომში წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ არქივში, გურიის რეგიონში – ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებსა და ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ხელნაწერ ფონდებში დაცული და გამომცემლის მიერ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს მოძიებული დოკუმენტები, რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავს XIX საუკუნეს და XX საუკუნის პირველ ნახევარს. ეს საბუთები ხელს უწყობს გურიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ შესწავლას და საშუალებას იძლევა საქართველოს სხვა კუთხეების მონაცემების შედარების საფუძველზე წარმოჩნდეს გურიის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ლოკალური თავისებურებანი და ის საერთო ნიშნები, რაც ქართული ყოფისთვის არის დამახასიათებელი.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ვალერიან ითონიშვილი**
რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ჯულიეტა რუხაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დარეჯან მეგრელაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ელენე ნიკოლაიშვილი

ნაშრომის გამოცემა დააფინანსა ფირმა „მარტინ ბაუერ თბილისის" გენერალურმა დირექტორმა **შალვა ცეცხლაძემ**, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით.

წიგნი გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე".

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილი, ანა რუაძე

გარე ყდაზე: ოზურგეთის გერბი

93

ISBN 99928-0-633-8 მ

შესავალი

გურიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შესწავლისათვის სხვა მონაცემებთან (ისტორიული წყაროები, ეთნოგრაფიული მასალა, სპეციალური ლიტერატურისა და პრესის მონაცემები) ერთად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის საარქივო მასალები, რაც ამ რეგიონის შესახებ მრავლად არის დაცული.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიწის საკითხს. მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საფუძველი, განსაზღვრავდა ოჯახის ეკონომიკურ არსს მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (27, გვ. 25). ამასთან დაკავშირებით საჭიროა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ნესების შესწავლა და მიწაზე საკუთრების უფლების განსაზღვრა.

გურია მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. დასავლეთ საქართველოსთვის საერთოდ, გურიისა და იმერეთისათვის კი განსაკუთრებით, დამახასიათებელი იყო ისედაც წვრილი მამულების დანაწევრების წესი, რაც დიდ გავლენას ახდენდა როგორც ყმა გლეხთა ექსპლოატაციაზე, ასევე მათ მატერიალურ მდგომარეობაზე. 1863 წელს ქუთაისის გუბერნატორი მიუთითებდა მიწების განსაკუთრებული დაქსაქსულობის შესახებ. მაგ.: თუ ოჯახს მიწა ათ სხვადასხვა ადგილას ექნებოდა, გაყოფის დროს თითოეული მოწილე თავის ნილს ყოველი ნაკვეთიდან მოითხოვდა. ამრიგად, შენიშნავდა გუბერნატორი, მიწისმფლობელობის კონცენტრაცია კი არა, არამედ მისი დაქსაქსულობა მატულობდა (4, გვ. 343). გურია მიწის ნაკვეთების მეტი დანაწევრებით გამოირჩეოდა, ვიდრე ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრები. გურიაში გლეხებისა და კერძო მფლობელების მიწები ერთმანეთის გვერდით მდებარეობდა, რის გამო ოზურგეთის მაზრაში არ იყო არც ერთი მთლიანად სახელმწიფო (სახაზინო)

სოფელი, როგორიც იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებოდა ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებში (26, გვ. 738).

გურიაში მიწის ნაკვეთების დაქსაქსულობა დასტურდება როგორც ეთნოგრაფიული მასალის, ასევე საარქივო მონაცემების მიხედვით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბატონო მეურნეობის ხვედრითი წონა დასავლეთ საქართველოში მეტად მცირე იყო, მას ნაკლები ფართობი ეჭირა. დანარჩენი მიწა-წყალი – მთის, ტყისა და საძოვრების გარდა – გლეხებს დასამუშავებლად ჰქონდათ მიცემული. გლეხის ამ „საკომლო მამულის" ან, როგორც ხშირად უწოდებდნენ, „საგლეხო მამულის" უშუალო პატრონად, მესაკუთრედ ითვლებოდა თავადი ან აზნაური (15, გვ. 109).

1841 წელს გურია-იმერეთის, ხოლო 1848 წელს მთელი საქართველოს მიმართ რუსეთის მთავრობას მოუხდა ოფიციალური ბრძანებულებით დაედასტურებინა ყმა გლეხთათვის ვახტანგ VI-ის კანონითაც გათვალისწინებული უფლება უძრავ-მოძრავი ქონების – მიწის, დუქნების და სხვათა (დასახლებულ მამულთა გამოკლებით) – შეძენის შესახებ. ეს გარემოება იმაზე მიუთითებდა, რომ XIX ს. 40-იანი წლებიდან გლეხთა შორის დიფერენციაცია ღრმავდებოდა. გლეხთა შეძლებული ფენის მიერ მიწის შეძენის შემთხვევები შედარებით გახშირდა (4, გვ. 318).

XIX ს. მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი რეფორმის შემდგომ პერიოდში, დასავლეთ საქართველოში გლეხს უფლება ჰქონდა, საბეგრო მიწის გარდა, თავისი სახსრით, ბატონისაგან დამოუკიდებლად შეეძინა ადგილ-მამული, მას შეეძლო საბეგრო მამული მეზობლისგანაც ეყიდა (15, გვ. 113).

გლეხები მიწას სხვადასხვა პირისგან ყიდულობდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მრავალი საბუთია წარმოდგენილი: 1) პირველ რიგში, მიწას ყიდულობდნენ თავადისგან; 2) აზნაურისგან; 3) გლეხს შეეძლო მიწა სასულიერო პირისგანაც ეყიდა; 4) მიწის ნაკვეთის გაყიდვის უფლება ჰქონდა აგ-

რეთვე სახელმწიფო გლეხსაც, თუ ამ უკანასკნელს ზედმეტი მიწა ექნებოდა.

თავისი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, გლეხი მიწას ყიდულობდა ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილას. მაგ.: „ქალაქ ოზურგეთში მოვაჭრე მელიტონ გრიგოლის ძე გორდელაძემ თავის ძმას, ალექსი გორდელაძეს, 1911 წელს მიჰყიდა ოზურგეთის მაზრის ერკეთის საზოგადოებაში მდებარე ხუთი ნაკვეთი – 1. ქვაბგალი, 2. ისევ ქვაბგალი, 3. დიდი ბერა, 4. ციცქოვრა, 5. დიანოსეს გორი (13).

უმემკვიდრეოდ გადასული ოჯახის მიწა უახლოეს განაყრებს რჩებოდათ. მისი გაყიდვის უფლებაც ჰქონდა მიწის მფლობელს. მაგ.: 1901 წელს დადებული მიწის ნასყიდობის ხელწერილში ნათქვამია: „მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერმა, ოზურგეთის უეზდის სოფლის ნიგოითის მცხოვრებმა, თავადმა ივანე ალექსანდრეს ძე მაჭუტაძემ, მოგყიდე ას ოც მანეთ ვერცხლის ფულად (120 p.) შენ, ამავე უეზდის და სოფლის შუხუთის მცხოვრებს, ილარიონ გიორგის ძე ლომაძეს, კუთვნილი ჩემდამი, ჩემის დროებით ვალდებულის ყმის, უძეოდ გარდასულის საბა ესეს ძე ბზეკელავას, დანაშთი ადგილები, რომლებიც ამას ქვემორე აღირიცხებიან"...(8). ასეთი წესი არსებობდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც (3, გვ. 110).

ნაყიდი მიწები გლეხის თავისუფალ განკარგულებაში გადადიოდა (15, გვ. 114). მიწის მეპატრონე, რომელიც მიწას ყიდდა, უმეტესად ასეთ პირობას აძლევდა გლეხს: „აწი ეს ადგილი გეკუთვნის შენ..., ამიერიდან უკუნისამდე არ გედავო არც მე და არც ჩემმა შემდეგმა, არც შენ და არც შენსას შემდეგსა და თუმც ვინმე გარეშე პირი მოგადგეს ამაზე მოდავედ, კანონიერათ ის მოდავე მოგაცილო... ჩემი საკუთარი ხარჯითა, წინააღმდეგ შემთხვევაში გეკვრი ამა პირობით, რომელ, თუმცა ეს პირობა დაგირღვიო, რომელიმე მიზეზების გამო, არ შეგისრულე სიტყვითი სიტყვამდე და ადგილი ესე ჩამოგერთვას რომელიმე მიზეზების გამო, იმ შემთხვევაშიდ ვალდებული ვიქნები გამომ-

ყიდველი... შენი მოცემული ამ ადგილის ფასი უკანვე მოგიბრუნო და არც ადგილისა ამისა შემოსავალი ნასარგებლევი მოგთხოვო; ამასთანავე, თუმცა საჩივლელათ გაგიხადო ეს პირობა, იმ შემთხვევაშიდ ყოველი საჩივრის ხარჯი ამაზედ მომხთარი სუდიებისა და უღერბო ქაღალდისა, ამის შტრაფათ რასაც შეგვანერს სასამართლო, ორივე მხარის მაგივრად მე... გადავიხადო და შენ... არაფერი შეგახო (6).

თითქმის ყველა საბუთში ხაზგასმულია აგრეთვე შემდეგი პირობა: „გაქვს სრული უფლება ამ მიწის ნაკვეთის გაყიდვის, გაჩუქების, დაგირავებისა და თვითონ შენთვის სარგებლობისა, გიბედნიეროს ღმერთმა".

ნაყიდი მიწის ფასები განსხვავდებოდა. ძირითადად ყიდულობდნენ სახნავ-სათეს მიწებს (მიწათმოქმედების დაწინაურების გამო), რომელთა ფასები საკმაოდ მაღალი იყო.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, წინაპართა ნაქონი მიწები უმეტესად ნაყიდი იყო. მიწა დიდ სიმდიდრედ მიაჩნდათ. მთხრობელთა გადმოცემით: „კაპიკს კაპიკზე ადებდნენ, რომ მიწა ეყიდათ. რაც მეტი მიწა ჰქონდა კაცს, იგი მეტად მდიდარი იყო". შეიძლება, ნაყიდი მიწები ყველა არც კი დაემუშავებინათ, მაგრამ მაინც ყიდულობდნენ, გაჭირვების დროს კი გაყიდდნენ. გლეხის მატერიალური მდგომარეობის განმსაზღვრელად ადგილ-მამულის სიდიდე ითვლებოდა (11, გვ. 5).

არსებული მონაცემების მიხედვით, გურიაში დასტურდება ინდივიდუალური მიწათსარგებლობა, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა მინის ერთობლივი სარგებლობის შემთხვევებსაც. საერთო მიწათმოსარგებლეები, ძირითადად, ერთი გვარის წარმომადგენლები, იშვიათად კი გარეშე პირებიც იყვნენ. მათი რიცხვი ხშირად ორი-სამით განისაზღვრებოდა, ზოგჯერ კი უფრო მეტით.

მიწის საერთო მფლობელობისა და სარგებლობის ძირითადი მიზეზები, შეიძლება, ასე დაჯგუფდეს: 1) ოჯახის გაყრის დროს ზოგიერთი ნაკვეთის გაუყოფლად დატოვება, 2) მიწის

ნაკვეთის ერთობლივი ყიდვა, თუმცა ეს უკანასკნელი ტიპური არ ყოფილა გურიისათვის.

მინათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შესწავლამ დაგვანახვა, რომ 1) გურიის მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენდა მიწის ნაკლებობა, 2) გურია მიწის ნაკვეთების დანაწევრებით, წვრილი მინათმფლობელობით გამოირჩეოდა, 3) დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, გურიაში XIX ს. მეორე ნახევარში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმა იყო საკომლო, 4) XIX ს. მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს გლეხობამ ბატონისგან დამოუკიდებლად მიწის შეძენის უფლება მოიპოვა. ამ პერიოდის წერილობითი დოკუმენტები მოწმობენ, რომ ნაყიდი მიწები გლეხის თავისუფალ მფლობელობაში გადადიოდა, მიწის ფასები ძალიან განსხვაებული იყო, რასაც ნაკვეთის მდებარეობა და ნიადაგის ხარისხი განსაზღვრავდა. გურიის მთიან ნაწილში, სახნავ-სათესად ვარგისი მიწების სიმცირის გამო, მიწა უფრო ძვირად ფასობდა, რაც ერთ-ერთი არსებითი განსხვავება იყო ამ რეგიონის მთისა და ბარის სოფლებს შორის.

იმ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გარკვევას, რომელიც მიწის მფლობელსა და გლეხს შორის, ე. ი. უშუალოდ მწარმოებელს შორის მყარდებოდა, მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. ეს საკითხი, ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, სპეციალურად არის შესწავლილი,სადაც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, გურიის მასალებიცაა წარმოდგენილი (11).

ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილი უძრავ-მოძრავი ქონების აღწერები და ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების საბუთები.

ტერმინები „ოჯახის გაყრა", „ოჯახის გაყოფა" გურიის

ეთნოგრაფიულ ყოფაში იშვიათად დასტურდება. მათ შესაბამისად იხმარება ტერმინი „გარიგება". მაგ.: „ძმები გარიგდნენ", „ოჯახის გარიგება მამის სურვილით ხდება", „გარიგებას ესწრება" და სხვ.

„გარიგება" ნიშნავს გაყოფას (18), განაწილებას და იხმარება როგორც ოჯახის გაყრის, ასევე ქონების განაწილების აღსანიშნავად. მაგ., ერთი მხრივ, ამბობენ „ოჯახი გარიგდა", „ძმები გარიგდნენ", ე. ი. მოხდა ოჯახის გაყრა; მეორე მხრივ, კი იტყვიან: „ქონება გეირიგეს", „ქონება გარიგდა". აქ ქონების განაწილება იგულისხმება (24, გვ. 84).

ქონების განაწილების, მაგრამ არა ოჯახის გაყრის მნიშვნელობით გურიაში იხმარება ტერმინი „გაფარდება", რაც განაწილებას, გაყოფას, „ფარდის" მიცემას ნიშნავს და სიტყვა „ფარდი"-დან მომდინარეობს.

ოჯახის გაყრის წესების შესწავლამ გვიჩვენა, რომ საკვლევ რეგიონში გაყრის მიზეზები ისეთივეა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. ოჯახის გაყრის პრინციპები ერთნაირი იყო, როგორც დაბალი, ისე მაღალი სოციალური ფენის ოჯახებისათვის.

ოჯახის გაყრის დროს ძმების გამოყოფის ორგვარი წესია გურიაში ცნობილი: 1. ცოლშვილიანი ძმები გარკვეული დროით ერთად ცხოვრობდნენ. ამ ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილებისთანავე ხდებოდა ძმების ერთდროული გასვლა ოჯახიდან. ასეთი წესით იშვიათად იყრებოდნენ. 2) ხშირი იყო ქონების განაწილების დროს ჯერ უფროსი ძმის, შემდეგ დანარჩენი ძმების, ქორწინების თანმიმდევრობით, თანდათანობითი გამოყოფა. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით „პირველად რიგდებოდა ქონება, მაგრამ ძმები ნელ-ნელა გადიოდნენ ოჯახიდან". ამ წესის არსებობაზე მეტყველებს აგრეთვე რამდენიმე „გაფარდების ხელწერილიც".

გურიის ეთნოგრაფიული მასალა და ოჯახის გაყრის საბუთები ნათლად გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალური ოჯახის გაყრა

და საოჯახო ქონების განაწილება მშობლების, კერძოდ, მამის სურვილით, მის სიცოცხლეშივე ხდებოდა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ამონაწერს ერთ-ერთი საბუთიდან: "მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერი, ჩოჩხათის საზოგადოების მცხოვრები, ფარნაოზ მოისწრაფეშვილი, მყოფი სრულს მეხსიერებაში და ჭკუაში, ვხედავ რა მოახლოებულსა გარდაცვალებისა ჩემისასა მოხუცებულობისა გამო ჩემისა, საუმჯობესოთ დავინახე გაყოფა ჩემის ქონებისა ოთხთა ვაჟის შვილებს შორის, ასაცილებლათ დავისა და საჩივრისა" (2).

„გაყრა ძნელი საქმე არის", გვამცნობს ვახტანგ VI-ის სამართალი (14, მუხლი 99). ამიტომაც ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილებისას დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. ყველაფერი „მისხლობით უნდა გაყოფილიყო". ოჯახის ქონება საუფროსოსა და საუმცროსოს გამოყოფის შემდეგ იყოფოდა. XVIII ს. იმერეთის სამეფოს ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია: „ყოველნივე ჩუ̂ჱნი მამა-პაპად ნაღუ̂ანნი წილხდომით უფროსისა საუფროსოსათა და წილხდომით უმცროსისა საუმცროსოსათა და სხუანი ყოველივე სწორად წილვიგდევით და ბარათით განვიკერძეთ და თჳის-თჳისნი კერძო განვისაკუთრენით" (7, გვ. 118).

ზოგიერთ ოჯახში ქონების გარკვეულ, უფრო მცირე ნაწილს საერთო სარგებლობაში ტოვებდნენ. გაუყოფლად დატოვებული ქონების სახეობა ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. საერთო ქონებაზე ყველა მოზიარეს თანაბარი, მაგრამ დროებითი უფლება ჰქონდა. გარკვეული ხნის შემდეგ საზიარო ქონებას რომელიმე ძმა შეისყიდდა და ის ამ უკანასკნელის მუდმივ მფლობელობაში გადადიოდა.

სასურველი იყო საოჯახო ქონება ოჯახის უფროს წევრებს გაენაწილებინათ, მაგრამ ეს არც თუ იოლი საქმე იყო. ხშირი იყო მამასა და შვილებს, ან ძმებს შორის სხვადასხვა ხასიათის უთანხმოება, რაც მათ აიძულებდა საოჯახო ქონება სხვისი დახმარებით გაეყოთ. სწორედ ამან გამოიწვია გურიაში, საქარ-

თველოს სხვა კუთხეების მსგავსად, მედიატორეობის ინსტიტუტის დამკვიდრება. ყველა ოჯახი თვითონ ირჩევდა მედიატორებს, რომელთა მოვალეობას შეადგენდა აღეწერათ ოჯახის მთელი ქონება, როგორც მოძრავი, ისე უძრავი და შეედგინათ ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების საბუთი, რომელიც ეთნოგრაფიული მასალისა და არქივებში დაცული დოკუმენტების მიხედვით ასე მოიხსენიება: „გაყოფის ფურცელი", „ფარდის ფურცელი", „ფარდის ქაღალდი", „გაფარდების ხელწერილი", „სია ქონების გაყოფის შესახებ", "„განჩინება ქონების გაყოფის შესახებ", „საბუთი", „ხელწერილი ქონების განაწილების შესახებ", „პირობითი ხელწერილი" და სხვ. ამ სახის საბუთს იმდენ ცალად წერდნენ, რამდენი მოწილეც იყო. ამასთანავე, ერთი პირი მედიატორესაც უნდა დარჩენოდა. მათ ძალზე გულმოდგინედ ინახავდნენ, რამაც ზოგიერთ ოჯახში გასულ საუკუნეში შედგენილი რამდენიმე ასეთი საბუთის მოძიების საშუალება მოგვცა. არქივებში ამ დოკუმენტთა უმრავლესობის დედანია დაცული, ნაწილი კი – პირი.

ამ საბუთებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საოჯახო ყოფის, კერძოდ, ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების წესების შესწავლის საქმეში. გარდა ამისა, ისინი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კერძოდ, მიწათმფლობელობისა და მინათსარგებლობის წესებზე, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების დონეზე და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი ნაგებობები, რადგან „საცხოვრებელი სახლი, პირველ რიგში, წარმოადგენს ოჯახის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების და მისი ყოფის ცენტრს" (22, გვ. 5). გურიაში, მხოლოდ საცხოვრებლის გაგებით, „ოდა" იხმარება. ტერმინი „სახლი" კი ნიშნავს როგორც საცხოვრებელ ნაგებობას, ასევე „ძველი გაგებით ეზოს და ოდას ერთად" (23, 1982 წ., რვ. 2, გვ. 43). ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით „სახლი" „სამზადის" მნიშ-

ვნელობითაც იხმარება.

საცხოვრებელ ნაგებობებთან ერთად, ოჯახისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ნაგებობებს. დასავლეთ საქართველოს ბარში სამოსახლო ეზოში სახლსა და სამზად სახლთან ერთად გაფანტულად იდგა ნალია, ბეღელი, ხულა, სასიმინდე, საცეხველი, წისქვილი, ბოსელი, საღორე, საქათმე და სხვ. (5, გვ. 411; 10, გვ. 87). თითოეულ მათგანს განსხვავებული დანიშნულება ჰქონდა. ნალია ეს იყო ღომის თაველის საშრობი ნაგებობა. სამეგრელოსა და გურიაში ნალია უფრო ხშირია, რადგან იქ ძირითად მარცვლეულს გარკვეულ პერიოდში ღომი წარმოადგენდა. სასიმინდე ტაროიანი სიმინდის სახმობი ნაგებობაა. ბეღელი თავიდან ღომის თაველის შესანახს წარმოადგენდა, რომელიც დროთა ვითარებაში სხვა მარცვლეული კულტურის საცავადაც გამოიყენებოდა. ხულა საკრალური დანიშნულებით არის ცნობილი, იგი იყო ახალდაქორწინებულთა დროებითი საცხოვრებელი, მოგვიანებით ის ხმელი ხილისა და მისთ. შესანახ ნაგებობად გადაიქცა. საცეხველი იყო ხელის, ფეხის, წყლის. წყლის საცეხველი გადახურულში იდგა, „დაბურული" იყო (10, გვ. 89-105; 12, გვ. 218-224).

XVII საუკუნის ბოლომდე გურიაში, ისევე როგორც საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონში, წამყვანი იყო ღომის კულტურა, რომლის გასაშრობ ნაგებობას წარმოადგენდა ნალია, რომელიც XIX საუკუნის ოჯახის გაყრის საბუთებში არ არის მოხსენიებული, რაც იმ დროს ღომის კულტურის შემცირებასა და მის თანდათანობით გადაშენებაზე მეტყველებს. ნალიამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ტიპოლოგიური მსგავსების გამო იგი სასიმინდის აღმნიშვნელ ტერმინად დღესაც იხმარება.

ამგვარად, აღნიშნული საბუთები გვიჩვენებს საოჯახო მეურნეობის ხასიათს გურიაში. სრულიად აშკარად ჩანს, რომ ოჯახის ეკონომიკა ეფუძნებოდა კომპლექსურ მეურნეობას, რომლის განვითარების შესაძლებლობას განსაზღვრავდა მიწის

სიდიდე და ხარისხი. თავის მხრივ, მიწათმოქმედების მასშტაბურობაზე იყო დამოკიდებული მესაქონლეობის განვითარების დონეც, რამდენადაც საქონლის საკვებს მიწა იძლეოდა. ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ოჯახებს შორის ქონებრივი განსხვავებულობის საფუძველი იყო სოციალური დიფერენციაცია, ხოლო ერთი სოციალური კატეგორიის ოჯახების სხვადასხვა ეკონომიკური მდგომარეობა განისაზღვრებოდა ოჯახის წევრთა რაოდენობით, მუშახელის გამოყენების შესაძლებლობით, შრომის ორგანიზაციის დონით და ყაირათიანობით.

ეს საბუთები ხელს უწყობს გურიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ შესწავლას, კერძოდ – ოჯახის სტრუქტურის, საოჯახო სამართლის, მატერიალური კულტურისა და სამეურნო ყოფის, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების, გარდა ამისა, გურული დიალექტის, გურიის ტოპონიმიკის და მრავალი სხვა საკითხის შესწავლას. ისინი საშუალებას იძლევა, საქართველოს სხვა კუთხეების მონაცემების შედარების საფუძველზე წარმოჩნდეს გურიის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ლოკალური თავისებურებები და ის საერთო ნიშნები, რაც ქართული ყოფისთვის არის დამახასიათებელი.

სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის ამ რეგიონის შესახებ არსებული გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები. ვფიქრობთ, ეს გამოცემა გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ საკითხების მკვლევართ.

წინამდებარე ნაშრომში ვაქვეყნებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ არქივში („მიწათმოქმედების ფორმები ლანჩხუთის რაიონში", M², №38, მას. 4 – აღმრიცხველი მიხეილ ვადაჭკორია)[1], გურიიის რეგიონში – ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხა-

[1] ამ საბუთების დედანი დაცულია ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ხელნაწერ ფონდებში (ლანჩხუთის რაიონი, სოფ. არჩეული).

ტაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ხელნაწერ ფონდებში დაცულ და გამომცემლის მიერ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს მოძიებულ დოკუმენტებს, რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავს XIX საუკუნეს და XX საუკუნის პირველ ნახევარს.

საბუთები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: 1) ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერილობები; 2) ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების საბუთები; 3) მიწის ნასყიდობის საბუთები.

მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით.

საბუთები დაწერილია გურულ დიალექტზე, რაც უცვლელად არის დატოვებული; ასევე დაცულია საბუთების სტილი; შესწორებულია ცალკეული შეცდომა, სათანადო მითითებით. ტექსტის გაადვილების მიზნით, განკვეთილობის ნიშნები ყოველთვის არ არის დაცული. მათ შესახებ ცნობა მოცემულია საბუთის ლეგენდაში.

ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერილობები

1. 1876 წ., უსათაურო, ბასილა ორაგველიძის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერილობა, ეა, M [2] №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №2705[1].

ჩყოვ-სა წელსა, ივნისის ე' დღესა (1876 წ., 5 ივნისი)

ლანჩხუთის საზოგადოების, სოფლის შუხუთის, ყმის ბასილა ვერაგველიძის[2] უძრავ-მოძრავი ქონების აღწერა დღევანდელსა რიცხვსა არის შემდეგი:

1) **ერთი ქვის სახლი**[3] ერთი თვალი აღშენებული ეკლესიაზე ღირებული სამ თუმნად

2) ერთი თონე ღირებული ორ მანეთად

3) ერთი წყლის ნისქვილი საზიარო, ვერაგველიძეების ნაწილი ერგება მეოთხედი, ღირებული სამსა მანეთად, ეს ნაწილი დაგირავებულია სიკოლია ვერაგველიძესთან

სახნავ-სათესი მიწები

4) **უკა(ნ) ღელე** საზიარო ვერაგველიძეების, ერგება მეოთხედი

5) **ცეცხლაური** ერთი ქცევის სამი წილი, ეს არდგილი გაცვლილი გრიგოლ ვერაგველიძესაგან

6) **დობირა** – სახელწოდებით **ბჟოლნარი** საზიარო ვერაგ-

---

[1] ეთნოგრაფიულ არქივში (ეა) დაცული საბუთები ლეგენდის სრული სახით წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა; ამის გამო ისინი დანარჩენი საბუთების ლეგენდებისგან განსხვავდება.

[2] ორაგველიძის

[3] ხაზგასმულია საბუთში (ქვემოთ ყველა ხაზგასმა მითითებულია საბუთის მიხედვით)

ველიძენის, ერგება ას ცამეტი კატრატი[1] საჟენი

7) **ბელტიანი** საზიარო ვერაგველიძის, ერგება ას ცამეტი კატრატი საჟენი

8) **სახაშიე**, საზიარო ვერაგველიძენის, ერგება ას ცამეტი კატრატი საჟენი

9) **მორჩხილის პირი** ოთხი ნაკვეთი, საზიარო ვერაგველიძეების, ერგება ერთი ქცევა[2]

10) **ნაქომსარაი** – საზიარო ვერაგველიძეების, ერგება ერთი ქცევა

11) **ბზვანი** – საზიარო ვერაგველიძის, ერგება ას ცამეტი კატრატი საჟენი

12) ერთი არდგილი საშვალედოთა, ადგანა ზემო ცხადი წისქვილი საზიარო ვერაგველიძენის, ერგება მეოთხედი ქცევა

რომ ნამდვილად აღწერილობას ვემოწმები ხელის მონერითა ჩემითა და დასმითა ბეჭდითა 1876 წ^ლ^, ივნისის 5

ლანჩხუთის მამასახლისი გიტო ცინცაძე

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით.

2. *1889 წ., სია, ტეფო კალანდაძის, მისი ობლებისა და მათი ბიძის – ფირან კალანდაძის ქონების აღწერილობა, სანდრო პავლეს ძე კალანდაძის ოჯახის კუთვნილება (მცხ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში), მოძიებულია გამომცემლის მიერ 1984 წ., 2 ფურცელი, პირი, ზომა 22x35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები ნერტილი, მძიმე, ორწერტილი, ტირე.*

სია

დანაშთი ქონებანი გარდაცვალებულის ყმის ტეფო პეტ-

---

[1] კვადრატული

[2] აქ ხაზი აქვს გადასმული ფრჩხილებში მოთავსებულ სიტყვებს (ას ცამეტი კატრატი საჟენი)

რეს ძის კალანდაძისა და მისის ობლებისა: ალისტრახო 8 წლის და მელქისედექ 5 წლის და ლეონტი 5 თვისა, შეერთებულად სანახევროდ, საზიაროთ მისი ობლებისა და ბიძის ფირან კალანდაძესთან შედგენილი 29 დეკემბერს, 1889 წელს

მოძრავნი

1. ერთი **ოდა სახლი** წაბლის ხისა ოთხი თვალი, სიგრძე 12 არშინი, განი 11 არშინი, სიმაღლე 4 არშინი, ერთი თვალი აგურის ბუხრითა, პარმაღი თავისი აკოშკებით, ყავრით დახურული, დაფასებული ოთხასი მანეთად – 400 p. ნახევარი ობლების არის და ნახევარი მათი ბიძის ფირანისა.

2. ერთი სოფლური **წაბლის ხის სახლი,** სიგრძე რვა არშინ-ნახევარი და განი რვა არშინი, სიმაღლე სამი არშინი და ერთი ნიშანი, კოდი ისლით დახურული, სანახევრო საზიარო ობლებისა და მათი ბიძის ფირანისა, დაფასებული ას მანეთად 100 p.

3. ერთი **წაბლის ხულა** სიგრძე სამი არშინი, სიგანე 1 არშინი, პარმაღიანი, ყავრით დახურული, სანახევროთ საზიარო ობლებისა და ბიძის ფირანისა, ღირებული სამოც მანეთად – 60 p.

4. **სახლი** რთხმელას ხისა, სიგრძე ხუთ არშინ-ნახევარი და ასევე სიგრძე (sic) და სიმაღლე ორ არშინ-ნახევარი, ყავრით დახურული, სანახევრო საზიარო ობლებისა და ბიძის ფირანისა, ღირებული ოც მანეთად – 20 p.

5. **ჯარგვალი წიფლის ხისა,** საღორე ისლით დახურული, სანახევრო საზიარო ობლებისა და მათი ბიძა ფირანისა ათი მანეთისა – 10 p.

6. **ერთი სასიმინდე ნალია** წიფლის ხისა, ყავრით დახურული, სანახევრო საზიარო ობლებისა და ბიძის ფირანისა ექვსი მანეთი – 6 p.

7. ერთი **საწნახელი** ღირებული ოთხი მანეთისა, სანახევრო საზიარო ობლებისა და ობლების ბიძისა – 4 p.

8. ცხრაი დიდი და პატარა **ჭურები** შემცველი ორმოცი საწყავისა, სანახევრო საზიარო ობლებისა და ბიძა ფირანს შორის, ყველა ღირებული თორმეტი მანეთისა – 12 p.

9. ერთი გასაშლელი სტოლი, ერთი ძველი სტოლი, ჩაის ორი უბრალო სტოლები, ხუთი სელის სკამები, ერთი კრავოტი გალაქული და ვორი უბრალო კრავოტები, ყველა ღირებული ოცდაექვსი მანეთისა და ნახევრისა – 26 p. 50 коп.

10. ერთი კედლის სარკე, ღირებული მანეთ-ნახევრისა, საზიარო ობლებისა და ბიძა ფირანისა – 1 p. 50.

11. ორი თუნგი და 1 კარდალი სამი მანეთ-ნახევარი, საზიარო ობლებისა და ბიძა ფირანისა – 3 p. 50.

12. ვორი დუჟინ-ნახევარი საინები, ცხრაი კოვზები ჩაისა, ერთი ჩაინიკი თიხისა, ერთი სარძეო და ერთი საშაქრე, ღირებული ყველა რვა მანეთისა, სანახევრო საზიარო ობლებისა და ბიძა ფირანისა – 8.

13. ერთი ხის დუქნის მესამედი ნაწილი და დაბა ლანჩხუთში თავისი მიწით, რომელშიდაც ფირანს ნაწილი არა აქვს, ღირებული ობლების ნაწილი ხუთი თუმნისა – 50.

14. ცხრა ნაჭერი ვერცხლის ქამარი ობლების საკუთარი, ღირებული სამი მანეთისა – 3.

15. თექვსმეტი ღილები ვერცხლისა, ღირებული რვა მანეთისა ობლების საკუთრება არის – 8 p.

16. მჭედლის სახელვანოები – დგემლი[1], მარწუხი, გირა, ჩაქუჩი და სხვები თუთხმეტი ნაჭერი, საბრუნავი ჩალხი[2] ქვითა და სხვა წვრიმალები ყველა ღირებული – სამი თუმანი – საკუთარი ობლებისა – 30 p.

17. ორი ძველი ნოხები ხუთი მანეთისა – ობლების სა-

---

[1] გრდემლი
[2] ჩარხი

კუთრება – 5 p.

18. ორი ლები და ერთი საბანი, ერთი ბალიში 5 მანეთისა – 5 p.

19. სტოლის საფრები ორი ობლებისა და ფირანის საზიარო ერთი მანეთისა – 1.

20. სამი შანდლები და ერთი ლამპა დახურული ორი მანეთისა, საზიარო ობლებისა და ფირანისა – 2.

21. ობლების ბებიას მარიკას აქვს მიჩენილი საკუთრათ ერთი წაბლის ჯარგვალი ხუთი თუმნისა – 50 p.

22. ერთი ძროხა ჩვილი ხბოიანი ქალიშვილის საზიარო, სამი თუმნისა მთლიანად.

23. ერთი მოზვერი, საზიარო მისი შვილის სიო კალანდაძისა, მთელათ თუთხმეტი მანეთისა – 15 p.

უძრავნი მიწები

24. ეზო, მაგ(ალითად): ერთი ქცევა, აღმ(ოსავლეთით) მ. კალანდაძე და სისონას ობლები, დასავლეთით როსტომ და სხვა კალანდაძე და გზაი, სამხრეთით იაგორ და როსტომა კალანდაძეები და ჩრდილოეთით მაქსიმელ კალანდაძე, სანახევრო საზიარო ობლებისა და მათი ბიძა ფირანს შორის, ღირებული სამასი მანეთისა – 300 p.

25. **ქცევა მერვედი ნაწილი**, აღმ(ოსავლეთით) წყალი გუბაზოული, დასავლეთით ადამა კალანდაძე, სამხრეთით სისონა კალანდაძე და მისი ობლები და ჩრდილოეთით ისევ ამათი ადგილი, რომლისაგან ობლებს ეკუთვნის ნახევარი ნაწილი საზიარო ბიძა ფირანიდან, ღირებული სამი თუმანი – 30 p., წლიური შემოსავალი 50 კაპ.

26. **ხიდისთავად** წოდებული, ზომით, მაგ(ალითად): მეოთხედი ქცევა, აღმ(ოსავლეთით) მდინარე გუბაზეული და დასავლეთით სისონა კალანდაძის ობლები, სამხრ(ეთით) ობლები-

სა და ფირანას არდგილი, ჩრდილოეთით მაქსიმელ კალანდაძე, ობლებს ეკუთვნის მეოთხედი ნაწილი, ღირს ორმოც მანეთად – 40 p.

24.[1] **ნამწყარვალა** ზომით **სამი ქცევა**, აღმ(ოსავლეთით) ალექსანდრე კალანდაძე, დასავლეთით სიპი, სამხრეთით ბოყვიშვილი და ჩრდილოეთით ალექსანდრე კალანდაძე, ამაშიდ მესამედია ობლებისა, მთელათ საზიარო ობლებისა ბიძასთან, ღირებული მესამედი ნაწილი სამოც მანეთად – 60 p. 50 к.

25. **ნაფიცარა**, მაგ(ალითად): **ერთი ქცევა**, აღმ(ოსავლეთით) ბოყვიშვილი, დასავლეთით ბესო კალანდაძე, სამხრეთით ლაზარე კალანდაძე და ჩრდილოეთით ისევ მესამედი ნაწილი, მთელად ღირს ას ოთხმოცი მანეთი – 180 p.

წლიური შემოსავალი ობლების ნაწილი არის ორი მანეთი – 2 p.

26. **კიტოულე** – მაგ(ალითად): ოთხი ქცევა, 4 საზიარო ალექსანდრე კალანდაძისა და ობლების ბიძანებისა, ამაშიდ ობლებს ეკუთვნის მეექვსედი ნაწილი, ობლის წილი ღირს ოცი მანეთი – 20 p.

27. კიდევ **კიტოულა**, მაგალითად: ნახევარი ქცევა, საზიარო ალექსანდრესა, ამაშიდ ობლებს ეკუთვნის ამ ნახევარი ქცევის მეექვსედი ნაწილი, ღირს ობლების წილი ხუთ მანეთად – 5 p.

28. **ყინვარა** ზომით, მაგ(ალითად): ოთხი ქცევა, საზიარო სხვადასხვა პირებისა, ობლებს ეკუთვნის მეთოთხმეტედი ნაწილი, ღირს ობლების წილი ერთი თუმანი – 10 p.

29. კიდევ **ყინვარა** ზ(ომით), მაგ(ალითად): ოთხი ქცევა, საზიარო ალექსანდრესა, ობლებს ეკუთვნის მეექვსედი ნაწილი, ღირს ობლების ნაწილი ოცი მანეთი – 20 p.

30. ობოლს აქვს გასესხებული ვალები, ათი მანეთი მარ-

---

[1] აქ ნუმერაცია არეულია – 26-ის შემდეგ მოდის 24, ქვემოთ კი ჩვეულებრივ გრძელდება.

თებს ალექსანდრე ივანეს ძე კალანდაძეს – 10 p. უთამასუქოთ

31. ოცი მანეთი მართებს გიგო ლევანის ძე თავბერიძეს უთამასუქოთ.

32. ოთხმოცდათხუთმეტი მანეთი და ვორი აბაზი ფული ვალი ობლებისა შესახვედრი სხვადასხვა პირებზედ უნდა გაისტუმროს ობლების ბიძამ, ფირან კალანდაძემ, რადგან ფირანის ხელში არის გასასწორებელი ანგარიში.

ამა სიის შერდგენაზე დავესწარი და ჩემის თანხმობითა შესდგა და მას ხელს ვაწერ ბიძა ობლებისა, ფირან კალანდაძე და მისის თხოვნით, მის მაგიერ ხელს ვაწერ გიორგი კალანდაძე.

ბაბინე კალანდაძისა-ჩხიკვიშვილის ასულის თანხმობით ხელს ვაწერ დედა ობლებისა, რადგან მან წერა არ იცის, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ესე მეგრელაძე. ვალი დარჩა ტეფო კალანდაძეს სუფსის სტანციაზე დუქნის ნახარჯი, დუქნის ქირა სიმონა კალანდაძესთან და სხვა წვრილი ნახარჯი – 31 p.

ამ სიის შედგენას დავესწარი 1. იაკინთე მამალაძე, 2. გიორგი ცხოიძე.

მათ ხელმოწერას ვადასტურებ ბასილეთის საზოგადოების მამასახლისი, რომელ პირი ესე ნამდვილისაგან სისწორით არის გადაწერილი და ეძლევა ოპეკუნს ფირან კალანდაძეს

17 თებერვალი, 1890 წელი

ბასილეთის საზოგადოების მამასახლისი გოგიბერიძე

დამოწმებულია მელნისფერი მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც წარწერა არ იკითხება.

3. 1895 წ., შეფასებითი აღწერა, ივანე ოთარის ძე სალუქვაძის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების აღწერილობა, ეა, M² №38, მას. 4, პირი, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №2705.

შეფასებითი აღწერა, უკვე გარდაცვალებული ყმის, ივანე

ოთარის ძე სალუქვაძის, დანაშთი საცხოვრებელსა ზედა, შედგენილ არის 17 აგვისტოს, 1895 წელსა

მოძრავი

1. ერთი ოთხლოჯე სახლი კოპიტის ხისა, ისლით დახურული, წინ ამოშენებული პარმაღი, ერთი გამტვენი ლოგინი, საკუთრება ობლებისა, შეფასთა ოთხმოცდახუთი მანეთი – 85 p.

2. **ერთი სამზადი სახლი** თხმელაის და წიფლის ხისა, ისლით დახურული, საკუთრება ობლებისა, შეფასთა ოც მანეთათ – 20 p.

3. **ერთი ხულა** კოპიტის ხისა ყავრით დახურული, წინ ამოშენებული პარმაღი, საკუთრება ობლებისა, შეფასთა ოთხმოცდაათ მანეთათ – 90 p.

4. **ერთი სასიმინდე ნალია** ურთხმელის ბარჯგებზედ, თხმელის ხის საშენით, ყავრით დახურული, საკუთრება ობლებისა, შეფასთა თექვსმეტ მანეთათ – 16 p.

5. ერთი საძროხე კონახი, თხმელის ხისა, ისლით დახურული, საკუთრება ობლებისა, შეფასთა ათ მანეთათ – 10 p.

6. ერთი ურემი გაწყობილი, საკუთრება ობლებისა, შეფასთა თექვსმეტ მანეთათ – 16 p.

7. ერთი საღორე კონახი თხმელის ხისგან აშენებული, ისლით დახურული, საკუთრება ობლებისა, შეფასთა ორ მანეთათ – 2 p.

8. **ერთი სასიმინდე ნალია** შუა მაგრში თხმელის ხისა, ჩალით დახურული, საკუთრება ობლებისა, შეფასთა ორ მანეთათ – 2 p.

9. კიდევ მეორე **სასიმინდე ნალია** შუა მაგრში თხმელის ხისა, ჩალით დახურული, საზიარო მიხეილ ინგოროყვასი. ობლებს ეკუთვნის ნახევარი ნაწილი და ღირს ობლების წილი ერთი მანეთი – 1 p.

10. ხუთი ფიცარი ნიგვზის ხისა, საკუთრება ობლებისა, ღირს სამი მანეთი – 1 p.[1]

11. ერთი პატარა ცაცხვის საწნახელი, საკუთრება ობლებისა, ღირს რვა აბაზი – 1 p. 60 к.

12. ორმოცი თხმელის ხის უბრალო ფიცარი, საკუთრება ობლებისა, ღირს ორი მანეთი – 2 p.

13. ერთი ცელი, ერთი ნაჯახი, ორი წალდი, საკუთრება ობლებისა, ღირს ორი მანეთი – 2 p.

14. სამი თოხი კარგი, საკუთრება ობლებისა, ღირს ექვსი აბაზი – 1 p. 60 к.[2]

15. **ერთი უღელი** ხარები, საკუთრება ობლებისა, უკეთესი ხარი შეფასთა ოცდახუთ მანეთათ და ვარესი თექვსმეტ მანეთათ, სულ ორმოცდაერთი მანეთი – 41 p.

16. ერთი უბრალო სახნავი კავი, საკუთრება ობლებისა, ღირს ათი შაური – 50 к.

17. **ერთი ძროხა** მოზვერი ახლავს, საზიარო ათარმიზა ინგოროყვასი, ობლებს ეკუთვნის ნახევარი ნაწილი და ღირს ობლების წილი ოცი მანეთი – 20 p.

18. **ერთი დედო ძროხა**, საზიარო როსტომ მანწკავასა და იასონ სალუქვაძისა, ობლებს ეკუთვნის ერთი ნახევარი ნაწილი და ღირს ობლების წილი ათი მანეთი – 10 p.

19. **ერთი ორი წლის მოზვერი**, საკუთრება ობლებისა, ღირს ათი მანეთი – 10 p.

20. ერთი პატარა სპილენძის კარდალი, საკუთრება ობლებისა, ღირს ორი მანეთი – 2 p.

21. ერთი უბრალო ძველი ზანდუკი, საკუთრება ობლებისა, ღირს ორი მანეთი – 2 p.

22. ერთი უბრალო ცაცხვის სტოლი, მეორე უბრალო

---

[1] უნდა იყოს: 3 p.

[2] უნდა იყოს: 1 p. 20 к.

გვრალი[1] სტოლი და სამი ტაბურეტკა, საკუთრება ობლებისა, ღირს ოთხი მანეთი – 4 р. 20 к.

23. სამი საფქვილე ბოჭკა, საკუთრება ობლებისა, ღირს ერთი მანეთი – 1 р.

უძრავი მამულები

1. პირველი ნაკვეთი, სახელწოდებით **სამოსახლო ეზო**, სივრცით ერთი ქცევა, ისაზღვრების მიწებით: აღმოსავლეთით ილარიონ მახარაძე, ლეღვნარის ღელე, სამხრეთით კვლავად ილარიონ მახარაძე, საკუთრება ობლებისა შეფასთა ოთხმოც მანეთად – 80 р.

2. მეორე ნაკვეთი, სახელწოდებით **ნასახლევი**, იგივე ჩიჩქინათი, სივრცით **ერთი ქცევა**, საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით გოგია ივანეს ძე ღლონტი, დასავლეთით ივანე ერდიშელის ძე ტუღუში, ჩრდილოეთით შევარდენ სალუქვაძე, ხოლო სამხრეთით ოტია სალუქვაძე, საკუთრება ობლებისა ღირს ორმოცდაათი მანეთი – 50 р.

3. მესამე ნაკვეთი, სახელწოდებით **ნაკუხურალი**, სივრცით ას სამოცდათხუთმეტი კვადრატნი[2] საჟენისა, ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით გიორგი იესეს ძე აფხაზავა, დასავლეთით გლახუნ გიორგის ძე ჩხარტიშვილი, ჩრდილოეთით სარდიონ აფხაზავა, ხოლო სამხრეთით გოგინიკა კუპრაძე, ობლებს ეკუთვნის ერთი მეოთხედი ნაწილი, ობლების წილი შეფასდა თუთხმეტი მანეთი – 15 р.

4. მეოთხე ნაკვეთი, სახელწოდებით ჩარნალი, სივრცით **რვაასი კვადრატნი საჟენისა**, საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით გაბრიელ ნიკოლოზის ძე დარჩია, დასავლეთით მიხაილ სალუქვაძე, ჩრდილოეთით ალექსანდრე ჩხარტიშვილი, ხოლო

---

[1] მრგვალი
[2] კვადრატული

სამხრეთით ალექსანდრე სალუქვაძე, საკუთრება ობლებისა ღირს ოცი მანეთი – 20 p.

5. მეოთხე ნაკვეთი, სახელწოდებით სამ...[1] სამოცდათხუთმეტი კვადრატნი საჟენისა, ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით მდებარე ღელე, დასავლეთით მიხაილ სალუქვაძე, ჩრთილოეთით (sic) გიგოლო ანთაძე, ხოლო სამხრეთით აზ(ნაური) ივანე გიგინეიშვილი, ობლებს ერგება ერთი მეოთხედი ნაწილი და ღირს ობლების წილი ათი მანეთი – 10 p.

6. მეექვსე ნაკვეთი, სახელწოდებით **სატურია, სივრცით ერთი ქცევა და ორას სამოცდათხუთმეტი კვადრატნი საჟენისა,** ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით ქაიხოსრო ღლონტი, დასავლეთით კაკაბა სალუქვაძე, ჩრდილოეთით ნიკიტა ღლონტი, ხოლო სამხრეთით იორამა მიქაბერიძე, ობლებს ეკუთვნის ნახევარი ნაწილი, ობლების წილი შეფასთა ორმოცდახუთ მანეთათ – 45 p.

7. მეშვიდე ნაკვეთი სახელწოდებით **„კვანჭუხელი"**, სივრცით ორი ქცევა და ორასი საჟენი, ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით ონისიმე ტუღუში, დასავლეთით და სამხრეთით ღარდა, ხოლო ჩრდილოეთით ოტია სალუქვაძე, ობლებს ეკუთვნის ნახევარი ნაწილი და ღირს ობლების წილი ოცდაათი მანეთი – 30 p.

8. მერვე ნაკვეთი, სახელწოდებით **ნაკუხურალი ერთი ქცევა და ექვსას თორმეტი კვადრატნი საჟენისა,** ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით თვით ობლების მიწა, დასავლეთით სარდიონ აფხაზავა, ჩრდილოეთით და სამხრეთით სოლომონ გიორგის ძე და სარდიონ აფხაზავა, ობლებს ეკუთვნის ერთი მერვედი ნაწილი, ობლების წილი შეფასთა ათ მანეთათ – 10 p.

9. მეცხრე ნაკვეთი, სახელწოდებით **ჩიქვეთი,** სივრცით ნახევარი **ქცევა,** ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით ზა-

---

[1] არ იკითხება

ალ მახარაძე, დასავლეთით და სამხრეთით ნაკაიძის და ჭყონიას მიწა, ხოლო ჩრდილოეთით ლეღვნარი ღელე, საკუთრება ობლებისა შეფასთა თოთხმეტ მანეთათ – 14 p.

10. **მეათე ნაკვეთი**, სახელწოდებით **ჩიქვეთი**, სივრცით ნახევარი ქცევა, ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით მახარაძე, დასავლეთით ობლები, ჩრდილოეთით ლეღვნარის ღელე, ხოლო სამხრეთით გურიელის და ნაკაიძის მიწა, საკუთრება ობლებისა შეფასთა თუთხმეტ მანეთათ – 15 p.

11. **მეთერთმეტე ნაკვეთი**, სახელწოდებით ჩიქვეთი, სივრცით **ერთი ქცევა**, ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით გაბრიელ რუსიძე, დასავლეთით სილევან ტუღუში, ჩრთილოეთით გურიელი, ხოლო სამხრეთით მდინარე წყლით, საკუთრება ობლებისა შეფასთა ოც მანეთათ – 20 p.

12. **მეთორმეტე ნაკვეთი** სახელწოდებით **შუა მაგრი**, სივრცით ორი ქცევა, ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით ხოსანა ღლონტი, დასავლეთით და ჩრთილოეთით მეისრაფეშვილები[1], ხოლო სამხრეთით ნესტორ ჭყონია, ობლებს ეკუთვნის ერთი ნახევარი ნაწილი და ღირს ოცი მანეთი – 20 p.

13. მეცამეტე ნაკვეთი, სახელწოდებით **კაპრუანი**, სივრცით **ორი ქცევა**, ისაზღვრების მიწებითა – აღმოსავლეთით ნაკაიძე და ინგოროყვა, დასავლეთით ნატაბაკევის ღელე, ჩრთილოეთით აზ(ნაური) ჭყონიები, ხოლო სამხრეთით ჯვარის ღელე, ობლებს ეკუთვნის ნახევარი და ღირს ობლების წილი ორმოცი მანეთი – 40 p.

14. ოთხი ჭურები, დიდი და პატარა, საკუთრება ობლებისა, ღირს ოთხი მანეთი – 4 p.

1895 წელსა, აგვისტოს 17 დღესა, მე, აპეკუნმა მიხეილ ინგოროყვამ, ზემოთ ცხადი საცხოვრებელი აღწერილობით ჩავიბარე ჩემს პასუხისგების ქვეშ და მას შინა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ აპეკუნი მიხეილ ინგოროყვა.

---

[1] მოისწრაფეშვილები

ზემოაღნიშნული საცხოვრებელი შეფასებით ჩავაბარე მიხეილ ინგოროყვას მე, ჯურუყვეთის საზოგადოების მამასახლისმა ანთაძემ.

ობლები არიან პავლე და ეკატერინე სალუქვაძენი, სცხოვრობენ სოფელ ებალაურში საკუთარ სახლში, აპეკუნი არის მიხეილ საყვარელის ძე ინგოროყვა.

პირი ესე ნამდვილად სისწორით გადაწერილ არს და მიცემული არს აპეკუნს მიხეილ ინგოროყვასადმი თებერვლის 12 დღესა, 1895 წელსა.

ჯურუყვეთის საზოგადოების მამასახლისი ნინიძე

დამოწმებულია ჯურუყვეთის საზოგადოების მამასახლისის მრგვალი ბეჭდით.

4. 1900 წ., უსათაურო, პირობის ხელწერილი მიცემული სიმონ ცინცაძის მიერ გაბრიელ ებრალიძისათვის – ოჯახში ზედსიძედ მისვლის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, დაწერილია გერბიანი ცისფერი ქაღალდის ოთხ გვერდზე, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №2661.

1900 წელსა, თებერვლის 3 დღესა, სოფელი ლანჩხუთი, ოზურგეთის უეზდა

ათას ცხრაასსა წელსა, თებერვლის სამსა დღესა მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერი, მცხოვრები ლანჩხუთის საზოგადოებაშიდ, **სახელმწიფო ყმა** სიმონ ივანეს ძე ცინცაძე, ამა პირობის ხელწერილს გაძლევ შენ, მცხოვრებს იმავე ლანჩხუთის საზოგადოებაშიდ, **სახელმწიფო ყმას** გაბრიელ გიორგის ძე ებრალიძეს, მას შინა რომელ, ჩვენ ორთავე მხარეთა მოლაპარაკებით და სურვილით, როგორც ჩვენ, აგრეთვე ასულის ჩემის მართაისა, შეგირიგდით უნდა ჩამოგიყვანოთ ჩემს ოჯახში სიძეთ

და უნდა შეუღლდეთ შენ, გაბრიელ და ასული ჩემი, მართა სჯულიერ ცოლ-ქმრად, რაისთვისაც **საჩუქრად** შენ სასიძოსა და მზითევად ჩემის ასულისა მოგეცი ყოველი ჩემი კუთვნილი უძრავი ქონება შემდგომი:

1) **ეზო**, რომელშიდაც ვდგავართ, სივრცით, მაგალითებრ, **ორი ქცევა**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით ივანე და ესე ცინცაძისაგან ეზოით, სამხრეთით მდინარე ღელით და ჩრდილოეთით საზოგადო გზით.

2) **წისქვილიანი** მიწა შით წარმოებულის წყლის წისქვილითურთ, საზიარო სხვადასხვა პირებისა, მე მერგება ერთი მერვდი ნაწილი მრთელისა.

3) ნაკვეთი მიწა სახელდობრ **„ძენწნიანი"**, სივრცით, მაგალითებრ, ნახევარი ქცევა, ისაზღვრება-აღმოსავლეთით ლაზარე წილოსანის მიწით, დასავლეთით ბებურ ცინცაძის მიწით, სამხრეთით დავით ფირცხალაიშვილის მიწით და ჩრდილოეთით ივანე და ესე ცინცაძისაგან მიწით.

4) **ნაკვეთი** მიწა სახელდობრ **„რკინიგზი პირი"**, სივრცით, მაგალითებრ, **ქცევის ორი წილი**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით იაგორ ჭედიას მიწით, დასავლეთით ბებურ ცინცაძის მიწით, სამხრეთით სოფიო ტორონჩაძის მიწით და ჩრდილოეთით რკინის გზით.

5) ნაკვეთი მიწა სახელდობრ **„დობირო ღელისპირი"**, მაგალითებრ, **ერთი ქცევა**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით გიორგი ცინცაძის მიწით, დასავლეთით ბეჟან ცინცაძის მიწით, სამხრეთით ესე ორაგველიძის მიწით და ჩრდილოეთით აბხაძის მიწით.

6) ნაკვეთი მიწა სახელდობრ „ხიდულა", სივრცით, მაგალითებრ, **ერთი ქცევა**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით ივანე და ესე ცინცაძის მიწით, დასავლეთით გიორგი ცინცაძის მიწით, სამხრეთით აბხაძის მიწით, ჩრდილოეთით პავლე ცინცაძის მიწით.

7) ნაკვეთი სახელდობრ **„დობირო"**, სივრცით, მაგალი-

თებრ, **ორი ქცევა**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით დავით ფირცხალაიშვილის მიწით, დასავლეთით ცინცაძისა და მანტკავას მიწით, სამხრეთით ცინცაძისა და წილოსანის მიწით და ჩრდილოეთით ხუნდაძის მიწით. ეს მიწა არის საზიარო, მე მერგება ერთი მეოთხედი მრთელისა.

8) ნაკვეთი სახელდობრ **„მორჩხილის პირი"**, სივრცით, მაგალითებრ, **ოთხი ქცევა**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით მდინარე მორჩხილით, დასავლეთით ბესარიონ ცინცაძის მიწით, სამხრეთით გიორგი და ბესარიონ ცინცაძეების მიწით და ჩრდილოეთით ცინცაძეების და ჭედიას მიწით.

9) ნაკვეთი სახელდობრ **„თხილნარი"**, სივრცით, მაგალითებრ, **ხუთი ქცევა**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით მაქსიმელ ხუხუნაიშვილის მიწით, სამხრეთით მდინარე მორჩხილით, ჩრდილოეთით ცინცაძეებისა და წილოსნების მიწით.

10) ნაკვეთი სახელდობრ **„წკეპის პირი"**, სივრცით, მაგალითებრ, **ქცევა** – ნახევარი, ისაძღვრება – აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ცინცაძეების მიწით და სამხრეთით მდინარე წკეპის ფსორით.

11) ნაკვეთი მიწა სახელდობრ **„ნაქერალას ფსორის პირი"**, სივრცით, მაგალითებრ, **ორი ქცევა**, ისაძღვრება – აღმოსავლეთით ნაქერალას ფსორით, დასავლეთით ცინცაძის და ბარამიძის მიწით, სამხრეთით წკეპის ფსორით და ჩრდილოეთით ბარამიძის და შარაბიძის მიწით.

12) ნაკვეთი სახელდობრ, **„წკეპის პირი"**, სივრცით, მაგალითებრ, **ოთხი ქცევა**, ისაძღვრება-აღმოსავლეთით ივანე კილაბერმას[1] მიწით, დასავლეთით და სამხრეთით ცინცაძეების მიწით და ჩრდილოეთით მდინარე წკეპის ფსორით.

ეს მიწა არის საზიარო ბებურ და ივანე ცინცაძეებისა, მე მერგება **ერთი მეოთხედი ნაწილი მრთელისა**.

13) ნაკვეთი სახელდობრ **„მომწვარი"**, სივრცით, მაგალი-

---

[1] კილაბერიას

თებრ, **სამი ქცევა**, ისაძღვრება ირგვლივ ცინცაძეების მიწით.

14) ნაკვეთი სახელდობრ **„ფიჩორის პირი"**, სივრცით, მაგალითებრ, **სამი ქცევა**, ისაძღვრება აღმოსავლეთით და დასავლეთით და სამხრეთით ცინცაძეების მიწით და ჩრდილოეთით მდინარე ფიჩორით.

ზემორე აღრიცხულნი და დასაძღვრულნი მიწები გადმოგეცი დღეიდანვე და სრული სიმართლე გაქვთ დღიდგან თქვენის ერთად შეუღლებისა, მივიღოთ ყოველივე ზრუნვა, შესახებ სარგებლობისა და ფლობელობისა, თავისუფლათ დაეპატრონოთ სურვილისამებრ თქვენისა ორივემ ანუ რომელიც თქვენგანი ცოცხალი იქნება, რომელშიდაც მე არ შემიძლია არასდროს რაიმე სარგებლობისა და სხვა თუ ვინმე მოდავე აღმოჩნდება, ვალდებული ვარ მე მოგაცილო, აგრეთვე ვიკვრი ამ პირობით, რომ ეს პირობა დაგიმტკიცო, ესე იგი ზემოაღნიშნულ საძღვრებზედ მოხსენებული მიწები ჩაგაბარო იმ უფლებით, რაიცა უფლება მე მქონდა და რაც ნაირად კანონი ნებას მოგვცემს და დამტკიცება შეიძლება. თქვენის ხარჯით დაგიმტკიცო, დღიდგან ორი თვის განმავლობაშიდ და უკეთუ ვერ დაგიმტკიცე, მიწა მოგაკელი, რაიმე სარგებლობა მე და გარეშე პირთა ვინმემ შეგეხო და ვერ დაგიცავი, მაშინ ვიკვრი, საფასი მიწებისა გადაგიხადო **სამასი მანეთი** ნაღდი ფულები და აგრეთვე შტრაფად პირობის შეშლისათვის გადაგიხადო კვალად **ორასი მანეთი** ნაღდი ფულები, გამოურიცხველად მიწის ღალისა. მას შინა ხელს ვაწერ სიმონ ცინცაძე, რადგან მან წერა არ იცის და მის მაგიერ, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ესე ჩხაიძე.

რომელ ნამდვილ ამა პირობაზედ წერის უცოდინარობის გამო სიმონ ცინცაძისა მის მაგიერ, მისი თხოვნით ხელმოწერილ არს ესე ჩხაიძე, მას ზედა ვემოწმები ხელის მოწერითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა 1900 წ., თებერვლის 4 დღესა.

ლანჩხუთის სოფლის მამასახლისი მწ. ნ. ორაგველიძე, იმედაიშვილი

დამოწმებულია მრგვალი ბეჭდით.

5. 1925 წ., სიმონ ექვთიმეს ძე სიხარულიძის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერილობა, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №6181/2,2 ფურცელი, პირი, ზომა 22x35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორნერტილი, ბრჭყალები.

აღწერილობა სიმონ ექვთიმეს ძე სიხარულიძის უძრავ-მოძრავი ქონების

1925 წელსა, მარტის 26ს დღესა

მე, დარისპანე სიმონის ძე ჩხიკვაძემ, მცხ(ოვრებმა) ბუკისციხის თემში, როგორც მოწვეულმა, ერთი მხრივ, ექვთიმე მარკოზის ძე სიხარულიძის და, მეორეს მხრივ, ისაკი მაქსიმენის ძე ბარამიძის და ბუკისციხის თემის საბჭოს დავალებით სიმონ ექვთიმეს ძე ობლების მეურვეთ (ოპეკუნათ), ავსწერე და ჩავიბარე სიხარულიძის ობლების კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება, რაზედაც ვალდებული ვარ თვალყური ვადევნო, მოუარო და პასუხისმგებელი ვიყო ხალხის და მთავრობის წინაშე ამ ქონების დაცვაში. ქონების აღწერის და ჩაბარების დროს დაესწრენ ისაკი მაქსიმენის ძე ბარამიძე, 2. ექვთიმე მარკოზის ძე სიხარულიძე და აღმასკომის მდივანი ვასილ ლუკას ძე კოტრიკაძე.

უძრავი ქონების აღწერილობა

1. ერთი ნაკვეთი მიწა, სახელდობრ **ეზო**, სამზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ექვთიმე სიხარულიძე სასოფლო გზით, დასავლეთით ღელე, სამხრეთით ლ. ცეცხლაძე და ჩრდილოეთით ექვთიმე სიხარულიძე, ზომით, მაგალითებრ, სამი ქცევა.

2. მეორე ნაკვეთი მიწა, სახელდობრ **ცხენის ზურგა**, სამზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ექვთიმე სიხარულიძე, დასავლეთით ღელე, სამხრეთით სასოფლო გზა და ჩრდილოეთით

მგელაძე და მაჭავარიანი, ზომით **ორი ქცევა** დაახლოვებით.

3. მესამე ნაკვეთი მიწა, სახელდობრ **ბერსალო**, სამ-ზღვრებთ შორის, აღმოსავლეთით გ. სიხარულიძე, დას(ავლეთით) ლუკა სიმონია, სამხრ(ეთით) ღელე და ჩრდილოეთით ფილიპე სიხარულიძე, ზომით **ორი ქცევა**.

4. მეოთხე ნაკვეთი მიწა, სახელდობრ **გადაღმა ბერსალო**, საძღვრები: აღმოსავლეთით სერი, დასავლეთით ღელე, სამხრეთით **ნოლი** (sic) და საჯევოხლები[1], ზომით, მაგალითად, ქცევა-ნახევარი, შეძენილი მირიან სიხარულიძისაგან. შენიშვნა: მეოთხე ნაკვეთი მიწა შეძენილი აქვს სიმონ სიხარულიძეს დაქორწინების შემდეგ 1922 წ. 2/XI.

სია მოძრავი ქონებისა, რომლებიც მამისაგან ერგო გარიგებისას:

1. ერთი სამზადი სახლი, ფუხრიანი ლამფისა
2. ერთი ხულა
3. ერთი ნაღობი სასიმინდე პალატით
4. ერთი საღორია
5. ერთი საწნახელი საშვალო სიდიდისა
6. ჭურები ღვინის თექვსმეტი, რომლებიც გაყოფილი არ არის. ამ ჭურებიდან ოცდახუთი ბათმანის გამოსავალი ჭურჭელი ეკუთვნის სიმონის დას ვალენტინას, დანარჩენის ნახევარი ეკუთვნის სიმონის ობლებს, ნახევარი კი ექვთიმე სიხარულიძეს.
7. ერთი ზანდუკი ხის ჩამოჩუქურთმებული (sic)
8. სამი ცალი ტაბურეტკა სკამები
9. სახადი ქვაბი თავის მოწყობილობით. შენიშვნა – ნახევარი ამ ქვაბიდან ეკ(უთვნის) სიმონის ობლებს.
10. ერთი საარყე გრაფინკა

---

[1] საჯავახოელები

11. ორი ცალი ჩაის კოვზი
12. ერთი რგვალი სტოლი საფარით პატარა
13. ერთი სტოლი ოთხფეხიანი ძველი
14.ერთი კრაოტი
15.ოთხი ბოთლი
16.ერთი შუშის ბანკის საშვალო
17.ღვინო ოდესას (sic) თოთხმეტი ფუთი
18.ერთი თუნგი თუჯის პატარა
19.ერთი ხურჯინი საშვალო სიდიდისა
20.ერთი საფუხრე ჯაჭვი პატარა
21.ერთი საღვინე დოქი
22.ჭიქები ორი ცალი ღვინის და ერთი ხელიანი, სულ 3 ც(ალი)
23.ორი ჩაშკა
24.ერთი ბოჭკა თევზი
25.ერთი ნალდი
26.ორი თოხი ძველი, უფროს-უნცროსი
27.ერთი ნამგალი პატარა
28.ერთი გოდორი ძველი
29.ორი კალათი
30.ერთი საყურძნე გიდელი
31.ერთი საკოჭი ბაწარი სიგრძ(ე) 7 მხარი
32.სამი დერგი
33.ერთი ქოთანი მოზრდილი
34.სამი კეცი
35.ერთი ბურაკი[1] ღორი
36.ცხენის ღვედი და მოსართავი
37.სიმინდი 22 ფუთი

---

[1] ბურვაკი

38. ერთი წყვილი აზიატსკი ახალი
39. ერთი ნაკატი პატარა
40. ერთი „ლომის" (sic) ნახევარი, შენიშვნა: ნახევარი ეკუთვნის ექვთიმეს
41. ერთი პატარა დანა
42. სამი ქათამი

სია იმ ნივთებისა, რომლებიც მოყვა მზითებათ სიმონის მეუღლეს, ბარამიძის ასულს

43. ზინგერის მაშინა საკერავი №504337
44. სახლი ფიცრული სამზარეულო, რომელიც ნამგვზითი...[1]
45. ორი საბანი და ლები
46. ორი მუთაქა
47. ერთი ბალიში
48. ერთი ტაშტი სპილენძის საშვალო

ზემოთ აღწერილი ნივთები ჩავიბარე მე, დარისპან ჩხიკვაძემ 1925 წ. 28 /III

ჩავიბარე: დარისპან ჩხიკვაძე

1925 წ. აპრილის 26ᲡᲐ დღესა ბუკისციხის მასიურმა კრებამ სიმონ სიხარულიძის ობლების ოპეკუნათ დაამტკიცა დარისპან ჩხიკვაძე, ოქ(მი) №5

ამ აღწერილობის ოპეკუნის ხელმოწერას ვამოწმებ:

ბუკისციხის თემის აღმასკომის თავ(მჯდომა)რე: ნ. გურგენიძე

27 აპრილი, 1925 წ.

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებელი: ვ. ჭკუასელი

დამოწმებულია მოწითალო ფერის მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც წარწერა არ იკითხება.

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების საბუთები

1. 1854 წ., უსათაურო, ხელნერილი საბატონო ყმების ბერი, სიმონ და ელიზბარ ლომაძეების მინა-წყლის გაყოფის შესახებ, ეა, M[2] №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №991.

ჩყნდ წელსა, დეკენბრის პირველსა (1854 წ.)

საბატონო ყმებმან, ბერმა, სიმონ და ელისბარ ნიკოლოზის ძეებმან ლომაძეებმან, მათის სურვილითა და კეთილ ნებობითა, მათი კუთვნილი უნახიან[1] მამულები გაიყვეს. პირველს, ბერს ხვთა სახელდობრ ტყემლიანი და ხარის თავაი და მესამე სასაკუთრო (?) ეზოს და ნიკოიეს საზიარო და მეოთხე შეწირულის **საზიარო და მეხუთე კიდევ** ალმასხან ჭყონიას საზღვართან და მეორეს, სიმონს ხვთა ღელის კარი ბარამიძის საზიარო და მეორე სასაკუთრო ეზოის ორი წილი

და მესამეს, ელისბარს ხვთა ნაშენები და მეორე გაბრიელა ლომაძის საზიარო სეხნიეს ნასახლევი და მესამე ღელობაი (sic) ნიკოიეს საზიარო, მეოთხე სასაკუთრო ეზოის მესამედი ღარდის პირი ივანიკა ლომაძის კედრით, გარდა ამისა, მათი ბატონების საზიარო მამული სამათ გაისაზღვრეს ქვის ჩაყრითა. სიმონს ხვთა რომელშიდაც შიდ დგანა, ბერს შვაზედ და ელისბარს დასავლეთით ივანიკა ლომაძის კედრით. გარნა ზემოხსენებულს სასაკუთრო ეზოშიდ ხუთი ძირი ნიგოზი არის და ის გაუყოფლად არის, რამეთუ ძმებმა უნდა ისარგებლონ ერთათ და უკეთუ ზემო განცხადებულს მამულებშიდ რომელიმეს მოდაუე აღუჩნდეს, მაშინ სამიუემ[2] ძმებმან თანასწორ უპასუხოს, რომ-

---

[1] ვენახიანი
[2] სამივე

ლისა მოწამენი არიან ამა გაფარდების დროზედ აზნაური სელა ჭყონია, ხელოსანი ასალო ჯორბენაძე, იესე შეწირული, გიორგი და ნიკო ლომაძე და გოგია შეწირული

ვსწერთ ამას, ზემო განცხადებულს ნიკოლოზ ლომაძის შვილების თხოვნით და თანდასწრებით, მე, აზნაური ალმასხან ჭყონია და თეითონაც ხელს აწერენ ჯვარის დასმითა

თანა დავესწარით ამა წერილზედ, რომელ თუმცა ფარდის წილშიდ იმცხადების (sic) ელისბარას მხრით ნაწილობა ხსენებულს ხეების ნიგვზისა, მაგრამ რადგან დღეს ელისბარამ ამასთანაუე[3] დაუდვა მისი წილი ერთის იმაზედ ხეთის (sic) ნიგვზისა მის ძმისწულს, სიმონის ძეს სესიკელას და გაბრიელას, აწ აღარ ეკუთვნის ელისბარას, გარდა ოთხის ძირის ნაწილისა, უნდა ისარგებლოს ოთხის ძირისაგან ელისბარამ და ერთი იგი ბოლოში, გზის პირზედ მიანიჭა მას, სესიკას და მის ძმას მისი წილი მესამედი ელისბარამ †††[4]

2. *1872 წ., უსათაურო, ხელწერილი აბესალომ, ხოსო, იოსებ და ალექსანდრე გოგოლიშვილებსა და შავარდენ და გიორგი ცეცხლაძეებს შორის საზიარო მიწის გაყოფის შესახებ, ომმ ხელნაწერი ფონდები, შწ №170/1, 1 ფურცელი, დედანი, ზომა 22X35, რუხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, ბევრ ადგილას გადაშლილია იმავე მელნით და იმავე ხელით არის ჩანაწერი, ოდნავ და ზიანებულია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორწერტილი, ტოლობის ნიშანი.*

ჩყობ [სა] წელსა, მარტის ათსა დღესა (1872 წ.)

ვსდობთ სრულის ჩვენის თანხმობით ლეხოურის[1] სოფლის მოსამართლებთან ამ პირობას ჩვენ, ქვემორე აღნიშნული პირე-

---

[3] ამასთანავე

[4] საბუთი მთავრდება სამი ჯვრით, ბეჭედი არა აქვს (უბეჭდო საბუთები ქვემოთ მითითებული არ არის).

[1] ლიხაურის

ბი: 1. აბესალომ, ხოსო, იოსებ, ალექსანდრე გოგოლიშვილები, 2. შავარდენ და გიორგი ცეცხლაძენი მაშინა, რომელ ჩვენ = ქონდა საზიარო ადგილი, აღნიშნულ საძღვარს შიგნით, სახელ-დობრ ნაწილობიანია, აღმოსავლეთით დიმიტრი გორდელაძისა, დასავლეთით ხოსო გოგოლიშვილის ღელემდის, ჩთილოეთით ნაკაშიძის საზიარომდის ცეცხლაძესთან და სამხრეთით ღე-ლემდის, რომელიც იქნება შეხედულობით ოთხი ქცევა მამუ-ლიანი ადგილი. ჩვენის თანხმობით მივანდეთ გაყოფა ადგილი-სა ოთარ ურშაძისა[1] და გიტო თოიძისა = და როგორც აღნიშ-ნულ = ორმა კაცმა გაგვიყოს, ჩვენ უნდა ვიქნათ თანახმა ამა გაყოფისა და თუმც ჩვენ არ დავეთანხმოთ აღნიშნულ მამაკა-ცებსა მაშვინ = ჩვენ მივცეთ უთანხმო პირმა თანახმას ვორ-მოცდაათი მანეთი და ამა გაყოფაშიდ არის მონაწილედი = ერთი მცირეწლოვანი გოგოლიშვილებისაგან და = იმა მცირეწლოვა-ნის წილს ღებულობს ხოსო გოგოლიშვილი = თუ ის თავის თავ-ზედ და თუმც შეიშალოს ეს ჩვენ გაყოფილება მცირეწლოვანის გამოისობით = მაშვინ უნდა მივცეთ ცეცხლაძეებს ზეიდვე მოხ-სენიებული იშტრა (?)

3. 1873 წ., სია ფარდის გაყოფისა, ხელწერილი ეფრემა აფხაზავასა და ბე-სარიონ ჭყონიას შორის საზიარო მინის გაყოფის შესახებ, ეა, M² № 38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №931.

სია ფარდის გაყოფისა

ჩყოგ წელსა, სეკდემბრის იდ დღესა
(1873 წ., 14 სექტემბერი)
სოფელ ებალაურს ეფრემა აფხაზავას ეზო ჩვენი წილისაც

[1] ურუშაძისა

არის, ის ადგილი თავის საზღვრით უკა(ნ) ღელე ბესარიონ ჭყონიას საზიარო, თავის საზღვრით ამასთანავე გოგია სალუქვაძის და მაქსიმელაის ეზო, თავის საზღვრით ჩვენი წილიც არის ჩიჩქინათი ენდროიანი და ყელაში გოგუაძის საზიარო, რომელიც დღეს წისქვილის სათავანი გაქვს შენ, ოტიას ჩვენს ადგილში, ის ჩვენგან არ მოგეშალოს არასდროს, ჩვენგან ყაბული აქვს ამ ფარდის გაყოფისა ალექსანდრე, ქაიხოსრო და ბესარიონ სალუქვაძეებს და მას შინა საკუთარს ხელს ვაწერთ: ალექსანდრე, ქაიხოსრო, ბესარიონ სალუქვაძემ წერა არ იცოდნენ, მათის ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ აზნაური გიორგი ნაკაიძე

რწმუნებულს ჩემდამი ნამდვილ ხელმოწერილ არს ზემორე ფარდის ყმები ალექსანდრე, ქაიხოსრო, ბესარიონ სალუქვაძეები და მისა წერის უცოდინარობისა ჩემისა გამო ვემოწმები სახელმწიფო ბეჭდის დასმითა ჯურუყვეთის საზოგადოების მამასახლისის კამტიტატი[1] ესე ტულუში.

ფარდის გაყოფის...[2] დავსწერე მღვდელმა ნიკოლოზ დარჩიამ და მოწამეც ვარ ამისი

დამოწმებულია მურის ორი მრგვალი და ერთი ოთხკუთხედი ბეჭდით

4. 1879 წ., უსათაურო, ხელნერილი ალექსანდრე, სიო, ტეფო და ფირან კალანდაძეებსა და ივანე კალანდაძეს შორის ქონების გაყოფის შესახებ, სანდრო პავლეს ძე კალანდაძის საკუთრება (მცხ. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში), მოძიებულია გამომცემლის მიერ 1984 წ., 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, პირი, ზომა 22X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთი-

---

[1] კანდიდატი
[2] ერთი სიტყვა არ იკითხება

1879 წელსა, იანვრის 13 დღესა

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერმან, მცხოვრებმან ბასილეთის სოფლის საზოგადოებაში, ყმებმან ალექსანდრე ივანეს ძემ, სიო, ტეფო, ფირან პეტრეს ძე კალანდაძეებმან და ოპეკუნმა, გიორგი ივანეს ძის კალანდაძის მამულზე, ივანე იესეს ძემ კალანდაძემ, დღევანდელსა რიცხვსა თანახმად ერთმანეთისა გავიყავით ქონებული საკუთნებელი და სააპეკო ჩვენდამი უძრავი საცხოვრებელი, წერილობით და მასთანავე გაუყოფლათ დაგვრჩა საზიაროთ შემდგომი: 1) ერთი ნაკუწი ადგილი ყინვარე ან საჩეხი, 2) ერთი ნაკუწი ადგილი, სახელდობრ ყინვარე ბოყვიშვილის საზიარო, 3) ერთი ნაკუწი ადგილი, სახელდობრ კიტოულა, ეს ზემოხსენებული ადგილი დაგვრჩა დროსა ჩვენ შორის ადგილის განაწილებისა გაუყოფელი საზიაროთ და ვიკვრით იმ პირობით, რომელ დროს ჩვენ მიერ მხარის...[1] და ერთქმანეთს (sic) უთანხმებთ ესე ადგილებსა...[2]

ადრიდან გაყოფილები ჩვენ ჩვენდა გვეკუთვნის და ხოლო დროსა ადგილის გაყოფილებისა ფარდის წერილში ჩაწერილობით არ მოხსენიებულა და ვიკვრი ამაზედ, დავა არ განვაცხადო. პირი ესე ნამდვილისაგან არის, და გვაქვს ერთიდან მეორე მხარეს და რომა ხელს ვაწერ ალექსანდრე ივანეს ძე კალანდაძე და აპეკუნი გიორგი კალანდაძის მამულზე ივანე ესეს ძე კალანდაძე და რადგანაც ამათ წერა არ იცოდენ, მათის თხოვნით, მის მაგიერ ხელს ვაწერთ: სიო, ტეფო და ფირან პეტრეს ძე კალანდაძეები და რადგან მათ წერა არ იციან, მათ მაგიერ, მათი თხოვნით ხელს ვაწერ – ივანე ქორიძე

ამა ადგილის **პირობის წერილის** შედგენისა და დროს გარდაცვალებისა ვიმყოფებოდით და ხელს ვაწერთ თეიმურაზ

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

[2] რამდენიმე სიტყვა არ იკითხება

კალანდაძე, ივანე ქორიძის ხელმოწერას ადასტურებს ბასილეთის სოფლის საზოგადოების მამასახლისი ი. გოგიბერიძე

დამოწმებულია მელნისფერი ორი მრგვალი ბეჭდით, რომლებზედაც წარწერები არ იკითხება.

5. *1882 წ., უსათაურო, ხელწერილი ნიკო და არსენ ორაგველიძეებს შორის მიწის გაყოფის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №944.*

ათას რვაას ოთხმოცდამეორესა წელსა, ნოემბრის
ოცდამეორესა დღეს

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, სახელმწიფო ყმები ნიკო და არსენ მახარბ(ელ)ის ძე ორაგველიძენი, ამა პირობის ხელით წერილს ვზდებთ მაზედ, რომელ ჩვენ, ჩვენის სურვილით, გავიყავით ჩვენივე ეზოში მდებარე მიწა საზღვრით – აღმოსავლეთით სასოფლო გზა, დასავლეთით მდინარე წყალი და სასოფლო გზა, სამხრეთით ბახუტა ორაგველიძის მიწა, ჩრდილოეთით დათია და იაგორ იმნაიშვილების მიწით. ამა აღნიშნულს საზულრებთა შორის ზომით და გაფარდებით არის შვად ჩაყრილი მიჯნები. პირველი, აღმოსავლეთით ჩვენივე ჩამოსავალი გზის შვად, მეორე შესაერთებლად იმისა ვაშლთან. ვაშლი იგი რჩება ნიკოს. მესამე, დასავლეთით ბჟოლი სისწორით. ბჟოლი კიდევ ნიკოს რჩება. აღნიშნული მიწები მრჩება სამხრეთის კედრით მე, ნიკო ორაგველიძეს, ჩრდილოეთით მე, არსენს, ხოლო დასვძენთ, რომ მე, არსენ ორაგველიძე ჩემი საკუთნელისა მიწისაგან ვალდებული ვარ არ მოგიშალო ნახევარი ნაწილი ადესაის სარგებლობა ორი წლის ვადით. აგრეთვე მე, ნიკო ორაგველიძემ შენ, არსენს არ მოგიშალო ჩემის ხვედრის მიწი-

საგან თანასწორი მუშაობით. ვალდებული ვართ ეს ჩვენ მიერ პირობა დავიცოდ. უკეთუ რომელიმე მხარემ ეს პირობა დავარღვიოდ, ვალდებული ვიქნებით მტყუანმა მხარემ მართლის შესაძენად გადავიხადოთ 5 მანათი შტრაფი. ეს პირობა იწერება ორი, ერთი ნიკოს ექმნება და მეორე არსენს და ამას შინა ხელს ვაწერთ

ნიკო ორაგველიძე – არსენ ორაგველიძე

ამის გაყოფის დროს დავესწარით გირგოლ ორაგველიძე, ესე ბზეკალავა, ...[1], ...[2] ორაგველიძე

6. 1883 წ., უსათაურო, ხელწერილი იესე, როსტომ, ანტონ და გლახუნა ნიკოლაიშვილებსა და გაბრიელ, გიტულა და ივანე ნიკოლაიშვილებს შორის ადგილ-მამულის გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №5181/9, 1 ფურცელი, პირი, ზომა 19,5X28, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, სათავადო ყმანი იესე ივანეს ძე ნიკოლაიშვილი და როსტომა ივანეს ძე და იესეს ძმანი ანტონა და გლახუნა, რა ასრე წერილსა გაძლევ თქვენ, ჩვენს სახლიკაცებს გაბრიელს, გიტულა ნიკოლაიშვილებს და გაბრიელის ძეს ივანიკას მას შინა, რომ ჩვენ ერთმანეთს შორის დღემდის მამული და ადგილი გაუყოფლად გვქონდა და ბრძანებით მებატონისა ჩვენისა გავიყავით და ჩვენ გვხთა სამოსახლო მარანი და მამული საბატონოს მამულის საზღვარსა და სესიას საზღვარსშუა დავითის საზიაროდან, ამავე ასლანიე კიღურაძის საზიარო მამული შვაზე გავიყავით და სალუქვაძის მამულისგან ზეით შენ გახვედრეთ კიდო კიღურაძის საზიარო ადგილი სა-

[1] ხელმოწერა არ იკითხება
[2] სახელი არ იკითხება

კუთრათ, თქვენ გხთა გძელაის ფარდში კიდომ თავართქილაძის საზიარო ადგილი და საკუთარი ვორივესგან ზედ გავიყავით და თქვენ გახვედრეთ იობის ადგილის საზღვრისკენ საკუთარი და საზიაროცა, ამასთან გძელაის თავი საცივის კედაროსკენ თქვენ გახვედრეთ, ესენი ასრე და თუმცა ეს დღემანდელი ასრე მამულისა განყოფილება ჩვენის მხრისგან თუ შეიშალოს, მაშინ ყოველი სასამართლოსაგან და მებატონისაგან შეუწყნარებელი ვიქნეთ ან არის ამის მოწმე და გამრიგე აზნაური გიორგი ჯაში, აზნაური იობი სალუქვაძე, ღვდელი გიორგი წიტაიშვილი და აზნაური ჯეგეშია შავარდნაძე, ხელოსანი ივანიკა დოლიძე, სახელმწიფო ყმა ეგნატე თავართქილაძე და ონისიმე მახარაძე, ვნერ მე, აზნაური გლახუა ბიჭიას ძე ზემოხსენებულის ნიკოლაიშვილების თხოვნით და მოწმეც ვარ ამისი†††[1]

თუმც რომელიმე მხარეს გაყოფილის მამულში მოდავე ვინმე აღმოგვჩთას (sic), პასუხი ერთნაირი გავცეთ, მიზანიც ერთი იქნეს.

დამოწმებულია მელნისფერი ორი მრგვალი ბეჭდით, ერთზე ნარწერა არ იკითხება, მეორეზე იკითხება: „участ. начальника"

7. *1883 წ., უსათაურო, ხელწერილი გიორგი, სიმონ, ნიკო და ანტონ ჯორბენაძეების სამოსახლო ეზოს გაყოფის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №912.*

1883 ᲬᲚᲘᲡ წელსა, აპრილის 20 ᲓᲦᲔᲡᲐ

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, მცხოვრებნი ლანჩხუთის საზოგადოებაშიდ, სახელმწიფო ყმები, ბიძათაშვი-

[1] დასმულია სამი ჯვარი

ლები გიორგი, სიმონ და ნიკო, და ანტონ ჯორბენაძეები დღე-ვანდელ რიცხვსა სამოსახლო ეზოშიდ გავფარდოთ შემდეგი ნე-სით. პირველსა ჩვენგანს, გიორგი ჯორბენაძეს შეხვა აღმოსავ-ლეთის მხარე, ისაძღვრება, აღმოსავლეთით და სამხრეთით სა-სოფლო გზა, დასავლეთით ჩვენგანის სიმონ და ნიკო ჯორბენა-ძეების მიწა და ჩრდილოეთით დღესვე ქვემოთ გამიჯნული გზა. ამის საფარდოთ მეორეს, სიმონ და ნიკო ჯორბენაძეს შეხვთა ჩრთილოეთის მხარე, ისაძღვრება აღმოსავლეთით სასოფლო გზა, დასავლეთით დომენტი იმნაძის მიწა, სამხრეთით დღესვე გამიჯნული გზა და ჩრდილოეთით გიორგი იმნაძის ეზო და მე-სამეს, ანტონ ჯორბენაძეს შეხვთა დასავლეთის მხარე, ისაძ-ღვრება აღმოსავლეთით ჩვენგანის სიმონ და ნიკო ჯორბენაძის მიწა, სამხრეთით გიორგი მახარბელის ძე იმნაძის ეზო და ჩრდი-ლოეთით ფირდონ იმნაძის ეზო. ამა გაფარდებაზედ სამივე მხა-რე თანახმა ვართ, და ვიკვრით ამა პირობით, რომ თუმცა რომე-ლიმე მხარემ ეს პირობა შევშალოთ, იმ პირმა შტრაფათ გარდა-ვიხადოთ სამოცი მანეთი ვერცხლისა ფული მართლის მხარის სასარგებლოთ და ფარდის წერილი ესე იქმნეს თავისავე ძალა-შიდ. ძალა ამ პირობისა გვესმის და მას შინა ხელს ვაწერთ: გი-ორგი, სიმონ, ნიკო და ანტონ ჯორბენაძეები. რადგან მან წერა არ იცის, მის მაგიერ, მათი თხოვნით ხელს ვაწერთ: გიორგი, სი-მონ, ნიკო და ანტონ ჯორბენაძეები, რადგან მათ წერა არ იცი-ან, მათ მაგიერ, მათი თხოვნით ხელს ვაწერ ამბაკო კვასხვაძე

რომელ ნამდვილ წერის უცოდინარობის გამო გიორგი, სი-მონ, ნიკო და ანტონ ჯორბენაძეებისა მათ მაგიერ ხელმოწერილ არს ამბაკო კვასხვაძე, მას შინა ვემოწმები სახელობით და სა-ხელმწიფო ბეჭდის დასმითა 1883-სა წელსა, აპრილის 21 დღესა

ლანჩხუთის სოფლის საზოგადოების მამასახლისის კან-დიდატი ალექსი მენაღარიშვილი

დამოწმებულია მურის ორი ბეჭდით, ერთი მრგვალია, მე-ორე ოთხკუთხედი

8. 1883 წ., ფარდის წერილები, ხელნერილი გაბია და ესე ლომაძეებს შორის მიწის გაყოფის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №1009.

ფარდის წერილები

1883 წელსა, ნოემბრის 16 დღესა

ჩვენ, ქვემორე მაგაზედ ხელისმომწერი, გაბია და ესე ლომაძენმა გავფარდეთ ჩვენის თანხმობით შემდეგი ადგილები: 1 საცივის პირი საძღვრებთა შორის, აღმოსავლეთით გოგი ბარამიძე, დასავლეთით საყვალა ლომაძე, ჩრდილოეთით გაბია ლომაძე და სამხრეთით ალექსანდრე პატარაია. ეს მოხსენიებული ადგილი ხთა იესე ლომაძეს და ამის ფარდი ხთა გაბია ლომაძეს ქვედა კედარო საცივის პირი საძღვრებთა შორის, აღმოსავლეთით გოგი ბარამიძე, დასავლეთით საყვალა ლომაძე, ჩრდილოეთით მაქსიმელ და ნიკოლოზ ლომაძენი, ხოლო სამხრეთით დომენტი ტუსკია, ეგრეთვე ესე ლომაძეს მეორე ნაკვეთი საცივის პირი საზიარო მაქსიმელ და ნიკოლოზ ლომაძის ხდა ნახევარი ნაწილი საძღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ჩვენივ მიწით, დასავლეთით ალმასხან ჭყონია, ჩრდილოეთით შევარდენ ლომაძე, სამხრეთით საყვალა ლომაძე, მესამე ნაკვეთი ჭალაი კიდომ ხთა ესე ლომაძეს, საძღვრებთა შორის, აღმოსავლეთით შევარდენ ლომაძე, დასავლეთით საყვალა ლომაძე, ჩრდილოეთით ნიკო ლომაძე, ხოლო სამხრეთით მაქსიმელ ლომაძე. ამ ორის ნაკვეთის ადგილის სანაცვლო ხდა გაბია ლომაძეს, ქვაის ეწერი საძღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ლევან ლომაძე, დასავლეთით შენირულები, ჩრდილოეთით ლევან ლომაძე, სამხრეთით ნიკო ლომაძე, რომელიც ამისაგან ეკუთვნის გაბიას მესამედი ნაწილი. აგრეთვე ხთა კიდევ გაბიას ბუტულაის ნასახლევი საძღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ივანიკა და როსტომა ბარამიძენი, დასავლეთით კიმოთე ლომაძე, ჩრდილოეთით ნიკო

ლომაძე, სამხრეთით ნიკოლოზ ლომაძე ლაზარეს ძე. საკუთრად ერგება გაბიას, გარდა ამისა, საზიარო სერი, რომელიც გავყავით ჩვენის თანხმობით. ნახევარი ნაწილი ეკუთვნის გაბია ლომაძეს, დანარჩენი ნახევარი ნაწილი იესე ლომაძეს საზიაროთ კონია ჭყონიასა, რომელსაც ესამძღვრება აღმოსავლეთით ლევან ლომაძე, დასავლეთით გაბია ლომაძე, ჩრდილოეთით და სამხრეთით კვალადვე გაბია ლომაძე ან საძღვარ არს შიგნით, ჯუმათის კედრით იესე ლომაძეს ხთა და დასავლეთით გაბია ლომაძეს ხთა საკუთრად ნაისრალაი. ეს გაფარდების წერილი დეიწერა ორად, ერთი ექნება გაბია ლომაძეს, მეორე ესე ლომაძეს. თუ ვინმემ შევშალოთ, ტყუანმა გადაიხადოს ოცდაათ მანეთამდე შტრაფი და პირობა დარჩეს თავის ძალაში, მას შინა ხელს ვაწერ გაბია და იესე ლომაძე, რადგან წერა არ იციან, მათ მაგიერ ხელს ვაწერ ომაინ ლომაძე, გიორგი ქინქლაძე, დავესწარი ამაზედ მონმედ დომენტი ტუსკია

9. 1886 წ., უსათაურო, ძმების ესიკა, ივანე, გაბრიელ და იობი ოტიას ძე სალუქვაძეების გაფარდების ხელწერილი, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №2699.

1886ᲬᲚᲔᲡᲐ, ნოვემბრის თუთხმეტსა დღესა

მე, ქვემოთ ამისა ოზურგეთის ვეზდის, ჯურუყვეთის საზოგადოების მცხოვრებმა, ყმებმა ესიკა, ივანე, გაბრიელ და იობი ოტიას ძე სალუქვაძნებმა[1] ჩვენი სურვილისამებრ ვისურვეთ ჩვენი მამის და ჩვენი ნამოქმედის გაფარდება მოძრავისა და კიდევაც გავაფარდეთ, ამავე საზოგადოების მცხოვრებ ყმების მაქსიმელ და ივანე სალუქვაძის, ივანე ნიკოლოზის ძე ტუ-

[1] სალუქვაძეებმა

ყუშის[1] და ივანე გიორგის ძე ტუყუშის დასრებით და ამა სამა ძმამა მივეცით მეოთხეს, ჩვენს ძმას ივანეს მისი საწილო კოპიტის სახლის ძელი და კოპიტის ხულის ძელი, ერთი ურემი, ქვის ჩამური და ხუთი მანეთი, შეფასებული ფულათ თერთმეტ თუმნათ (და) დანარჩენ ძმებს გვრჩება – აშენებული სახლი ღირებული ორასი მანეთისა, ნალია თუთხმეტი მანეთისა, კოპიტის ხულა და სახლის ძელი წიფლის ღირებული ორმოცი მანეთისა, საღორე და თობი (sic) (?) ასი მანეთისა, ერთი ურემი თხუთმეტი მანეთისა. ცალი ხარი ღირებული ორმოცი მანეთისა, ერთი ფეჯენდური(sic) (?) ღირებული ხუთი მანეთისა, ორი წისქვილი ღირებული ექვსი მანეთისა.

და ჩვენი სურვილით მივეცით გასათხოვარ ჩვენს დას ირინეს, სახელდობრ ხულა, ღირებული სამოცი მანეთისა, ორი მანეთი ფული, ოცი მანეთი შეფასებული სატევარი მოჭედილი და ამა სატევრიდან ურჩება ნაწილეობას, გარდა იობის ათი მანეთი.

ჩვენს დედას მივეცით ჩვენი სურვილით ძველი სახლი თავის ახორით და ინგოროყვას საზიარო ზროხა, ჩვენს დას ელისაბედს მივეცით ნახევარი ზროხის ფასათ ოზდახუთი მანეთი, ნათრულას (sic) ზიარ ხარებიდგან. რომელმანც ეს ხარი დევისაკუთრეთ, იმან ელისაბედს ოზდახუთი მანეთი უნდა მისცეს. ვზდებთ ამა პირობას ჩვენ, ოთხი ძმაი ესიკა, ივანე, გაბრიელ და იობი ოტიას ძე სალუქვაძე და რომელმაც პირობა ეს ხელწერილი და გაფარდება შევშალოთ და არ ვცნათ კანონიერათ, მაშინ ვალდებული ვართ მტყუანმა პირმა გადავიხადოთ ასი მანეთი მართლის სასარგებლოთ, რას შინა ხელს ვაწერ, მე, ესიკა და ივანე, გაბრიელ და იობი ოტიას ძე სალუქვაძე, რადგან ამა ოთხმა ძმებმა წერა არ იციან, მათი თხოვნით და ხელჩამორთმევით, მათ მაგიერ ხელს ვაწერ მე, ბიძა მათი მაქსიმე სალუქვაძე

მონამე ვარ ამა გაფარდებისა ივანე ნიკოლოზის ძე ტუყუ-

---

[1] ტუღუშის

ში, ივანე ოთარის ძე სალუქვაძე, ივანე გიორგის ძე ტუყუში და მაქსიმე გაბრიელის ძე სალუქვაძე

10. 1889 წ., პირობის ხელწერილი, ხელწერილი სიმონ და დარისპან ჩხიკვაძეებს შორის მიწის გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №5181/10, დედანი, ზომა 22X35, ნაცრისფერი ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.

პირობის ხელწერილი

1889 [ბ] წელსა, აპრილის ცხრამეტსა გაძლევ ამა ხელწერილს მე, მცხოვრები ერკეთის საზოგადოების სოფელ ბუკისციხისა, სიმონ დავითის ძე ჩხიკვაძე შვილს ჩემსას, დარისპან ჩხიკვაძეს, რომელიც გადამეცვალა შვილი ჩემი, იაგორე იმისი ნაწილიდგან, გაძლევ ანგარიშში ორ ნაკვეთ მიწას, პირველი ნაკვეთი, პირქცეულა, იგივე ბარნალისთავი სამძღვრებთა შორის: აღმოსავლეთით გიორგი და ალექსი გურგენიძენი და სიმონ ჩხიკვაძე, დასავლეთით ღელე და მაქსიმენ გურგენიძე, სამხრეთით მაქსიმენ გურგენიძე და დიანოს სიმონია, ჩთილოეთით სიმონ ჩხიკვაძე, ამ საძღვრებში ორი ქცევა, მაგალითებრ, ორი ქცევა ან მეტი ან ნაკლები. ამ სამძღვრებში მომიცემია ორი ქცევის მერვედი. მევორე ნაკვეთი, იგიც ბარნალისთავი, სამძღვრებთა შორის: აღმოსავლეთით მაქსიმენ გურგენიძე და ნესტორ გურგენიძე და ნოლი, დასავლეთით ლუკა ჩხიკვაძე, ჩთილევეთით (sic) მაქსიმე გურგენიძე, ამ სამძღვრებში, მაგალითებრ, ერთი ქცევა ან მეტი ან ნაკლები. ამ მევორე ნაკვეთიდგან მომიცემია იაგორეს ნაწილი მერვედი. ეს მეორე ნაკვეთი ადგილი მომიცემია იაგორეს ნაწილი მერვედი მე, სიმონ ჩხიკვაძეს დარისპან ჩხიკვაძისათვის. ეს ორი ნაკვეთის მიწა ღირს თუთხმეტი მანეთი. არ გედავო მე, არც ჩემმა შვილმა და მომავალმა

და უკეთუ გედავოს ან ჩემმა შვილმა და შვილიშვილმა, უკეთუ გედავოს, იმ მოდავემ ვოცდაათი მანეთი გარდაგიხადოს, ეს თუთხმეტი უკან დაგიბრუნოს თავის პროცენტით, სულ შეადგენს ორმოცდახუთ მანეთს. არც მოითხოვოს მიწის ნაკვეთი...[1]

ამ ხელწერილს ხელს ვაწერ მე, სიმონ ჩხიკვაძე, რადგან სიმონმა წერა არ იცის, მისი თხოვნით, მისი ხელის მოცემით ხელს ვაწერ კოწია დიანოსეს ძე სიმონია, ნამდვილ უწერილობის გამო მიანდო ხელის მოწერა "კოწია სიმონიას სიმონ დავითის ძე ჩხიკვაძემ, ვამტკიცებ ერკეთის საზოგადოების სახელმწიფო ბეჭდის დასმით მამასახლისის პირმართალი პირი[2]

დამოწმებულია მურის ორი მრგვალი ბეჭდით, ერთზე წარწერა არ იკითხება, მეორეზე იკითხება: „Еркет. сел. общ. Озур. уъзда".

11. 1890 წ., არდგილის ფარდის პირობა, ხელწერილი ესე და გაბრიელ ლომაძეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ეა, M [2] № 38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №2705.

არდგილის ფარდის პირობა

1890-ს წელსა, მარტის ჩვიდმეტსა დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმან, ჩიბათის საზოგადოებაში მცხოვრებმან ძმებმან, ესე და გაბრიელ სიმონის ძემ ლომაძეებმან, გაფარდვით გავიყავით ჩვენ ჩვენი სამოსახლო თუ სხვა მოხსენიებული არდგილები. ერთ ფარდათ გაბრიელ ლომაძეს შეხთა პირველად თავს სამოსახლო ეზო საზღვრებთა

---

[1] ორი ხაზი დაზიანებულია და არ იკითხება

[2] ხელმონერა გაურკვეველია

შორის, აღმოსავლეთით თავისი არდგილამდი, დასავლეთით სასოფლო შარა, ჩრდილოეთით ნიკო ლომაძის არდგილამდი და სამხრეთით თავისი არდგილამდი. მეორედ ზედა ჭუბუნათის მესამედი არდგილის ნაწილი, რომელიც შეიცავს მთელს საზღვარს. აღმოსავლეთით ჟოჟიკო ჭყონია, დასავლეთით ილარიონ ლომაძე, ჩრდილოეთით ყაფლან ჭყონიას მიწა და სამხრეთით კაკაბა ლომაძის მიწა. მესამედ დიდ შარაის არდგილი, საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით სასოფლო შარა, დასავლეთით შევარდენ ლომაძის არდგილამდი და სამხრეთით შარა შემონახედ მენჯაის (sic) არდგილი საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით შარა, დასავლეთით შევარდენ ლომაძე, ჩრდილოეთით შარა და სამხრეთით ყაფლან ჭყონიას არდგილამდი.

მეხუთედ მწყავის არდგილი საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით მდინარე სკურდისწყალი, დასავლეთით ტყე, ჩრდილოეთით ოქროპილ ზენაიშვილის არდგილამდი და ამის საფარდოთ ესე ლომაძეს შეხვთა პირველად თავის სამოსახლო ეზო ჭალაის არდგილის დადებით შემდეგის საზღვრებითა: ეზო, აღმოსავლეთით სასოფლო შარა, დასავლეთით დიმიტრი ლომაძის არდგილამდი, ჩრდილოეთით შარა და სამხრეთით კონია ჭყონიას არდგილამდი, ხოლო ჭალაის მიწა აღმოსავლეთით ალექსანდრე ლომაძის არდგილამდი, დასავლეთით შაქარა შეწირულის მიწის საზღვრამდი, ჩრდილოეთით მაქსიმელ ლომაძის არდგილამდი და სამხრეთით პანა ჭყონიას არდგილამდი. მესამედ ფატარის არდგილი საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით კლემენტოს ჭყონიას არდგილი, დასავლეთით პანა ჭყონიას არდგილის საზღვრამდი, ჩრდილოეთით ივლიანე ჭყონიას საზღვრამდი და სამხრეთით ნიკოლოზ ლომაძის მიწის საზღვრამდი. მეოთხედ ქვედა ჭუბუნათის არდგილი საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით კაკაბა ლომაძის არდგილი, დასავლეთით კოსტანდილე (sic) ლომაძის მიწის საზღვრამდი, ჩრდილოეთით ლაზარე ლომაძის არდგილამდი და სამხრეთით კონია ჭყონიას არდგილამდი, რომელ ამ მოხსენებული მიწების გაფარდვაზედ ვართ სრუ-

ლი თანახმა და ვიკვრით შემდეგის პირობითა, რომელ თუმცა ამა სამოსახლოებისა და სხვა ნაკვეთი მიწების ფარდის პირობას რომელიმე ჩვენგანი მხარე არ დავიცავთ და შევშალოთ, მაშინ შემშლელი პირი ვალდებული ვართ მართალ მხარეს შტრაფათ მიუზღოთ ხუთი თუმანი და ფარდის პირობა ესე მაინც თავის ძალაში დარჩება შეყვანილი, მას შინა ხელს ვაწერთ ესე და გაბრიელ ლომაძენი, რადგან მათ წერა არ იციან, მათის თხოვნით, მათ მაგიერ ხელს ვაწერ მაქსიმელ სურგულაძე.

რომელ ამა ფარდის გაყოფილების წერილზედ უცოდინარობისა გამო ესე და გაბრიელ ლომაძენის თხოვნით, მათ მაგიერ ხელმოწერილია მაქსიმელ სურგულაძე, მას შინა ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა ვამოწმებ 18 მარტს, 1890 წელსა

ჩიბათის საზოგადოების მამასახლისი ბუჭუ პატარაია[1]

დამოწმებულია მურის ორი მრგვალი ბეჭდით

12. 1892 წ., ფარდის ფურცელი, ხელწერილი გიორგი, გლახუნ, კაცია და ქრისტეფორე რამიშვილებსა და ალმასხან რამიშვილს შორის მიწის გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ № 1848, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.

ფარდის ფურცელი

1892 წელსა, სეკტემბრის 8 დღესა

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი, მცხოვრებნი სურე-

[1] არშიაზე არის მინაწერი: ფარდის პირობა ესე იწერება ორ ეკზემპლარად, ერთი ექმნება გაბრიელს და მეორე იესე ლომაძეებს

ბის საზოგადობაშიდ და ოზურგეთის ვეზდის, ყმები გიორგი, გლახუნ, კაცია და ალმასხან გიორგის ძე და ქრისტეფორე ენუქის ძე რამიშვილები, ამა ფარდის ხელწერილი დავსდევით თითოეულის ჩვენგანისათვის, რომელიც დანარჩენი გაუყოფელი ადგილები იყო გავყავით და მეოთხე ძმას, ალმასხან გიორგის ძე რამიშვილს დავსდევით ფარდათ: 1) სახელდობრ ნაჯებირალის გადაღმა საჭერი, მაგალითად, ერთი ქცევა, ქცევის მეექვსედი, აღმოსავლეთით სამძღვარი გორი, დასავლეთით ღელე, სამხრეთით კაციას საძღვრამდი და ჩრდილოეთით გიორგის საძღვრამდი, 2. მეორე, სახელდობრ ნაკორძათევის საჭერი, მაგალითებრ, ერთი ქცევა, აღმოსავლეთით სამძღვარი გიორგი და ბესარიონის საძღვრითა, დასავლეთით ღელე, სამხრეთით...[1] რამიშვილის საძღვარი და დასავლეთით არჯევან რამიშვილის საძღვარი, 3. მესამე, სახელდობრ საცივთან საჭერი, მაგალითებრ, ნახევარი ქცევა, აღმოსავლეთით საძღვარი ნოლი, დასავლეთით ალექსანდრე რამიშვილის სამძღვრამდი, ჩრთილოეთით ხუტუ რამიშვილის სამძღვრამდი, 4. მეოთხე, სახელდობრ გადაღმა...[2] საჭერი, მაგალითებრ, ერთი ქცევა და ნახევარი, აღმოსავლეთით საძღვარი გორი, დასავლეთით ღელე საძღვრით ნოლი და კაცია და გიორგის საძღვრით და ჩრთილოვეთით ნოლი.

5. მეხუთე, სახელდობრ მამაჩვენის კაციას ნაყანევი გადაღმა, მაგალითებრ, ერთი ქცევა და ნახევარი, აღმოსავლეთით საძღვარი გორი, დასავლეთით ღელე საძღვრით ნოლი და ჩრთილოვეთით გოგია და კაციას საძღვარი და ნოლი.

ესე ფარდის ხელწერილი დავიცავით სრულად...[3], რასა შინა ხელს ვაწერთ გიორგი, გლახუნ რამიშვილები

რადგან მან წერა არ იცის, მათის თხოვნით, მათ მაგიერ ხელს ვაწერ ფარნაოზ რამიშვილი

კაცია და ალმასხან რამიშვილები და რადგან მათ წერა არ

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება
[2] ერთი სიტყვა არ იკითხება
[3] ორი სიტყვა არ იკითხება

იციან, მათი თხოვნით, მათ მაგიერ ხელს ვაწერ გერასიმე რამიშვილი

ხელს ვაწერ ქრისტეფორე რამიშვილი

13. 1893 წ., ეზოისა და რაოდენიმე სხვა ადგილის გაფარდებითი პირობის ხელით წერილი, ხელწერილი ლადიმე და ბესარიონ გოგვაძეებს შორის მიწის გაყოფის შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 1, საქ. №1, საინვ. №1254/691, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X35,5, მოყვითალო ფერის უხაზო ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, ოდნავ დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორწერტილი.

ეზოისა და რაოდენიმე სხვა ადგილის გაფარდებითი პირობის ხელით წერილი

1893 [სა] წელსა, მაისის 8 დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნმა, ლანჩხუთის საზოგადოებაშიდ მცხოვრებმა, მკვიდრნმა ძმებმა, ლადიმე და ბესარიონ გიორგის ძე გოგვაძენმა, ჩვენის სურვილით, თანხმობით და მოლაპარაკებით საუმჯობესოდ ვპოვეთ ეზოის და კიდევ ერთის ნაკვეთი მიწისა თანადასწრებით სამსონ ჩხაიძის და იაგორ გვარჯალაძისა და გავიყავით შემდეგის სახით: ეზო ჩვენ ორივე მხარე მიწა გავიყავით შეხედულებით უკეთეს ვარესობისა და ნაშენობისა, თქმული ეზო ისამზღვრების: აღმოს(ავლეთით) ჩვენი ნიკოლაიშვილების და სხვების, დასავლეთ(ით) დავით გოგვაძის და დიანორე ჩხაიძის, სამხრე(თით) ჩვენივე და ნიკოლაიშვილების და ჩრდილოე(თით) დათიკა გოგვაძის და ნიკოლაიშვილების: ეს ეზო გავიყავით დასავლეთიდგან წამავალი აღმოსავლეთისაკენ მიჯვნებით და ხის თარჯით. ჩვენგანს ლადიმეს მოუნია ორ ნაკვეთად, ერთი ნაკვეთი ჩრდილოეთით და მეორე სამხრეთით, ხოლო ამა ორის ნაკვეთების შვაშიდ მოუნია

ჩვენგანს ბესარიონს, რომლის გამიჯვნაზედ თანა დამსწრენი არიან ზემოთქმული პირები, ამასთან ფარდათ ეზოის შესამსებ-ლად კიდევ ბესარიონს უწია ნაკვეთის სამაჩვიას მერვედი, სა-ზიარო ნიკოლაიშვილის და სხვების, ისამზღვრება მრთელისა-ზიაროიანა (sic), აღმოსავლ(ეთით) მაჭუტაძის, დასავლეთ(ით) ნიკოლაიშვილის და გვარჯალაძის, სამხრეთ(ით) მაჭუტაძის მი-ნებით. ამასთან და დავძინებთ, რომა, რომელიც ამ პირობით ეზო გავიყავით შესაფერს ადგილას ერთი მეორეს ვერ მუუშლის ჭიშკრით საურმე გზას, რომელიც მხარე ამ პირობას სისწორით ვერ დავიცავთ, მტყუანი მართალი მხარის სასარგებლოდ გარ-დავიხთით შტრაფად ცხრა თუმანს ზედ მომხთარ ხარჯს და ზა-რალს და პირობა გაყოფისა და გზის გაშვებისა დარჩეს თავის ძალაშიდ. ამისთანა პირობა დავწერეთ ორი, ერთი გვაქვს ლა-დიმეს და მეორე ბესარიონს. აზრი ამისი გვესმის და მას შინა ხელს ვაწერთ ლადიმე და ბესარიონ გოგვაძენი, ხელის მოწერა მომანდვეს მასიკო ორაგველიძეს – ხელმოწერილია

ხელის მოწერას ვამოწმებ ლანჩხუთის ს(ოფლის) მამასახ-ლისის კანდიდატი აფხაძე

დამოწმებულია მურის ორი მრგვალი ბეჭდით, რომლებ-ზედაც წარწერები არ იკითხება.

14. 1893 წ., უსათაურო, ხელწერილი მიხეილ და გიორგი იმნაძეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდე-ბი, ინვ. №2694.

1893-სა წელსა, აგუსტოის 12 დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, მცხოვრები ლან-ჩხუთის საზოგადოებისა, ერთის მხრით, მიხაილ საყვარელის ძე

იმნაძე და, მეორეს მხრით, გიორგი საყვარელის ძე იმნაძე, ჩვენ, ორივე ძმები, ვიყოფით დღეს და უსდებთ (sic) ფარდის ხელწერილს ხსენებულს ამას ზაფუთათ.

ჩვენ გავიყავით დღეს ჩვენივე ეზო შვათა, რომელშიდაც ჩვენ უსახლებვართ და ჩვენი ფარგალი შემოუწერს 1) პირველი მხარე, მიხაილ იმნაძეს ერგო, დასავლეთის მხარე ეზოის მინა და აგრეთვე ხე და ვენახი, რომლის მეორე მხარეს გიორგის შვაგანყოფილების ქვებია დღეს ჩაყრილი, სვანიძის საძღვრიდგან შარამდინ სამს ადგილს უნდა გასწორდეს ორჭავლოვას გამუშით (sic) (?) ქვიდან ქვაზედ და დასაულეთის მხარე რაიცა უფლება უქონდა ორივე ძმებს დღემდი. დღეის რიცხვიდგან ერგო საკუთრათ ჩვენგანს, მიხაილ იმნაძეს შეუხებლათ და უნაწილოთ მისი ძმის გიორგისა.

2) რომელიცა ამავე მხარე ეზოში მდგარი **ოდა** თავის აწყობილებით

3) **სამზადი სახლი** მუხის ხის და ფიცრისა თავის აწყობილებით

4) პატარა სახლი ქვის ჩამურით და მისი მოწყობილებით

5) თვით ამავე ფარდის ეზოში დგმული **სასიმინდე ყაურით**[1] **დახურული**

6) გასაშლელი სტოლი

7) ამავე ოდას ქვეშ აწყვია რამდენიმე ასეული ფიცრები და საძირკვლები

8) საქონლისაგან **ცალი ხარი ლომა**, რომელსაც უნცროს სახელათ ვეტყვით

ეს აღსაძრული ეზო, მიწა და აგრეთვე სახლ-კარი, როგორც ზემოთ სწერია, ერგო საკუთრათ პირველ მხარეს – მიხაილ იმნაძეს შეუხებლად მისი ძმის გიორგისა, ხოლო მეორე მხარე – გიორგი იმნაძეს ერგო სამაგიეროთ ზემორე აღწერილის ეზოის, მიწის და ნადგამობის და სხვა ქონებისა:

---

[1] ყავრით

1) აღმოსავლეთის მხარე ეზოისა, მიწა, რომელიც მოხსენებული არის შვაგამყოფის მიჯნები სვანიძის საძულრიდგან, შარამდინ სამს ადგილას ქვებია ჩაყრილი. ამ ქვებიდან სისტორით დეინყებს აღმოსავლეთით და სამხრეთით და ღასავლეთით, რაცა უფლება ქონდენ ორივე ძმებს დღემდინ. დღიდგან ეკუთვნის გიორგის საკუთრათ, როგორც მიწა, აგრეთვე ხე და ვენახი შეუხებლათ მეორე ძმის მიხაილ იმნაძისა

2) **ოდა**, რომელიც დგანა ამ ნაჭერ ეზოში თავის წყობილობით

3) **ხულა**

4) **პატარა საღორე**

5) მუხიანის **ყანის სასიმინდე** ყაურით დახურული

6) საყოლისაგან **ცალი ხარი უფროსი ჯოტია** და ერთი დედა-შვილი ზროხის ნახევარი ნაწილი და ნახევარი ნაწილი ეკუთვნის რახიელ ჯორბენაძის ასულს, დღეს დედა-შვილი ზროხები მაკე არიან.

ეს ზემოაღწერილი ეზო და სახლ-კარი და საქონელი როგორც სწერია იმ წესით ერგო მეორე მხარე გიორგი იმნაძეს საკუთრათ, სამაგიეროთ პირველი მხარის მიხეილ იმნაძისაგან. ჩვენ ორივე ძმები ვალდებული ვართ მივიღოთ თავის თაუზედ საკუთარი მფლობელობა და კუთვნილება ზემორე ნაჩვენები ქონებისა შეუცილებლათ ერთი მეორისა. ჩვენ, ორივე ძმებს გურჩება გაუყოფლათ:

1) **ხის დუქანი** ლანჩხუთის ქალაქში, თავის მიწით ნახევარი

2) **წყლის წისქვილი** ზოსიმელ იმნაძის გამონაყიდი ეკლესიის ქვემოდგან

3) **ურემი, ძველი სახნისი და კავი, ჭურები** და ნუში და სხვა ოჯახის ალაფი. ამ ქონებისაგან მივიღებთ ძმები, უკეთუ ვისურვებთ გაყოფას, თითო ნახევარ ნაწილს უმეტნაკლებოთ.

საჭირო არის უსთქვათ, ჩვენ გვყავს სარჩენი მოხუცებული დედა და მონაზონი დაი. აგინს განუწესეთ ძმებმა ჩვენის

თანხმობით შემდეგი, ვალათ დავიდევით ორივე ძმებმა დედაჩვენი რომელთანაც შვილთან ისურვებს მოსულას და ცხოურებას, იმა შვილმა ჩვენგანმა მეორეის შეუწუხებლათ ვარჩინოთ ყველანაირი მოულით, გარდა ტან-ფეხისა და ქვეშაგებლისა, საფასოთ ტან-ფეხის და ქვეშაგებლისა, ამასთანავე ვიდგენთ ვალათ, რომელიც მოხსენიებულია ზემოთ ლანჩხუთის ხის დუქანის შამოსავალი. ჩვენი ნაწილი ისარგებლოს დედამ. დედასა თავათ, ესე იგი, შესამსებად ვალათ ვიდგენთ ხუთ-ხუთი მანეთი ფულათ წლის თაუზედ ვაძლიოთ დედას; შეიძლება დუქნის სარგებლობა შენობის მიზეზით აღარ დარჩა, იმ შემთხოვაში ძმებმა თითომ თითო თუმანი მიუსცეთ დედას წლის თაუზე. ამასთან, რომელიც შენასყიდი მიწა არის, სახელდობრ ხოფერიების თხრილის პირათ, ის მიწა გაუყიდოთ ორივე ძმებმა და დაუდვათ ანუ დაუხარჯოთ მამაჩვენის და დედის საწირავად და არა ჩვენ ვისარგებლოთ. სუთუქვათ[1], შეიძლება დედაჩვენი დავარდა, იმ შემთხოვაში, ორივე ძმებმა ვარჩინოთ, სიკტილის დღესაც ორივემ ვიზრუნოთ და დაუმარხოთ. დას ჩვენსას, ეფიზო მონაზონს ვალათ ვიდგენთ ორივე ძმები ყოველ წლის თაუზე მოთხოუნისთანავე მისისა, ვაძლიოთ ოცდაოთხი ფუთი სიმინდი და ღომი, სამი მანეთი მისაჭმელის ფული და ერთი საჯენი[2] შეშა და ამასთანავე თუ ისურვებს, როცა მოგუთხოუს საკუთარი სანაკი სახლი დაუდგათ ეკლესიაზედ, ამასთანავე ჩვენს შორის ანგარიშები გასწორდა ყოველივე, დღეიდგან შეუდგებით როგორც ყოფილა, გინდ არის ჩვენ ჩვენ სახელობაზედ ჩვენ ჩვენდა.

გიორგის ხთომილ ეზოში რჩება საერთოთ ამოღებული წყალი ჭისა, გაწყობილი ქვის გიმით, ის უნდა ისარგებლოს როგორც გიორგიმ, ისე მიხელმა მუდამ. უკეთუ ისურვებს, გიორგის შეუძლია დაირჩინოს საკუთრათ, ასე რომ იმ წესით, იმ გაწყობილებით ჭაი ამოაღებიოს მიხეილას მისავე ეზოში, რო-

---

[1] ვთქვათ
[2] საჟენი

გორც ეს ჭაია იმისთანა მოწყობით. მიხელმა თუ არ ეთანხმება ამოღებაზედ, იმ შემთხოვაში საფასოთ მისცეს ნაშრომის ექუსი მანეთი გიორგიმ მიხეილას და შემდეგ ჭაი დარჩება საკუთრება გიორგის. დაუსძენთ, რომ რაც შეეხება შვა საძღვარზედ ღობის გაღობას, ვალდებული ვართ ორივე ძმებმა შევეწიოთ ერთმანეთს და მივითვისოთ საღობავათ თითო ნახევარი ყოველ საჭირო დროზედ. ვიკურით ორივე მხარენი გაფარდებითი ესე დევიცოთ ყოველივე საგანზედ და არ შევიქნეთ წინააღმდეგი ამ განყოფილებისა, ანუ ვალდებულებისა, წინააღმდეგ შემთხოვაში ვიდგენთ ვალათ ამ პირობის წინააღმდეგმა პირმა ჩვენგანს, მართალ მხარეს მიუძღოს სამასი მანეთი შტრაფათ და ყოველივე მომხთარი ხარჯი და ზარალი თანახმათ საჩიურისა და სუდებნის ფული კანონიერი...[1], პირობა ესე განვიხილეთ და აზრი მისი ორივეს გვესმის და მას შინა სიმტკიცისათვის ხელს ვაწერ მიხეილ იმნაძე, გიორგი იმნაძე

დავესწარი მღვდელი მარკოზ იმნაძე, მოწამეთ დავესწარი სიო იმნაძე, ხელწერას ამას ვადასტურებ 1893-სა წელსა, აგუსტოის 12-ს რიცხუს, ლანჩხუთის სოფლის ოზურგეთის ვეზდის მამასახლისის თან(ამდებობის) აღმასრულებელი ირაკლი მენაღარიშვილი

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით.

15. 1893 წ., პირობა, ხელწერილი გაბრიელ და ესე პატარაიებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №1024.

პირობა

ათას რვაას ოთხმოცდაცამეტსა წელსა, ქრიშობისთვის ცამეტსა დღესა

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერი, მცხოვრები ოზრუ-
გეთის ვეზდის და ჩიბათის საზოგადოების მცხოვრები გაბრიელ
და ესე ლაზარეს ძენი პატარაიები.

ჩვენ, ძმებმა გაბრიელ და ესემ, მოვილაპარაკეთ ერთმანე-
თის თანხმობით და მოვიყვანეთ ორი კაცი ეზოის გაყოფის თაო-
ბაზედ და მოძრავი სამკაულების თაობაზედ. ოდა და ერთი სამ-
ზადი სახლი და ერთი ნალია, რომელიც ეზოში უდგია, შეხთა
უფროს ძმას გაბრიელს. ერთი თხმელის სახლი და ერთი კოპი-
ტის ხულა და ერთი სასიმინდე ნალია, რომელიც მის ეზოში უდ-
გია, შეხთა უნცროს ძმას ესიკას პატარაიას, რომელიც პირველ-
ში გაუყვიან იმ ანგარისში დარჩა ერთმანეთის თანხმობით. მას
შინა მოხსენებული გზა უნდა გავიყოთ, თაუთავის[1] სამკაულე-
ბის შესაფერად დარჩეს. მას შინა დაუსძენ, ჩვენ გავიყავით ხა-
რი და ურემი, უფროსი პირთეთრი ხარი შეხთა გაბრიელ პატა-
რაიას, უმცროსი ხარი და ურემი შეხთა ესიკა პატარაიას, მას
შინა დაუსძენ – ჩვენ გავიყავით ორი ნაჭარი მიწა, პირველი სეხ-
ნიეს ნასახლევი, მეორე ნაჭერი ჭალაი ნინიას გადმოღმა, სეხნი-
ეს ნასახლევი გაბრიელ პატარაიას, ნინიას გადმოღმა შეხთა ესე
პატარაიას. ექვსი მანათი უნდა გაუთაოს გაბრიელ პატარაიამ
და მაშინ სწორ იქნება, ის ხსენებული სეხნიეს ნასახლევი და ჭა-
ლაი მუნჯაი დარჩა შვა გასაყოფად, საისრე დარჩა შვა გასაყო-
ფათ, საჩეხი სერები დარჩა საზიაროთ.

ჩვენ, ძმებმა გაბრიელ და ესე პატარაიებმა, ერთმანეთის
თანხმოვანებით მოვიყვანეთ ორი კაცი, გაბრიელმა ლომაძე მო-
იყვანა, ესე პატარაიამ სიო ჯორბენაძე მოიყვანა, ამ ორის კა-
ცის შეხედულობით შვა გაყოთ თანახმა ვართ ორივე მხარენი,
მას შინა ხელს ვაწერ გაბრიელ და ესე პატარაიები, რადგან მათ
წერა არ იციან, მათ მაგიერ, მათი თხოვნით და ხელის ჩამორთ-
მევით ხელს ვაწერ სამოველ ჯორბენაძე

---

[1] თავიანთი

16. 1896 წ., უსათაურო, ხელნერილი ნიკო ორაგველიძესა და იაგორ, ფარნა და მიხეილ იმნაიშვილებს შორის მიწის გაყოფის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №955.

1896 წელსა, თებერვლის 16 დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერლებმა, ლანჩხუთის საზოგადოებაშიდ, ერთის მხრით, ნიკო მახარბელის ძე ორაგველიძემ და, მეორეის მხრით, იაგორ, ფარნა და მიხეილ ივანეს ძენმა იმნაიშვილებმა, შეთანხმებით და სურვილით მივხედეთ უკეთეს ვარესობას ერთი ნაკვეთი მიწისა, სახელდობრ მურვანეთს, რომელიც შეიცავს სივრცეს, მაგალითებრ, ხუთ ქცევას, რომელიცა ისაზღვრება აღმ(ოსავლეთით) რაოდენიმეზედ ივანე ბზეკალავას და რაოდენიმეზედ ტყეში სამსვლელო გზა, დასავლ(ეთით) ზაალ, თომა და სხვა იმნაიშვილების, სამხ(რეთით) მისი ძმების იმნაიშვილების და ჩრდილოე(თით) ბესარიონ ნიკოს ძე ორაგველიძის მიწებით, ამ მიწაზედ გაყოფა დავაარსეთ შემდეგის წესით:

1) რომ მხარეთაგანს, იაგორ, ფარნას და მიხეილ იმნაიშვილებს, მოუწია სამხრეთის მხარე ამა ადგილისა, ხოლო ჩვენგანს, ნიკო მახარბელის ძე ორაგველიძეს, მოუწია ჩრდილოეთის მხარე ამ ადგილისა, ამ ზომით რომა ჩვენ მხარეს შორის სამძღვარ დაყოლებით, რაც სიგრძე აქვს განი ხუთი საჟენით მეტი აქვს ნახევარზედ, მიწეული მხარეთაგანს ნიკო ორაგველიძეს, სადაც არის მიჯვნის ქვები ჩაგდებული ერთი თავშიდ და მეორე ბოლოშიდ.

2) რომ მხარეთაგანს ნიკოს ლან(ჩხუთის) სუდის განჩინებით მოგებული აქვს ერთი მეთოთხმეტედი ნაწილი მრთელ ზღვარშიდ ხსენებული ადგილისა, მხარეთაგანის იაგორაიდან და ეს განჩინებით მოგებული ნაწილი გაყოფის დროს ზომაშიდ და მიხედულობაშიდ მიღებული აქვს ჩვენგანს ორაგველიძეს.

3) რომ მხარეთაგანი ორაგველიძე ვალდებულია თავისი

ნამოქმედი გადაიტანოს ამ წლის მაისის დამლევამდი და რაც გადაუტანელი დარჩება, შემდეგ საკუთრა დარჩეს მხარეთაგანს იმნაიშვილებს.

4) ნამოქმედის გადასატანად ან გზაზედ ასაჭარ ხეების და სხვა რამეის მოჭრას ვერ მოუშლის მხარეთაგანი იმნაიშვილები.

5) რომ ვიკვრით მხარენი ეს პირობა დავიცვათ სისწორით და ვერ შევშლით, წინააღმდეგ შემთხოვაშიდ, მტყუანი მართალი მხარის სასარგებლოდ გარდავიხთით შტრაფად შვიდ თუმანს, ზემოდ მომხთარ ხარჯს და ზარალს. ამისთანა პირობა დავწერეთ ორი და აქვს თანასწორი ძალა და აზრი, ერთი გვაქვს ორაგველიძეს და მეორე იმნაიშვილებს

აზრი გვესმის და მას შინა ხელს ვაწერთ

ნიკო ორაგველიძე, იაგორ იმნაიშვილი,

ფარნა იმნაიშვილი, მიხეილ იმნაიშვილი.

17. 1896 წ., უსათაურო, ხელწერილი ნიკო და თომა ბასილიებს შორის მინის გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №4864/2, 1 ფურცელი, მეორე გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 22X33, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.

1896 წელსა, აგუსტოს 18 დღესა

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერმან, მცხოვრებმა ჯუარცხმის საზოგადოებაშიდ, ნიკო ბასილიამ და თომა ბასილიამ, ჩვენის თანხმობით და სურვილით, დღეს გავყავით ჩუენი კუთვნილი, მაგალითებრ, სახელდობრ კვანცხოველა, ზომით ნაჭერი...[1] ოთხი ქცევა საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით გოგიბერიძის მიწამდე...[2] ეს პირველი ნაჭერი არდგილი გეკუთვნის

[1] დაზიანებულია და ერთი სიტყვა არ იკითხება
[2] დაზიანებულია ორი ხაზი და არ იკითხება

თქვენ...[1] დღიდგან საუკუნოთ საშვილიშვილოთ სასარგებლოთ, არ გედავო არც მე და არც ჩემმა მომავალმა, თუმც რომელიმე ჩემს მხარეზე დავა განვაცხადო, იმ შემთხვევაშიდ გარდავიხადო თქვენს სასარგებლოთ ორმოცდაათი მანეთი და არ გთხოვო არდგილი და შენს უფლებაში დარჩეს, ხოლო ნასყიდობა ამა არდგილის...[2]

მას შინა ხელს ვაწერთ[3]

დამოწმებულია მურის ორი მრგვალი ბეჭდით, რომლებზედაც წარწერები არ იკითხება

18. 1897 წ., ფარდის ხელის წერილი, ხელნერილი ივანე და ფარნაოზ ჩხიკვაძეებს შორის მიწის გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №5182/3, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X35, ნაცრისფერი ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.

ფარდის ხელის წერილი

1897 წელსა, კვირიკობისთვის 8ᲬᲐ დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, ერკეთის საზოგადოების და სოფ(ელ) ციხეს[4] მცხოვრებნი ძმები, ივანე და ფარნაოზ ლახუნის ძენი ჩხიკაძენი[5], დღევანდელს რიცხვს გავიყავით და გავინაწილეთ ერთმანეთის თანხმობით ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება. **მიწები: ფარნაოზს** ერგო ფარდშიდ **ერთი** ნაკვეთი მიწა **ბარნალის თავი**, ზომით, მაგალითებრ, სამი ქცევა, სამძღვრებით: აღმოსავლეთით ნოლი და დიანოსე ჩხიკვაძე, და-

---

[1] დაზიანებულია და ერთი სიტყვა არ იკითხება
[2] დაზიანებულია და რამდენიმე სიტყვა არ იკითხება
[3] ხელმოწერები გაურკვეველია
[4] ციხეს სოფ. ბუკისციხეს ეძახიან
[5] ჩხიკვაძეები

სავლეთით მაქსიმენ გურგენიძე და სიმონ ჩხიკვაძე, სამხრეთით ნოლი და ივანე გურგენიძე, **მეორე** ნაკვეთი მიწა კიდევ ერგო ფარნაოზს, კიდევ ბარნალის თავი, ზომით, მაგალითად, ერთი ქცევა და ნახევარი, სამძღვრებით: აღმოსავლეთით ნესტორე შარაშიძე და დიანოსე ჩხიკვაძე, დასავლეთით ბესო, ლუკა, დიანოსე და თვითონ ივანე ჩხიკვაძეების სამძღვრამდის, ჩრდილოეთით ქიშვარდი შარაშიძე და ბესო ჩხიკვაძე, სამხრეთით დიანოსე ჩხიკვაძე, **მესამე** ნაკვეთი **პირქცეულა** იგივე **ბარნალის თავი**, ზომით, მაგალითად, **ქცევა-ნახევარი**, საძღვრებით: აღმოსავლეთით დიანოსე ჩხიკვაძე, დასავლეთით ღელე და სიმონ ჩხიკვაძე, ჩრდილოეთით ღელე და დიანოსე ჩხიკვაძე, სამხრეთით სიმონ ჩხიკვაძე. **მეოთხე** ნაკვეთი **ეზო**, ზომით, მაგალითად, **ერთი** ქცევა, საძღვრებით: აღმოსავლეთით სიმონ ჩხიკვაძე, დასავლეთით ნოლი და ამბაკო გურგენიძე, ჩრდილოეთით გზა და ეგნატე ქორიძე, სამხრეთით თითონ ივანე ჩხიკვაძის საძღვრამდე. ესე ზემოთხსენებული **ოთხი** ნაკვეთი მიწა გერგოთ თქვენ, ძმას ჩემსას ფარდშიდ ფარნაოზ ჩხიკვაძეს მე, ივანე ჩხიკვაძიდან და არ გედაოს არასდროს მე, არცა ჩემი შთამომავლობა. თუ გედაო, ვალათ ვიდგენ გარდაგიხადო შტრაფათ თქვენ, ფარნაოზის, სასარგებლოთ სამოცი მანეთი ნაღდი ფული და ეს გაყოფა ძალაში უნდა იყოს.

ძალა ამა ფარდის ხელის წერილისა ვცანი, ყაბული მაქვს და კიდევაც ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ ივანე ჩხიკვაძე, ნამდვილ საკუთარი ხელი მოაწერა ივანე ჩხიკვაძემ ამა ფარდის ხელის წერილზედ, სინამდვილეს მისის ხელის მოწერისას ვეთანხმები ჩემის ხელმოწერითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა მართალი პირი

...[1] სიხარულიძე

ვწერ და მოწმედ დავესწარი[2]

---

[1] სახელი არ იკითხება

[2] ხელმოწერა არ იკითხება

დამონმებულია მურის მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც წარწერა არ იკითხება

19. 1902 წ., უსათაურო, ფარნაოზ მოისწრაფეშვილის ანდერძი შვილებს შორის ოჯახისა და ქონების გაყოფის შესახებ, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №99.

1902 წელსა, მარიობისთვის 30 დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელისმომწერი, ჩოჩხათის საზოგადოების მცხოვრები ფარნაოზ ივანეს ძე მოისწრაფეშვილი, მყოფი სრულს მეხსიერებაში და ჭკუაში, ვხედავ რა მოახლოებულსა გარდაცვალებისა ჩემისასა მოხუცებულობისა გამო ჩემისა, საუმჯობესოთ დავინახე გაყოფა ჩემის ქონებისა ოთხთა ვაჟის შვილებთა შორის, ასაცილებლათ დავისა და საჩივრისა და გავყავი შემდეგის წესით: უფროს ჩემს შვილებს, აქვსენტის და ბართლომეს მოისწრაფეშვილებს მივეცი მათდა საკუთრებათ ვოდა თავის წყობილობით, ხოლო მცირენლოვან ჩემს შვილებს, ბესარიონს და ელისეს, მივეცი ოთხლოჯე სახლი ახორიანი და ხულა. დანარჩენი წვრილმანი მოძრავი ქონება დღეს გაუყოფელია და ოთხივე შვილებს ეკუთვნის, შეუძლიან მათით გაიყონ და ან მათ მოთხოვნილებაზედ მე უნდა გაუნაწილო. უძრავი ქონებისაგან, ესე იგი მიწებისაგან, ეხლანდელი ეზო ჩემი და ზედ მოდებული მიწები დავსტოვე გაუყოფლათ ოთხთა შვილებთა შორის და ეკუთვნიან ოთხივეს თანასწორათ გარდა ეზოისა. მიწები გავყავი და აქვსენტის მივეცი საკუთრებათ ერთი ნაკვეთი მიწა, სახელწოდებით კვანჭუხელი, იგივე ძველი ნასახლევი, მეორე ნაკვეთი ზეგანი ბართლომეს მივეცი საკუთრად, ერთი ნაკვეთი მიწა ნედოური და მეორე ნაკვეთი მიწა ნაჭიშკრევიბ ბესარიონს და ელისეს მივეცი, ერთი ნაკვეთი მიწა ჩიჩქინათი, იგივე ათარ-

მიზ ტულუშის ნასახლევი და ორი ნაკვეთი რაყები და მეოთხე ნაკვეთი ნაბნარაი აქვსენტის და ბართლომეს, კიდევ ზიარათ მუხის ღელე და მუგანაი. შინაური პირუტყვები დღეს რჩება საზიაროთ. ამის გარდა, აქვსენტიმ და ბართლომემ უნდა მისცენ ოდისგან გამოსათავი ბესარიონს და ელისეს ას ორმოცდაათი მანეთი, როცა ბესარიონი შეიქმნება ოცდაერთი წლის და მანამდი ის ფულები უნდა ქონდეს უპროცენტოთ აქვსენტის და ბართლომეს და სასოფლო გადასახადი და მიწის ბაჟი იმ დრომდი, ესე იგი, სანამ ეს ფული, თუთხმეტი თუმანი, მათ ხელში იქნება, აქვსენტიმ და ბართლომემ უნდა იხადონ ფულები, რაც თქვენ ხელში ჩემს შვილებს იგი ფული დავარჩინე ისე, როგორც დღეს თქვენ, დღეის შემდეგ თუ რამე ქონებას შეიძენენ, ვინც რას შეიძენს, იმას დარჩება და ერთმანეთს ვერ გამოედავებიან. ქონების გაყოფა, ესე რჩება სამუდამოთ შეუშლელათ, ამას გარდა ერთი ნაკვეთი მიწა ორონალი აქვსენტის და ბართლომეს დავარჩინე. აზრი და ძალა ამა წერილისა მესმის და მას შინა ხელს ვაწერ ფარნაოზ მოისწრაფეშვილი და რადგან მან წერა არ იცის, მისი თხოვნით, მის მაგიერ ხელს ვაწერ სიმონ ჭანტურია. მონამეთ დავესწარით ბათლომე ტულუში, სამსონ მურვანიძე, რომელ ნამდვილ წერის უცოდინარობისა გამო ფარნაოზ მოისწრაფეშვილისა მისი თხოვნით, მის მაგიერ ხელმოწერილ არს სიმონ ჭანტურია, მას შინა ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა 1902 წელსა, აგვისტოს 30 დღესა.

ჩოჩხათის საზოგადოების მამასახლისი ხუციშვილი[1]

თანახმა ვარ ამისი და მას შინა ხელს ვაწერთ: ბათლომე მოისწრაფეშვილი, აქვსენტი მოისწრაფეშვილი

პირი ესე ნამდვილისაგან სისწორით გადმოწერილ არს და ეძლევის თხოვნისამებრ აქვსენტი მოისწრაფეშვილს, მას შინა ხელის მოწერით და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა ვემოწმები

---

[1] ბეჭდის ადგილი

1904 წელსა, სექტემბრის 30 დღეს.

ჩოჩხათის მართებლობის მამასახლისი[1]

დამოწმებულია მრგვალი ბეჭდით.

20. *1902 წ., პირობითი ხელის წერილი, ხელწერილი გრიგოლ, რაფიელ და არჩილ რამიშვილებსა და ალმასხან რამიშვილს შორის დის-მანიჟას გამზითვების შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №1845, 1 ფურცელი, მეორე გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 22X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.*

პირობითი ხელის წერილი

1902 წელსა, ნოემბრის 18 დღეს.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შვილნი შენი, გრიგოლ და რაფიელ და არჩილ რამიშვილები, გაძლევთ ამა პირობით ხელის წერილს მაზედა, რომ თვითეული ჩვენგანი ვალდებული ვართ და გვადევს ვალად ჩვენის დაის მანიჟას გათხოვება, ესე იგი როგორც შენ, ჩვენი მამა, ალმასხან რამიშვილი, ისურვებ და გააგვზითებ იმაზედ ჩვენ არავითარი მიზეზი არ გვექნება სათქმელად. ვალდებული ვართ, რასაც მოითხოვს საჭიროება გაგვზითებისას, იმ შემთხვევაში ვალდებული ვართ თვითეულმა ჩვენგანმა ჩვენ ჩვენი ნაწილი შეხვედრისაგვარად ყოველის მიზეზის გარეშე ვალდებული ვართ მოგცეთ შენ, ჩვენს მამას – ალმასხან რამიშვილს, ამ ჩვენი დაის – მანიჟას გასამგზითებლად, თუმც რომ რომელიმე ჩვენგანი ამა პირობით ხელის წერილს ვერ შეგისრულებთ, სიტყვითი სიტყვამდე ვერ დაგაკმაყოფილებთ მამაჩვენს, ალმასხან რამიშვილს, იმ შემთხვევაში ვალდებული

[1] ხელმოწერა გაურკვეველია

ვიქნებით ჩვენ, გირგოლ, რაფიელ და არჩილ რამიშვილებმა, ის ჩვენის დის გასაგვზითებელი ჩვენ ჩვენი წილიც გადავიხადოთ და ათ-ათი თუმანი შტრაფიც გადავიხადოთ თვითეულმა ჩვენ-განმა, შენ, მამაჩვენის ალმასხან რამიშვილის სასარგებლოთ, რომელზედაც ხელს ვანერთ ჩვენ, შენი შვილები

გრიგოლ რამიშვილი, რაფიელ რამიშვილი, არჩილ რამიშვილი

21. *1902 წ., უსათაურო, ხელნერილი გიორგი, ალექსანდრე, ამბაკო, იასონ და მელიტონ გორდელაძეებს შორის უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის უფლების შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №608, 1 ფურცელი, მეორე გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 22X33, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკეთილობის ნიშანი მძიმე.*

1902 წელსა, დეკემბრის 8ᲡᲐ დღესა

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერი, მცხოვრები **ერკეთის** საზოგადოებაშიდ, გიორგი, ალექსანდრე, ამბაკო, იასონ და მელიტონ გრიგოლის ძე გორდელაძეები, ვსდებთ ურთიერთშორის შემდეგის **პირობის ხელის წერილს** მას შინა, რომელ ჩვენ, რომელიცა გვაქ განაწილებული მამაჩემის, გრიგოლ გორდელაძისაგან ყველა მამაპაპოული ქონებაები, უძრავი და მოძრავი, ის ქონებაები თუ ჩვენ რომელიმე ძმათა ვისურვებთ გაყიდვას, არა გვაქ ნება მივყიდოთ სხვა პირს ვინმეს, არამედ უნდა მივყიდოთ ჩვენივე ძმას, რომელიც ისურვებს, ორი კაცის შეფასებით, რომელიც არის ეს უძრავ-მოძრავი ქონებაები სოფელს ერკეთშიდ და უკეთუ ესრეთ ზემო მოხსენებული პირობა და ან მოძრავი და ან უძრავი ქონება გავყიდოთ ვინმე სხა პირზედ და ჩვენთაგან მსურველს ძმას არ მივყიდეთ, იმ შემთხვევაში მტყუანი ჩვენგანი მხარე ვალდებულია გარდაუხადოს მართალს ჩვენგანს მხარეს ორასი მანეთი ჯარიმათ და ეს პირობა ისევ ისე დარჩეს,

როგორც მოხსენიებულია ზემო მუხლებშიდ, რასა შინა ჩვენს საკუთარს ხელს ვაწერთ იასონ გორდელაძე, ამბაკო...[1], მელიტონ გორდელაძე

22. 1904 წ., ფარდის ფურცელი, ხელნერილი ალმასხან რამიშვილსა და გრიგოლ, რაფიელ და არჩილ რამიშვილებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნანერი ფონდები, შნ №1846, 2 ფურცელი[2], დედანი, ზომა 22X35, ნაცრისფერი ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორნერტილი, ბრჭყალები.

ფარდის ფურცელი

1904 წლის თებერვლის 17 დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმა, მცხოვრებმა სურების საზოგადოებაში და ოზურგეთის მაზრისა **ალმასხან** გიორგის ძე რამიშვილმა ჩემის სურვილით და ნებაყოფლობით და არა სხვის ძალდატანებით, თანდასწრებით ჩემი შვილების: გირგოლ, რაფიელ და არჩილ ალმასხანის ძე რამიშვილისა, იმათივე თანხმობით დღევანდელს რიცხვს გავყავი ჩემს შვილებს შორის ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონება შემდეგ ნაწილებად: მოძრავი ქონებიდან ვარგე **გრიგოლ რამიშვილს** ერთი წიფლის სახლი, ღირებული ორმოცი მანეთისა, ერთი საწნახელი, ღირებული ოცდათუთხმეტი მანეთისა. უძრავი ქონებიდან ამავე გრიგოლს ერგო სამოსახლო მიწა, სახელდობრ „ნაჯებირალი" შემდეგ საზღვართა შორის: აღმოსავლეთით ამავე ადგილის ნაწილი, რომელიც ერგო რაფიელ რამიშვილს, ესე იგი იმ ადგილის ბოლომდე, დასავლეთით ივლიანე გიორგის ძის საზღვამდი და კა-

---

[1] გვარი არ იკითხება, უნდა იყოს გორდელაძე

[2] ამ საბუთის მეოთხე გვერდზე კიდევ ერთი საბუთია „პირობითი ხელწერილი", №1566, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

ცია გიორგაძის საზღვრამდი, სამხრეთით ღელე, ჩრდილოეთით ლუკა ოქროპირისძე (sic), ივლიანე გიორგისძის (sic) და ფარნაოზ გლახუნის ძე რამიშვილის საზღვრამდი. ამავე სამოსახლო ადგილზე დაუდევი წილად ერთი ნაკვეთი მიწა ეზოის მამულის საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) საცივის თავი რაფიელის საზღვრამდი, დასავ(ლეთით) ხუტუა, იგივე სტეფანე ნიკოლოზის ძის რამიშვილის ადგილამდი, სამხრ(ეთით) იგივე ხუტა რამიშვილის საზღვრამდი და ჩრდილოეთით სასოფლო შარა. დანარჩენ საყანე ადგილიდან და საჭერი ტყიდგან დაუდევი წილად: 1. ნაკვეთი საყანე, სახელდობრ „შემონოური გადაღმა" და იგივე ადგილი გორს გადმოღმა, შემდეგ საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) კაცია გიორგის ძე რამიშვილი, დასავლეთით ფარნაოზ გლახუნის ძე და მისი ძმები და ბესარიონ გიორგის ძე რამიშვილი, სამხ(რეთით) იგივე ფარნაოზ რამიშვილი და კაცია გიორგის ძე რამიშვილი და ჩრდ(ილოეთით) ფარნაოზ გლახუნის ძე რამიშვილი. 2. ნაკვეთი სახნავი, სახელდობრ „ნაჯოგვარა" მზვარი კედრით, საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) ივანე გიორგის ძე და ვარდენ გიორგის ძის ობლების ადგილი რამიშვილების, დასავლ(ეთით) გორი, სამხრ(ეთით) ნოლი, იგივე არჩილის საზღვრამდი. 3. ნაკვეთი, კიდევ „ნაჯოგვარა" ცივის კედარო, საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) გორი, დასავლ(ეთით) ღელე, სამხრეთით რაფიელ რამიშვილის საზღვრამდი და ჩრდ(ილოეთით) ვარდენ გიორგის ძე რამიშვილის ობლების ადგილამდი. 4. ნაკვეთი, „გირგოლას ნაზიარევი", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) მოსე მამუკას ძე რამიშვილი, დასავლ(ეთით) რაფიელ რამიშვილის ადგილამდი, სამხრ(ეთით) ნოლი და ხუტუა-სტეფანე რამიშვილი, ჩრდ(ილოეთით) ლუკა ივანეს ძე რამიშვილი მღვდელი. 5. ნაკვეთი, სახელდობრ „კურკანტლარი" გადაღმა ტყე, ჩემი შესახვედრი ნაწილი. 6. ნაკვეთი გოგიეს ეზოში გზას ქვედა ტყე, შემდეგის საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ივლიანე გიორგის ძე და მისი ძმები რამიშვილები, დასავლ(ეთით) სტეფანე ნიკოს ძე რამიშვილი, სამხრ(ეთით) ბესარიონ გი-

ორგის ძე რამიშვილი და ჩრდ(ილოეთით) ივლიანე გიორგის ძე ძმების რამიშვილების. 7. ნაკვეთი „ეზო" მამული, სახელ(დობრ) „წყალს იქიდამა", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) რაფიელ რამიშვილის ადგილი, დასავლ(ეთით) არჩილ რამიშვილი, სამხრეთით ღელე და ჩრდ(ილოეთით) ივლიანე გიორგის ძე და მისი ძმები რამიშვილები. 8. ნაკვეთი „ფიჩონაყანევი", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ღელე, დასავლ(ეთით) ალექსანდრე ივანეს ძე რამიშვილი, სამხრ(ეთით) ღელის ნიჟური და ჩრდ(ილოეთით)გიორგი ჯანელიძე.

მეორე საშუალო შვილს, **რაფიელ ალმასხანის ძე რამიშვილს**, დაუდევი წილად მოძრავი ქონებიდან: ერთი ფიტა სახლი, ღირებული ოთხმოცი მანეთისა და ერთი საწნახელი, ღირებული ორმოცი მანეთისა. უძრავი ქონებიდან: სამოსახლო მიწა, მდებარე ეზო, საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) სახმარი წყლის, ხოლო დასავლ(ეთით) საცივის თავი, გირგოლ რამიშვილის საზღვრამდი, სამხრ(ეთით) ლუკა რამიშვილის საზღვრამდი და ღელე, ჩრდ(ილოეთით) არჩილ რამიშვილის საზღვრამდე, ამაზედ დავადევი ერთი ნაკვეთი მიწა, სახელდობრ „ნაჯებირალი", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) გიორგის ძე და მისი ძმები რამიშვილები, დასავლეთით ნოლი, გირგოლ რამიშვილის საზღვრამდე, სამხრ(ეთით) ნოლი იგივე, ჩრდ(ილოეთით) ლუკა ოქროპირის ძე რამიშვილი და სიმონ გაბრიელის ძის ობლები, ესე იგი ზებედე სიმონის ძე. დანარჩენი სახნავი და საჭერი ადგილებიდან ვარგე: 1. ნაკვეთი „ზედა ესესქედი", საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) დიონორე სიმონია, დასავლ(ეთით) ღელე, სამხრ(ეთით) ივლიანე გიორგის ძე და მისი ძმები, რამიშვილების ადგილი და ჩრდ(ილოეთით) ღელე. 2. ნაკვეთი სახელათ „წაბლარა", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ღელე, დასავლ(ეთით) გორი, სამხრ(ეთით) არჩილ რამიშვილის საზღვრამდი, ჩრდ(ილოეთით) გლახუნ ბეჟუკის ძე რამიშვილის ადგილი. 3. ნაკვეთი სახელად „გიორგელეს ნაზიარევი", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) გრიგოლ ალმასხანის ძე რამიშვილი, დასავ-

ლ(ეთით) ღელე, სამხრ(ეთით) სტეფანე ნიკოლოზის ძე რამიშვილი და ნოლი, ჩრდ(ილოეთით) მღვდელი ლუკა ივანეს ძე რამიშვილი და ნოლი. 4. ნაკვეთი სახელად „გადმოღმა კურკანტლარი" ჩემი შესახვედრი ნაწილი მთლად. 5. ნაკვეთი გოგიას ეზო გზასზედა საჭერი, საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) და სამხრეთით ივლიანე და მისი ძმები გიორგის ძე რამიშვილები, დასავლეთით სტეფანე ნიკოლოზის ძე რამიშვილი და ჩრდ(ილოეთით) ბესარიონ გიორგის ძე რამიშვილი, 6. ნაკვეთი სახელდობრ „წყალს იქიდამა", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ღელე, დასავლ(ეთით) გირგოლ რამიშვილის ადგილი, სამხრ(ეთით) ღელე და ჩრდ(ილოეთით) ივლიანე და მისი ძმები გიორგის ძე რამიშვილები და 7. ნაკვეთი ზვარის კედარო, სახელად „ნაჯოგვარა", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) არჩილ რამიშვილის ადგილი, დასავლ(ეთით) ხუტუ – იგივე სტეფანე ნიკოლოზის ძე რამიშვილი და გორი და ჩრდ(ილოეთით) გორი და სამხრ(ეთით) ღელე. 8. ნაკვეთი, იგივე „ნაჯოგვარი", ცივის კედარო გადაღმა, საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) გორი, დასავლ(ეთით) ღელე, სამხრეთით არჩილ რამიშვილი და ჩრდ(ილოეთით) გრიგოლ ალმასხანის ძე რამიშვილი.

მესამე ჩემს შვილს – **არჩილ რამიშვილს** – ვარგე მოძრავი ქონებიდან: ერთი ოდა სახლი, ღირებული ორას ორმოცდაათი მანეთის (250 მ.), ერთი პატარა საწნახელი, ღირებული ხუთი მანეთის (5 მ.). უძრავი ქონებიდან: სამოსახლო ეზოის მიწა საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) სახმარი წყალი, დასავლ(ეთით) სასოფლო შარა და სტეფანე ნიკოლოზის ძე რამიშვილის ადგილი, სამხრ(ეთით) შარა და რაფიელ რამიშვილის ადგილი და ჩრდ(ილოეთით) ბესარიონ რამიშვილის საზღვრამდი. ამაზედ არის დადებული ერთი ნაკვეთი = მიწა სახელათ „ესესქედის ბოლო", იგივე ნაწისქვილარი, საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ღელე, დასავლ(ეთით) ივლიანე გლახუნას ძე რამიშვილის ადგილი, სამხრ(ეთით) გიორგის ობლები ივლიანე და მისი ძმები რამიშვილები და ჩრდ(ილოეთით) გლახუნ ბეჟუკის ძე რამიშვილი. და-

ნარჩენი სახნავი და საჭერი ადგილებიდან ერგო: 1. ნაკვეთი, სახელათ „ქვედა ესესქედი", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ივლიანე და მისი ძმები რამიშვილები და ივლიანე გლახუნის ძე, გლახუნ ბეჟუკის ძე და ბესარიონ გიორგის ძე რამიშვილები, დასავლ(ეთით) ბიჭია გიორგის ძე რამიშვილი, სამხრ(ეთით) ღელე და ჩრდ(ილოეთით) ბესარიონ გიორგის ძე რამიშვილი. 2. ნაკვეთი, სახელათ „წაბლარა", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ღელე, დასავლ(ეთით) ივლიანე და მისი ძმები რამიშვილები, სამხრეთით ივანე გიორგის ძე და ვარდენ გიორგის ძე რამიშვილების ობლები რამიშვილები და ჩრდ(ილოეთით) რაფიელ რამიშვილი. 3. ნაკვეთი, სახელად „ვატეს ნაზიარევი" ლაშისგორი, საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) ნოლი და ვატეს საზღვარი, დასავლ(ეთით) ღელე, სამხრ(ეთით) ვატა რამიშვილი, ჩრდ(ილოეთით) ნოლი. 4. ნაკვეთი, სახელად „ნაჯებირალის გადმოღმატყე", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) გორი ივანე ბეჟანის ძე რამიშვილის ადგილამდი, დასავლ(ეთით) ღელე, სამხრ(ეთით) კაცია გიორგაძე და ჩრდ(ილოეთით) ივლიანე გიორგის ძე და მისი ძმები რამიშვილების ადგილი. 5. ნაკვეთი სახელად „ნაჯოგვარა" ზვარის კედარო, საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ნოლის ნაჟური, დასავლ(ეთით) გორი, სამხრ(ეთით) რაფიელ რამიშვილი და ჩრდ(ილოეთით) გირგოლ რამიშვილი. 6. ნაკვეთი, სახელად „ნაჯოგვარი" ცივის კედარო, საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) გორი, დასავლ(ეთით) ღელე, სამხრ(ეთით) ხუტუა – სტეფანე ნიკოლოზის ძე რამიშვილი და ჩრდ(ილოეთით) რაფიელ რამიშვილები. 7. ნაკვეთი, ეზო, სახელათ „წყაროს იქიდამა", საზღვრებით: აღმ(ოსავლეთით) გირგოლ რამიშვილი, დასავლ(ეთით) ისევ არჩილ რამიშვილი და ჩრდ(ილოეთით) ივლიანე და მისი ძმები გიორგის ძე რამიშვილები.

ზემო აღნიშნულის ადგილებს გარდა, ის ადგილები, რომელნიც დღეს აღმოჩენილია დარჩენილი გაუყოფელი და აგრეთვე უკეთუ კიდევ აღმოჩნდეს, ის ადგილები გაიყონ ჩემმა შვილებმა სურვილისამებრ მათისა, რაზედაც სრულს ნებას ვაძ-

ლევ ჩემის მხრით.

ამას დავსძენ ალმასხან გიორგის ძე რამიშვილი, რომ თვითეულ ჩემს შვილს ვაძლევ ყოველივე უფლებას თავ-თავისი, ჩემ მიერ მინიჭებული, ადგილები ისარგებლონ სურვილისამებრ, ნება ეძლევათ ამის შემდეგ გინდ გაჰყიდონ, გინდ გააჩუქონ და ყველანაირად ისარგებლონ, რაზედაც მე სრული თანახმა ვიქნები და ამაზედ თანხმობის ნიშნად ხელს ვაწერ მე, ალმასხან გიორგის ძე რამიშვილი, რადგან მან წერა არ იცის, მის მაგიერ, მისი თხოვნით ხელს ვაწერ მე, მელიტონ ივანეს ძე რამიშვილი.

აგრეთვე ამ გაყოფილობის თანახმად ვართ ჩვენ, ალმასხან რამიშვილის შვილები: გრიგოლ რამიშვილი, რაფიელ რამიშვილი, არჩილ რამიშვილი

რომ ნამდვილად ალმასხან გიორგის ძე რამიშვილმა ხელის მოწერა მიანდო მელიტონ რამიშვილს და აგრეთვე, რომ გირგოლ, რაფიელ და არჩილ რამიშვილებმა თავისი საკუთარი ხელი მოაწერეს, მასზედ ვემოწმები ხელის მოწერითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა სურების მამასახლისი მ. ტრაპაიძე

დამოწმებულია მელნისფერი მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „Сурб. сел. обш".

პირობითი ხელწერილი

1904 წელს, თებერვლის 17-ს დღესა

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, მცხოვრები სურების საზოგადოებას, გირგოლ, რაფიელ და არჩილი ალმასხანის ძე რამიშვილები, ვსდებთ ურთიერთს შორის პირობას, მას შინა, რომ ვალდებული ვართ, როცა ღმერთი ინებებს და მამაჩვენი, ალმასხან გიორგის ძე რამიშვილი, გარდაიცვლება, ყველამ თანასწორად ვიკისროთ ყოველივე გასვენებაზედ მომხდარი ხარჯი და არ შევანარჩუნოდ ერთს. უკეთუ ამას ვერ შევასრულებთ და

არ შევეწევით ერთმანეთს, შემშლელი პირი ვალდებული ვიქნებით გარდავიხადოთ ხუთ-ხუთი თუმანი, მას შინა ხელს ვაწერთ: გრიგოლ ალმასხანის ძე რამიშვილი, რაფიელ რამიშვილი, არჩილ რამიშვილი.

23. 1904 წ., უსათაურო, ხელწერილი პავლე და შალიკო ორმოცაძეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №2, საინვ. №517/234, 1 ფურცელი, დედანი, ზომა 22X36, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.

1904 [სა] წელთსა, ნოემბრის 18 [სა] დღესა

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ნიგოითის საზოგადოების და სოფელ ჭყონაგვარაში მცხოვრები, პავლე ლაზარეს ძე ორმოცაძემ ჩემისა და შვილის ჩემის შორისა ყოველივე ჩემი უძრავ-მოძრავი ქონებები გავანაწილე და შვილს ჩემს, შალიკოს, ვარგე ამ ეზოისგან მეოთხედი ნაწილი, მხოლოდ ყველა ამ ეზოის გარეთ მიწებისაგან მეხუთედი ნაწილი და ამ ეზოისგან მეოთხედი მივაკუთვენ საისრეთ, რომელიც დღეს მდებარეობს აღმოსავლეთით ფოტინე ორმოცაძის მიწით, დასავლეთით საზოგადო შარა, სამხრეთით ჩემი და ჩემი უმცროსი შვილების წილი, სამხრეთით (sic) შარა და 2. მოძრავი ქონებიდან ვარგე მეხუთედი ნაწილი ...[1] შემადგენელი შვიდი თუმანისა. ამ შვიდ თუმანში ხუთ თუმნად უნდა ვიყიდო ჩემის საშვალებით და დახმარებით ფოტინე ორმოცაძის სახლი და დავადგმიო, სადაც მიკუთნებული სამოსახლო აქვს ჩემს შვილს ჩემგან იქ, უკან ახორის პლანის ჩამოხურული 3. ათ მანეთად მივეცი ცალი ხარის ნახევარი, რომელსაც ირჩევს ამ ორ ცალ ხარში, 4. ერთი ქარ-

[1] დაზიანებულია და ერთი სიტყვა არ იკითხება

თული ურემი, 5. პატარა საწნახელი ოთხი საწყავის გამოსავალი, 6. სიმინდის, ღომის, ღვინის მეხუთედი, 7. ღვინის მამულისაგან...[1] ოთხი წლის ვადით ჩემის ძმისშვილის, იაგორ ორმოცაძის, საზიარო ჩემდა შეუხებლათ, 8. რომელიც მე, მამას, მაქვს ორი წილი მიკუთვნებული, მით რომელ შეიძლება მე მომეცეს შვილი და თუ ისეთი წილის მიმღები შვილი არ მეყოლება და ყველა ჩემი შვილები იქნებიან მძიმე ავადმყოფობის დროს ან დარდომილობის დროს მომვლენი[2] მამობრიობის წესით, მაშვინ ჩემი საკუთარი დანარჩენი ქონება ჩემს შემდეგ შეუძლიან ყველა ჩემმა დანარჩენმა შვილებმა გაინაწილონ უმეტეს ნაკლებ, წინააღმდეგ თუ რომელიმე ჩემი შვილი ჩემი მომვლენი არ იქნებიან, იმ შვილს არ ექნება დანარჩენი ჩემი ქონებისაგან არავითარი მონაწილეობა, არამედ ეკუთვნის მომვლენს ჩემსას, მას შინა სურვილისა ჩემის ნებით...[3] უძრავ-მოძრავის ქონებების ხელის წერილზედ ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ პავლე ორმოცაძე

მოწმე ვარ
ვემონმები მარკოზ ფირცხალაიშვილი
მოწმე ვარ – ერმილე ...[4]
მოწმე ვარ – იაგორ ორაგველიძე

24. 1906 წ., დარისპანის ფარდი, ხელნერილი ლეონტი, დარისპან და მარია ჩხიკვაძეებს შორის მინის გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №1582, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 28X33, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანე-

---

[1] დაზიანებულია და რამდენიმე სიტყვა არ იკითხება
[2] მომვლელი
[3] დაზიანებულია და ერთი სიტყვა არ იკითხება
[4] გვარი არ იკითხება

დარისპანის ფარდი

1906ᲬᲚᲘᲡ წელსა, მარტის 18ᲬᲚᲘᲡ დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, ს(ოფელ) ციხეს მცᲮოვრები ლეონტი და დარისპან ჩხიკვაძეები და ძმისული ჩვენი მარია ექვთიმეს ასული, ურთიერთ შორის ვიკვრით ამა ფარდის ხელის წერილით, რაიცა შემდეგი აღნიშნული იქნება, გავიყავით ჩვენი მდებარე მიწები, ხოლოთ დარისპანს ერგო ფარდი შემდეგი ნაკვეთები სამძღვრებთა შორის: ერთი ნაკვეთი, სახელდობრ ატმანა, ზომით, მაგალითებრ, ერთი ქცევა და ნახევარი, საძღვრებით: აღმოსავლეთით ღელე, დასავლეთით ლეონტი, ჩრდილოეთით თითონ დარისპან, სამხრეთით ლეონტი. მეორე ნაკვეთი ატმანა, ზომით, მაგალითად, მესამედი ქცევა, სამძღვრებით: აღმოსავლეთით გურგენიძე და ჭავჭავაძე, დასავლეთით მარია, ჩრდილოეთით გურგენიძე და ჭავჭავაძე, სამხრეთით ეზო. მესამე ნაკვეთი ბარნალის თავი, ზომით, მაგალითად, ქცევის ორი წილი, სამძღვრებში: ერასტო გურგენიძე, დასავლეთით ღელე, ჩირდილოეთით (sic)...[1] დარისპან, სამხრეთით ლეონტი, ეს ნაკვეთი ნახევარი მარიას და ნახევარი დარისპანის არის. მეოთხე ნაკვეთი, ბარნალის თავი, ზომით, მაგალითად, 100 კვ(ადრატული) საჯენი საძღვრებით: ღელე, თვითონ მარია, დასავლეთით ღელე, ჩრდილოეთით ლუკა ჩხიკვაძე, სამხრეთით კალანდაძე. მეხუთე ნაკვეთი, ბარნალის თავი, ზომით, მაგალითად, 300 კ(ვადრატული) საჟენი, საძღვრებით: ღელე, თითონ დარისპანი, დასავლეთით მარია, ჩირდილოეთით ღელე, სამხრეთით კიდევ მარია. მეექვსე ნაკვეთი, ბარნალის თავი, ზომით 600 კ(ვადრატული) საჟენი, საძღვრებში: აღმოსავლეთით ფარნაოზ ჩხიკვაძე, დასავლეთით ღელე, ჩირდილოეთით გურგენიძე, სამ-

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

ხრეთით ლეონტი. მეშვიდე ნაკვეთი...[1] ზომით, მაგალითად, 200 კ(ვადრატული) საჟენი, საძღვრებშიდ: აღმ(ოსავლეთით) ნესტორ შარაშიძე, დასავლეთით ლეონტი, ჩირდილოეთით დიანოს ჩხიკვაძე, სამხრეთით ღელე. ამა ნაკვეთებში ნახევარი მარიას და ნახევარი დარისპანის არის. მერვე ნაკვეთი ბარნალის თავი, ზომით, მაგალითად, 200 კ(ვადრატული) საჟენი, საძღვრებშიდ: ჩირდილოეთით და სამხრეთით გურგენიძეები, ამა ნაკვეთში ნახევარი მარიას და ნახევარი დარისპანის. ჩვენ, ზემოთ ხსენებულმა მონაწილეებიდან მემკვიდრეებმან, ეს მიწები გავიყავით ერთმანეთის თანხმობით და რაიცა ჩვენ ჩვენი ხვედრი აღნიშნული არის, თუ რომელიმე მხარემ დავარღვიეთ, მტყუანმა მხარემ გარდავიხადოთ შტრაფათ ოთხმოცი მანეთი მართლის მხარის სასარგებლოთ, ყოველ მიზეზის გარეშედ და მას შინა ხელს ვაწერთ დარისპან ჩხიკვაძე, ლევანტი ჩხიკვაძე, მარია ჩხიკვაძე, ერასტო გურგენიძე.

25. *1907 წ., უსათაურო, ხელწერილი ელისაბედ და ივანე მშვიდობაძეებს შორის ქვრივის წილის მიღების შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №3, საინვ. №593/271, 1 ფურცელი, დედანი, ზომა 22X35,5, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.*

1907 წელსა, სეკტემბრის 7 დღესა

მე, ქვემორე ამის ხელის მომწერელა, მცხოვრები ნიგოითის საზოგადოებაშიდ, მქვრივა ელისაბედ მშვიდობაძისა, გიორგაძის ასული, გაძლევ შენ, სიმაურს[2] ჩემსას, ივანე გიტოს ძე მშვიდობაძეს, ამა პირობით ხელის წერილს მას შინა, რომ ექვს სეკტემბერს ამა 1907 წლისა, მე შენგან მივიღე ჩემი ქმრის, ლავ-

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება
[2] უნდა იყოს: მამამთილს

რენტი მშვიდობაძის, უძრავ-მოძრავი ქონებაებებისაგან წილ-ხდომილ ჩემდა საქრივო ნაწილშიდ შემდეგი ერთი ნაკვეთი მი-წა, მდებარე ნიგოითის საზოგადოებაშიდ, ადგილობრივ ჯიხეთ-ში, სახელდობრ საცივის თავი, ზომით, მაგალითებრ, სამი ქცე-ვა. მეორე ნაკვეთი მერობა, სახელდობრ, სივრცით, მაგალი-თებრ, სამი ქცევა. მესამე ნაკვეთი, სახელდობრ ბოყვა, სივ-რცით, მაგალითებრ, ქცევა-ნახევარი, მეოთხე ნაკვეთი დობი-რო, ერთი ქცევა ირაკლი ართმელაძის მიწის მხრით, ოთხმოცი მანეთი ფულათ და ერთი ბეღელი თელათ ხის მასალისაგან აშე-ნებული და ისრით დახურული, ღირებული სამოცდაათ მანე-თად და ვარ სრული კმაყოფილი, არ მექნება ნება სხვა რაიმე მოგთხოვო საქვრივო წილად არც შენ, არც შემდეგსა შენსას, არც მე და არც შემდეგმა ჩემმა და ვალდებული ვარ ეს პირობი-თი ხელის წერილი დავიცო ყოველივე სისწორით მეც და ვალად უდგენ შემდეგსა ჩემსაც, რომ დაიცოს სისწორით და გაურკვევ-ლად. უკეთუ არ დავიცავ ამა პირობას და დავას, საჩივარს გან-გიცხადებ მე, ანუ შემდეგი ჩემი შენ, ანუ შემდეგსა შენსას, ვალ-დებული ვიქნები დაუცველობისათვის ამა პირობისა გარდავი-ხადო შემშლელმა და დავის გამცხადემ სასარგებლო შენდა და თუ შენ არ იქვნები, შემდეგსა შენთა სამასი მანეთი და პირობა ესე დარჩეს მაინც თავის ძალაშიდ. მას შინა ჩემის სურვილით და ნებით ხელს ვაწერ ელისაბედ მშვიდობაძისა, გირკელიძის ასული. რადგან მან წერა არ იცის, მისი თხოვნით, მის მაგიერ ხელს ვაწერ მაკარი ароშიძე, მოწმედ დავესწარი იოსებ ароში-ძე

26. 1908 წ., მედიატორული განაჩენი, ხელწერილი გრიგოლ, რაფიელ და არჩილ რამიშვილებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №1840, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, მოყვი-თალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვე-

მედიატორული განაჩენი

1908 ᲬᲬ წელსა, ივლისის „2" რიცხვსა

ჩვენ, მედიატორებმა ივლიანე გიორგაძემ, სიპიტო გლახუნის ძემ და ანდრია ლუკას ძე რამიშვილებმა, მოვისმინეთ რა ყოველი საჩივარი – პასუხი მომხრეების, გრიგოლ, რაფიელ და არჩილ ალმასხანის ძე რამიშვილებისა ა) ჩვენი სინდისით და შეხედულობით გადავწყვიტეთ შემდეგი:

1. მიეცეს არჩილ ალმასხანის ძე რამიშვილს გრიგოლ და რაფიელ ალმასხანის ძე რამიშვილებისაგან ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი მანეთი ფული მამის ნარჩენის 17 მარტიდან 1907 წლისა, ვიდრე 17 მარტამდე მიმდინარე წლის დღიდგან ერთი კვირის ვადაში.
2. მიეცეს არჩილს თავის საკუთარი საშვალებით საძმო საზიარო „ხულის" დახურვის ოთხი მანეთი, გირგოლ და რაფიელისაგან თითოეულიდან, მამისეული უძრავ-მოძრავი ქონებისაგან, სახელდობრ ოდა სახლში შეტანილი ორმოცი მანეთის, ერთი ხული ყველა თავისი კუთვნილებით და საისლის ჯებირისაგან თითო-თითო მესამედი.

ბ) მიესაჯა გრიგოლ ალმასხანის ძე რამიშვილს მამისეული სახლის ორმოცი მანეთის, ხულის თავისი ყველა კუთვნილებით და საისლე ჯებირისგან თითო-თითო მესამედი.

გ) მიესაჯა რაფიელ ალმასხანის ძე რამიშვილს მამისოულის, ხულის ყველა თავისი კუთვნილებით, სახლის ორმოცი მანეთის და საისლის ჯებირისაგან თითო-თითო მესამედი.

დ) მიეცეს ალმასხან გიორგის ძე რამიშვილს **სარჩო** მისი შვილებისაგან, გრიგოლ, რაფიელ და არჩილისაგან, 17 მარტიდან 1908 წლისა: სიმინდი 30 ბათმანი წლიურათ, მისაჭმელის თვეში ორი მანეთი, ღვინო შუმი 30 ბათმანი წლიურათ, ნახევარი ფუთი ნავთი წლიურათ, საპონი წელიწადში ერთი მანეთის,

საცვალი სამი წყვილი წელიწადში, ქვეშაგების გადასაკრავი, სამი მანეთი ერთდროულად, რომელიც უკანასკნელ ერთ თვეში უნდა იქმნეს სისრულეში მოყვანილი. ეს სარჩო მიეცეს ალმასხანს მისი შვილებიდან თანასწორათ თითო მესამედი თითოულიდან, ესე იგი ყოველ ოთხ თვეში თითო მესამედი. ამასთან ყველა მოულოდნელი ხარჯები მამის შესახებ სამივე ძმებმა ზღონ თანასწორათ. მას, ალმასხანს, აქვს სრული უფლება იცხოვროს სადაც ნებავდეს და ეს ზემოაღნიშნული სარჩო მიეცეს მას იქ. რაც შეეხება ...[1] ეს სავალდებულოა, სადაც იქნება ალმასხანი იმისგან უფასოთ, მას შინა ხელს ვაწერთ

მედიატორები 1. სილიბისტრო რამიშვილი
2. ივლიანე რამიშვილი
3. ანდრია რამიშვილი

ზემორე აღნიშნულის განაჩენზე ვართ სრული თანახმა, ყოველივე დავა შესახებ მამაპაპისეული ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონებისა და ყველა ანგარიშები დღეს გასწორდა. დღეის რიცხვიდგან არავითარი დავა, შესახებ დღემდე მომხვედრი ანგარიშებისა, არ შეგვიძლია აღვძრათ არც ერთს ჩვენგანს. საძმოთ და საზიაროთ რჩებიან დღეს მხოლოდ სამი ნაკვეთი მიწა „ნაქართობილარი", გაბრიელის ზიარი და იესეს ქედის თავი – ტყე.

ხელს ვაწერთ 1. რაფიელ რამიშვილი
2. არჩილ რამიშვილი
3. გრიგოლ რამიშვილი

1) რომელიც იყო სახლის ფული 40 მ. იმაში მონაწილეები დაკმაყოფილებული ვართ და მას შინა ხელს ვაწერთ

1. გრიგოლ რამიშვილი
2. რაფიელ რამიშვილი
3[2]

ხულა ფარდათ აიღო გრიგოლმა, ხვედრი ფული 21 р. 33 к.

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება
[2] რიცხვი 3 დასმულია, მაგრამ ხელმოწერილი არ არის

უნდა მისცეს რაფიელს დამლევს მარიამობისთვეს, ხოლო მეორე ხვედრი 27 p. 33 к.-დან ერთი თუმანი სულ მოკლე ვადაში უნდა მიეცეს არჩილს. დანარჩენი 17 p. 33 к. ოთხი თვის შემდეგ დღეის რიცხვიდან, რასა შინა ხელს აწერს გრიგოლ რამიშვილი

ვემოწმები[1]

27. 1909 წ., განჩინება, მედიატორული ხელწერილი პავლე და შალიკო ორმოცაძეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №2, საინვ. №502/219, პირი, ზომა 22X36, თეთრი ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ბრჭყალები.

განჩინება

1909 წელსა, აპრილის 25 დღესა

ჩვენ, მედიატორენმა, აღმორჩეულმან პავლე და შალიკო ორმოცაძენის, დიმიტრი ნიკოლაიშვილმან, გიორგი ივანეს ძე ორმოცაძემ და ობერ მედიატორენმა იოსეფ არაშიძემ მინდობილობისამებრ ჩვენდამი მედიატორული ზაპისისა ძალით, შემდგარის 1909 წელსა, „9" თებერვლის რიცხვიდგან, შემოწმებულის ნიგოითის მამასახლისი გიორგი ჟოჟიკაიშვილის მიერ და მედიატორულ ნაწარმოებ საქმეშიდ პროტოკოლში მოხსენიებული პავლე და შალიკო ორმოცაძენის ხელწერილის ძალით, საქმის გამოკვლევით, მოწმეების შეკითხვით, პავლე და შალიკო ორმოცაძენის ჩვენების და პასუხების მოსმენით, გავყავით მათი უძრავ-მოძრავი ქონებაები, პირუტყვები თუ სხვა ხარაგოულობა[2] მისაჩენათ მათ მათი წილხდომილისამებრ და მიუჩინეთ შალიკოს მისი წილხდომილი კერძოთ მას, პავლეს წილხდომილი

---

[1] ხელმოწერილია გაურკვევლად

[2] ხორაგი, ხორაგეული

კერძოთ მას, მცირეწლოვანს ვარტოფინეს მისი წილი კერძოთ, იპოლიტეს და მასიკოს კი ერთათ მივეცით მათი წილხდომილი და გარდავსწყვიტეთ შემდეგი: ეზო, რომელზედაც დღეს სახლობენ, ზომით არის 1691 საჟენი, შალიკო პავლეს ძე ორმოცაძეს მივანიჭეთ ეზოდგან სამხრეთის მხარე, იაგორ ორმოცაძის კედრით ოთხას ცხრამეტი კვადრატი საჟენი, ასე რომ იაგორ ორმოცაძის საზღვრიდგან წამოზომილი ჩირდილოეთისაკენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარენი ცამეტი საჟენის, ორი არშინის და სამი ნიშანის აღებით, სადაც დღეს საზღვრათ ქვებია ჩაყრილი, მერედ მარჯვე ხაზის გასმით დასავლეთიდგან აღმოსავლეთით ჩაყრილი საზღვრების სისწორით და ოდის წინ დადგმული ბჟოლის დასავლეთის მხრიდგან თარჯ დასმით ეკუთვნება შალიკოს. მთელი ეზოის ჩირდილოეთის მხარე მივანიჭეთ მცირეწლოვან ვარტოფინე პავლეს ძე ორმოცაძეს, ზომით ჩრდილეთიდგან სამხრეთისაკენ მარჯვე ხაზის წამოსვლით ოცდაოთხი საჟენი, იქ ისაზღვრება სამხრეთისაკენ, სადაც ეს 24 საჟენი მიაწევს, მარჯვე ხაზის გასმით დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ, სადაც ქვის მიჯნებია ჩაყრილი ადგენს „470"-ათ კვადრატნ საჟენს, ოცდაშვიდი კვადრატნი საჟენი ჩირდილოეთის მხარე ეზოის აქვს, ნაჭერი დანარჩენი რაც არის, ესე იგი რვაას ორი კვადრატი საჟენი მივანიჭეთ იპოლიტე და მასიკო პავლეს ძე ორმოცაძენს. პავლე ორმოცაძეს მივანიჭეთ სიცოცხლეში სასარგებლოთ მათი ნასახლევი ბაღი წერებული № ქვეშე 2, უძრავი ქონებაების სიისგან საკუთრებით მისთვინ სასარგებლოთ, დანარჩენი მიწა მამულებისაგან თითეულის მათგანის სასარგებლოთ მივანიჭეთ მეხუთედ-მეხუთედი ნაწილი შვილებს კი როგორც საკუთრება მათი და მამას, პავლეს, მხოლოდ სიცოცხლეში სასარგებლოთ და პავლეს სიცოცხლის შემდეგ პავლეზედ მიჩენილი საკუთარ სასარგებლოთ ნასახლევი ბაღი და სხვა მინებისაგან პავლეს მეხუთედი ნაწილი ეკუთვნის ოთხივე შვილებს თანასწორათ რომ გაიყონ.

მოძრავი ქონებაები მათი ადგენს ფასონობით (sic) ოთხას

ორმოცდაორ მანეთს და ათ შაურს, საიდგანაც თითეულს შეხვდა მოძრავი ქონებაები ოთხმოცდაექვსი მანეთის და ოთხ აბაზნახევრის და რჩება გამოსაყოფათ რვა მანეთის და ორი აბაზის ქონება. ეს რვა მანეთის და ორი აბაზის ქონება პავლე ორმოცაძეს მივანიჭეთ წილხდომილობის გარეთ ჩვენი სინდისით.

ასე პავლე ორმოცაძეს მივანიჭეთ მოძრავი ქონებისაგან ოთხფეხი ცხოველებისაგან თუ ხორაგოულობისაგან შემდეგი: ერთი ჯარგვალი მოძრავი ქონებაების სიაში წერებული № ქვეშე 5, დაფასებული ათ მანეთათ, ერთი ურემი, მოძრავი ქონებაების სიაში წერებული № ქვეშე 8, დაფასებული ოცდახუთ მანეთათ.

ერთი ჭიშკარი მოძრავი ქონებაების სიაში ნერებული № ქვეშე 7, დაფასებული სამ მანეთათ.

ერთი ფეხისადგილი მოძრავი ქონებაების სიაში წერებული № ქვეშე 9, დაფასებული ათ შაურათ

ერთი კარდალი მოძრავი ქონებაების სიაში წერებული № ქვეშე 8, დაფასებული მანეთ-ნახევრად, ორი ჩახანი, მოძრავი ქონებაების სიაშიდ წერებული № ქვეშე 19, დაფასებული ორ აბაზათ, ერთი ზანდუკი, მოძრავი ქონებაების სიაშიდ წერებული № ქვეშე 20, დაფასებული ოთხი აბაზი

ერთი ხარი, სიაში წერებული ოთხფეხი ცხოველებისა № ქვეშე I, დაფასებული ოცდაათი მანეთი

ერთი გობრედი დედო ღორი და სამი ნაზდები, სიაშიდ წერებული ოთხფეხი ცხოველებისა № ქვეშე 2-3, დაფასებული ცამეტ მანეთად და ათ შაურათ

იპოლიტე და მასიკო პავლეს ძე ორმოცაძენმა უნდა მიცეს ოდის ფასონობისაგან პავლე ორმოცაძეს თერთმეტი მანეთი და ერთი აბაზი

ეს მოძრავი ქონებაები პავლეს მივანიჭეთ როგორც მისი საკუთრება და შეუძლია როგორც სურვილი ექნება ისე ისარგებლოს და მოიხმაროს. პავლეს მივაკუთვნეთ სიცოცხლეში სასარგებლოთ ნახევარი მოსავალი უფროსი ნიგვზის, რომელიც არის შალიკოს წილხდომილ ეზოშიდ

შალიკო პავლეს ძე ორმოცაძეს მოძრავი ქონებაებისაგან მივანიჭეთ მისდა საკუთრებად ერთი მუხის მასალისაგან აგებული სახლი, წერებული მოძრავი ქონებაების სიაში, № ქვეშე 17, დაფასებული ერთ მანეთათ[1]

ერთი სტოლი სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაების № ქვეშე 16, დაფასებული მანეთათ, ხოლო შალიკო ორმოცაძეს ვალათ უდგენთ მისი წილხდომილი სახლი აიღოს და მიწა დაუცალოს იპოლიტე და მასიკო ორმოცაძენს დამდეგ მარიობისთვემდე ამა 1909 წ., მასიკო და იპოლიტე პავლეს ძე ორმოცაძენს მივანიჭეთ მისდა წილხდომილად და მათდა საკუთრებათ შემდეგი ქონებაებებისგან.

ერთი ოდა სახლი, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაებისა № ქვეშე I, დაფასებული ას ოთხმოცდახუთ მანეთათ, ხოლო პავლეს უნდა მისცენ თერთმეტი მანეთი და ერთი აბაზი.

უმცროს შვილს ვარტოფინეს მივანიჭეთ მისდა წილხდომილად და საკუთრებათ მოძრავი ქონებაებისაგან შემდეგი: ერთი ოთხლოჯიანი სახლი, სიაშიდ წერებული № ქვეშე 3, დაფასებური ორმოც მანეთათ, ერთი ბეღელი, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაების № ქვეშე 4, დაფასებული ოცდაშვიდ მანეთათ, ერთი სასიმინდე ნალია უცროსი, წერებული სიაშიდ №6 მოძრავი ქონებაების, დაფასებული რვა მანეთათ და ერთი საწნახელი, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაების №12 დაფასებული სამ მანეთათ.

ერთი უკეთესი ჯაჭვი, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაების № ქვეშე 17, დაფასებული ორი მანეთათ, ერთი უფროსი სტოლი, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაების № ქვეშე 15, დაფასებული ორ მანეთად, ერთი ჩამური, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაების № ქვეშე 4, პირუტყვების სიისგან არის №4, ერთი კრავოტი გადაუკრავი, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაებისგან № ქვეშე 13, დაფასებული შვიდ აბაზათ.

---

[1] ვფიქრობთ, აქ შეცდომაა, სახლის ფასი 1 მანეთი არ უნდა ყოფილიყო

ერთი გამტვენი ოდაშიდ დადგმული ტახტი, სიაშიდ წერებული მოძრავი ქონებაების № 14, დაფასებული მანეთათ, ეს ვარტოფინეს წილი მოძრავ-უძრავ ქონებაებისაგან. როგორც ეს მცირემწლოვანი ჩაბარდეს მოსავლელათ მამას, პავლე ორმოცაძეს. პროტოკოლშიდ მოხსენიებული გასათავ-გამოსათავი გასნორებული არიან, ხოლოდ პავლეს უნდა მისცენ მასიკომ და იპოლიტემ თერთმეტი მანეთი და აბაზი, მას შინა ხელს ვაწერთ მედიატორენი და **ობერ მედიატორე**

იოსიფ არაშიძე

დიმიტრი ნიკოლაიშვილი

გიორგი ორმოცაძე

შენიშვნა: მედიატორული ნაწარმოები ესე შეადგენს ოცდაორ გვერდს ფურცელ ქაღალდისას, მას შინა ვემოწმები ობერ მედიატორე იოსებ არაშიძე

მედიატორენი: დიმიტრი ნიკოლაიშვილი

გიორგი ორმოცაძე

პირი ესე გადმოწერილი არის ნამდვილისაგან სისწორით და ეძლევის პავლე ორმოცაძეს თანახმათ მისი განცხადებისა

სისრულეში მოყვანა ამა მედიატორული განჩინებისა მიენდობა ადგილობრივი სოფლის მამასახლისს, რასა შინა ვემოწმები ხელის მოწერითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა 27 დღესა, 1909 წ.

ნიგოითის სოფლის სუდიები

1. პ. ფირცხალაიშვილი
2. ჯიბლაძე
3. ფირცხალაიშვილი

დამოწმებულია მელნისფერი სამი ბეჭდით, რომლებზედაც წარწერები არ იკითხება.

28. 1910 წ., განჩინება, ხელნერილი დათიკო, ბუჭა და ამბაკო გოგიბერიძეებსა და გიგო კალანდაძეს შორის საზიარო ადგილის გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №1629, 2 ფურცელი, პირი, ზომა 22X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები ნერტილი, მძიმე, ორნერტილი, ტირე, ბრჭყალები.

განჩინება

1910ᲬᲚᲘᲡ ᲬᲔᲚᲡ, ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲝᲪᲓᲐᲪᲮᲠᲐᲡ ᲓᲦᲔᲡ

ამა ნლის იანვრის ოცდაორს რიცხვს წარმოვადგინეთ მედიატორული ზაპისი შემდეგი, ამა წლის იანვრის 16 რიცხვს შემოწმებული ბასილეთის საზოგადოების მამასახლისის მიერ, მცხოვრებმან ბასილეთის ს(ოფლის) საზოგადოებაში, აზნაურმა დათიკო ერანის ძემ, ბუჭა ტარიელის ძემ და აბესალომ ამბაკოს ძე გოგიბერიძეებმა და გიგო მიქელის ძე კალანდაძემ, რომლებსაც თანხმობით ერთი მეორეის ევერჩიეთ მედიატორეთ მათე ჩითანის ძე და მიხეილ ევთიმეს ძე გოგიბერიძენი და ჩვენთან თავმჯდომარეთ აზ(ნაური) სიმონ ბესოს ძე ნანაძე. განვიხილეთ რა მედიატორული ზაპისი იანვრის ოცდახუთ რიცხვს ამა წლისას, რომლითაც ახდენენ მომხრეები ერთიმეორეის გამოყოფას ბათას კუთვნილის საზიარო არდგილისას. შეუდექით რა ჩვენ, მედიატორებმა, საქმის გამორკვევას და დევიბარეთ მომხრეები ჩვენების ჩამოსართმევათ, თუ რაშიდ არსებობს მათი საქმე შესახებ არდგილისა, წაგვიძღვენ არდგილის მდებარეობის განსახილველათ, განვიხილეთ არდგილი. იგი მდებარეობს ბასილეთის საზოგადოებაშიდ სახელწოდებით მიწა საერთო ჭალა, სივრცით შემცველი, მაგალითებრ, ერთი ქცევა – ნახევარი, საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ბერიძის და კუკულავას არდგილი, დასავლეთით გოგიბერიძის და კალანდაძის არდგილი, ჩთილოეთით გოგიბერიძის და რაოდენობა ჩიგოგიძის ადგილი, ხოლო სამხრეთით გოგიბერიძეების არდგილი. ხსენებულ არდგილშიდ მიდის მდინარე გუბაზეული, რომელშიდაც მოთავსე-

ბულია წისქვილის სათავანი და არსებობს, მაგალითებრ, ათი წელიწადია. ეს ხსენებული არდგილი მოწილეების თანდასწრებით გავყავით სამ ნაწილათ: ერთი წილი ეკუთვნის მათგანს ბუჭა ტარიელის ძე გოგიბერიძეს და გიგო მიქელის ძეს კალანდაძეს, მცირე ნაწილი ეკუთვნის აზნაურ დათიკო ერანის ძეს გოგიბერიძეს და მესამე ნაწილი ეკუთვნის ამბაკოს ძეს გოგიბერიძეს, ხოლოთ ოდესღაც ბუჭა გოგიბერიძე და გიგო კალანდაძე არდგილის მესამედი დანაშთი ორი წილი არდგილი გეიყოს შემდეგ სამ ნაწილათ – ერთი წილი ეკუთვნის გიგო მიქაის ძე კალანდაძეს, რომელიც შეუსყიდია აზ(ნაურ) არტენ ალმასხანის ძის გოგიბერიძისაგან, მეორე წილი ეკუთვნის აბესალომ ამბაკოს ძე გოგიბერიძეს და მესამე წილი ეკუთვნის აზ(ნაურ) დათიკო ერანის ძეს გოგიბერიძეს და კიდევაც გავყავით და დავსაზღვრეთ სამ ნაწილათ. შემდეგ გაყოფისა მიუშვით მოწილეები თავიანთი წილის ფარდის ასაღებათ და ეიღო პირველი ფარდი აზ(ნაურ) ბუჭა ტარიელის ძე გოგიბერიძემ და გიგო მიქელის ძე კალანდაძემ, ზომით, მაგალითებრ, 450 კვად(რატული) საჟენი, საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ჩიგოგიძის არდგილი, დასავლეთით გოგიბერიძის და კალანდაძის არდგილი, ჩთილოეთით დათიკო გოგიბერიძის და რაოდენობა ჩიგოგიძის არდგილი, ხოლო სამხრეთით გიგო კალანდაძის არდგილი, რომელიც შეუსყიდია არტენ გოგიბერიძისაგან. ამ ერთ წილ არდგილშიდ მოთავსებულია წისქვილის სათავანი და აღთქმული აქვს ბუჭა გოგიბერიძეზედ დათიკო ერანის ძე გოგიბერიძეს, უკეთუმც მოსთხოვოს ბუჭა გოგიბერიძემ ნაცვლათ მისი შემხვედრის წყლის, რომელიც უწევს სათავანშიდ, დააკმაყოფილოს დათიკომ სამაგიერო მიწით საერთო ჭალიდან. შემდეგ ორი წილი, ზომით, მაგალითებრ, ერთი ქცევა, გავყავით სამ ნაწილათ, რომლისაგან თითოეულს უწევს წყლიან-ხმელეთიანათ სამასი კვადრატნი საჟენი და მივანიჭეთ ერთი წილი გიგო მიქელის ძეს კალანდაძეს, ზომით, მაგალითებრ, სამასი კვადრატნი საჟენი, საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ჩიგოგიძის არდგილი, და-

სავლეთით კალანდაძის და გოგიბერიძის არდგილით, ჩთილოეთით კალანდაძის და გოგიბერიძის არდგილით, ხოლო სამხრეთით დათიკო გოგიბერიძის არდგილით და ნება აქვს ისარგებლოს თავისი წილხთომილი არდგილი წყლიან-ხმელეთიანა, მივანიჭეთ დათიკო ერანის ძე გოგიბერიძეს – ისაზღვრების: აღმოსავლეთით ჩიგოგიძის არდგილით, დასავლეთით გოგიბერიძის და კალანდაძის არდგილით, ჩთილოეთით კალანდაძის არდგილით, ხოლო სამხრეთით გოგიბერიძის არდგილით, რომელსაც აქვს უფლება წილხთომილი ადგილი მისი ისარგებლოს წყლიან-ხმელეთიანათ. მესამე ნაწილი მიწა და წყალი, ზომით, მაგალითებრ, სამასი კვადრატნი საჟენი მივანიჭეთ აზ(ნაურ) აბესალომ ამბაკოს ძე გოგიბერიძეს და ისაზღვრების აღმოსავლეთით ბერიძის და კუკულავას არდგილით, დასავლეთით კალანდაძის და გოგიბერიძის არდგილით, ჩთილოეთით დათიკო გოგიბერიძის ადგილით, ხოლო სამხრეთით ვანო და სიო გოგიბერიძის არდგილი, ხოლო მისდამი მინიჭებულის ადგილშიც ნება აქვს ისარგებლოს წყლიან-ხმელეთიანა კუთვნილობისამებრ. მათდამი მინიჭებულს და წილხთომილ ადგილშიდ თვითეულის მეპატრონის მიდის მდინარე გუბაზეული, რომელიც ჩვენის შეხედულებით გავყავით არდგილი სიგრძით და რაც შეეხება მათის ჩვენებით დამოწმებულ, რომელიც მოყვანილია პროტოკოლშიდ, ნება კი არ აქვს მონაწილეებს წისქვილის სათაური[1] დაკეტონ და ...[2]. ჩვენ, მედიატორეებმა, თანხმობით თავმჯდომარის, ხსენებული არდგილი გავყავით და დავსაზღვრეთ ჯეროვნათ, რაზედაც ჩვენის მიხედულობით არავითარი სიყალბე არ სჩანს გაყოფაშიდ და მონაწილეებიც თანახმა არიან და განჩინებაზედაც ხელს აწერენ – დათიკო ერანის ძე გოგიბერიძე, ბუჭა გოგიბერიძე, აბესალომ ამბაკოს ძე გოგიბერიძე, გიგო კალანდაძე. განჩინება ესე დავარდგინე იანვრის 29-დღეს, 1910

---

[1] სათავე

[2] ერთი სიტყვა არ იკითხება

წელს, რომელსაც წარვუდგენთ ბასილეთის ს(ოფლის) სუდს მოსაყვანათ სისრულეში და მას შინა ხელს ვაწერთ მედიატორე მიხეილ გოგიბერიძე, მათე გოგიბერიძე, თავმჯდომარე სიმონ ნანაძე. განჩინება – 1910 წელსა, იანვრის „30" დღესა, ჩვენ ბასილეთის /სოფლის/ სუდებმა განვიხილეთ მედიატორული განჩინება და ვცანით კანონიერ შემდგარათ და დავადგინეთ: იქნეს დამტკიცებული და მოყვანილი სისრულეშიდ ჯეროვანი წესით – ბასილეთის სოფლის სუდები I – ლომთათიძე II კალანდაძე III მახარაძე – ჩაწერილია – „ეკუთვნის აზ(ნაურ) დათიკო ერანის ძეს გოგიბერიძეს", წაშლილია – „აზ(ნაურ) აბესალომ ამბაკოს ძე გოგიბერიძეს" – ერწმუნეთ

რომელ ნამდვილ პირი ესე ნამდვილისგან სისწორით აღნიშნულ არს, მაზედ შემოწმებულის წესითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმით 1910 წ., მარტის 13 დღესა

ბასილეთის სოფლის სუდიები I ლომთათიძე

II კალანდაძე

III მახარაძე

დამოწმებულია შავი მელნის ორი ბეჭდით, რომლებზედაც წარწერები არ იკითხება

29. 1914 წ., უსათაურო, ხელწერილი ალექსანდრე, კაპიტონ და პავლე გორგილაძეებს შორის საზიარო მიწის გაყოფის შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №2, საინვ. №507/224, I ფურცელი, დედანი, ზომა 22X36, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები ნერტილი, მძიმე.

1914 სა წელსა, მარტის 7 სა დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, ნიგოითის საზოგადოების მცხოვრებნი ალექსანდრე, კაპიტონ და პავლე გორგილაძენი, ვიკვრით ერთმანეთს შორის ამა პირობის ხელით წერილით მაზედ, რომელ ჩვენ, სამთავე მხარენს, გვაქვს ერთი

ნაკვეთი მიწა სოფელ ჩოლობარგში, ეს მიწა სრულის ჩვენის წესით და თანხმობით გავიყავით, ასე რომ მე, პირველმა მხარემ, ალექსანდრე გორგილაძემ, მივიკუთვნე ჩემი ხვედრი მესამედი ნაწილი სამხრეთის კედარო, რომელიც ისამძღვრების აღმოსავლეთით სასოფლო გზით, დასავლეთით ხიტირის მიწით, ჩრდილოეთით ჩვენივე გამონაყოფი კაპიტონ გორგილაძის მიწით და სამიჯნაო. ქვემოთ, სამხრეთით კეჭაყმაძის მიწით და კორღანოები, ამ სამძღვრებში მდებარე მიწა დღიდგანვე ჩემთვის სასარგებლოთ და სამუდამო სამფლობელოთ.

მე, მეორე მხარემ, კაპიტონ გორგილაძემ, მივიკუთვნე ჩემი მესამედი ნაწილი მიწა შვაზედ, რომელიც ისამძღვრება აღმოსავლეთით სასოფლო გზით, დასავლეთით ხიტირის მიწით, ჩრდილოეთით ჩვენივე განაყოფი პავლე გორგილაძის მიწით და სამიჯნაო ქვები, სამხრეთით ალექსანდრე გორგილაძის მიწით და სამიჯნაო ქვები, ამას სამძღვრებში მდებარე მიწა დღიდგანვე ჩემთვის სასარგებლოთ და სამუდამო სამფლობელოთ.

ხოლო მესამე მხარემ, პავლე გორგილაძემ, მივიკუთვნე ჩემთვის ჩემი მესამედი ნაწილი მიწა ჩრდილოეთის კედარო, რომელიც ისამძღვრების აღმოსავლეთით სასოფლო გზით, დასავლეთით ხიტირის მიწით, ჩრდილოეთით თავდიშვილის მიწით და კორღანოებით, სამხრეთით ჩვენივე გამონაყოფი კაპიტონ გორგილაძის მიწით და სამიჯნაო ქვები, ამა საძღვრებში მდებარე მინა დღიდგანვე სასარგებლოთ ჩემთვის და სამუდამო სამფლობელოთ.

1. ჩვენ, სამთავე მხარენი, ვართ სრული კმაყოფილი, რომელიც მიწა გავიყავით თქმულის სამძღვრებში დღიდგანვე შედის ჩვენს ჩვენ სარგებლობაში და უფლებაში.

2. სამთავე მხარენი ვიკვრით ამა პირობით, რომ რომელიც მიწა გავიყავით და მივიკუთნეთ ჩვენ ჩვენთვის არა გვაქვს სიმართლე დავედაოთ ერთმანეთს რომელიმე დროში, არც ჩვენ და არცა შემდგომმა ჩვენმა.

3. თუ რომ ჩვენგანი მხარე ამა ხელწერილის შეშლას მოისურვებს, მტყუანი მხარე გარდაიხდის მართლის მხარის სასარ-

გებლოთ ხუთ მანეთს და მასთან ჩვენ ჩვენს მიკუთვნებულ მინაზედ რაიმე ნადგამობა იქნება აგებული ან იქნება გაშენებული, ნაშენის საფასოს და ნადგამობის გარდასატან ყველანაირ ხარჯებს.

4. პირობა ჩვენს შორის იწერება სამათ, ერთი ექნება ალექსანდრე გორგილაძეს, მეორე კაპიტონ გორგილაძეს და მესამე პავლე გორგილაძეს. აზრი ამა პირობისა გვესმის და ხელს ვაწერთ: ალექსანდრე გორგილაძე, კაპიტონ გორგილაძე, პავლე გორგილაძე. რადგან პავლემ წერა არ იცის, მისი თხოვნით და ხელის მოცემით, ხელს ვაწერ ისიდორე ფილია, რომელ ნამდვილ ამა პირობის ხელწერილზე თავის საკუთრივ ხელმოწერილ არიან ალექსანდრე და კაპიტონ გორგილაძენი და წერის უცოდინარობისა გამო პავლე გორგილაძისა ისიდორე ფილია, ამისთვის ვემოწმები ხელის მოწერითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდითა, 1914 წელს, მარტის 14 ᲬᲐ რიცხვსა

ნიგოითის საზოგადოების მამასახლისი[1]

30. 1915 წ., უსათაურო, ხელწერილი ირაკლი, გიგო და ასინეთი მშვიდობაძეებსა და ლადიმერ ნიკოლაიშვილსა და პლატონ ფირცხალაიშვილს შორის საზიარო ქონების გაყოფის შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №3, საინვ. №603/281, ორი ფურცელი, დედანი, ზომა 23,5X37,5, ცისფერი გერბიანი ქაღალდი წარწერით „Актовая бумага", შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორწერტილი.

1915 წელს, მარტის 12 დღეს

ათას ცხრაას ოთხმოცდათუთხმეტსა წელს[2],

მარტის თორმეტსა დღეს

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერმან, მცხოვრებმან ნიგოითის საზოგადოებაშიდ, ირაკლი ივანეს ძე მშვიდობაძემ და

---

[1] ხელმოწერილია გაურკვევლად

[2] უნდა იყოს: ათას ცხრაას თხუთმეტ წელს, რადგან ზემოთ მიწერილია: 1915 წელს

აპეკუნშამ ობლებისა და ქონებასა ზედა გიგო მშვიდობაძისა, მქრივამ ასინეთი მშვიდობაძისა, ნიკოლაიშვილის ასულმა, და მასთან თავდებმან თქმული გიგო მშვიდობაძის ობლების მხრით, ლადიმერ ივანეს ძე ნიკოლაიშვილმან და პლატონ ელიზბარის ძე ფირცხალაიშვილმან, გავანაწილეთ და გავიყავით საზიარო, ესე იგი, საერთო უძრავ-მოძრავი ქონებაები, პირველი ჩვენგანის, ირაკლი მშვიდობაძის, და უკვე გარდაცვალებული გიგო ივანეს ძე მშვიდობაძის შემდეგის სახით: ირაკლის ერგო ეზო, ზომით ათას ოთხას ჩვიდმეტი კვადრატული საჟენი 1417 к. с. დასავლეთის კედარო რაბიდონ ფირცხალაიშვილის კედარო, საძღვრებთა შორის: სამხრეთ-აღმოსავლეთის თავში რაბიდონ ფირცხალაიშვილის ეზოის კორღანოდგან სწორე ხაზის გასმით აღმოსავლეთისაკენ, სადაც დღეს ქვა არის ჩაყრილი, ზომით თქმული კორღანოდგან მოშორებული თერთმეტნახევარ საჟენზედ 11 1/2 с., ხოლო ჩრდილოეთის მხრით ისაძღვრების კალანდარიშვილების გზით, ზომით განი აქვს დასავლეთის მხრიდგან მშვიდობაძის და ფირცხალაიშვილების გზიდგან წამოზომვით აღმოსავლეთისაკენ შვიდი საჟენი და ორი არშინი 7 с. 2 ар., სადაც საძღვრად არის ქვის მიჯნები. ამ მიჯნიდგან ჩრდილოეთის კედარო თხრილის პირიდან წამოზომით სამხრეთისაკენ ოცდაორ საჟენზედ გადაიზომების, კიდევ განი ამავე ფირცხალაიშვილის და მშვიდობაძის გზიდგან აღმოსავლეთისკენ რვა საჟენზედ და ნახევარ არშინზედ 8 с. 1/2 ар., სადაც მიჯნათ ქვებია ჩაყრილი და ამ მიჯნიდგან მარჯვე ხაზი გაესმების ეზოის თავის აღნიშნულ მიჯნამდის.

ეზო დანარჩენი მეორე ნაწილი აღმოსავლეთით მღვდელ კალანდარიშვილისაკენ ერგო ზემოთქმულ ობლებს და მქვრივა ასინეთ მშვიდობაძეს, ნიკოლაიშვილის ასულს, ზომით ათას ხუთას ოცდაშვიდი საჟენი 1527 к. с., საძღვრებთა შორის: აღმოსავლეთით მღვდლის ეზოის, დასავლეთით ირაკლი მშვიდობაძის ეზოით, ჩირდილოეთით მღვდლის კალანდარიშვილის გზით,

სამხრეთ-აღმოსავლეთით მგელაძის და კალანდარიშვილის გზის ზომით, ჩრდილოეთით ბოლოშიდ არის ათი საჟენი და ერთი არშინი აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ წამოზომვით. ჩირდილოეთიდგან სამხრეთისკენ წამოზომვით ოცდაორ საჟენზედ კიდევ გაიზომების განი აღმოსავლეთიდგან კალანდარიშვილის საძღვრიდან დასავლეთისკენ სწორი ხაზით თორმეტ საჟენზედ და ორ არშინ-ნახევარზედ, სადაც დღეს ქვის მიჯნა არის ჩაყრილი ეზოის თავში, სამხრეთ-აღმოსავლეთით მღვდლის საძღვრიდან, ზომა არის ოცდაათი საჟენი, ერთი არშინი და სამი ნიშანი ირაკლის ეზოის საძღვრამდე 30 c. 1 3/4 ap. სწორი ხაზის გასმით და ირაკლი მშვიდობაძეს ევალება ბოლოში ჩირდილოეთით გზა მისცეს ზემოთქმულ ობლებს და მქვრივას.

მეორე ნაჭერი მიწა, ნასახლევი თქმულ ობლებს და მქვრივას ერგო, დასავლეთის კედარო გზის მიზომვით, მელიტონ მშვიდობაძის ადგილიდგან დასავლეთითგან აღმოსავლეთისაკენ მარჯვე ხაზის გასმით, თავი აქვს ოცდაორი საჟენი და ორი არშინი 22 c. 2 ap., ბოლოში ჩრდილოეთისკენ კიდევ მელიტონ მშვიდობაძის, რკინის გზის და ამავე ადგილის კორლანოდგან აღმოსავლეთისაკენ სწორი ხაზის გასმით ოცდახუთი საჟენი 25 c., ჩრდილოეთით ისაძღვრების რკინის გზით, თუ ამავე ადგილის ბოლო ჩამოგვართვა ადგილის გამომყიდველმან, იმ შემთხვევაშიდ ირაკლი მშვიდობაძე ვალდებულია ობლებს გადაუხადოს ერთი თუმანი უპროცენტო.

მეორე ნახევარი ამ ადგილისა ერგო ირაკლი მშვიდობაძეს აღმოსავლეთის კედარო. ირაკლის ერგო კიდევ ვენახიანი რკინის გზის საძღვრად ზომით ოთხი ათას შვიდას ოთხმოცდახუთი კვადრატი საჟენი, ისაძღვრების აღმოსავლეთით კალანდარიშვილების და წულაძის მიწით, დასავლეთით თეოფილე წულაძის განაყიდი მიწით, არაშიძის და ირაკლი წულაძის მიწით, სამხრეთით რკინის გზის, ჩირდილოეთით მათივე მშვიდობაძის მიწით, რომელიც დღეს თქმულ ობლებს და მქვრივას ხდა, თავში სამხ-

რეთის კედარო განზე გადაზომვით, აღმოსავლეთიდგან დასავ-
ლეთისაკენ მარჯვე ხაზის გასმით არის ორმოცდაოთხი საჟენი
44 c., ხოლო ჩრდილოეთით დასავლეთიდგან აღმოსავლეთისა-
კენ ნაზომვით არის ორმოცდათექვსმეტი საჟენი, სიგრძე აღმო-
სავლეთის კედარო საძღვარზე დაყოლით სამხრეთიდგან ჩირ-
დილოეთისკენ არის ოცხმოცდასამი საჟენი და ნახევარი 83 1/2
c., დასავლეთის კედარო სამხრეთიდგან ჩირდილოეთისკენ სწო-
რი ხაზის გასმით არის ოთხმოცდაათი საჟენი და უკეთუ ოდეს-
მე რაიმე შემთხვევით ამა ზემოაღნიშნულ მიწას რკინის გზის
მხრით დაედება ფასი და ღირსება ზედმეტი, იმ შემთხვევაშიდ
ირაკლი მშვიდობაძე ვალდებული იქნება შემოიყვანოს იმ სარ-
გებლობაში ზემოთქმული ობლები და მქვრივა ამა ადგილის თა-
ვის განით ორმოცდაოთხ საჟენზედ შეხედვით და შეფასებით იმ
დროისა.

ობლებს და მქვრივას ხდა სამაგიეროთ ამავე ვენახიანზედ
მოდებული დობირო, საძღვრებთა შორის: აღმოსავლეთით ბე-
რაიას, ფირცხალაიშვილის და წულაძის მიწით, დასავლეთით
წულაძის მიწით, ჩირდილოეთით ბანკის მიწით და სამხრეთით
ამავე ნარიგის მიწით, ზომით ოთხი ათას შვიდას ოთხმოცდა-
თორმეტი კვადრატი საჟენი 4792 к. с.

ირაკლის ერგო ნასრიას[1] საზიარო ციცოური, ობლებს და
მქრივას ერგო კიდევ მიწა დედათ მონასტრის ქვემოთ მდებარე
წულაძის კარი.

მოძრავი ქონებისგან ირაკლის ერგო ოთხთვალი ოდა სახ-
ლი ყავრით დახურული, ერთი შლიოპკის პატარა ქუხნა ისრით
დახურული ღირებული ხუთას ოც მანეთად. ობლებს და მქრი-
ვას სამაგიეროდ ამისა ერგოთ ერთი ოთხღოჯე სახლი თავის
ახორით ისრით და ყავრით დახურული, კერძოთ ირაკლის შეძე-
ნილი ღირებული ას ოც მანეთად და ას ორმოცდათუთხმეტი მა-
ნეთი ფული მისცა ირაკლიმ ობლებს და მქრივას.

---

[1] ნარსიას

ირაკლის ერგო ქვის დუქანი დგმული ნიგოითის სტანციაშიდ ერთი თვალი თავისი უკანა ოთახით, წინა და უკანა თავისი მინით მაქსიმენ ჭიჭილეიშვილის კედაროს, ოთხი შკაფი, ერთი გირის სასწორი, ერთი სამფუთიანი ჟეშტის სანაფთე და ერთი საანგარიშო ჩოთქი.

ობლებს და მქრივას სამაგიეროთ ერგო ამავე დუქნის მეორე თვალი დუქანი, ჩირდილოეთის მხარე ივანე ფირცხალაიშვილის კედარო, თავისი უკანა ოთახით, წინა უკანა მინით, ხუთი შკაფი, თავის თაროით და დახლით, ერთი ყადა, ათი ფუთის ამწონი სასწორი, კიდევ ობლებს და ასინეთის ერგო ერთი სასიმინდე ნალია თავის მინაზედ დგმული დახურული ყავრით, ერთი დიდი და ერთი პატარა საწნახელი, ერთი პატარა სახლი მათ კედარო მინაზედ დგმული კრამიტით დახურული, ორი დიდი ჭურები მათ კედარო მინაშიდ დადგმული, ერთი დიდი ნეზვი ღორი და ერთი ამოთლილი ქვა.

ირაკლის ერგო წინა ჭიშკარი, როგორც დღეს არის იმ სახით, მარანი მისკედარო მინაზედ არსებული იმ სახით, როგორც დღეს არის, ერთი ოცდახუთსაწყავიანი ამოღებელი ჭური, საღორე მის კედარო მინაზედ დგმული, ერთი სასიმინდე ნალია მის კედარო მინაზედ დგმული ყავრით დახურული, ერთი ჩამური, ერთი პატარა კარდალი და ერთი ფეხისალაგი, ერთი დიდი კარდალი.

მთელ ზემოთქმულ ქონებაებს ვაფასებთ ათას მანეთამდე.

ჩვენ, მქრივა ასინეთი მშვიდობაძისა, ნიკოლაიშვილის ასული, და თადებნი[1] ჩვენი სურვილით გიგო მშვიდობაძის ობლებისა, ლადიმერ ივანეს ძე ნიკოლაიშვილი და პლატონ ელიზბარის ძე ფირცხალაიშვილი და, მეორეს მხრით, ირაკლი ივანეს ძე მშვიდობაძე, ვიკისრეთ ურთიერთშორის შემდეგი პირობის ხელის წერილით, რომ ჩვენ, პირველმა მხარემ, ასინეთი მშვიდობაძისამ თავის თავათ, ლადიმერ ნიკოლაიშვილმა და პლა-

---

[1] თავდებნი

ტონ ფირცხალაიშვილმა, როგორც თავდებნი თქმული ობლებისა, გაფარდება ესე მოძრავ-უძრავ ქონებაების და ხორაგების დავიცოთ სისწორით და გაურყეველად, როდესაც ობლები შეიქნებიან კანონიერი წლოვანი, ეს გაფარდება, ესე იგი გაყოფილება, მათ კანონიერად დავამტკიცოთ ამ სახითვე და უკეთუ ესრედას (sic) ვერ შეგისრულებთ, იმ შემთხვევაშიდ ვალდებული ვიქნებით შენგან გამოცემული საზიარო ოდა სახლის შესახნელად და ჩვენ მიერ მიღებული ორას სამოცდათუთხმეტი მანეთის თორმეტი პროცენტი უკანვე დაგიბრუნოთ თქვენ, ირაკლი მშვიდობაძეს, ჩვენ, თავდებმან ნიკოლაიშვილმან და ფირცხალაიშვილმან და პირობის დარღვევისათვის სამივე პირმან, მქრივამ, ფირცხალაიშვილმა და ნიკოლაიშვილმან, შენდა სასარგებლოთ შტრაფად გარდაგიხადოთ სამასი მანეთი ჩვენ, ირაკლი შვიდობაძემ ...[1] მას შინა, რომ ამაშიდ ზემოთ მოყვანილი გაფარდება სისწორით გაურყევლად დაგიცო მე და შემდეგმა ჩემმაც და თუ სისწორით არ დაგიცავ, იმ შემთხვევაშიდ თქმული ობლების და ქვრივის სასარგებლოთ გარდავიხადო შტრაფად სამასი მანეთი. შინაარსი ამა პირობისა გვესმის და მას ხელს ვაწერთ ათას ცხრაას თუთხმეტსა წელს, მარტის 12 დღეს: ირაკლი ივანეს ძე მშვიდობაძე, ასინეთი მშვიდობაძისა, ლადიკო ნიკოლაიშვილი, პლატონ ფირცხალაიშვილი.

შენიშვნა: მესამე გვერდზედ ამა გერბისა თავიდგან ჩამოთლის მეასშვიდე განაწერაში ჩამატებული ანბანების ჩაწერით სამასი მანეთი – ერწმუნეთ: ირაკლი მშვიდობაძე, ლადიკო ნიკოლაიშვილი, პლატონ ფირცხალაიშვილი, ასინეთი მშვიდობაძისა.

ამ გერბზედ დღეს დაეკრა ორი მარკები ღირებული თითოეულ მანეთის და ხუთი შაურის, სულ ორი მანეთის და ათი შაურის გერბის ფასონობის შესასრულებლათ, მას შინა ხელს ვაწერთ ირაკლი მშვიდობაძე, ლადიკო ნიკოლაიშვილი, პლატონ

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

ფირცხალაიშვილი, ასინეთი მშვიდობაძისა.

მონმედ დავესნარი ამა გერბზედ პირობის დაწერას და ხელის მოწერას, მასთან ორი გერბის მარკების, ღირებულის სულ ორ მანეთის და ათი შაურის, დაკრას ამა გერბზედ, ჭყონაგვარის სოფლის კეთილსინდისიერი, 1915 წელს, მარტის 12 დღეს, კეთილსინდისიერი ივლიანე გოგუაძე[1]

მონმეთ დავესნარი იოსებ გიორგის ძე არაშიძე, დიმიტრი ნიკოლაიშვილი

რომელ ნამდვილ ამა გერბზედ ჩამოწერილ გაფარდებაზედ და პირობაზედ პირისპირ ხელმონერილ არს ირაკლი მშვიდობაძის, ასინეთი მშვიდობაძისა, ნიკოლაიშვილის ასულის, ლადიმერ ივანეს ძე ნიკოლაიშვილის და პლატონ ელიზბარის ძე ფირცხალაიშვილის მიერ და მასთან დღესვე ამა გერბზედ არის დაკრული ორი გერბის მარკები, ღირებული ორივე ორ მანეთის და ათი შაურის გერბის ფასოვნობისა, აღმატებულობას შინა ვემოწმები ხელის მოწერითა, დასმითა სახელმწიფო ბეჭდისა, 1915 წელს, მარტის 12 დღეს, ნიგოითის საზოგადოების მამასახლისი ალექსი გოგეშვილი.

ბოლოში დამოწმებულია მურის ორი მრგვალი ბეჭდით, ერთზე წარწერა არ იკითხება, მეორეზე იკითხება: „Старшина Нигоитск. сел. общ. Озур. уъз. Кут. губ.".

31. 1915 წ., კვიტანცია, ხელწერილი ასინეთი და გიგო მშვიდობაძეებს შორის ობლების წილის მიღების შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №3, საინვ. №603/283, 1 ფურცელი, მეორე გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 18X22, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით

---

[1] აქ დასმულია მურის მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც წარწერა არ იკითხება

ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.

კვიტანცია

1915 წელს, მარტის 12 დღეს

მე, ქვემორე ამის ხელის მომწერი, მქრივა ასინეთი მშვიდობაძისა, ნიკოლაიშვილის ასული, გაძლევ ამა კვიტანციას, როგორც აპეკუნშა ობლებსა და ქონებასა ზედა გიგო მშვიდობაძისა და მასთან თავისთავათ ჩემ მაგიერ, რომ მე მივიღე შენგან სრული კმაყოფილება, რაც ერგებოდა ობლებს ანუ მე, ოთახის ქირა და დუქნისაც რაც გვერგებოდა ამა ათას ცხრაას თუთხმეტის წლის მარტის დამლევამდის თქვენ, ირაკლი ივანეს ძე მშვიდობაძისგან და არ მექნება სიმართლე დღეის უკანდელი მოვითხოვო თქვენგან დუქნის ან ოთახის ქირა. ამას შინა ხელს ვაწერ ასინეთი მშვიდობაძისა.

1915 წელს, მარტის 12 დღეს ხელმოწერას ამა კვიტანციაზედ ასინეთი მშვიდობაძისა მიერ დავესწარი კეთილსინდისიერი ჭყონაგვარის სოფლის და მას შინა ვემოწმები ხელის მოწერითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა ივლიანე გოგუაძე

დამოწმებულლია მურის მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „сельское общество".

32. *1918 წ., უსათაურო, ხელწერილი იოსებ და ივანე ბარამიძეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 21, საქ. №1, საინვ. №4381/2840, 2 ფურცელი, 2-4 გვერდები ცარიელია, დედანი, ზომა 22X36, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ლურჯი, ბოლოში შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორწერტილი.*

1918 ᲬᲬ წელსა, იანვრის 12 ᲬᲬ დღესა

ვსდებთ ამა პირობას ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერ-

ნი, მცხოვრებნი ქ(ალაქ) ლანჩხუთში, იოსებ გიორგის ძე და ივანე იოსების ძე ბარამიძენი, მას შინა რომელ მე, იოსებ ბარამიძეს მაქვს უძრავ-მოძრავი ქონება ქ(ალაქ) ლანჩხუთში და როგორც შენ, ივანე, შვილი ჩემი მოგეცი შენი ხვედრი ნაწილი უძრავ-მოძრავი ქონებისა, ერთი ნაკვეთი მიწა მდებარე ქ. ლანჩხუთში ზომით ას ვორმოცდაჩვიდმეტი კვადრატი საჟენი ე. ი. (157 1/2 კ. საჯ). ის მიწა, რომელიც დაგისაძლურე კირილე მგელაძის და ალექსანდრე კუკლაძის[1] თანდასწრებით, საძღვრებთა შორის – აღმოსავლეთით და სამხრეთით მაქსიმე ცინცაძის მიწა, დასავლეთით ნათლისმცემლის ქუჩა, ჩრდილოეთით ჩემივე იოსებ ბარამიძის მიწა, რომელიც ეს ზემოხსენებული მიწა დღეის შემდეგ გეკუთვნის საშვილიშვილოდ შენ, ჩემ შვილს, და ამასთან მოძრავი ჩემი ხვედრი წილის საფასოდ მივიღე ხუთასი მანეთი მე, ივანე ბარამიძემ შენ, მამაჩემი იოსებ ბარამიძისგან და მით ვარ სრული კმაყოფილი და დღეის შემდეგ ნება არა მაქვს სხვა რაიმე ნაწილი მოვითხოვო მამაპაპეული ქონებისაგან, რაიდგანაც დღეს მივიღე სრული კმაყოფილობა. მე, იოსებ ბარამიძე, ვალდებული ვარ ის ზემოხსენებული მიწა არ ჩამოგართვა, არც მე და არც ჩემმა შვილებმა არავოდეს[2] და აგრეთვე არ მოვითხოვო მოცემული ხუთასი მანეთის უკან დაბრუნება, რომელ მოვალენი ვართ ვორივე ჩვენგანი ეს პირობა დავიცოთ მტკიცედ და დაურღვევლად და თუმცა რომელიმე ჩვენთაგანმა ეს პირობა დავარღვიეთ, იმ შემთხოვაში მტყუანმა ჩვენგანმა მართალი ჩვენგანის სასარგებლოდ გადაიხადოს სამი ათასი მანეთი ჯარიმათ და ეს პირობა მაინც თავისივე ძალაში დარჩეს. ეს პირობა იწერება ვორი და თვითოეულს გვექნება თითო, რასა შინა ხელს ვაწერთ იოსებ ბარამიძე, ამაზედ დავსძენთ რომ ზემოხსენებული პირობა მხოლოდ შიეხება ლანჩხუთის ეზოს მოძრავ ქონებას და რაც შიეხება საყანე მიწებს, იმის წილი გერგება შენ,

---

[1] კუკულაძის
[2] არასოდეს

იოსებ ბარამიძე

33. 1921 წ., მედიატორული ხელწერილი, ხელწერილი გიგო და მარგალიტა კალანდაძეებსა და ჯარისპან, ალმასხან, ივანე და სეფე კალანდაძეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №01614, 3 ფურცელი, ერთი ფურცელი ცალკეა, ორი ერთად, დედანი, ზომა 21,5X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი,მძიმე, ორწერტილი, ბრჭყალები.

მედიატორული ხელწერილი

1921 ᵇ წელსა, ივანობისთვის 16 ᵇ დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, მცხოვრებნი ხიდისთავის თემისა, ერთის მხრით, მშობლები, გიგო მექელეს ძე კალანდაძე, მარგალიტა გოგიბერიძის ასული კალანდაძისა და, მეორეს მხრით, შვილები, ჯარისპან, ალმასხან, ივანე, სეფე გიგოს ძე კალანდაძეები, ჩვენ შორის **ოჯახური უთანხმოების გამო** ვიკვრით ურთიერთშორის **მედიატორულ ხელწერილით** მას შინა, რომ ყოველივე ჩვენი უძრავ-მოძრავი მამაპაპისეული პირადი საძმო ქონების დასაყოფათ ვირჩევთ პირველი მხარე – მირიან თედორაძეს და მეორე მხარე – ივანე კალანდაძეს, ხოლო ჩვენ ორივე მხარეები უფლებას ვაძლევთ ჩვენს მედიატორებს აირჩიონ თავმჯდომარე და რასაც ჩვენი მედიატორეები დაადგენს, ვალდებული ვართ ორივე მხარე დავემორჩილოთ, ვადა ამა ხელწერილს აქვს დღიდგან თოთხმეტი დღეი და ვალდებულნი ვართ თვითეულ ჩვენგანმა აღნიშნულ ვადამდე მედიატორებს თავი მოუყარონ ...[1] საქმე დავათაოთ. თუ რომელიმე მხარემ ეს ხელწერილი ვერ შევასრულეთ, დავარღვიეთ, ვალდე-

[1] დაზიანებულია და ერთი სიტყვა არ იკითხება

ბული ვართ მტყვანმა მხარემ მართლის მხარის სასარგებლოთ გარდავიხადოთ ხუთი მილიონი (sic), რომელზედაც ხელს ვაწერთ გიგო და მარგალიტა კალანდაძეები, ჯარისპან კალანდაძე, ალმასხან კალანდაძე, ივანე კალანდაძე

სინამდვილეს ამა მედიატორული ხელწერილისა ვამოწმებ ხელის მოწერითა და დასმითა მთავრობის ბეჭდითა.

ხიდისთავის თემის რევკომის თავმჯდომარე კალანდაძე[1]

ჩვენ მედიატორეებმა ავირჩიეთ თავმჯდომარედ ვარლამ ირაკლის ძე კალანდაძე

ჩემს არჩევას ვეთანხმები: ვარლამ კალანდაძე

1921ᵇ წელსა ივანობისთვის 18ᵇ დღესა ჩვენ, მედიატორეებმა თავმჯდომარის თანდასწრებით შევკრიბეთ და ვიქონიეთ აღნიშნულ საქმეებზე მსჯელობა.

პირველად მოვახთინეთ დაკითხვები ორივე მხარეებისაგან, ავღნიშნეთ ჩვენებები

ჩვენება გიგოს და მარგალიტას:

გიგომ განაცხადა: მე სურვილი მაქვს შვილებს გამევეყო, ჩემი მთელი შენაძენი მე უნდა მექნეს საკუთრათ, დანარჩენი კანონიერათ უნდა იქნეს დაყოფილი. ამასთანავე დასძინა, რომ ჩემი ქონებიდან, რომელიც ჩემი კეთილ შენაძენია, გადაცემული მაქვს ჩემს ქალზე ნახევარი.

მარგალიტამ განაცხადა რომ სურვილი მაქვს შვილებს გამევეყო, მომეცეს **სარჩო** ქონებიდან ჩემდა საკუთრათ.

ჩვენება ჯარისპან, ალმასხან და ივანე კალანდაძეების:

ჩვენ სურვილი გვაქვს მშობლებს გავეყოთ ისთე, რომ ჩვენ შეგვეძლოს დამოუკიდებელი ცხოვრება და ვალდებულათ ვრაცხთ თავის თავს მშობლებს ვუპატრონოთ, როგორც ისინი მოხუცებულნი და შეძლებისდაგვარათ თავის სიცოცხლეში უზ-

---

[1] ეს ხელმოწერა დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც წარწერა არ იკითხება

რუნველვყოთ ისინი. მხოლოთ ივანემ დასძინა, რომ მე მშობლებთან ერთ ბინაში ცხოვრება არ შემიძლიავო და მოითხოვს ბინიდგან გასვლას. ჯარისპან კალანდაძე, ალმასხან კალანდაძე, ივანე კალანდაძე

ივანემ და ალმასხანმა განაცხადეს, რომ ჯარისპანს აქვს ოჯახში როგორც მეტი ნაშრომი, ასთე მეტი ხარჯების დახარჯვისათვის მიეცეს ზედმეტი წილი: ალმასხან კალანდაძე, ივანე კალანდაძე

კერძო საკუთრება გიგო კალანდაძის

1. ერთი ქვის დუქანი ქ(ალაქ) ოზურგეთში, 2. ერთი ხის დუქანი დ(აბა) ხიდისთავში, 3. ერთი საღორე, 4. მიწა მერეში 650 კვად(რატული) საჟ(ენი), 5. მიწა ჭალაში 2 1/2 ქცევა, 6. მიწა ქაცუნარაში, მაგ(ალითად) 3 1/2 ქცევა. ამ მიწიდგან ერთი ნახევარი ქცევა ეკუთვნის ჯარისპან კალანდაძეს, 7. კიდევ მიწა ქაცუნარაში, მაგ(ალითად) 650 კვად(რატული) საჟ(ენი), 8. ერთი გასაშალი სტოლი

საერთო ქონება

1. ოდა ათი თვალი კარიდორით პადვალზედ დადგმული
2. ორი თვალი ხის სამზარეულო
3. სასიმინდე
4. ეზო ზეთმოდებული ქაცუნარით
5. ნახევარი წისქვილი
6. 24 თანე ვენის სკამები
7. ექვსი თანე გადაკრული სკამები
8. სამი კრესლო
9. სარკე კედლის დასადგამი
10. ორი კუშეტკა ხავერდით გადაკრული
11. ორი სამოვარი, მოწყობილობით
12. ერთი დასაკიდი ლამპა
13. ორი დასადგამი ლამპა „ჩუდო"

14. ერთი უბრალო ლამპა
15. ერთი ნარდი თავის სტოლით
16. ორი სტოლი ავალნი[1] შავი ლაქით
17. ერთი დიდი მრგვალი სტოლი ოთხფეხიანი
18. ორი ოთხფეხა კედლის სტოლი
19. ერთი სასადილო სტოლი
20. ერთი ხავერდის სტოლსაფარი
21. სამი სტოლის სტოლ საფარი ფერადი
22. რვაი თანე ზანავესები კრუჟეეოს
23. სამი თანე ჩითის ზანავესი
24. თერთმეტი ზანავესის კორნიზი
25. ერთი პალატში გამსტვენი ფარდა
26. ორი ხავერდის ბალიშები
27. სამი საღამური ლამპა და საკიდი
28. სამი ჩოთქები თავის და ტანსაცმლის
29. ერთი ბუფეტნი შკაფი
30. ორი საჭმელის შკაფები
31. ოთხი თანე საფერფლე
32. ერთი პირსაბანი მარმარილოს
33. ერთიც პირსაბანი ...[2]
34. ცხრა თანე უბრალო გადაკრული კუშეტკები
35. ორი ტანსაცმლის დასაკიდი (ვეშოლკა)
36. ერთი ხალიჩა
37. სამი გრძელი სკამები
38. ერთი მრგვალი სტოლი ოთხფეხა
39. ოთხი საბნები – ორი შალის, ერთი აბრეშუმის, ერთიც სატინის

---

[1] ოვალური
[2] არ იკითხება

მედიატორების დადგენილება

1921ᵇ წ., ივანობისთვის 20ᵇ დღესა.

მიეცა მშობლებს გიგო და მარგალიტა კალანდაძეებს და აგრეთვე შვილს, ერმალო კალანდაძეს თავის სიცოცხლეში სარჩოთ, საცხოვრებლათ და სასარგებლოთ ზემოაღნიშნულ სიაში როგორც უძრავიდგან, ისთა მოძრავი მოხსენიებულ ქონებიდგან:

1. ერთი ქვის დუქანი ქ(ალაქ) ოზურგეთში
2. ერთი ხის დუქანი დ(აბა) ხიდისთავში
3. ერთი საღორე
4. მიწა მერეში 650 კვ(ადრატული) საჟ(ენი)
5. მიწა ჭალაში ორ-ნახევარი ქცევა
6. მიწა ქაცუნარაში, რომელიც აღნიშნულია სამ-ნახევარ ქცევათ. ამაში მიეცა მშობლებს მხოლოდ ორი ქცევა და ქცევა-ნახევარი კი ეკუთვნის ჯარისპან კალანდაძეს მისდა საკუთრებათ.
7. მიწა ქაცუნარაში 650 კვად(რატული) საჟენი
8. ერთი გასაშალი სტოლი

საერთო ქონებიდან მიეცა მშობლებს:

9. ერთი მესამედი ეზო, როგორც მინით, ისთე ზედ ყოველივე მოსავლით და თუ გაყოფა იქნეს მესამედი მშობლებს ეკუთვნის
10. ოდა დაიფარდა შემდეგნაირათ. მიეცა მშობლებს და შვილს ერმალოს თავის სიცოცხლეში საცხოვრებლათ ორი თვალი ოთახი უკანა მხარეს საერთო სახმარი კარიდორით, დასავლეთის კედრით შვა ოთახი მიეცა ალმასხანს, წინა ოთახი დასავლეთის მხარის – ვანოს, აღმოსავლეთის კედრით ორი პატარა შვა ოთახი – ჯარისპანს, წინა ოთახი აღმოსავლეთის კედრით მიეცა სეფეს, ზალა და სასადილო რჩება შვილების საერთო ხმარებაში და განკარგულებაში.

მიეცა მშობლებს პადვლიდგან ნახევარი უკანა კედრით,

ზედ მიშენებულ სამზარეულოთი. ორი თვალი ხის სამზარეულო რჩება შვილების განკარგულებაში – სარგებლობაში. სასიმინდე ნახევარი მშობლებს, ნახევარი შვილებს.

მიეცა **სარჩოთ** მშობლებს გიგოს და მარგალიტას და შვილს ერმალოს თავის სიცოცხლეში წისქვილიდგან შემოსავალი, სიმინდი თვიურად შვიდი ფუთი.

მიეცა მშობლებს ოთხი ვენის სკამები, ერთი გრძელი სკამი, ოთხი საბნები, ოთხი შალის, ერთი აბრეშუმის და ერთიც სატინის, რომელიც სიაში არის მოხსენიებული. რაც შეეხება ყოველგვარ ინვენტარს, რაც სიაში აღნიშნულია, რაც მშობლებზე არ არის მიცემული, რჩება შვილების საერთო კუთვნილებად და განკარგულებაში.

ამასთანავე ევალებათ, განსაკუთრებით ალმასხანს და ვანოს, თუკი მშობლებს და ერმალოს არ დააკმაყოფილებთ მათზედ მიცემული ქონება განსაკუთრებით ტან-ფეხზედ თუ კი ეს ...[1] იქნება თანასწორათ, ორივემ დააკმაყოფილოს ისინი.

ამასთანავე დავსძენთ, რომ თანახმად ალმასხანის და ვანოს განცხადებისა, რომ ჯარისპანს, როგორც უფროს ძმას, მეტი ნაშრომი და ნახარჯი აქვს ოჯახზე, ამისთვის გაყოფის დროს მიეცეს მას საერთო სახმარი ქონებიდან ერთი წილით მეტი.

მედიატორების თავმჯდომარე: ვარლამ კალანდაძე
მედიატორეები: თედორაძე
ივანე კალანდაძე

დამოწმებულია მელნისფერი მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც წარწერა არ იკითხება

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

34. 1921 წ., მედიატორული ხელისწერილი, ხელწერილი ექვთიმე და სიმონ სიხარულიძეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №5182/4, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X33, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი მძიმე.

მედიატორული ხელისწერილი

1921 წელსა, აგვისტოს 30 დღესა

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, მცხოვრებნი ბუკისციხის თემისა, ერთი მხრით, ექვთიმე მარკოზის ძე სიხარულიძე და, მეორეს მხრით, შვილი მისი, სიმონ ექვთიმეს ძე სიხარულიძე, ვიკვრით ურთიერთშორის მასშიდ, რომელ ჩვენ გვაქვს **ოჯახური შინაური უთანხმოება**, და ვინაიდან ჩვენ ვერ შევთანხმდით, ამიტომ ავირჩიეთ მოსაშველე პირები, პირველის, ექვთიმე მარკოზის ძე სიხარულიძის მხრით, დავით სიხარულიძე, ხოლო მეორეს სიმონ ექვთიმეს ძე სიხარულიძის მხრით, დარისპან ჩხიკვაძე, ხოლო თავმჯდომარეთ, მედიატორენის და მომხრენის თანხმობით, ავირჩიეთ მიხაკო ლევანის ძე შარაშიძე, ვავალებთ არჩეულ პირებს გამოიძიონ და გამოიკვლიონ ჩვენ შორის ატეხილი უთანხმოება და მიიღონ მხედველობაში ყოველივე სიტყვიერი თუ წერილობით, თუ მოწმეების ჩვენება და თავიანთი სინდისის მიხედვით გამოიტანონ განაჩენი, რომელსაც ვალდებული ვართ დავეთანხმოთ ორივე მხარენი და თუ რომელიმე ჩვენგანი არ დაეთანხმება მედიატორენის გადაწვეტილებას, მტყვანი მხარე ვალდებულია გადაიხადოს მართალი მხარის სასარგებლოთ ორი მილიონი (sic) მანეთი და გადაწყვეტილება ესე ძალაში დარჩეს და მას შინა ხელს ვაწერ ექვთიმე მარკოზის ძე სიხარულიძე და რადგან მან ხელწერა არ იცის, მის მაგიერ, მისი თხოვნით ხელს ვაწერ ანდრო მაკალათია

სიმონ ექვთიმეს ძე სიხარულიძე

რომელ ნამდვილ ხელწერის უცოდინარობის გამო ექვთი-

მე სიხარულიძის მაგიერ, მისი თხოვნით, ხელი მოაწერა ანდრია მაკალათიამ და სინამდვილეს სიმონ სიხარულიძის ხელის მოწერისა ვამოწმებ ხელის მოწერითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმით ბუკისციხის თემის რევკომის თავმჯდომარე

თეოფილე სიხარულიძე

დამოწმებულია მელნისფერი მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „ბუკისციხის".

მიწის ნასყიდობის საბუთები

1. *1809 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი მამუკა, გაბილა და მამია სიხარულიძეებსა და მღვდელ ნიკოლოზ ჯიბუტს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №532, 1 ფურცელი, პირი, ზომა 20X28, თეთრი ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, ორწერტილი.*

ჩყთ წელსა, იანვრის 3ს (1809 წ.)

ქ.: ესაე მტკიცე და უტყვარი[1] ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეცი მე. მამუკა სიხარულიძემ და ჩემმა ძმისწულმა გაბილამ და ჩემმა შვილმა მამიამ, ჩვენ ყულამ[2] ერთობით შენ. მღვდელს ნიკოლოზ ჯიბუტს და შვილთა და მომავალთა შენთა ასე.: ვითარად რომ მოგყიდე ჩუნი[3] საკედარო ხაბეიშვილის ნასახლევი და შევამოზიარე შენს სახლკაცს და ფასიც სრული გულის საჯერი გამოგართვი. აწი მოგეცეს და მოგახმაროს ღმერთმან ყოკაცის[4] და არ გედაოთ არც ჩუნ და არც ჩუნმა ძემ.

2. *1815 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი თავად ლევან ერისთავსა და ყმა გიტულა ნიკოლაიშვილს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №5182/3, 1 ფურცელი, პირი, ზომა 19,5X28, თეთრი ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი მძიმე.*

მე, ქვემო ამისა ხელის მომწერი, დამამტკიცებელ კნიაზ

---

[1] უტყუარი
[2] ყველამ
[3] ჩვენი
[4] ყოლიკაცის

ლევან გიორგის ძე ერისთავი, გაძლევ ამას ნასყიდობის წერილსა შენ, ჩემს ყმას გიტულა გიორგის ძე ნიკოლაიშვილს, მას შინა, რომელ მამული მქონდა მე შენს მახლობლად სახელწოდებით ბერძნული, რომელიცა არის ნახევარი შენი და ივანიკა ნიკოლაიშვილის და ჩემი ძმის წილი, ის ადგილი მოგეცი შენ, გიტულასათვის მომიყიდნია, აღნიშნულს საზღვრებს შიგნით, შენ გეკუთნოდეს საგვარეო და საშვილიშვილო სამოსახლოთ, ყოვლის შიდ მყოფას სასარგებლო ან რომელსაც საზღვრებს აღვნიშნავ, აღმოსავლეთის მხრით შენ საზღვრამდი, დასავლეთით ბატონიშვილის საზღვრამდი და სამხრეთით, ჩრდილოეთის მხრით ივანიკა ნიკოლაიშვილის საზღვრამდი, საშველი ამისა ჩემი და მამის ნილი შენთვის მომიყიდნია, რომელ მამა სხვა მამულით დავაკმაყოფილე და შენ არ გედაო და არც მე და მომავალი ჩემი და არც სხვა ვინმე, მაზედ შენ არ გედაოს და უკეთუ ვინმე მოდავე აღმოჩთეს, ყოველს მიზეზ შემოუტანლად და მოგაცილო და შენ თავისუფალი იყო დახარჯვის და ჭირნახულისაგან, ხოლო საფასეთ იმა ადგილის ნახევრის მივიღე ოცი მანეთი ვერცხლის ფული, რომელზედაც საკუთრის ხელის მოწერით ვამტკიცებ კნიაზ ივანე გიორგის ძე ჯაში, აზნაური საყვარელ ულენტი, მეღვინე გიორგი ხარაზი და სხვანი, რომელიც ქვემოთ ხელს წერენ და მღვდელი მაქსიმე ჯაში, ვსნერ კნიაზ ლევან ერისთავის თხოვნით, ქაღალდის ხელის მოწერით, მოწამეც ვარ, მოწმობ წერილსა ამას აზნაური გოგია ესეს ძე ულენტი

მოწმობ წერილსა ამას აზნაური როსაპის ძე დათა ჯაში

†[1] მამია ნიკოლაიშვილი

3. 1857 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერილი აზნაურ სოლომონ ასათიანსა და სახელმწიფო ყმას გიორგი ვასაძეს შორის, ომმ ხელნაწერი ფონდები, შწ №550/11, 2 ფურცელი, დედანი, ზომა 22,5X35, რუ-

[1] დასმულია ჯვარი

ხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშანი მძიმე.

ჩყნზ^{ს}, მარტის ბ^{ს} დღესა (1857 წ., 2 მარტი)

მე, ქვემოთ ამისი ხელის ჩართვით დამამტკიცებელი, სოფელსა ასკანას მცხოვრები, აზნაური სოლომონ ქაიხოსროს ძე ასათიანი, გაძლევ ამა ნასყიდობის წერილს თქვენ, მუნვე სოფლის მცხოვრებს, სახელმწიფო ყმას გიორგი გიორგის ძესა ვასაძეს, მას შინა, რომელ მე და ჩემს ძმანებს მდებარე ეზოშიდ ადგილ – მამული გვაქვნდა[1] შენი საზიარო, სახელწოდებით ბეგო დანიშნულის საზღვრებით, აღმოსავლეთით ივანე ერქომაიშვილის საზღვრამდის, დასავლეთით კიკოლა და გაბრიელ ვასაძის საზღვრამდის, ჩრდილოეთით ჩხაიძის საზღვრამდის, ხოლო სამხრეთით მდინარეს გულეფას ღელემდის, ამა განცხადებულს საზღვრებს შიგნით ადგილი მოგყიდე მე მხოლოდ ჩემი საწილო, ამა ადგილის მეექვსედი, ფასად მივიღე შენგან დაფასებისამებრ ათი მანეთი ვერცხლისა ფული, აწ მოგცეს ღმერთმან შენ და შემდგომთა შენთა, რომ დღეის შემდომ არც მე და არცა ჩემი შედგომი არავითარს დავას და ცილებას ამა ადგილშიდ არა გიყო და სხვა ვინმე მოდავე აღგიჩნდეს, მაშინ მოდავე ყოვლის უმიზეზოთ მე მოგაცილო, მაშინ გეკვრი ამა პირობითა, რომელ ჩემგან მიღებულს შენს ათ მანეთზედ ათი მანეთი დაგიდვა, მე ან ოცი მანეთის მომცემი ვიყო, თუ არა და ეს ჩემი საწილო ადგილი მომისყიდია თქვენთვის და გიბედნიეროს ღმერთმა, მას შინა ჩემს საკუთარის ხელით ჯვარის დასმით გიმტკიცებ†[2]

არს ამის მოწმე დავით ძე ბუჭუა ერქომაიშვილი და დათია მეგრელი

სოლომონის თხოვნით დავსწერე და მოწავე ვარ იოანე

---

[1] გექონდა
[2] დასმულია ჯვარი

ჩყნზ[ხა] წელსა, ივლისის ლა[ს] დღესა (1857 წ., 31 ივლისი)

მე, ქვემორე ამისი ხელის ჩამრთველი, აზნაური ბეჟან ქაიხოსროს ძე ასათიანი, ამა პირობით გეკვრი შენ, გიორგი გიორგის ძესა ვასაძეს, მას შინა რომელ, რომელიც ჩემმა ძმამა სოლომონ ადგილი მოგყიდა შენ შენს ეზოშიდ მისი წილი ამა ქაღალდის პირველ გვერდზედ დაწერილის ნასყიდობითა, იმა ადგილისაგან მეც მომისყიდნია ჩემი შესახვედრი წილი და ფასად მივიღე დღეს შენგან ათი მანეთი ვერცხლისა ფული და მომიცია ზემოთ დაწერილის საზღვრით და პირობით, რომელსა შინა ხელს ვაწერ აზნაური ბეჟან ასათიანი, რადგან მან წერა არ იცის, მისის თხოვნით, მის მაგიერ ხელს ვაწერ ბესო ლომინაძე

არის ამისი მოწმე აზნაური დავით ასათიანი, ბეჟანის თხოვნით ვწერ იოანე მღუდელი ბარამიძე

ჩყნთ[ხა] წელსა, თებერვლის კდ-ს დღესა
(1859 წ., 24 თებერვალი)

მივიღე მე, აზნაურმან ალექსანდრე ასათიანმა შენ, გიორგი ვასაძისაგან, აღნიშნული ვერცხლის ფული და როგორც ზემოთ შეკრულობით, ჩემა ძმებმან მოგყიდეს საერთო ადგილი, ეგრეთვე, მეც მოგიმატო და ამიერიდან არავითარს დავას არ გიყოფ და თუ ვინმე გედაოს მე მოგაცილო, მას შინა ჩემს საკუთარს ხელით ჯვარის გასმით გიმტკიცებ †[2]

---

[1] ამ საბუთის მეორე გვერდზე კიდევ ორი საბუთია, რომელთაც აქვე ვაქვეყნებთ

[2] დასმულია ჯვარი

4. 1859 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი სახელმწიფო ყმებს ივანე, ლაზარე და გიტო ვასაძეებსა და გიორგი ვასაძეს შორის, ომმ ხელნაწერი ფონდები, შწ №550/12, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22,5X36,5, რუხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, ოდნავ დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.

ჩყნთ^სა^ წელსა, სეკდემბრის ბ^სა^ დღესა
(1859 წ., 2 სექტემბერი)

ესე ნასყიდობის ხელწერილი დაგიწერე და მოგეცით თქვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერმან, სახელმწიფო ყმამან, ივანე, ლაზარე და გიტო დავითის ძეებმან ვასაძემ შენ, გიორგი გიორგის ძე ვასაძეს, მას შინა, რომელ მოგყიდეთ ადგილი მამულიანი გულეფას პირი შენივე ზიარი, ჩემი ხვედრი ხელაღებ მოგაკუთნეთ შენ ადგილი იგი საზრის[1] დადებით საზრამდის, აღმოსავლეთით შენი და გეჯაძის ზიარს ადგილს, საზრებ შვა მდებარე მოგყიდეთ ჩვენი ხვედრი და ფასიც მივიღეთ შენგან ოცდაორი მანეთი და ...[2] ფული... ღმერთმან შვილსა და მომავალს შენსას არა გედავო, არც ჩვენ და არც ჩვენმა ძემა, და მომავალშიც არც ჩვენ მიერ ვინმე გედაოს ჩვენს მოცემულ ადგილშიდ, არამედ გაქვს სრული უფლება გაყიდვის, გაჩუქების, დაგირავების და თვითონ შენთვის სარგებლობისა, საკუთრივ იმა ადგილისა, რომელ შინა ხელს ვაწერთ ივანე, ლაზარე და გიტო ვასაძეები და რადგან მათ წერა არ იციან, მათის თხოვნით, ხელს ვაწერ აზნაური ერდიშილ შევარდნაძე და თვითონ ჯვარს ასუმენ††[3] არიან ამისი მოწმე აზნაური მაქსიმე შევარდნაძე, გიორგი ვასაძე, ივანე ერქომაიშვილი, ჯეგეშე თალაკვაძე

ვწერ და მოწმეც ვარ ამისა აზნაური ერდიშილ შევარდნაძე

---

[1] საზღვრის
[2] დაზიანებულია და რამდენიმე სიტყვა არ იკითხება
[3] დასმულია ორი ჯვარი

5. *1860 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი თავად ვახტანგ და სეილალ მაქსიმენიშვილებსა და სახელმწიფო ყმებს საყვარელ თავართქილაძესა და გიორგი ვასაძეს შორის, ომმ ხელნაწერი ფონდები, შწ №550/14, 2 ფურცელი, დედანი, ზომა 22,5X36, რუხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშანი წერტილი.*

ჩყ̈ ნელსა, მაისს 3ᵇ დღესა (1860 წ., 3 მაისი)

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი. ქუთაისს ღუბერნის. გურის ვეზდნის. ბახვის უჩასტკის. ბახვს მცხოვრებნი კნიაზ ვახტანგ დავითის ძე და მე ჩემი. სეილალ მაქსიმენნისშვილი. ამა მტკიცესა. და ყოველთა დროთა. და ჟამთა მიზეზდაუდებელია ნასყიდობისა. წერილსა. გაძლევთ. თქვენ. ზედ. აღნიშნულსა ქუთაისისა ღუბერნის გურის ვეზდნის ბახვის უჩასტკის. სოფელსა ეწერს და ხარაულ ზედ მცხოვრებსა სახელმწიფო ყმასა საყვარელ ძესა. თავართქილაძესა და გიორგი. გიორგის ძესა. ვასაძესა და ძეთა თქვენთა. მას საფუძველსა. ჩვენ რომელ...[1] სამკვიდროთ კუთვნილი მდებარე მიწა სახელწოდებული. ნაბადი. ეწერის საზღვარი. დადებით. სამოსახლოდ სახელდობრ... საზღვრები. აღმოსავლეთით... ზღუვარს ქუვემოთ ჩრდილოეთით ნაბდისს ღელე ჩამოუვლის. რომელ ჩაერთვის მგელაძისა. საზღვრის ღელეს. ხოლო სამხრეთით მგელაძის საზღვარი და ერთად შეიყრებიან ხაბის ღელე და ხოლო დასავლეთით ერათად[2] შეიყრებიან ამა დანიშნულს. საზღვარსა შუვაშიდ. თქვენ მოგყიდეთ საზღვარ დადებით. ქუვებისა. ჩაყრითა. გარემოებითა სახელწოდებულ ნაბადი. მდებარე მიწა. საფუძველი. სამკვიდროდ საშვილიშვილოდ თქვენდა მოგვიყიდნია. ყოვლის პირის ხელშეუვალად. ფასად მივიღე გულის საჯერაოდ ორმოცი მანათი ვერცხლისა და ამიერიდგან მოგვიყიდია გეკუთნოდეს თქვენ. ხართ. ახალი. მებატონე. ზემო... მიწისა ადგილ-ადგილსა

---

[1] ... აღნიშნული ადგილები დაზიანებულია და არ იკითხება

[2] ერთად

ზედა ვითარცა შთაწერილი არს ამას შინა. იგი ძალითა განცხადებულს საზღვარს შიგნით მოგვიყიდია თქვენდა და ძეთა და მომავალთა თქვენთა გეკუთნოდეს. ყოველსა შემთხვევაშიდ სარგებლობდეთ მას ადგილსა... უკუნისამდე როგორც გსურდეს. გაყიდვით. გინდა დაგირავებით. გიბედნიეროს ღმერთმან. ყოვლისა კაცისა უდევრად. არცა ჩვენდა. არცა მემკვიდრეთა ჩვენთა არა მოგედაოს. უკეთუ ვინმე გარეშე და... კაცნი ვინმე მოგედაოს, ჩვენ მოგაცილოთ უმიზეზოდ ვალდებულებითა ჩვენითა მოწამენი ამისანი არიან. რომელთაცა ხელს აწერენ[1]

ვმოწმობ წერილსა ამას მღუდელი მაქსიმე ჯაში
ვმოწმობ წერილსა ამას აზნაური ბეჟან ასათიანი
ვმოწმობ წერილსა ამას ბასილ წიტაიშვილი
ვმოწმობ წერილსა ამას საბა მგელაძე
ვმოწმობ წერილსა ამას... კილურაძე
ხელს ვაწერ ეტიფანე ვასაძე

ბრძანებითა კნიაზის ვახტან და ძე. მისის სეილალ მაქსიმენიშვილისა. დავსწერე წიგნი ესე ნიკოლოზ იოვანეს ძე მგელაძემ. დავწერე წიგნი ეს დამამტკიცებელი ესე დაამტკიცოს უფალმან... ცხოვრებასა შინა

მოწმობ წერილსა ყმა ივანე კილურაძე
ვმოწმობ წერილსა ამას როსტომ ჟღენტი
ვმოწმობ წერილსა ამას ნიკოლოზ დოლიძე
მოწმობ წერილსა ამას აზნაური ასალო მიქელაძე
ვმოწმობ წერილსა ამას ივანე კალანდაძე
ვმოწმობ წერილსა ამას ხაბია წიტაიშვილი

6. 1861 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერილი თავად დიმიტრი ერისთავსა და ყმა გიორგი ვასაძეს შორის, ომმ ხელნაწერი ფონდები, შნ №550/13, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა

[1] სამი ხელმოწერა არ იკითხება

22,5X36, რუხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, პირველი ფურცელი დალაქულია და დაზიანებული, განკვეთილობის ნიშნები ნერტილი, მძიმე.

ჩყ‹ა›ა ნელსა, ივნისის გ› დღესა (1861 წ., 3 ივნისი)

მე, ქვემორე ამის ხელის მომწერმან, შტაბს კაპიტანმა, კნიაზ დიმიტრი ვახტანგის ძემან ერისთავმან, ესრეთ ხელწერილი მოგეცი თქვენ, ბახვის უჩასტკის, სოფელსა ასკანას მცხოვრებელს, სახელმწიფო ყმას, გიორგი გიორგის ძესა ვასაძეს, მას შინა რომელ, შენ იყავი წინეთ ჩემგან განთავისუფლებული, სახელმწიფო უწყებაშიდ უადგილმამულოდ და ის ადგილი, რომელზედაც დღეს შენ სახლობხარ, მე მეკუთვნოდა, რომელიც შეიცავს...[1] სივრცესა ორ ქცევასა და ეს ადგილი, რადგანაც შენდა მიუცილებლად საჭიროებდა, ამისათვის თხოვნისამებრ შენისა, მე თანახმად გაგიხდი და დაგითმე ის შენი სამოსახლო, ზემოთ განცხადებული ადგილი შემდგომის საზღვრებითა, აღმოსავლეთით ერქომაიშვილის საზღვრით, დასავლეთით ვასაძის საზღვრით, ჩრდილოვეთით ჩხაიძის საზღვრით, ხოლო სამხრეთით შენსავე ადგილამდე, რომელსაც შენ... მოცემულად განაცხადებ, ამა ადგილის ფასად მივიღე მე შენგან შემადგენელი სამოცი მანეთისა, ესე იგი ოცდახუთს მანეთშიდ ადგილი, და ოცდათუთხმეტი მანეთი ფული, რომელზედაც მე კმაყოფილი ვარ და აწ მოგცეს ღმერთმან და გიბედნიეროს შენ და შემდგომთა შენთა საუკუნოთ, რომელზედაც მე და შემდგომი ჩემი და შენ და შემდგომი შენი, არაოდეს ამა ადგილზედ დავა არ გიყოთ და გეკუთნოდეს განსაკუთრებით ყოვლის მისის შესახებლის სარგებლობითა და უკეთუ ვინმე პირმან რაიმე დავა განაცხადოს, მაშინ წინააღმდეგ შემთხევაშიდ პასუხი არ ვაგო და შენ, ვასაძე ყოვლის ხარჯისა და მიმოსვლისაგან თავისუფალი გამყოფო, მას შინა ჩემის საკუთრის ხელის მოწერით გიმტკიცებ შტაბს კაპიტანი ერისთავი

---

[1] ... აღნიშნული ადგილები დაზიანებულია და არ იკითხება

წერილის წერას დავესწარით...[1], გრიგოლ მჭედლიძე, მღუ-
დელი ბესარიონ ჩხაიძე

ამ წერილის მიცემაზედ დავესწარი და თვით ჩემი დაწერი-
ლი არის იოანე მღვდელი შარაშიძე

*7. 1865 წ., მიწის ნასყიდობის ქაღალდი, მიწის ნასყიდობის ხელნერილი აზ-
ნაურ ქიშვარდი გოგიტიძესა და ყმა სამუელ მუჯირს შორის, ომმ ხელ-
ნაწერი ფონდები, შნ №170, რვეულის 1 ფურცელი, დედანი, ზომა
17,5X21, რუხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია,
განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.*

ჩყიე წელსა, მარიამობისთვის კე დღესა
(1865 წ., 25 აგვისტო)

მე, ქვემორე ამა ნასყიდობის ქაღალდზე ხელს მომწერმა,
აზნაურმა ქიშვარდი გიორგის ძე გოგიტიძემ, მოგყიდე თქვენ,
სამუელ მუჯირს, მღვდელი გირკელიძის თანდასწრებით ოჭო-
მაის პირში, ერთი ნაჭერი მიწა, რომლის საფასოდაც მივიღე
რამდენიც გული შემიჯერდებოდა.

ბედნიერი იყოს თქვენდა ეს მიწა, გითავოს ღმერთმა საშ-
ვილიშვილოთ და იბედნიერე მისი ნაწველით.

ხელს აწერს აზნ(აური) ქ. გოგიტიძე
მღვდელი გირკელიძე

*8. 1869 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელნერილი აზნაურებს ნიკ-
ოლოზ, იესე და გიორგი ჭყონიებსა და საბატონო ყმას ნიკოლოზ პატ-
არაიას შორის, ეა, M[2] №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №998.*

ჩყჲთ წელს, თებერვლის ბ[ს] დღესა (1869 წ., 2 თებერვალი)

ჩვენ, ქვემო ამის ხელისმომწერნი, ოზურგეთის ვეზდის

[1] ხელმოწერა არ იკითხება

ლანჩხუთის უჩასტკის სოფელს **ჩიბათს** მცხოვრები, **აზნაური** ნიკოლოზ, იესე და გიორგი ერდიშელის ძენი **ჭყონია**, ამა ნასყიდობის ქაღალდს გაძლევ თქვენ, ამავე ვეზდის და ლანჩხუთის უჩასკის სოფელ ჩიბათს მცხოვრებს, საბატონო ყმას ნიკოლოზ გიორგის ძე პატარაიას და შენს ძეებს ერთობით, მა(ს) შინა, რომელ თქვენი ეზოის გადმოსარებს, თქვენზედ მახლობლათ ჩვენი კუთვნილი ველა ადგილი არის და თქვენ გეკუთნოდა საყიდლად და კიდევაც აღთქმა ქონდათ თქვენ ჩვენგან მოსყიდვისა და ამ რიცხვში დაფასებით მოგყიდეთ, აღმოსავლეთით ხოსო ჭყონიასა და კვეიძის საზღვრამდის. ამ აღნიშნულ საზღვრებშუა მოგყიდეთ და ნასყიდობის **ფასი მივიღეთ თქვენგან ჩვენ, როგორც გული შეგვიჯერდებოდა იმდენი ფული ვერცხლისა.** დღეის შემდგომ მასზე ხართ თქვენ უფალი ჩვენს მოსყიდულ არდგილზედ დაგირავების, გაჩუქებისა, გინა გასყიდვისა. გიბედნიეროს ღმერთმა ძეთა მომავალთა თქვენთა, ჩვენ ძემა და მომავალმა აროდეს აღარ გედაოს, უკეთუ ამ ჩვენს მოსყიდულ არდგილში მოდავე ვინმე აღმოჩთეს, ყოვლის ვარის უთქმელად და მიზეზ შამუტანლათ ჩვენ მოგარიდოთ და შენ არავითარ საჩივარს შინა არ გაგიშვა, რომელსა ზედა ჩვენს საკუთარს ხელს ვაწერთ აზნაური ნიკოლოზ და ესე ჭყონია, რადგან ნიკოლოს და ესემ წერა არ იცოდნენ, მათ მაგიერ და ჩემს მაგიერადაც ხელს ვაწერ აზნაური გიორგი ჭყონია, მოწმობ წერილსა ამას კავალერი აზნაური ბეგლარ ჭყონია, მოვწმობ წერილსა თანავე აზნაური იესეთ ჭყონია, ამის მოწამე ყმა ლიპარა პატარაია, ზემო განცხადებული აზნაურის და ყმის თხოვნით ვსწერ და მოწამე ვარ აზნაური ტაია ჭყონია.

9. 1875 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ჯაბა და ტელმაგ გურიელებსა და ყმა ფარნაოზ მოისწრაფეშვილს შორის, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №87.

ჩყოე წელსა, აპრილის იე დღესა (1875 წ., 15 აპრილი)

ჩუენ, ქუემორე ხელისმომწერნი, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის უეზდის მცხოვრებნი, კნიაზ ჯაბა და ტელმაგ და-

ვითის ძე გურიელები გაძლევთ ამა პირობის წერილს ნენ, ოზურგეთის ეუზდის და სოფლის ჩოჩხათის საზოგადოების მცხოვრებს, ყმას ფარნაოზ იოვანეს ძე მოისწრაფეშვილს, მას შინა, რომელ ჩუენ შენ კეთილნებობითა ჩუენითა კუთნილ ჩუენამდი ველა ადგილი მდებარე ჩოჩხათის სახელწოდებით – ტპა შავის პირი, შემადგენელი ორი ქცევა და ნახევარი, ისაძღურების აღმოსავლეთით მერაბა მოისწრაფეშვილის მიწითა, დასავლეთით ისევ ჩუენი გურიელების მთა, ჩრდილოეთით და სამხრეთით ქასრაძეების მიწითა, ხოლო ეს ზემოთ მცხადი ველა ადგილი მოგყიდეთ ჩუენ, გურიელებმა შენ, მოისწრაფეშვილს, რომლის ფასად მივიღე ორმოცდაექუსი მანეთი ვერცხლისა ფულით, რაზედაც ვიკურით ჩუენ შენთან, პირველი, უკეთუ თუმცაღა საჭიროდ ჰპოებ და მოითხოვ ჩუენგან დამტკიცებას ამა ჩუენ მიერ მოსყიდულს ადგილშიდ სადაც ჯერ არს დამტკიცებად, ვალდებული ვართ დაგიმტკიცოთ ეხლანდელის არსებულის კანონისამებრ, მევორედ, უკეთუ ხსენებულს ადგილშიდ ვინმე მოდავე მოგადგეს და გედავოს, ვალდებული ვართ ესრეთი მოდავე მოგაცილო და შენ თავისუფალ გყო ყოველის შრომის და პასუხისგებისაგან, მესამედ, უკეთუ გან ვიდრევე და ვერ შეგისრულო ზემოაღწერილი პირობები, იმ შემთხვევაშიდ ვალდებული ვართ შენ მიერ მიღებული ორმოცდაექუსი მანეთი თავისდამი შესახუედრი კანონიერი სარგებლით უკანვე დაგიბრუნო და აგრეთვე ყოველივე ზიან ზარალი და ხარჯი ჩემის მიზეზით მომხდარი ამ საგანზედ მოგიზღოთ, ხოლო ამა ველა ადგილშიდ მოშენებული და შენი ხელით ნამოქმედი რაც იქუნება, მოგიზღოთ და კიდევაც ადგილის ნაცდურისაგან ხელ აღებული ვიყოთ, რასა შინა ხელს ვაწერთ ჯაბა გურიელი, ტელმაკ გურიელი, რომელ ნამდვილ საკუთრის ხელით ხელმოწერილ არს კ(ნიაზ) ჯაბა და ტელმაგ გურიელებისა, მას შინა ხელის მოწერითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდითა ვემოწმები 1875 წელსა, აპრილის 15 დღესა

ჩოჩხათის საზოგადოების მამასახლისი ბეჟან ნადირაიშვილი

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით

10. 1877 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ყმებს გიტო თავართქილაძესა და დიმიტრი ნიკოლაიშვილს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №5182/4, 1 ფურცელი, პირი, ზომა 19,5X28, თეთრი ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი მძიმე.

ჩყოზ[ა] წელსა, აგვისტოს 28 დღესა (1877 წ.)

მე, ქვემორე ხელის მომწერელი, მცხოვრები ბასილეთის საზოგადოებაშიდ, ყმა გიტო იესეს ძე თავართქილაძე, გაძლევ ამა ნასყიდობის წერილს შენ, ასკანის საზოგადოებაშიდ მცხოვრებს, ყმას დიმიტრი გიტოს ძე ნიკოლაიშვილს, მას შინა, რომელ მოგყიდე საკუთნელი ჩემდამი ადგილი მდებარე ამავე საზოგადოებაშიდ, სოფელს ოცხანას, სახელწოდებით ოჩოჩხა, საზიარო ივაკი თავართქილაძისა, სივრცით ერთი ქცევა, საზღვრებს შორის, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით პეტრე თავართქილაძის, დასავლეთით შენის და სამხრეთით ივაკი თავართქილაძის მიწით, ეს ადგილი შეცული საზღვრებთა შორის ჩემი შესახვედრი მესამედი ნაწილი მთელის ადგილისა მოგყიდე და საფასე ოცი მანეთი ვერცხლისა უკვე მიღებული არის ჩემ მიერ, ამისათვის გეკვრი, აწ აღნიშნული ადგილი შეადგენდეს შენდა საკუთრებად სამუდამო სამფლობელოზედ საკუთრებად შენდა, რაზედაც არ გედავო მე და არცა შემდეგი ჩემი, თუმცა ვინმე მოდავეთ აღმოჩნდება, უნდა მოგაცილო საკუთრის ჩემის ხარჯით და საშვალებით, კიდევაც გაკუთნო ჩემი ადგილი კანონიერად შესრულებით, მაზედ ჯეროვანს ადგილზედ კანონიერსა

სიგელისა და უკეთუ თქმული ადგილი ჩემგან ანი ვინმესგან ჩამოგერთმევა, იმ შემთხვევაშიდ ვალად ვიდგენ მიღებული საფასო ადგილისა ოცი მანეთი შენდა სასარგებლოდ დავაბრუნო, აგრეთვე დაგაკმაყოფილო ყოველს ხარჯსა და ზარალშიდ, არდგილის ნაცდურისა ვერ მოვითხოვ და უკეთუ შენის მოქმედებით ადგილი სასარგებლო შეძენილობა დაგრჩება, იგიც შეფასებით გიზღო ყოველ მიზეზის გარეშე, მას შინა ხელს ვაწერთ გიტო თავართქილაძე, რადგან მან წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ხელს ვაწერთ სიმონ კუტუბიძე

მოწმეთ ვართ ამისა ეფრემა თავართქილაძე

სიმონ კილურაძე

ივანე თავართქილაძე

ვწერ თავართქილაძის თხოვნით გიტო თავართქილაძე, რომელ ნამდვილად ამა ნასყიდობაზედ უწერილობის გამო გიტო თავართქილაძისა, მისი თხოვნით, მის მაგიერ ხელის მწერელიც, რადგან კუტუბიძისაგან სურდა აგრეთვე მოწმეებთაგანი, მას შინა ხელის მოწერაზედ დასმით სახელმწიფო ბეჭდისა[1], 18 აგვისტოს, 1877 წელსა, ბასილეთის საზოგადოების მამასახლისი გოგიბერიძე

11. 1878 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი თავად ჯაბა გურიელსა და ყმა ფარნაოზ მოისწრაფეშვილს შორის, ეა M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №88.

1878 წელსა, დეკემბრის 22-ს დღესა

მე, ქვემორე ამის ხელის მომწერი, მცხოვრები ოზურგეთის უეზდშიდ ს(ოფელ) ჩოჩხათის, **კნიაზ ჯაბა დავითის ძე გურიელი** გაძლევ ამა პირობის ხელწერილს თქვენ, მცხოვრებს

[1] ბეჭედი არ არის დასმული

ს(ოფელ) **ჩოჩხათს, ყმას ფარნაოზ მოისწრაფეშვილს** მას შინა, რომელ მე, გურიელმან შენ, მოისწრაფეშვილს გამოგართვი **ოცდათოთხმეტი** მანეთი **ვერცხლისა** და ამ ფულშიდ მოგეცი კუთვნილი ჩემდამი მიწა **ერთი ნაკვეთი,** ზომით, მაგალითებრ, (პირველი) სახელწოდებული ტბაშავის (მიწა) პირი: ექვსას სამოცდაერთი ქცევა-ნახევარი (sic): შემცველი შემდეგის საზღვრებითა, აღმოსავლეთით შენი მიწით, დასავლეთით კვალადვე მიწით, ჩრთილოეთიდ ინგოროყვას მიწით და სამხრეთით გურიელის მიწით და აწ გეკვრი ამა პირობითა, რომელ უკეთუ, ამა ჩემ მიერ გადმოცემულ მიწაზედ ვინმე მოცილე გახთეს, ის მოცილე პირი მე მოგაშორო და ყოვლიმ დავის და ხარჯისაგან განთავისუფალი გყო, აგრეთვე გეკვრი ამა პირობითა, რომელ თუმცა ეს პირობის ხელწერილი ოდესმე შევშალო და არ დავიცვა კანონიერის მოქმედებაშიდ, იმ შემთხვევაშიდ ვალდებული ვარ ჩემ მიერ მიღებული ოცდათოთხმეტი მანეთი უკანვე დაგიბრუნო და მიწის ნაკვებურზედ ხელაღებული ვიქმნე. ამასთანავე ვიკვრი ამა პირობითა, რომელ თუმცა შენ, ქასრაძე მომთხოვ დამტკიცებას ამა მიწის ჯეროვანს ადგილზედ, ვალად ვიდებ თავის თავზედ შენი, ქასრაძის ხარჯითა დაგიმტკიცოთ იმ კანონიერის ნაყიდობითა ჯეროვნად და მას შინა ხელს ვაწერ **ჯაბა გურიელი**

რომელ ამა პირობის ხელწერილზე ნამდვილ ხელს აწერს კნიაზ ჯაბა გურიელი, მას შინა სახელმწიფო ბეჭდის დასმითა ვამოწმებ 1878-ს წელს, 22 დეკემბერს

ჩოჩხათის სოფლის მამასახლისი ქასრაძე

დამოწმებულია მურის ერთი მრგვალი და მეორე კუთხოვანი ბეჭდით.

12. 1879 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ყმა პეპუნა ქასრაძესა და ფარნაოზ მოისწაფეშვილს შორის, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №89.

1879 წელსა, თებერვლის 11 დღესა

მე, ქვემორე ამის ხელის მომწერი, მცხოვრები ოზურგეთის უეზდის ჩოჩხათის საზოგადოების[1], მესაკუთრე ყმა პეპუნა სიმონის ძე ქასრაძე გაძლევ ამა პირობის ხელწერილს თქვენ, ამავე უეზდის და სოფლის ფარნაოზ მოისწრაფეშვილს მას შინა, რომელ მე, ქასრაძემ მოგყიდე კუთვნილი ჩემდამი მიწა, სახელწოდებით ნადაური, ნახევარი ნაწილი შენ, მოისწრაფეშვილს, შემცველი შემდეგის საზღ(ვ)რებითა, აღმოსავლეთით თეოფანე მოისწრაფეშვილი, დასავლეთით ქასრაძე, ჩირდილოეთით კვალად ქასრაძე და სამხრეთიდ მოისწრაფეშვილის მიწებით, და ფასი ამა მიწისა მივიღე მე შენგან ორმოცი მანეთი ვერცხლისა და აწ გეკვრი ამა პირობითა, რომელ უკეთუ ამა ჩემს მიერ მოსყიდულ მიწაზედ ვინმე მოდავე აღმოჩნდეს, იმ შემთხვევით ვალდებული ვარ ქასრაძე ის მოცილე პირი ამა მიწისა მოგაშორო, მიწა ეს შენვე დაგაშთინო, აგრეთვე ვიკვრი ამა პირობით, რომელ თუმც ეს პირობის ხელწერილი შევშალოთ ოდესმე და არ დავიცვად კანონიერის მოქმედებაში, ვალდებული ვარ ქასრაძე თქვენ მიერ მიღებული ფული ორმოცი მანეთი უკანვე დაგიბრუნო და მიწის ნასარგებლევზედ ხელაღებული ვიქმნე, თვინიერ უფლის მიზეზითა, ამასთან გეკვრი ამა პირობითა, რომელ, უკეთუ ქასრაძეს მოისწაფეშვილი მოგკითხავ დამტკიცებასა ამა მიწისა ჯეროვანს ადგილზედ, იმ შემთხვევით ვალდებული ვარ ქასრაძე დაგიმტკიცო მოისწრაფეშვილს იმ კანონიერის პრაეკტითა. შენი, მოისწრაფეშვილის, ხარჯითა და მას შინა ხელს ვაწერ პეპუნა ქასრაძე, რადგან მან წერა არ იცის, მის მაგიერ თხოვნით ხელს ვაწერ მე, კოსტანტინე ტიკარაძე.

რომელ პირობის ხელწერილზედ უცოდინარობისა გამო წერისა, მის მაგიერ ნამდვილ ხელს აწერს კოსტანტინე ტიკარაძე, ამას შინა სახელმწიფო ბეჭდებით დასმითა ვამოწმებ 1879

---

[1] დღევანდელი სოფ. არჩეული – (მ.ვ.)

ნელ(ი)ს, 11 თებერვალს

ჩოჩხათის სოფლის მამასახლისი ქასრაძე

დამოწმებულია მურის ერთი მრგვალი და მეორე კუთხოვანი ბეჭდით.

13. 1885 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერილი ყმებს შევარდენ, დათიკო და მელიტო ლომაძეებსა და ყმა გაბია ლომაძეს შორის ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №1012.

ათას რვაას ოთხმოცდახუთსა წელსა, დეკემბრის ოცდაორსა დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმან, მცხოვრებმან სოფელს ჩიბათს, **მესაკუთრე** ყმამან შევარდენ, დათიკო, მელიტო ლომაძენმა მოგყიდეთ შენ, ჩემსავე სოფლის მცხოვრებს, **მესაკუთრე** ყმა გაბია სიმონის ძე ლომაძეს **ერთი ნაკვეთი მიწა** მდებარე ეზოში საძღვრებთა შორის: აღ(მოსავლეთით) ჩვენივე მიწით, დასავ(ლეთით), ჩრ(დილოეთით) და სამხრეთით შენივე მიწით და ფასი დღესვე მივიღეთ სრულად, ესე იგი **ევქსი მანეთი**. გარდმოგეცით მდებარე მიწა ესე ყოველივე უფლებით, რომლითაც ჩვენ გვაქვს და გეკვრით ესრეთ პირობითა, რომელ თუმცა მოდავე გამოჩნდეს, ვალდებული ვართ შენ მიერ გამოცემული ფულები უკანვე დაგიბრუნოთ და შტრაფათ **ხუთი მანეთი** მოგიზღოთ და არც მიწის ნაცთური მოგთხოვოთ, მას შინა ხელს ვაწერთ მელიტონ ლომაძე, რადგან მან წერა არ იცის, მის მაგიერ და ჩემს მაგიერადაც ხელს ვაწერ შევარდენ ლომაძე, დათიკო ლომაძე.

ამ ნასყიდობის დაწერაზედ დავესწარი და კიდევაც ვემონ-

მები დასმითა საზოგადოების ბეჭდითა, კეთილსინდისიერი ა. პატარაია

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით

14. 1886 წ., პირობა, მიწის ნასყიდობის ხელწერილი აზნაურებს დავით და ალმასხან შარაშიძეებსა და სეხნია და ოქროპირა კიკვაძეებს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №5183/4 1 ფურცელი, დედანი, ზომა 22X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ლურჯი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.

პირობა

1886 წელსა, მარტის 21 დღესა

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერლები, ერკეთის საზოგადოებაშიდ მცხოვრებნი, **აზ(ნაური)** დავით და ალმასხან იესეს ძე შარაშიძეები, გაძლევთ ამა პირობის ხელწერილს ნაყიდობისას თქვენ, სურების საზოგადოებაშიდ მცხოვრებს, სეხნია და ოქროპირა **კიკვაძეებს**, მას შინა, რომელ ჩვენ, შარაშიძემ, მოგყიდეთ პირობაშიდ მოხსენებული ადგილები ორ ნაკვეთათ, თანახმათ მოხსენიებულ პირობაშიდ სამძღვრებით...[1] და ფასი მივიღეთ ამა ორივე ნაკვეთი მიწისა ოცდაათი მანეთი. დღეის რიცხვიდამ ეს ადგილი დარჩა საუკუნო უფლებაშიდ შენ ხელში ყოველივე, შესახებ უფლებით და ჩვენ მიერ...[2] ყოველივე ხარჯეულობა ამ მიწაზედ, უკეთუ პირობა შეგიშალოთ ნაყიდობაზედ, რომელიმე მუხლშიდ განცხადებულ ნასყიდობაში და არ ვიქნეთ აღმასრულებელი სიტყვითი სიტყვამდე, არამედ იქმნეს დარღვეული ჩვენ მიერ, გეკვრით ამა პირობით, რომ მაშინ ვალდებუ-

[1] რამდენიმე სიტყვა არ იკითხება
[2] ერთი სიტყვა არ იკითხება

ლი ვართ შენგან მიღებული ფასი უკლისად და ზედმეტათ დაგიბრუნო, 2) პირობის აღუსრულებლობისათვის გადაგიხადოთ შტრაფი ასი მანეთი, 3) რამდენი დღე დაგაცდინოთ პირობის დარღვევაზედ დღეშიდ მოგცეთ ორი მანეთი...[1] ქაღალდის შტრაფიც ჩვენ გადავიხადოთ 5) და პირობა ეს იქნება შესული თავის ძალაში, მას შინა ხელს ვაწერთ

მოწმეები ვართ[2]

სინამდვილესა ხელის მოწერისა ამა პირობაზედ აზ(ნაური) დავით და ალმასხან შარაშიძეები, ვამოწმებ ხელის მოწერითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა 1886 წელსა, მარტის 21 დღესა

სურების საზოგადოების მამასახლისი ლომინეიშვილი

დამოწმებულია მურის ორი მრგვალი ბეჭდით, რომლებზედაც წარწერები არ იკითხება.

15. 1889 წ., ნასყიდობის ხელწერილი, მიწის ნასყიდობის ხელწერილი აზნაურ ბეჟან შარაშიძესა და ყმა სიმონ ჩხიკვაძეს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №5182/1, 2 ფურცელი, ბოლო გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 22X35, ნაცრისფერი ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.

ნასყიდობის ხელწერილი

ათას რვაას ოთხმოცდაცხრა წელსა, მარტის
ოცსა რიცხვსა

ჩვენ, ქვემორე ამას ზედა ხელისმომწერი, ერკეთის საზოგადოებაშიდ მცხოვრები, აზნაური ბეჟან ქაიხოსროს ძე შა-

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება
[2] ხელმოწერები გაურკვეველია

რაშიძე, გაძლევ ამა ხელწერილს შენ, მცხოვრებს, ამავე საზოგადოებაშიდ და სოფელ ბუკისციხეშიდ, **მესაკუთრე ყმას** სიმონ დავითის ძე **ჩხიკვაძეს**, მას შინა, რომელ მე, აზნაურმა ბეჟან შარაშიძემ, მოგყიდე ჩემი კუთვნილი ერთი ნაკვეთი მიწა მდებარე ერკეთის საზოგადოებაშიდ სოფელ ბუკისციხეშიდ შენ, სიმონ დავითის ძე ჩხიკვაძეს, სახელდობ „ატბანა", საძღვრებთა შორის, აღმოსავლეთით ნოლი, ლუკა ჩხიკვაძე და კალანდაძე, დასავლეთით ამბაკო გურგენიძე და ჩხიკვაძე, სამხრეთით მდინარე სუფსა და ჩრდილოეთით გურგენიძის საძღვრამდე, ზომით, მაგალითებრ, **სამი ქცევა-ნახევარი**. ამ საძღვრებში მოხსენიებული მიწა მოგყიდე მე, შარაშიძემ, შენ, ჩხიკვაძეს, და საფასო მისი მივიღე შენგან **ოთხასი მანეთი ვერცხლის ფული** და ვარ სრული კმაყოფილი. აწი ეს ადგილი გეკუთვნის შენ, ჩხიკვაძეს, დაშთების სრულს შენ უფლებაშიდ და სარგებლობაშიდ. გინდ გაყიდი, გინდ გააჩუქებ, გინდა გაამგზითვებ, სრული შენი ნებაა. არ გედაო არც მე და არც მომავალმა და მემკვიდრემ ჩემმა, არც შენ და არც მემკვიდრესა შენსა და უკეთუ გარეშე პირმა გამოგედაოს ამ ჩემ მიერ განაყიდ ადგილზედ, ყველა მოდავისაგან მე დაგიფარო და შენ თავისუფალი გყო ამა ადგილითა და პირველ მოთხოვნილებაზედ სამი წლის ვადაშიდ დაგიმტკიცო ნოტარიუსის წესით შენის ხარჯით და ჩემის საშვალებით და უკეთუ ეს ადგილი ჩამოგერთვას რომელიმე მიზეზით, იმ შემთხვევაშიდ მე, შარაშიძე, ვალდებული ვარ შენი მოცემული ოთხასი მანეთი თავნი ფული უკლისად დაგიბრუნო და მასთან პირობის დარღოვისათვის მოგცე ორასი მანეთი და მასთან მოგიზღო ყოველი ხარჯი პრაგონი[1] და უღერბო ქაღალდის პოშლინა[2] და არც არავითარი მიწის ნასარგებლევი შენგან არ მოვითხოვო და მას შინა ხელს ვაწერ აზნაური ბეჟან შარაშიძე, რადგან მან წერა არ იცის, მისის თხოვნით, მის მაგიერ ხელს ვა-

---

[1] რუს. прогон – აქ: სამგზავრო ქირა, საგზაო ფული, საგზაო ხარჯი
[2] რუს. пошлина – ბაჟი, გადასახადი

ნერ ბესარიონ მაჭავარიანი.

მოწმედ დავესწარი აზნაური ანტონ შარაშიძე, მოწამეთ დავესწარი შარაშიძე, ნიკოლოზ ჟღენტი.

რომელ ნამდვილსა ზედა უწერილობისა მასა ბეჟან შარაშიძის ხელმოწერილ არს ბესარიონ მაჭავარიანი, მას შინა ვემოწმები სახელმწიფო ბეჭდითა ერკეთის საზოგადოების მამასახლისი ხალამპრე შარაშიძე

დამოწმებულია მელნისფერი ორი მრგვალი ბეჭდით, რომლებზედაც წარწერები არ იკითხება

16. 1889 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერილი სახელმწიფო ყმებს ილარიონ და ნიკო ორაგველიძეებს შორის, ეა, M ² № 38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №950.

1889 წელსა, ივლისის 24 დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელისმომწერმა, ლანჩხუთის საზოგადოებისა, **სახელმწიფო ყმამა**, ილარიონ გიორგის ძე ორაგველიძემ, გამოგართვი თქვენ, ამავე სოფელსა შინა მცხოვრებს, ნიკო მახარბელის ძე ორაგველიძეს, **ოცდაორი მანეთი** ვერცხლისა ფული საჭიროებისა ჩემისა და ემ ფულებში გარდმოგეცი ჩემი უფლება ერთი ნაკვეთი არდგილი, მდებარე ლანჩხუთის საზოგადოებაში, სახელწოდებით **„ნაბუკარა"**, სივრცით, მაგალითებრ, **მესამედი ქცევა**, საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით ლუკა ორაგველიძე, დასავლეთით სიმონ მანკტავა და დიმიტრი ორაგველიძე, ჩრდილოეთით გიორგი ჟორდანია და სამხრეთით ჩოყო[1] და გეკური შემდგომის პირობით. 1. მე ჩემის მიზეზით ეს არდგილი არ ჩამოგართვა და უმართლოთ მოდავე პირიც მოგა-

[1] თუ ნოყო – (მ. ვ.)

ცილო, თუ ამა პირობას არ დავიცავ, არდგილს ჩამოგართმევ, იმ შემთხოვაში ვალდებული ვიქნები მიღებული ფულები კანონიერის სარგებლით მიგიბრუნო, არდგილის ნასარგებლევი არ მოვითხოვო და თუ რამე ნამოქმედი გექნება იმა მიწაზედ ორის კაცის შეფასებით მოგიზღო. თუ გაჩივლებ, ამაზედ მომხთარი ხარჯი, ცთენა და შრომა ყოველივე მე ვზღო, მას შინა ხელს ვაწერ ილარიონ ორაგველიძე, რადგან მან წერა არ იცის, მისი თხოვნით, მის მაგიერ ხელს ვაწერ ონისიმე ორაგველიძე.

მოწამე ვარ მე, პავლე იმნაიშვილი, რომელ ნამდვილ ამა ხელწერილზედ წერა უცოდინარობისა გამო და ილარიონ ორაგველიძისა თხოვნით, მის მაგიერ ხელმოწერილ არს ონისიმე ორაგველიძე, მასზედა ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა, 1889 წ., სექტემბრის 10 დღესა.

ლანჩხუთის სოფ(ლის) მამასახლისი აბხაძე

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით

17. *1889 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერილი თავად ალექსანდრე მაჭუტაძესა და ივანე მშვიდობაძესა და თეოფილე წულაძეს შორის, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №3, საინვ. №611/289, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X36,5, დაწერილია გერბიან „Актовая бумага"-ზე, ცისფერი ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები ნერტილი, მძიმე, ბრჭყალები.*

ათას რვაას ოთხმოცდამეცხრესა წელსა, ოკტომბრის ხუთსა დღესა

მე, ქვემორე ამის ხელისმომწერმა, მცხოვრებმან ქუთაისის ღუბერნიის ოზურგეთის უეზდისა და ნიგოითის საზოგადოების, თავადმა ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძემ, მოგეცით

ესე „საპროდაჟნი" (sic) ზაპისი თქვენ, ამავე გუბერნიის უეზდის და საზოგადოების მცხოვრებს, ივანე გიტოს ძე მშვიდობაძეს და თეოფილე შევარდენის ძე წულაძეს, მას შინა, რომელ მოგყიდე კუთვნილი ჩემდამი მამულიანი ადგილი, მდებარე ამავე ნიგოითის საზოგადოებაშიდ სოფელ ჩოლობარგს, სახელწოდებით ბეგო, ზომით, მაგალითებრ, რაც ოცი კვადრატნი საჟენი საზღვრებთ შორის, აღმოსავლეთით სტანციაზე მიმავალი შარით, დასავლეთით ტიფონე მახარობლის ძე ფილიას მიწით, ჩრდილოეთით ჩემივე ადგილით და სამხრეთით მაქსიმე ჭიჭილეიშვილის ადგილით. ეს ზემოხსენებული საზღვრებსა შინა მდებარე ადგილი მოგყიდე სრულად ფასად სამას ოც მანეთად, რომელიც კიდევაც მივიღე დღესვე მე, მაჭუტაძემ, თქვენ, მშვიდობაძისა და წულაძისაგან და ვალდებული ვარ დღეიდან მოკიდებული მოთხოვნისთანავე თქვენ, მშვიდობაძის და წულაძისა, ამა ადგილის შესახებ შეგიდგინო კანონიერი ნასყიდობა, სადაცა ჯერ არს თქვენის ხარჯითა და აგრეთვე გეკვრით ამა პირობით, რომელ უკეთუ მე ან სხვა ვინმე პირთაგან ამ ადგილის შესახებ დავა დაგიწყოს სუდის ან ადმინისტრაციის შემწეობით, გადმოცემული ჩემ მიერ ნასყიდობით უფლება შეგიმციროს, მაშინ ჯარიმა გარდავიხადო სასარგელოთ თქვენდა ორასი მანეთი ფული და აგრეთვე ყოველივე ხარჯი და ზარალი, რომელიც წარმოსდგება ჩემის მიზეზით, ამა პირობის შესრულებისათვის და მასთან დღეს ჩემ მიერ მიღებული სამას ოცი მანეთი უკანვე დაგიბრუნოთ და ამ რიგით გეკვრი, ყოველივე მე და შენ მოცილე პირები მოგაცილო და ყოველივ საშუალება ვიხმარო ამ თქვენი საკუთრების უფლების დაცვისთვის და დამტკიცებისათვის სუდში და ნოტარიუსთან, ერთი სიტყვით, სადაც საჭირო იქნება, რასა შინა ხელს ვაწერ პროპორშჩიკი ალექსანდრე მაჭუტაძე, რომ ნამდვილად ამა ადგილის ნასყიდობის პირობის ხელწერილზე პროპორშჩიკის, თავადის ალექსანდრე მაჭუტაძის მიერ საკუთრის ხელით ხელმოწერილ არს, მას შინა ხელს ვაწერთ ჩემით და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისად, ვემოწმები ოკტომ-

ბრის 5 დღესა, 1889 წელსა

ნიგოითის საზოგადოების მამასახლისის თანამდებობის აღმსრულებელი კანდიდატი...[1]

ესე ნარსია

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „Нигоитского сел. общ. Озу. уъезд."

18. *1890 წ., სიგელი, მინის ნასყიდობის ხელწერილი თავად მამია გურიელსა და აზნაურებს ბესარიონ და გიორგი ჭყონიებს შორის, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. 6, საინვ. №4058/2653, 2 ფურცელი, დედანი, ზომა 22X36, დანერილია გერბიან „Актовая бумага"-ზე, ცისფერი ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, ტექსტი რუსულ და ქართულ ენებზე პარალელურად, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.*

სიგელი

ათას რვაას ოთხმოცდამეათესა წელსა, მაისის
ცხრამეტსა დღესა

კნიაზი მამია დავითის ძე გურიელმან შევკარი ესე სიგელი ქუთაისის სააზნაურო დეპუტატ შეკრებილებასა შინა, კუთნილის მის მიერ აზნაურს ბესარიონ და გიორგი მათეს ძე ჭყონიას, მას შინა, რომელ თავადმა გურიელმა დაუტოვე ფლობილი მას შინა აზნაური ბესარიონ და გიორგი ჭყონიებს ადგილ-მამული უძრავ-მოძრავი მფლობელი მათ მიერ დღემდის ამა თავადობისათვის. თავადმა გურიელმა მივიღე აზნაური ჭყონიებისგან 100 მან(ეთი) ვერცხლისა ფული, რა ამაზედ არც თავადი და არც მემკვიდრენი მისი დატოვებულს ჭყონიები მამულზე ვეღარ შე-

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

გეცილებიან, აზნაური ბესარიონ ჭყონია, რადგან მან წერა არ იცოდა, მის მაგიერ და ჩემ მაგიერ ხელს ვაწერ...[1] ჭყონია

დამოწმებულია ნოტარიუსის ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „печ. нотар. Озург. уъзд. Г`еорг Кежерадзе"

19. 1892 წ., ნასყიდობის ხელწერილი, მიწის ნასყიდობის ხელწერილი აზნაურ ჟოჟიკო ჭყონიასა და ესე და გაბია ლომაძეებს შორის, ეა, M[2] № 38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №1020.

ნასყიდობის ხელწერილი

1892 წელსა, 1 აპრილსა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმა, **აზნაურმა ჟოჟიკო** ნიკოლოზის ძემ **ჭყონიამ** მოგყიდე ესე და გაბია ლომაძნებს[2] ჩემი ნაწილი ესე იგი **მესამედი ალაგისა**, რომელიც მდებარეობს სახელდობრ **ნაჯოლევში** და შემდეგ საძღვრებში: აღმოსავლეთით გიტარია ლომაძის და პავლე ზენაიშვილის მიწით, დასავლეთით გაბია ლომაძის მიწით, ჩრდილოეთით ესეკი ჯორბენაძის მიწით, სამხრეთით აზნაური ივლიანე ჭყონიას და ვასო გურიელის მიწით და **სივრცით** არის, მაგალითებრ, **ნახევარი ქცევა** და მივიღე ამ ზემოხსენებული ადგილის ფასად ოცდაათი (30 р.) ნაღდი ვერცხლისა ფული და ვალდებული ვარ, თუ აღმოგიჩთეს ვინმე მოდავე, ყველა შემთხვევის გარეშე მოგაცილო და უკეთუ ვერ მოგაცილო და ადგილი ჩამოგართვან, იმ შემთხვევაში ვალდებული ვარ თქვენი ფული უკან დაგიბრუნო და თუ მიჩივლო ყველაფერი ხარჯი და ზარალი მოგიზღო და არც ად-

---

[1] სახელი არ იკითხება
[2] ლომაძეებს

გილის ღალა მოგთხოვო. მას შინა ჩემს საკუთარ ხელს ვანერ ეოეიკო ჭყონია.

რომელ ამა პირობაზედ თვისს საკუთრის ხელმოწერილია აზნაური ეოეიკო ჭყონია, მას შინა ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა ვამოწმებ 1 აპრილს, 1892 წელს

ჩიბათის ს(ოფლის) საზოგადოების მამასახლისი გოგიჩაიშვილი

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით

20. *1893 წ., კვიტანცია, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ყმებს არსენ ერქომაიშვილსა და გიორგის ვასაძეს შორის, ომმ ხელნაწერი ფონდები, შწ №550/9, 2 ფურცელი, დედანი, ზომა 22,5X36, რუხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, ერთი ფურცელი ოდნავ დაზიანებულია, მეორე ცარიელი ფურცელი ძალიან დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.*

კვიტანცია

1893-სა წელსა, ოკტომბრის 20-სა დღეს

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერი, მცხოვრები ოზურგეთს, ყმა იგი არსენ სიმონის ძე ერქომაიშვილი, ამა ფულების მიღების კვიტანციას გაძლევთ თქვენ, მცხოვრებს ასკანის საზოგადოებაშიდ სოფელსა გვაბრათს, ყმას გიორგის ძეს ვასაძეს...[1], რომელ დღემანდელს რიცხვს დაწერილის პირობით მოგყიდე შენ კუთვნილი ჩემდამი ვენახიანი ადგილი, სახელწოდებული ბეგო და ამ ადგილის საფასური იმ პირობაშიდ მოხსენიებულია სამასი მანეთი ნაღდი ვერცხლისა ფული. ის სამასი

[1] დაზიანებულია და არ იკითხება

მანეთი, ესე იგი ოცდაათი თუმანი, დღეს მივიღე ნაღდათ უკლისად და ვარ სრული კმაყოფილი შენგან, რასა შინა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ მე, არსენ სიმონის ძე ერქომაიშვილი.

რომელ ნამდვილ ხელმოწერილ არის ამა კვიტანციაზედ საკუთრის ხელი არსენ ერქომაიშვილი, მას შინა ხელის მოწერით ჩემითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმითა ვემოწმები 20-სა ოკნტომბერს, 1893-სა წელსა.

ასკანის სოფლის საზოგადოების მამასახლისი კვაჭანტირაძე

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით, რომელზეც წარწერა არ იკითხება.

21. 1894 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ყმა გიორგი იმნაიშვილსა და ნიკო ორაგველიძეს შორის, ეა, M² № 38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №952.

ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტს წელის, ივნისის
ექვს დღესა

მე, ქვემორე ამისი ხელს მომწერმა, მცხოვრებმა ლანჩხუთის საზოგადოებაში, ოზურგეთის ვეზდის, ქუთაისის გუბერნიის **ყმა** გიორგი ესეს ძე **იმნაიშვილმა** გარდმოგეცი კუთვნილ ჩემდა ერთი ნაკვეთი ადგილი შემდგომის პირობით შენ, მაგავე გუბერნიის, ვეზდის და საზოგადოების მცხოვრებს, ნიკო მახარბელის ძე ორაგველიძეს მოგეცი ეს შინაგანი პირობა ამაზედ, რომ იმნაიშვილმა გადმოგეცი **კუთვნილს** ჩემდა ერთი ადგილ უფლება კუთვნილება ჩემი სამუდამოდ შენ, ორაგველიძეს, მდებარე ადგილ მაგავე საზოგადოებაშიდ **სახნავ-სათესი მიწა არეულის საჩეხი წკნელიანით**, სახელდობრ **მურვანეთი**, ზომით, მაგალითებრ, **ორი ქცევა**, საძღვრებთა შორის-აღმოსავ-

ლეთით სასოფ(ლ)ო შარა და ბზეკალავას მიწით, დასავლეთით ფილიპე და სხვა იმნაიშვილების მიწით, ჩრთილოეთით ბესია ორაგველიძის მიწით, სამხრეთით დათა და სხვა იმნაიშვილების მიწით, ეს აღნიშნული საძღვრებს შიგნით მდებარე მიწა არის ზიარი ფარნა და მისი ძმების ივანეს ძე იმნაიშვილების საზიარო, რომლისაგან მე ამაში სახელდებულ გიორგი ესეს ძე იმნაიშვილს მეკუთვნის დღემდე მრთელს ნახევარი მიწა, შემადგენელ, მაგალითად, ზომით არანაკლები ორი ქცევისა, ეს აღნიშნული ადგილის მრთელის ნახევარი, ე. ი. მრთელი ჩემი და ჩემი სამემკვიდრნი ნაწილი მრთელად, გარდმოგეცი იმნაიშვილმა ორაგველიძეს ყოველნაირი უფლება, პატრონობა, სარგებლობა, კუთვნილება და სამუდამოდ ფ(ლ)ობელობა შენდა სასარგებლოთ საკუთნელად გინდა სხვა პირზედ ამ საგანზედ გარდასაცემად, გინდ გასაჩუქებლად, და გინდ გასანიჟარევებლად (sic) (?) ერთის სიტყვით, ყოველნაირ შენდა ნებაზედ სახმარად და სასარგებლოდ, რომლისათვის მე, იმნაიშვილმა დღესვე მივიღე აღნიშნულს **ადგილს საფასოდ ფასი ნაღდი რვა თუმანი,** ე. ი. **ოთხმოცი მანათი ნაღდი ვერცხლისა ფული,** შენ, ორაგველიძისაგან, მრთელს ჩემზედ საკუთნელის ფასად. აწ დღეის რიცხვიდგან გაქვს სიმართლე ჩემ მაგიერ ორაგველიძეს აღიდგინო უფლება და კუთვნილება სამუდამოდ შენდა და შენი შემდგომისათვინ ზომით ხსენებულს სიტყვებისამებრ, არა გედაო მე, არცა ჩემმა მემკვიდრემ, ძმამა, გინა სხვა პირმა და ეს არდგილ არის დამიჯნულ ჩემს სახელზედ, მოზიარენთა რიცხვთა შორის, მაგრამ რითაც საშვალობა მოხერხთება მე გარდმოგცემ თქვენ, ორაგველიძეს და გინდ ამ გარდმოცემითაც გაქვს ჩემგან, გინა ჩემ მაგიერ სხვამ და გინა მემკვიდრემ, ძემ, თუ სხვამ ჩემის მიზეზით და მოხერხებით რაიმე შეგიშალოს უფლება, გინა კუთვნილება, იმ შემთხვევაში მე ამ თავიდან ვკისრულობ და ვიღებ თავის თავზედ ყოველნაირის გარდახთით პასუხისგებას და შენს განთავისუფლებას დაკლებიდგან ამაშიდ მოხსენებულის სიტყვებისასა, მასთან შესაძლოა ჩემგან, გინა მემკვიდრეე-

ბიდგან ეს გარდმოცემა ამ მიწის თაობაზედ დაგირღვიო, გინა დაგირღვიონ და ჩამოგართვას, გეკვრი ამ პირობით, რომ შენგან მიწის ღალა ე. ი. სარგებელი არ მოვითხოვო, მასთან შეიძლება რაიმე ზედ ჭირნახულ და გინა გაშენებულ და აშენებულ რაიმე დაგირჩეს ჭირნახულობის, ორი კაცის შეფასებით ერთი ორად მოგიზღო და აშენებული შენობა ამ საზოგადოებაშიდ, სადაც მიბრძანებ, იქ ჩემის ხარჯით გადაგიტანო და შენგან მიღებული რვა თუმანი დღიდგან მოცემამდე კანონიერის სარგებლით მოგიზღო და თუმც გაჩივლო, მაშინ შენგან მიღებულს ოთხმოცს მანეთზედ მეორე ოთხმოცი მანეთი შტრაფათ შენდა სასარგებლოდ დაგიმატო, სულ შემადგენელ ას სამოცის მანათის ნაღდის ფულების მოცემით შესახებ იმ მთავნის რვა თუმანის პრაცენტითურთ მოგიზღო და ათი შტრაფი უღერბო ქაღალდის და კანონიერი აკტის შტრაფი მე გარდავიხადო და შენ, ორაგველიძე, არაფერ დაკლებაშიდ არ მოგცე და შემთხუვაზედ სადაც სამაჟევნიო ადგილზედ წარადგენ საქმეს და მოითხოვ ჩემგან პასუხისგებას გარდახთით, მე ყოველგან თანახმა ვარ იმნაიშვილი, რაისთვის დღეს ნაღდათ მივიღე ამაშიდ მოხსენებული ოთხმოცი მანეთი ნაღდი და ამაშინ დაწერილის სიტყვების ძალა მესმის სიტყვითი სიტყვამდე, რომელს სიმტკიცისათვის ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ, მე, გიორგი ესეს ძე იმნაიშვილი, მოწმეთ დავესწარი ამ ნასყიდობას მე, სიმონ იმნაიშვილი, მოწმეთ დავესწარი დიმიტრი ორაგველიძე,

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც წარწერა არ იკითხება.

22. 1894 წ., კვიტანცია, მიწის ნასყიდობის ხელწერილი რევაზ და კოსტანტინე ერქომაიშვილებსა და ყმა გიორგი ვასაძეს შორის, ომმ ხელნაწერი ფონდები, შწ №550/10, დედანი, ზომა 22,5X36, 2 ფურცელი, მეორე

ფურცელი ცარიელია, რუხი ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, მეორე ფურცელი დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.

კვიტანცია

1894-სა წელსა, ივნისის 9-სა დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, მცხოვრებნი ქალაქს ოზურგეთს, რევაზ ივანეს ძე ერქომაიშვილი და ძე მისი, კოსტანტინე, ამა ფულების მიღების კვიტანციას გაძლევთ თქვენ, მცხოვრებს ასკანის საზოგადოებაშიდ, ყმას გიორგი გიორგის ძეს ვასაძეს მას შინა, რომელ დღევანდეს რიცხვს დაწერილის პირობით მოგყიდე მე შენ ერთი ნაკვეთი ადგილი სახელწოდებული ბეგო, მდებარე ასკანის საზოგადოებაშიდ, იმ პირობაშიდ მოხსენიებული ადგილის საფასად – 500 მანეთი. ის ხუთასი მანეთი ჩვენ დღეს ნაღდათ მივიღეთ უკლისად და ვართ სრული კმაყოფილი, რასა შინა ჩვენს საკუთარს ხელს ვაწერთ რევაზ ერქომაიშვილი, რადგან რევაზ ერქომაიშვილმა წერა არ იცოდა, მის მაგიერ, მისის თხოვნით და ჩემს მაგიერადაც ხელს ვაწერ ძე მისი, შვილი კოსტანტინე რევაზის ძე ერქომაიშვილი, რომელ ნამდვილ ამა კვიტანციაზედ ხელმოწერილი აქვს საკუთრის ხელი ნაცვლად რევაზ ერქომაიშვილისა, შვილის მისის კოსტანტინ ერქომაიშვილისაგან, მას შინა ხელის მოწერითა ჩემითა და სახელმწიფო ბეჭდის დასმით ვემოწმები 12-ს ივნისს, 1894 წელს.

ასკანის სოფლის საზოგადოების მამასახლისი კვაჭანტირაძე

დამოწმებულია მურის მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც წარწერა არ იკითხება.

23. 1895 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერილი ქიშვარდი შარაშიძესა და ივანე და ფარნაოზ ჩხიკვაძეებს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №5182/2, ორი ფურცელი, ბოლო სამი გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 22X35, ცისფერი ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები მძიმე, ორწერტილი.

1895 სა წელსა, ოკტომბრის 15სა დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელისმომწერი, ოზურგეთის ვეზდის ერკეთის საზოგადოების მცხოვრებნი (ციხეს) სოფელ ანეულში, ქიშვარდი ზურაბის ძე **შარაშიძე**, გაძლევთ ამა ადგილის **ნასყიდობის** პირობის ხელწერილს, თქვენ, მცხოვრებს ამავე უეზდისა და საზოგადოებისა, სოფელ ციხეს, ივანე და ფარნაოზ გლახუნის ძე ჩხიკვაძეებს მას შინა, რომელ ხსენებულ ქიშვარდიმ დღევანდელს რიცხვსა **მოგყიდეთ** ჩემდა კუთვნილი **ერთი ქცევა – ნახევარი,** მაგალითად, და ფასად **ორმოცდათოთხმეტ** მანეთად (54 р.) მდებარე ადგილი ამავე საზოგადოებაში, სახელწოდებული **ბარნალის თავი,** პირქცეულა საზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით დიანოსე ჩხიკვაძე, დასავლეთით და სამხრეთით სიმონ ჩხიკვაძე, და ჩრდილოეთით შუა ღელე. ესე ხსენებული აღნიშნული ადგილი მოგყიდეთ მე, ქიშვარდი შარაშიძემ, თქვენ, ივანე და ფარნაოზა ჩხიკვაძეებს, და ფასიც მივიღეთ დღეს ნაღდი თქვენგან ამა ადგილის საფასოთ ორმოცდათოთხმეტი მანეთი ფული და ვარ სრული კმაყოფილი და აწი დღიდგან გეკუთვნით თქვენ და ამას თქვენს საკუთრებასა, როგორც გინდათ, ისარგებლოთ ყოველგვარად და მე არა მაქვს არავითარი შესახები მიზეზი, ამა ჩვენ მიერ მოსყიდულ ადგილშიდ დღიდგან, და არც გედავოთ, არც მე და არც ჩემმა მომავალმა, არცა თქვენ და არცა თქვენს მომავალსა და უკეთუ სხვა ვინმე პირი მოდავე მოგადგეთ ჩემის მიზეზით და მე მოგაცილო და თქვენ თავისუფალი გყო ამა ადგილის დარჩენით და აგრეთვე, როცა მომთხოვთ თქვენ – ჩხიკვაძები, მოვალე ვარ მე, გამომყიდველი, რომ ეს ადგილი დაგიმტკიცო სადაც ჯერ არს და

არც მიწის სარგებლობა მოვითხოვო და თუ თქვენი სურვილი იქნება თქვენის ხარჯით და ჩვენის საშვალებით ყოველის მიზეზის გარეშე და...[1] ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ აზ(ნაური) ქიშვარდი შარაშიძე

ვწერ და მოწამეცა ვარ[2]

24. *1899 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი გიორგი და გრიგოლ გორდელაძეებს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №4868/1, ერთი ფურცელი, დედანი, ზომა 17X22, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი ორნერტილი.*

1899[სა] წელსა, თებერვლის 16[სა] დღესა

მივიღე მე: გიორგი გორდელაძემ: შენ: მამაჩემის გირგოლ გორდელაძისაგან: სამოცი მანეთი საფასო იმა ადგილისა: რომელიც შენ მე მომეცი ფარდშიდ: ჩემს წილში: სახელდობრ ნაჯოლიერევშიდ და დიდ ბერაშიდ: ორი ქცევის და ვარ სრული კმაყოფილი: რასა შინა ხელს ვაწერ გიორგი გორდელაძე.

25. *1901 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი თავად ივანე მაჭუტაძესა და ილარიონ ლომაძეს შორის, ეა, M[2] № 38, მას. 4, დაწერილია ღერბიან ცისფერ ქაღალდზე, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №961.*

1901 წელსა, იანვრის 29 დღესა

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერმა, ოზურგეთის უეზდის

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

[2] ხელმონერილია გაურკვევლად

სოფლის ნოგოითის მცხოვრებმა, **თ(ავად)მა ივანე ალექსანდრეს ძე მაჭუტაძემ** მოგყიდე **ასოც მანეთ ვერცხლის ფულად** (120) შენ, ამავე უეზდის და სოფლის შუხუთს მცხოვრებს, **ილარიონ გიორგის ძე ლომაძეს** კუთვნილი ჩემდამი, ჩემის **დროებით ვალდებულის ყმის,** უძეოდ გარდასულის, საბა ესეს ძის ბზეკალავას, დანაშთი ადგილები, რომელნიც ამას ქვემორე აღიწერებიან:

1) **„საბა ბზეკალავას ეზო" ერთი ქცევა და 153 კვადრატნი საჟენი,** რომელიც ისაზღვრება ირგვლივ ყმების ბზეკალავების ადგილებით და რომლიდგანაც მე მეკუთვნის ნახევარი ნაწილი, შემადგენელი 526 1/2 კვადრ(ატული) საჟენისა.

2) **ვენახიანი მაღლარი,** სახელდობრ **„ცემორა"**, სივრცით 544 კვადრ(ატული) საჟ(ენი), საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით ესე, დასავლეთით და სამხრეთით აბრამა ბზეკალავების მიწამდის და ჩრდილოეთით ვასილ ასკურავას ადგილამდის, რომლისგანაც მე მერგება ნახევარი ნაწილი 272 კვადრატ(ული) საჟენი.

3) **ნასაძლევი სივრცით 567 კვადრ**(ატული) საჟ(ენი), საზღვრებთა შორის – აღმ(ოსავლეთით) როსტომა, დასავლ(ეთით) და ჩრდ(ილოეთით) აბრამა ბზეკალავების ადგილამდის და სამხრეთით ზევარიკა ასკურავას ადგილამდის, რომლისაგან მე მეკუთვნის მეოთხედი ნაწილი, შემადგენელი 141 2/3 კვადრ(ატული) საჟ(ენი).

4) **შუხუთი 400 კვადრ(ატული) საჟენი,** საზღვრებთა შორის აღმ(ოსავლეთით) და ჩრდილ(ოეთით) აბრამა, დასავ(ეთით) სტეპანა და სამხრეთით საბა ბზეკალავების ადგილებამდის, რომლისაგან მე მეკუთვნის მეოთხედი.

5) **სახნავ-სათესი ადგილები,** სახელდობრ **ცეკვათი, ერთი ქცევა და 200** კვადრ(ატული) საჟენი, საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით კიმოთა იმნაიშვილის, დასავლეთით და ჩრდი-

ლოეთით კნიაზ მაჭუტაძის და სამხ(რეთით)...[1] საგანაც მეოთხედი მეკუთვნის.

6) **ცეკვათი 650 კვადრ(ატული) საჟ(ენი), საზღვრებთა შორის** – აღმ(ოსავლეთით) მაქსიმე ბზეკალავა, დასავლ(ეთით), ჩრდილ(ოეთით) და სამხრ(ეთით) კნიაზ მაჭუტაძეებისაგან, მე მერგება ნახევარი ნაწილი.

7) **სახოხბია ერთი ქცევა** და **ხუთასი კვადრ(ატული)** საჟენი საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით როსტომა ბზეკალავას ადგილამდის, დასავლეთით და ჩრდილ(ოეთით) გოგია ფირცხალაიშვილის და სამხრეთით მაქსიმე იმნაიშვილის ადგილებამდის, ამისგანაც ნახევარი მე მერგება.

8) **ვონჭიქედი 450 კვადრ(ატული) საჟ(ენი),** ისაზღვრების ადგილებით – აღმოსავლეთით და დასავლეთით კნიაზ მაჭუტაძის, ჩრდილ(ოეთით) სტეფანა ფირცხალაიშვილის და სამხრ(ეთით) სტეფანე ბზეკალავას, რისგანაც ნახევარი მე მერგება.

9) **გურვანეთი ერთი ქცევა და 450 კვადრ(ატული) საჟ(ენი),** რომელიც ისაზღვრების ადგილებით – აღმოსავლეთით გაბილა ჩხაიძის, დასავლეთით მაქსიმე ბზეკალავას, ჩრდილ(ოეთით) ბოლქვაძე და სამხრეთით სიმონა ბზეკალავას, რისგანაც ნახევარი ნაწილი მერგება, შემადგენელი 675 კვადრ(ატული) საჟენისა

10) **ნაკვეთი „ლაშის პირი" სივრცით 500 კვადრ(ატული) საჟენი,** რომელიც ისაზღვრების – ირგვლივ ყმები იმნაიშვილების მიწებით, ამისგანაც ნახევარი მეკუთვნის და სულ ყველა ჩემ მიერ მოსყიდულის ადგილების ზომა, მაგალითებრ, **ოთხ ქცევას და 590 1/6** კვადრ(ატულ) საჟენისას და დღეის რიცხვიდგან ამას ზემორე აღწერილი ადგილების ჩემი წილი გეკუთვნის შენ, ლომაძეს აღწერილ საზღვრებშიდ იმ მონაწილეობით, როგორადაც მე მეკუთვნოდა და გაქვს უფლება **გასყიდო, გაა-**

---

[1] გამოტოვებულია ადგილი (მ. ვ.)

ჩუქო, გინა დააგირაო, რაზედაც არც მე და არც შემდგომნი ჩემნი არავითარს დავას გიყოფთ. საფასე ამა ადგილებისა ას ოცი მანეთი ვერცხლისა ფული ამ თავით მივიღე სრულიად და ვალდებული ვარ, უკეთუ შენ, ლომაძე, მოისურვებ, ნასყიდობა ესე შეგისრულო კანონიერად შენის ხარჯით მოთხოვნილებისამებრ შენისა, რასა შინა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ თ(ავა)დი ივანე ალექსანდრეს ძე მაჭუტაძე.

26. 1901 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი არსენ და ნიკო ორაგველიძეებს შორის, ეა, M² № 38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №959.

1901 წელსა, თებერვლის 7 დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერი, მცხოვრები ლანჩხუთის საზოგადოებისა, **ყმა** არსენ მახარბელის ძე ორაგველიძე ამა პირობით ხელწერილს გაძლევ შენ, ამავე საზოგადოების მცხოვრებს, ნიკო მახარბელის ძე ორაგველიძეს მას შინა, რომელ სურვილითა ჩემით გამოგართვი ნაღდი **ოცდახუთი მანეთი ვერცხლის ფული** და ამ ფულებში გარდმოგეცი ჩემი ნანილი ნაკვეთი მიწისა **შენივე საზიარო, სახელწოდებით ცახლაური,** სივრცით, მაგალითებრ, **ნახევარი ქცევა,** საზღვრებთა შორის: აღმ(ოსავლეთით) მიწა მერაბა ორაგველიძისა, დასავლეთით მიწა ალექსანდრე ორაგველიძის და სამხრეთითაც, ჩრდილოეთით მიწა ალექსანდრე ფირცხალაიშვილის და ალექსანდრე ორაგველიძის, ამ საზღვრებს შიგნით შესულ ნახევარს, ე. ი. ჩემი წილი გადმოგეცი შენ, ნიკო ორაგველიძეს **საუკუნო სამფლობელოთ და შენი სურვილისამებრ** მოსახმარად, გეკვრი პირობით, დღიდგან არ გედავო და სხვა მოდავე პირიც მე მოგაცილო **გარდა ხაზინისა,** და უკეთუ ვინმე დაგედავება კერ-

ძო კაცი ჩემი მხრით და ვერ მოგაცილებ, გინა მე ჩამოგართმევ, ვალდებული ვიქნები დღეს მიღებული ოცდახუთი მანეთი მოგიბრუნო, ადგილის ნასარგებლევი არ მოვითხოვო, სხვა თუ გადაგახთიებს მე გიზღო, თუ რამე შენგან ნაშენი, გინდა ნამოქმედი გექნება, ორი კაცის შეფასებით გიზღო, თუ გაჩივლებ ყოველივე ხარჯი და შრომა მე გიზღო და მასთან დაუცველობისათვის ამა პირობის აზრისა ათი მანეთი შტრაფიც გიზღო, აზრი ამის გვესმის და მას შინა ხელს ვაწერ არსენ ორაგველიძე.

27. 1901 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერლი რუსუდან და პავლე ორმოცაძეებს შორის, ლმნ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №2, საინვ. №511/228, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X36, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.

1901[სა] წელსა, მარტის პირველსა დღესა

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი, ნიგოითის საზოგადოების სოფელ ჭყონაგვარაშიდ მცხოვრები, გარდაცვალებულის შვადია ორმოცაძის ობლების და ქონების აპეკუნშა რუსუდან ორმოცაძისა, ფირცხალაიშვილის ქალი, ამა ადგილის ნასყიდობის პირობის ხელწერილს გაძლევ შენ, ამავე საზოგადოების და ამავე სოფლის მცხოვრებს, პავლე ლაზარეს ძე ორმოცაძეს, მასზედ, რომ მე, აპეკუნშამ რუსუდან ორმოცაძისამ, მოგყიდე ჩემი სააპეკო ერთი ნაკვეთი ადგილი საზიარო შენ, პავლე ორმოცაძისა, სივრცით მთელათ, მაგალითებრ, ერთი ქცევა, სახელწოდებით ნასახლევი, ისაძღვრების აღმოსავლეთით სამასვლელო (sic) გზამდის და შენ, პავლეს საზიარო ადგილამდის, დასავლეთით ივლიანე და ერასტო ორმოცაძენის მიწით და სამხრეთით ლევან და ნიკო გოგვაძეების მიწით. ამ საზღვრებშიდ მდებარე არდგილისაგან ჩემი სააპეკო კვინილი (sic) (?) არის

მთელის მეოთხედი ნაწილი. ეს ჩემი ნაწილი მე, აპეკუნშამ რუსუდანმა, მოგყიდე ფასად ათი მანეთის და ნაღდი ვერცხლისა ფულათ შენ, პავლე ორმოცაძეს, რომელიც ეს ფული დღესვე მივიღე სრულათ შენ, პავლესაგან, დღეიდგან გეკუთვნის ისე, როგორათაც სხვა შენი საკუთრება. გასყიდი, გააჩუქებ, გინდ დააგირავებ, ხარ სრული უფალი. დღეიდგან პატრონი, რომელზედაც ვერასოდეს...[1] სრული უფლებით ვერც მე და ვერც ჩემი სააპეკო ობლები ვერ მოგედავება, ვერც შენ და ვერცა შემდგომთა შენთა და გეკვრი მე, აპეკუნშა რუსუდან, რომ ამ ჩემგან მოსყიდულ მიწაზედ თუ ვინმე მოდავე მოგადგება, მე მოგაცილო ჩემის ხარჯით და თუმც მოდავე პირისაგან ვერ დაგიფარავ, ან თვით მე ვისურვებ ჩამორთმევას ამა ჩემგან მოსყიდული ადგილისა, მაშინ მოვალე ვარ მიღებული შენ, პავლესაგან ათი მანეთი ფული დღეიდგან კანონიერი პროცენტი დაგიბრუნო, ადგილის ნასარგებლევის გარდასახადისაგან გაგათავისუფლო ჩემის ბარობით და მასთან შტრაფად სასარგებლოთ შენ, პავლეს მეორე ათი მანეთი გარდავიხადო. გარეშე ამისა, კიდევ მოვალე ვარ, რომ თუ ჩამორიგების დროს ამ ჩემგან მოსყიდულ მიწაზე ვენახისაგან ნაშენობა ორი კაცის შეფასებით ერთად ყველა გარდაგიხადო ზარალი და ნადგამობა თუ ზედ გექნება აგებული იმის აშლის და გარდატანის ქირა, ისიც ორი კაცის შეფასებით, ზარალი რაც შესდგება გიზღო, გასაჩივრების დროს მსაჯულის განკარგულებით, ყველა ამეებში ერთად იქნე დაკმაყოფილებული შენ, პავლე, და როცა მომთხოვო ამა ადგილის შესახებ კანონიერი ნასყიდობაც ამისა შეგისრულო შენის ხარჯით, იქ, სადაც ჯერი იქნების. მას შინა ხელს ვაწერ მე, აპეკუნშა შვადია ორმოცაძის ობლებისა, რუსუდან ორმოცაძისა, ფირცხალაიშვილის ქალი, რადგან წერა არ იცის, მისის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით პირისპირ, მის მაგიერ ხელს ვაწერ მე, გიორგი ორმოცაძე, რომელ ნამდვილ ამა ადგილის ნასყიდობის

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

პირობის ხელწერილზედ აპეკუნშა რუსუდან ორმოცაძის, ფირცხალაიშვილს ქალის წერის უცოდინარობისა გამო მის მაგიერ ხელმოწერილი არის გიორგი ივანეს ძე ორმოცაძის მიერ, მას შინა ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისა 1901 წელსა, მარტის 4ᲡᲐ დღეს

ნიგოითის საზოგადოების მამასახლისი ხიტირი

დამოწმებულია მელნისფერი მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „Старшина Нигоитс. сел. общ. Озург. уъзд. Кут. губ."

28. *1903 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ეკატერინე ცხვარაძე-კიკვაძესა და ონოფრე, ფილიპე და სამსონ კიკვაძეებს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №5183, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 23X36,5, ნაცრისფერი ქაღალდი, დანერილია, „Актовая бумага"-ზე, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორწერტილი.*

1903 წელსა, ივნისის 2 დღესა

მე, ქვემოდ ხელის მომწერმა, მცხოვრებმა სურების საზოგადოებაშიდ ძირითად და საპაიჭავოის საზოგადოებაში, ეკატერინე **ცხვარაძე-კიკვაძისამ**, ესე კიკვაძის ასულმა, ჩემი ნებაყოფლობით და სურვილით მოგყიდე შენ, სურების საზოგადოებაში მცხოვრებს, ონოფრე, ფილიპე და სამსონ სეხნიას ძე კიკვაძენს **სამი ნაკვეთი** ადგილი მდებარენი სურების საზოგადოებაშივე, სახელწოდებულნი „ნაწისქვილევის" საზიარო მერაბ დარსალია, ერთი მესამედი ზომით, მაგალითებრ, **ორი ქცევა**, ჩემი ნაწილი ან მეტი, ან ნაკლები, საძღვრებით: აღმ(ოსავლეთით) ბარამიძე და ბიბინეიშვილი, დასავლ(ეთით) დიმიტრი კიკვაძე და ბარამიძე, სამხრ(ეთით) შარა და გორი, ჩრდილ(ოეთით)

ბიბინეიშვილი და ბარამიძე 2. ...[1], საზიარო თქვენი და პეტრე კიკვაძის, ერთი მესამედი, ზომით, მაგალითებრ, ჩემი მოსყიდული ერთი ქცევა, ან მეტი, ან ნაკლები, საძღვრები: აღმ(ოსავლეთით) სეხნია და ოქროპირ კიკვაძენი, დასავლეთით კიკვაძე და ბიბინეიშვილი, სამხრ(ეთით) ბიბინეიშვილი და ჩრდილ(ოეთით) კიკვაძენი და ბარამიძე და 3. ნაკვეთი საზიარო პეტრე და ანტონ კიკვაძენის, ერთი მესამედი ჩემი ნაწილი ზომით, მაგალითებრ, ჩემი ნაწილი, ქცევის ორი წილი, ან მეტი, ან ნაკლები, საძღვრები: აღმ(ოსავლეთით) ოქროპირ, სეხნია და ავთანდილ კიკვაძენი დასავლ(ეთით) მაქსიმე თვალაბეშვილი და სიმონ კიკვაძე, სამხრ(ეთით) თვალაბეშვილი მაქსიმე და ჩრდილოეთით სიმონ კიკვაძე. მოხსენიებული ადგილების ჩემ წილში მივიღე დღეს ნაღდათ თორმეტი თუმანი (120 ₽.). დღიდგან მოხსენიებული ადგილების ჩემი ნაწილი გეკუთვნით თქვენ, მოხსენიებულ კიკვაძენს, შეგიძლიათ გაყიდოთ, გააჩუქოთ, დააგირავოთ, ერთი სიტყვით, მოისარგებლოთ, როგორც თქვენი სურვილია. მე და ჩემმა მემკვიდრეებმა არ გედაოთ არც თქვენ და არც თქვენ მემკვიდრეებს. თუ მოდავე მოგადგეს მოგაშორო, ჩემი საბუთები საჭიროების დროს მოთხოვნისთანავე მოგახმარო, მეუევოის სუდში განვამცხადო სიტყვით და წერილობით მოხსენიებულნი ადგილების ჩემი წილი თქვენ სახელზე, რათა გადარიცხონ. ყოველივე ზემოთ მოხსენიებულნი დავიცვა სიტყვითი სიტყვამდე, უკეთუ რომელიმე მუხლი ზემოდ მოხსენიებულისა ვერ შევასრულე და დავრჩი დამრღვეველი, იმ შემთხვევეში შენგან მინაღები ფული თორმეტი თუმანი თავისი ნამთავნით უკანვე დაგიბრუნო, ადგილის ნაწველი არ მოვითხოვო, რასა შინა ხელს ვაწერ ეკატერინე ცხვარაძე-კიკვაძისა, ესე კიკვაძის ასული, წერის უცოდინარობისა გამო მისისა, მის მაგიერ, მისის თხოვნით ხელს ვაწერ[2]

---

[1] დაზიანებულია და არ იკითხება
[2] ხელმოწერილია გაურკვევლად

სინამდვილეს ამას ვემოწმები მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისა

1903 წლის ივნისი

საპაიჭაოს საზოგადოების მამასახლისი სპირიდონ თვალაბეშვილი

დამოწმებულია მელნისფერი მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „Старшина Сапаичав. сел. общ. Кут. уъзд".

29. 1906 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი გრიგოლ, ალექსანდრე და ვარლამ ჭყონიებსა და აქვსენტი მოისწრაფეშვილს შორის, ეა, M[2] № 38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №2673.

ათას ცხრაას ექვსა წელსა, მარტის (20) ოცსა დღესა

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერლებმა, **ძმათა** გრიგოლ, ალექსანდრე და ვარლამ დიმიტრის ძე **ჭყონიებმა,** მოგყიდეთ თქვენ, აქვსენტი ფარნაოზის ძე **მოისწრაფეშვილს,** ჩემდამი კუთვნილი მიწა **ნასახლევი,** სახელდობრ **„ჩიჩქინათი"**, მდებარე ჩოჩხათის საზოგადოებაში, ზომით **ცხრა ქცევა**, ესე იგი რვა ათასი კვადრატნი საჟენი, ფასათ თითოეული **ქცევა ოცდაერთ მანეთათ** და 11 1/9, შემადგენელი ას ოთხმოცდაათი მანეთისა (190), რომელიც დღესვე მივიღეთ ნაღდათ, რისთვისაც გაძლევთ ამა პირობას, რომა ეს მამული, საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით აწ განსვენებული ფარნაოზ მოისწრაფეშვილის, სოლომონ ტუღუშის და გონიკა კუპრაძის მიწით, დასავლეთით იმავე ფარნაოზის მიწით, სამხრეთით მამანტი და სეფე ქასრაძეების, კნ(იაზ) ვასო გურიელის, ჩვენივე და ესე ღლონტის მიწით, ჩრდილოეთით კონია ივანეს ძე ტუღუშის მიწით, ხოლო ამ მამულს აქვს შამოვლებული ირგვლივ თხრილი:

გეკვრით თქვენ, მოისწრაფეშვილს, საკუთრებათ საშვილიშვილოთ ვართ, ყოველი მოდავე პირი ჩვენის მხრიდგან ჩვენ ჩამოგთხოვოთ, ადგილი ესე მოგიზომოთ, როცა ორნივე მოვისურვებთ და საჭირო იქნება ჩაგაბაროთ მხოლოდ ეს ცხრა ქცევა მინა. ჩვენ ჭყონიებს გვესმის ძალა და ჰაზრი (sic) ამა პირობისა, ჩვენი ვალია შეუშლელათ დავიცვათ, წინააღმდეგ შემთხოვაში სამასი მანეთი ჯარიმა მოგცეთ მყიდველს თქვენგან მიღებული ფულების დაბრუნებაში და ყოველი ხარჯი გიზღოთ ორი კაცის შეფასებით და პირობა მაინც ძალაში რჩება. ამასთანავე დღიდგან ცხრა წლის განმავლობაში, თუ მოისურვებთ ვალდებული ვიქნებით ჭყონიები თქვენ მყიდველის ხარჯით დაგიმტკიცოთ ჯეროვან ადგილზედ.

ხელს ვაწერთ ა. ჭყონია, გრიგოლ ჭყონია, ვარლამ ჭყონია.

30. 1906 წ., უსათაურო, მინის ნასყიდობის ხელწერილი ეგვიტო ორმოცაძეს, პავლე ორმოცაძესა და ჯარისპან სიხარულიძეს შორის, ლმმ ხელნაწერი ფონდები, ფ. 11, საქ. №2, საინვ. №501/218, 2 ფურცელი, მეორე გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 22X36, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე.

1906 [სა] წელსა, მაისის 1 [სა] დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელისმომწერი, ნიგოითის საზოგადოების სოფელ ჭყონაგვარაში მცხოვრებელა, აპეკუნშა გარდაცვალებულის მაქსმენ ორმოცაძის ობლის და მამულისა ეგვიტო ორმოცაძისა, კინტრაძის ქალი, ამა ადგილის ნასყიდობის პირობით ხელწერილს გაძლევ თქვენ, ამავე საზოგადოების სოფელ ჭყონაგვარისავე მცხოვრებთ, პავლე ლაზარეს ძე ორმოცაძეს და ჯარისპან ქიშვარდის ძე სიხარულიძეს, მას შინა, რომელ მე, აპეკუნშამ, კინტრაძის ქალმან, მოგყიდე ჩემი სააპეკო

ობლების კუთვნილი ერთი ნაკვეთი ადგილი მდებარე ნიგოითის სოფელ ჭყონაგვარაშიდ სახელწოდებით ჩიტილა, სივრცით, მაგალითებრ, აღმოსავლეთით და სამხრეთით თვით შენ, პავლე ორმოცაძის მიწით, ჩრდილოეთით კვალადვე შენ, პავლე ორმოცაძის და ჩემი და ნიკო ფირცხალაიშვილის მიწით და დასავლეთით ღელით და ჟოჟიკაიშვილის მიწით. ამ საძღვრებში მდებარე ადგილი მოგყიდე თქვენ, ორმოცაძეს და სიხარულიძეს ფასად ოცდახუთ მანეთად ნაღდი ვერცხლის ფულით; ეს ფულები მე, აპეკუნშამ, კინტრაძის ქალმან, დღესვე მივიღე სრულათ თქვენგან. დღეიდგან ეს არდგილი ჩემი უფლებით მოგყიდე, გეკუთნის თქვენ ისთე, როგორც სხვა თქვენი საკუთრება, გაქუსთ სრული უფლება და ნება გაყიდით, გააჩუქებთ, გინდ დააგირავებთ, ხართ სრული უფალი უპატრონოთ, რომელზედაც ვერასოდეს ვერც მე, აპეკუნშა, და ვერცა შემდგომი ჩემი ვერ მოგედავება, ვერცა თქვენ და ვერცა შემდგომთა თქვენთა. შესაძლო დარჩა დაგედავა ჩემმა მებატონემ ართმელაძემან ან სხვა გარეშე პირებმან ან ჩემი მემკვიდრისაგან, მე, აპეკუნშა, ვარ ვალდებული მოდავენი და მოცილენი პირები მოგაშორო ჩემი საკუთარი შტრაფით და ხარჯით, თუმც მოდავე პირს ვერ მოგაშორებ ან მოცილესთან ისევ თვით მე ვისურვებ ჩამოშორებას ადგილისა, მაშინ გეკვრი ამ პირობით მე, აპეკუნშა, კინტრაძის ქალი, მიღებული თქვენგან ოცდახუთი მანეთი ფული დღეიდგან კანონიერი სარგებლით დაგიბრუნო, ადგილის ნასარგებლევი არ მოგთხოვო და ამ პირობის დაუცველობისათვის მეორე ოცდახუთი მანეთი შტრაფი გარდავიხადო კვალადვე თქვენდა, ორმოცაძის და სიხარულიძის სასარგებლოდ. ამასთან, როდესაც მე, აპეკუშა შევასყიდო ჩემი მებატონისაგან მიწა ადგილების ნადელში წერებულის, მაშინ ეს ადგილი უსასყიდლოთ დაგიტოვოთ თქვენ, ორმოცაძეს და სიხარულიძეს, ზედმეტი ფასი არ მოვითხოვო. დღეს მივიღე თქვენგან სრული ფასი; ამასთან გეკვრი რომ ჩამორთმევის დროს ან ნაგებობა, ორი კაცების შეფასებით ზარალი ერთი ორად გიზღო ან ნასყიდობა ამა ადგილისა შეგის-

რულო თქვენის ხარჯით, სადაც ჯერი იქნების, გასაჩივრების დროს ერთად ფული ამაებზედ იქნეთ დაკმაყოფილებული თქვენ, ორმოცაძე და სიხარულიძე...[1] განკარგულებით, რაზედაც სრულის ჩემის ნებით ხელს ვაწერ მე, აპეკუნშა ეგვიტი ორმოცაძისა, კინტრაძის ქალი, წერა არ იცის, მის მაგიერ, მისი თხოვნით ხელს ვაწერ მე, ზოსიმე ორმოცაძე. რომელ, ნამდვილ ამა ადგილის ნასყიდობის პირობის ხელწერილზედ მქვრივის ეგვიტი ორმოცაძისა, კინტრაძის ასულის წერის უცოდინაროობისა გამო, მის მაგიერ ხელმოწერილ არს ზოსიმე ორმოცაძე და სარწმუნებლად ვემოწმები ხელის მოწერითა, დასმითა სახელმწიფო ბეჭდისა 1906 ᲬᲐ წელსა, მაისის 1ᲬᲐ დღესა

ნიგოეთის საზოგადოების მამასახლისი ე. ფირცხალაიშვილი

დამოწმებულია მელნისფერი მრგვალი ბეჭდით, რომელზედაც იკითხება: „Старшина Нигоитск. сел. общ. Озург. уезд. Кут. губ".

31. 1910 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი კნეინა ციცინო დადიანის ასულ ერისთავსა და ყმა როსაპა მეფარიშვილს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №4868/2, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 23X37, ნაცრისფერი ქაღალდი, დაწერილია „Актовая бумага"-ზე, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ბრჭყალები.

ათას ცხრაას ათსა წელსა, იანვრის 25 დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერელა, დროებით მცხოვრებელა ქალაქ ზუგდიდშიდ, კნეინა ვარლამ მიხაილის ძის ერისთავისა, ციცინო დადიანის ასული, გაძლევ ესრეთ **ნასყი-**

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება

დობის ხელის წერილს, შენ, მცხოვრებს **ჯვარცხმის** საზოგადოებაშიდ, **ყმას როსაპა ანტონის ძე მეფარიშვილს** მაზედ, რომელ დღეს მოგყიდე შენ ჩემდამი კუთვნილი ერთი ნაკვეთი არდგილი, მდებარე ჯვარცხმის საზოგადოებაშიდ, სოფელს გორას სახელწოდებული „**მერე**", სახნავი მიწა ზომით **სამი ქცევა,** არც მეტი და არც ნაკლები, საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით გიორგი ბოლქვაძის არდგილამდის, დასავლეთით სიხარულიძის არდგილამდი, სამხრეთით ღელემდის და ჩრდილოეთით შორემდის. ეს არდგილი მდებარე მოხსენიებულს საზღვრებშიდ სამი ქცევა მოგყიდე შენ დღიდგან საუკუნოდ და საშვილიშვილო სამფლობელოთ შენდა, რომლის საფასად მივიღე დღეს შენგან სრულად და უკლისად **ოთხას ოცდაათი მანეთი ვერცხლისა** (430 p.) და თქმული არდგილი დღიდგანვე შეგიძლია ისარგებლო იმ უფლებით, როგორც შენი მამა-პაპეული ქონებაები და თუ საჭიროდ ნახავ და მომთხოვ, ვალდებული ვარ ამ არდგილზედ, პირველს მოთხოვნილებაზედ შეგისრულო კანონიერი სიგელი არდგილის სიმტკიცისა სადაც ჯერ არს, შენის დასამტკიცებელის ხარჯით და ჩემის საშუალებით. ეგრეთვე მიჟავოი კომისიის დროსაც დავმიჯნო ცხადი არდგილი შენს სახელზედ, ჩაუდავებლად რომელიმე პიროვნებისა. ამაზედ გეკვრი, უკეთუ თქმული არდგილი დღიდგან რომელიმე შემთხვევაშიდ მე, ანუ რომელიმე ჩემგანმა მემკვიდრენმა, გინა გარეშე პირმა, ჩამოგართვას თუნდაც ცოტა ნაწილიც ამ სამი ქცევა მიწისა, ან პირველს შენს მოთხოვნილებაზედ ვერ შეგისრულო კანონიერი სიგელი, სადაც ჯერ არს, შენი დასამტკიცებელის ხარჯით, ანუ მიჟევოი კამისიის დროს ვერ დაგმიჯნო თავისუფლად და უკლისად, იმ შემთხვევაში შენგან მიღებული არდგილის საფასოთ 430 მანეთი უკანვე მოგიზღო უკლისათ და არ მოვითხოვო შენგან დღიდგან დამოკიდებული მიწისგან შემოსული წლიური სარგებლობა და თუ მას არდგილს შენგან დამატებით გაშენებულობა დაურჩეს, ხე ვენახით ანუ სხვებრ, ყოველივე შენი ზედმეტი ნამოქმედარი მას არდგილშიდ შეფასებისამებრ შე-

ვისყიდო და თუ ამაზედ გაჩივლო, ყოველი ამაზედ მომხდარი სუდებნი ხარჯი და ყოველი შენი ზარალი მე გარდავიხადო, გარეშედ ყოვლის მიზეზისა, რაზედაც საკუთარს ხელს ვაწერ. ესე ადგილი, როდესაც მოვისურვო მე, კნეინა ციცინომ, ნება მაქვს დავაზომვინო ზემლემერს და ხარჯი ორივესი დაზომვაზედ საერთო უნდა იყოს, უკეთუ არ დასთანხმდები დაზომვაზედ, მაშინ ნაყიდობა დაღვეულ იქნება და თუ ზომით მეტი მოვიდა, დღიდგან დაზომვისა ერთი კვირის ვადაშიდ ვალდებული ხარ ფასი მომიტანო, თუ ნასყიდობის დარღვევა არ გინდა, რასა შინა საკუთარს ხელს ვაწერ კნეინა ციცინო დადიანის ასული ერისთავისა

თანახმა ვარ ნაყიდობისა თავადი ვარლამ ერისთავი

32. 1910 წ., პირობა ადგილის ნასყიდობისა, მინის ნასყიდობის ხელწერილი მღვდელ ნიკოლოზ ცინცაძესა და გიტო კალანდაძეს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №1612, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, ნახევარი ჩამოჭრილია, დედანი, ზომა 22X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაზიანებულია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორწერტილი.

პირობა ადგილის ნასყიდობისა

1910Წ წელსა, დეკემბრის დღესა

მე, ქვემორე ხელის მომწერელი, მცხოვრები ერკეთის სოფლის საზოგადოებაშიდ ოზურგეთის უეზდისა, მღვდელი ნიკოლოზ პორფილის ძე ცინცაძე, გაძლევ ადგილის ნასყიდობის პირობის ხელწერილს შენ, მცხოვრებს ბასილეთის სოფლის საზოგადოებაშიდ, ამავე უეზდის მოქალაქეს, გიგო მიქელის ძე კალანდაძეს, რომელიც კუთვნილ ჩემგან ერთი ნაკვეთი ადგილი, სახელწოდებით **ჭალაული სახნავი** მცირე ნოღნარი მინა,

მდებარე ბასილეთის საზოგადოებაშიდ, საზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით შენი, გიგო კალანდაძის, დასავლეთით დათიკო გოგიბერიძის, სამხრეთით იოვანე გოგიბერიძის ან ჩრდილოეთით კვალადუ (sic) ანიკო გოგიბერიძის ადგილებით, ზომით შემცველი **ხუთას თორმეტი კვადრატნი საჟენი,** მოგყიდე სრულიად, ფასი **ორმოცდათორმეტ მანეთად ვერცხლის ფულად,** რომელიც ეს ფული მივიღე მე დღეს შენგან, დღეს სრულიად და უკლისად, ან ვიკვრი ამ პირობით, რომელ თქმული ადგილი გაკუთვნო სრულიად შენ, კალანდაძეს, დღიდგან საუკუნოთ და საშვილიშვილო სამფლობელოდ და სასარგებლოთ, ხოლო...[1], გინა დროისა დღიდგან, როცა საჭიროდ პოებ და მომთხოვ, იმ შემთხვევაშიდ ვალდებული ვარ თქმული ადგილი დაგიმტკიცო კანონისამებრ, სადაცა ჯერ არს შენის ხარჯით და ჩემის საშვალებით და...[2] კომისიის მოსვლის დროს ადგილშიდ თქმული ადგილი შენს სახელზედ ან... შენის მოთხოვნილების დროს... შეგისრულო, ამაზედ კანონიერი სიგელი ადგილის სიმტკიცისა ნოტარიუსის წესით ანუ მიჟავოი კომისიის მოსვლის დროს თქმული ადგილი შენს სახელზედ არ ვამიჯნიო, არამედ პატრონის უფლებით წარმოვსდგე და დავა ან საჩივარი განვაცხადო და ადგილის უფლებაზედ არ მიგიშვა, ანუ რომელიმე ჩემგანი მემკვიდრენი, გინა გარეშე პირნი კანონიერი მოდავე წარმოსდეს... ანუ ვისურვო კანონის ძალით ადგილი ჩამოგერთვას, იმ შემთხვევაშიც ვალდებული ვარ: 1) შენგან მოცემული ადგილის საფასე ორმოცდათორმეტი მანეთი მოგიზღო დღიდგან კანონიერ სარგებლობაში, 2) პირობის დარღვევისა და შეუსრულებლობისათვის გადავიხადო შენგან სასარგებლოდ **ორმოცდაათი მანეთი** ვერცხლის, 3) არ მოვითხოვო დღიდგან მოკიდებული ადგილისაგან შემოსული წლიური სარგებლობა ანუ უკეთუ ჩემივე მიზეზით სხვა პირისაგან შეგეხოთ... 4) მას ადგილს, რაც

---

[1] დაზიანებულია და რამდენიმე სიტყვა არ იკითხება
[2] ... აღნიშნავს დაზიანებულ ადგილებს

შენგან ... რაიცა იქნება შეფასებისამებრ შევისყიდო ან 5) თუმც გიჩივლო, ამაზედ მომხდარი სუდებნი ხარჯი ო... მხრით, უღერ-ბო ქაღალდის ფული ან ყოველი შენი ზარალი, მე შემხვედრი გა-რეშე ყოვლის მიზეზით. ამას შინა ხელს ვაწერ

ნიკოლოზ პორფირის ძე ციცაძე

მოწმენი ვართ – მირიან ბესარიონის ძე თედორაძე

გიორგი ყარამანის ძე კალანდაძე

სერბინე კალანდაძე

33. 1911 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი მელიტონ და ალექ-სი გორდელაძეებს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №607, 2 ფურ-ცელი, მეორე გვერდი ცარიელია, დედანი, ზომა 23X36,5, ნაცრისფერი ქაღალდი, დაწერილია „Актовая бумага"-ზე, შავი მელნით ნაწერი, დაუ-ზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორწერტილი, ტირე.

ათას ცხრაას თერთმეტსა წელსა, დეკემბრის
სამსა დღესა

მე, ქვემორე ამის ხელის მომწერი, მოქალაქე და მოვაჭრე ქალაქ ოზურგეთში, მელიტონ გრიგოლის ძე გორდელაძე, გაძ-ლევ ამა ნასყიდობის ხელწერილს, თქვენ, ჩემს ძმას, ალექსი გორდელაძეს, მოგყიდე კუთვნილი ჩემდამი მამისაგან წილხთო-მილი ხუთი ნაკვეთი ადგილის, რომელიც მაქვს საზიარო ჩემი ძმების მდებარე ოზურგეთის მაზრის ერკეთის საზოგადოებაში, სახელდობრ **პირველი** ნაკვეთი ქვაბგალი, **მეორე** ნაკვეთი იგი-ვე ქვაბგალი, **მესამე** ნაკვეთი დიდი ბერა, **მეოთხე** ნაკვეთი ციცქოვრა, **მეხუთე** ნაკვეთი დიანოსეს გორი. პირველი ნაკვეთი – ქვაბგალი საზიარო იასონ გორდელაძის, ზომით, მაგალი-თებრ, ოთხი ქცევა, საზღურებთა შორის, აღმოსავლეთით ქვაბ-გალის ღელე, დასავლეთით ესტატე კალანდაძე, სამხრეთით

ტარიელ მგალობლიშვილი, ჩრთილოვეთით ესე გორდელაძის, გიგილო მგალობლიშვილის ადგილი, ამ საზღვრებში მდებარე ადგილის ნახევარი. მეორე ნაკვეთი – იმისივე საზღურათ იასონ გორდელაძის საზიარო ქვაბგალი, ზომით, მაგალითებრ, ერთი ქცევა, საზღურებთა შორის, აღმოსავლეთით იორდანე თედორაძის მემკვიდრეობის ადგილი, დასავლეთით ქვაბგალის წყალი, ჩთდილოვეთით იაგორ ჩანტლაძე, სამხრეთით ქვაბგალის მდინარე წყალი ხსენებულ საზღურებში მდებარე ადგილის ნახევარი. მესამე ნაკვეთი – ადგილი დიდბერა ზომით, მაგალითებრ, სამი ქცევა, საზიარო...[1] და იასონ გორდელაძნების[2] საზღურებთა შორის, აღმოსავლეთით სასოფლო გზა, დასავლეთით კალაშეს წყალი, სამხრეთით გაბრიელ და ივლიანე ჩანტლაძნების[3] ადგილი, ჩრთილოვეთით გაბრიელ ჩანტლაძის ადგილი, ხსენებულ საზღურებში მდებარე ადგილის მესამედი ნაწილი, მეოთხე ნაკვეთი – ადგილი ციცქოვრა, ზომით, მაგალითებრ, ნახევარი ქცევა საზიარო გიორგი, ამბაკო, იასონ და თქვენივე ალექსი გორდელაძნების საზიარო საზღურებთა შორის, აღმოსავლეთით და ჩრთილოვეთით ლადიმე გორდელაძის ადგილი, სამხრეთით ივანე გორდელაძის ადგილი, დასავლეთით ნოვე კობიძის ადგილი, ხსენებულ საზღურებში მდებარე ადგილის ერთი მეხუთედი ნაწილი. მეხუთე ნაკვეთი დიანოსეს გორი, ზომით, მაგალითებრ, ნახევარი ქცევა, საზიარო გიორგი, ამბაკო, იასონ და თქვენივე ალექსი გორდელაძნების საზღურებთა შორის, აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოვეთით ივანე გორდელაძის ადგილი, დასავლეთით საზოგადო გზა და ივანე ბოლქვაძის ადგილი ხსენებულ საზღურებში მდებარე ადგილის ერთი მეხუთედი ნაწილი. ზემოხსენებული ადგილების პირველი და მეორე ნაკვეთის ნახევარი, მესამე ნაკვეთის ერთი მესამედი, მეოთხე და მეხუთე ნაკვეთის მეხუთედი ნაწილი მოგყიდე

---

[1] ერთი სიტყვა არ იკითხება
[2] გორდელაძეების
[3] ჩანტლაძეების

თქვენ, ალექსი გორდელაძეს, დღევანდელს რიცხვს, ზემოთქმული ადგილების, როგორც ზეგანი ნათქვამია ჩემი ნაწილი ყოვლით, როგორც ადგილები, ისრე ზედა **ვენახით**, ორი სასიმინდე ნალიები, ერთი ქუხნა წაბლის მასალისაგან, ისლით დახურული და ორი უცროს-უფროსი საწნახლები, ორი ჭურით. ყოველივე ზემოთქმული ჩემი ხვედრი მოგყიდე ფასად ორას ოც მანეთად (220 p.), დღეის შემდეგ გადმოდის თქვენ, ალექსი გორდელაძის საშვილიშვილო, სამუდამო მფლობელობაში და განკარგულებაში. ჩემი და ჩემი მემკვიდრეების უდევრად შეგიძლია აკეთო, აშენო, გინდ გაყიდო, გინ გააჩუქო, როგორადაც თქვენ გესურვება, ისე ისარგებლო, ამასთანავე მელიტონ გორდელაძე ვალდებული ვარ, როცა მომთხოვ, თხოვნიდან სამი თვის განმავლობაში კანონიერად დაგიმტკიცო, თუ მთხოვ თქვენივე ხარჯით და უკეთუ ზემოთქმული ჩემმიერ გაყიდული ადგილები ჩამოგერთვა ჩემგან ანუ რომელიმე კანონიერი დავისგან, პირველად დაგიბრუნო თქვენი მოცემული ორას ოცი მანეთი (220 p.) და ადგილის ნასარგებლევი არ მოგთხოვო. ამასთანავე ვალდებული ვარ დღიდგან რაც ნაშრომი გექნება ზემოთქმულ ადგილებში სამი რიგიანი კაცის შეფასებით ღირებულება გიზღო და პირობის დარღვევის და დაუცველობისათვის თქვენდა სასარგებლოთ ჯარიმათ გიზღო სამასი მანეთი, ერთადვე მოგიზღო, გარდა ნაშრომისა ხუთას ოცი მანეთი (520 p.) და მასთან ამავებზედ გასული ყოველივე ხარჯი და ზარალი. ძალა ამისი სავსებით მესმის და მას შინა ჩემი სურვილით ხელს ვაწერ მელიტონ გრიგოლის ძე გორდელაძე

ზემოხსენებული ორას ოცი მანეთი (220 p.) სრულათ მივიღე: მელიტონ გრიგოლის ძე გორდელაძე

34. 1912 წ., ნასყიდობა, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ლუკა სიხარულიძესა და სიმონ ყაჭეიშვილს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №1680, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X34,5, მოყ-

ვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშანი არა აქვს.

ნასყიდობა

1912 წელსა, მაისის პირველსა დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერი, მცხოვრები ოზურგეთის უეზდის ამაღლების საზოგადოებაშიდ, ლუკა ბიჭიას ძე სიხარულიძე, გაძლევ ამ წერილობით პირობას შენ, ამაღლების საზოგადოების მცხოვრებს, სიმონ ფირანის ძე ყაჭეიშვილს, მას შინა, კუთვნილი ჩემდამი ადგილი, სახელწოდებული ეკნარე, ზომით, მაგალითებრ, ორი ქცევა, საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით ღელე, დასავლეთით ლავრენტი სიხარულიძის ადგილი, სამხრეთით მიხეილ სიხარულიძის ადგილი, ამ საზღვრებს შიგნით ეს ადგილი რაც არის ზომით, მოგყიდე შენ, ხსენებულ ყაჭეიშვილს, ფასათ ოცდაათ მანეთათ (30 руб.) ნაღდ ფულათ, რომელიც დღეს ხელში ნაღდათ მივიღე შენ, ყაჭეიშვილისაგან და აწი ეს ადგილი გეკუთვნის შენ, ხსენებულ ყაჭეიშვილს, ამიერიდან უკუნისამდე არ გედავო არც მე და არც ჩემმა შემდეგმა, არც შენ და არც შენსას შემდეგსა და თუმც ვინმე გარეშე პირი მოგადგეს ამაზედ მოდავეთ, კანონიერათ ის მოდავე მოგაცილო სიხარულიძემ ჩემი საკუთარი ხარჯითა, წინააღმდეგ შემთხვევაში გეკვრი რა ამა პირობით, რომელ, თუმცა ეს პირობა დაგირღვიო, რომელიმე მიზეზების გამო არ შეგისრულე სიტყვითი სიტყვამდე და ადგილი ესე ჩამოგერთვას რომელიმე მიზეზის გამო, იმ შემთხვევაშიდ ვალდებული ვიქნები გამომყიდველი სიხარულიძე შენი მოცემული ამ ადგილის ფასი უკანვე დაგიბრუნო უკლისად და არც ადგილისა ამისა შემოსავალი ნასარგებლევი მოგთხოვო, ამასთანავე, თუმცა საჩივლელათ გაგიხადო ეს პირობა, იმ შემთხვევაშიდ ყოველი საჩივრის ხარჯი ამაზედ მომხთარი სუდიებისა და უღერბო ქაღალდისა, ამის შტრაფათ

ორივე მხარის მაგივრად, რასაც შეგვაწერს სასამართლო, ორივე მხარის მაგივრად მე, სიხარულიძემ, გადავიხადო და შენ, ყაჭეიშვილს, არაფერი არ შეგახო. აზრი და ძალა ამა პირობისა დღეს კარგად მესმის და მას შინა, რადგან ლუკა სიხარულიძემ წერა არ იცის, მისი თხოვნით და ხელის მიცემით, მის მაგიერ ხელს ვაწერ მე, მათე ივლიანეს ძე სიხარულიძე

ვემოწმები სახელმწიფოს ბეჭდის დასმითა მართალი პირი[1]

35. 1912 წ., ნასყიდობითი ხელის წერილი, მიწის ნასყიდობის ხელწერილი აზნაურებს კირილე და მოსე ბიბინეიშვილებსა და ფილიპე კიკვაძეს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შნ №5183, ორი ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 29X35,5, ცისფერი ქაღალდი, დაწერილია „Акцизная бумага"-ზე, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები მძიმე, ორნერტილი, ბრჭყალები.

ნასყიდობითი ხელის წერილი

1912 წელსა, აგვისტოს 19[სა] დღესა

ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, მცხოვრებნი სურების საზოგადოებაშიდ და ოზურგეთის მაზრაში, აზნაურნი კირილე და მოსე მასიკოს ძე ბიბინეიშვილები, ამა ნასყიდობის ხელწერილს გაძლევთ თქვენ, მცხოვრებს ამავე მაზრისა და საზოგადოებაში, ფილიპე სეხნიას ძე კიკვაძეს, მას შინა, რომელ ჩვენ, ბიბინეიშვილებმა ერთი ნაკვეთი მიწა მდებარე ამავე საზოგადოებაში, სახელწოდებული „გირგალაური", მდებარე შემდეგს საძღვრებში: აღმოს(ავლეთით) ღელე, დასავლ(ეთით) ღელე და ჩვენ ბიბინეიშვილების კორღანომდე, სამხრეთით ბეკი, ჩვენ, ბიბინეიშვილის და ბარამიძის და სოროზანიშვილის საზ-

[1] ბეჭედი არ არის დასმული, ხელმოწერილია გაურკვევლად

ღვრამდე და ამ საზღვრებში მოხსენიებული ადგილი მოგყიდე ჩვენ, ბიბინეიშვილებმა, თქვენ, კიკვაძეს, მხოლოდ, რომელიც საზღვრები არის მოხსენიებული ამა ნასყიდობაში ამაში, რომელიც ერთი ნაკვეთი ადგილი გაქვს ამომიჟნული თქვენ, კიკვაძეს, ის თქვენს საკუთრებას შეადგენს, ეს ადგილი მოგყიდეთ ჩვენ, ბიბინეიშვილებმა, ჩვენის სურვილით და კეთილნებობით, რომელიც დღეის შემდეგ გეკუთვნის თქვენ, კიკვაძეს, და სრული უფლება გაქვს დღეის შემდეგ გინდ გაყიდო, გინდ გააჩუქო და როგორც თქვენი სურვილი იქნება ისე მოისარგებლო, რომლის საფასი მივიღე მე, ბიბინეიშვილმა, დღეს ნაღდად ორასი (200 p.) მანეთი, ვალდებული ვართ ჩვენ, ბიბინეიშვილებმა, თუ ვინმე მოდავე მოგადგეს ამ ჩვენს მოყიდულ ადგილზედ დაგიცვათ და მოდავეც მოგაშოროთ, ვალდებული ვარ არ გედაო, არც მე და არც ჩვენ მემკვიდრემ, არც თქვენ და არც თქვენს მემკვიდრეს. ვალდებული ვართ ჩვენ, ბიბინეიშვილები, როცა თქვენი სურვილი იქნება დაგიმტკიცოთ სადაც ჯერ არს, თქვენის ხარჯით და ჩემის საშვალებით, რომელ არდგილი არის ამა ნასყიდობის საზღვრებში მოხსენიებული, ზომით, მაგალითათ, სამი ქცევა ან მეტი ან ნაკლები, ესე იგი, მესამედი თელი საზღვრების, რომელიც არის მოხსენიებული ამ ნასყიდობაში გეკუთნის თქვენ, კიკვაძეს, თუ ეს პირობითი ხელწერილი შევშალო, რომელიმე მუხლშიდ არ დავიცვა სიტყვითი სიტყვამდე, ვალდებული ვიქნებით ჩვენ, ბიბინეიშვილები, გარდავიხადოთ ჯარიმა თქვენ, კიკვაძის, სასარგებლოთ ორმოცდაათი (50 p.) და პირობა ესე დარჩეს თავის კანონიერ ძალაში, გვესმის ძალა და აზრი ამა პირობისა და მას შინა ხელს ვაწერთ ჩვენ, კირილე მასიკოს ძე ბიბინეიშვილი, მოსე ბიბინეიშვილი

36. 1917 წ., ნასყიდობითი ხელწერილი, მიწის ნასყიდობის ხელწერილი მოსე და ისაკი ორაგველიძეებს შორის, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №973.

ნასყიდობითი ხელწერილი

1917 წელსა, მაისის 14-სა დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმა, მცხოვრებმა ლანჩხუთის საზოგადოებაშიდ, **მოსე ნიკოს ძე ორაგველიძემ** მოგყიდე შენ, ჩემს ძმას, **ისაკი ნიკოს ძე ორაგველიძეს** კუთვნილი ჩემდამი მიწა, ადგილი მდებარე ამავე საზოგადოებაშიდ სახელდობრ **მურვანეთი,** სივრცით, მაგალითებრ, **ერთი ქცევა,** საზღვრებთა შორის – აღმოსავლეთით სასოფლო გზა, დასავლეთით იმნაიშვილების მიწებით, ჩრდილოეთით ბესარიონ ორაგველიძის მიწით, ხოლო სამხრეთით დიომიდე ორაგველიძის მიწით. ამა მოხსენებულ საზღვრებში მეკუთნოდა მე, მოსე ნიკოს ძე ორაგველიძეს, მეოთხედი და ის მეოთხედი მოგყიდე შენ, ჩემს ძმას ისაკის. საფასეთ დღეს ნაღდათ მივიღე **ხუთი თუმანი** (50) და მე, მოსე ორაგველიძე, ვალდებული ვარ ამა ზემოთ აღნიშნულ მიწაზედ არ გედაო და არც ჩემმა შთამომავლობამ და თუ ვინმე მოდავე მოგადგეს, მე, მოსე ორაგველიძემ, მოგაცილო, თუ მომთხოვ კანონის მიხედვისთანავე დაგიმტკიცო, უკეთუ მე ამა პირობებს ვერ დავიცავ, რაც აქ არის მოხსენიებული, იმ შემთხვევაში ვალდებული ვიქნები შენ მიერ მოცემული ხუთი თუმანი ზედნადებით უკან დაგიბრუნო, ესე იგი, დაგიბრუნო მე, მოსე ორაგველიძემ, შენ, ისაკი ორაგველიძეს, სასარგებლოთ ასი მანეთი. თუ რამეს გააშენებ შით, ის ორი კაცის შეფასებით გიზღო, ხეხილი იქნება თუ სხვა რამე, სახლი თუ გედგმება ან სხვა შენობა, იგი ჩემის ხარჯით გადაგიტანო შენს დანიშნულ ადგილზედ ორი ვერსის მანძილზედ. ჩემი ვალდებულებაა ეს ზემო აღნიშნული პირობები დავიცვა. აზრი ამა პირობითი ხელ-

წერილისა მესმის და მას შინა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ მოსე ნიკოს ძე ორაგველიძე

ამა პირობის გაცემაზედ და ფულების ჩაბარებაზედ მოწმედ დავესწარი მღ(ვდელი) იესე დოლიძე

37. 1919 წ., ხელნერილობითი ნასყიდობა, მიწის ნასყიდობის ხელწერილი იმნაძეების გვარის წევრებსა და კვიროსი იმნაძეს შორის, ეა, M[2] №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №977.

ხელწერილობითი ნასყიდობა

1919 წელსა, ნოემბრის 20 დღესა, ქალაქ ლანჩხუთი!

ჩვენ, ქვემორე ამ ხელწერილობით პირობაზე ხელის მომწერნი, მცხოვრებნი ქალაქ ლანჩხუთსა, ესეკი სპირიდონის ძე, პლატონ ბესარიონის ძე, პოლიეკტორ პროკოფის ძე, ლუკა ამბაკოს ძე, დათა ლევანის ძე, მიხეილ მარკოზის ძე, ანდრია დავითის ძე, გიორგი ივანეს ძე, ვიკტორ თარხანის ძე, ტელმაკ ოფონის ძე, ივლიანე ნიკოს ძე, სერაპიონ სიოს ძე, ვარდენ ესეკის ძე, ავთანდილ ოტიას ძე, იასონ გიორგის ძე, სამსონ თარხანის ძე, ვალოდია ესეკის ძე, არტემ სიოს ძე იმნაძეები, ეკა ესეს ძე[1] ბარამიძისა (იმნაძის ასული) და ტერეზი კონსტანტინეს ძე[2] ჩხაიძისა (იმნაძის ასული) გაძლევ თქვენ, ამა ქალაქ ლანჩხუთის მცხოვრებს, კვიროსი ივანეს ძე იმნაძეს ამ ხელწერილობით ნასყიდობას მას ზედა, რომ ჩვენ, ზემო აღნიშნულმა პირებმა **მოგყიდეთ კვიროსი იმნაძეს ჩვენდა კუთვნილი სანაწილო ეზო,** სახელდობრ „ეკლესიის კარი", ზომით, მაგალითებრ, **ოცი** გოდრის არდგილი, ესე იგი **ორი მესამედი ქცევა,**რომელიც იმყოფება ლანჩხუთის დაჩაში ამა 3612 ნომრით, შემდეგ საზღვ-

[1] საბუთში ასეა – (მ. ვ.)
[2] საბუთში ასეა – (მ. ვ.)

რებთა შორის: აღმოს(ავლეთით) ებრალიძნების[1] და იმნაძნების[2] წისქვილის წყალი, დასავლ(ეთით) სასოფლო გზა, ჩრთილ(ოეთით) მურზაყან ებრალიძის ეზო, სამხ(რეთით) ეკლესია – **ფასათ ექვსი ათასი მანეთად** (6.000 მ.), რომელ ფული ჩვენ, აღნიშნულმა პირებმა, მივიღეთ სრულად და ნაღდათ და დღეის რიცხვიდგან ხსენებული ეზო შეადგენს თქვენ, **კვიროსი იმნაძის კერძო საკუთრებას** ჩვენგან უდაოს საშვილიშვილოთ და ვალდებულნი ვართ მოგაცილოთ ჩვენივე ხარჯით ხელადვე ყოველივე მოდავენი და მასთან აგინაზღაუროთ თქვენი ზარალი და თუ ოდესმე დაგედაოს ჩვენგანმა, გადაგიხადოთ უჩივრათ საზოგადო ყოველივე ზარალი, რაც იქნება შეფასებული კეთილსინდისიერ პირთაგან და მასთან ჯარიმათ მოგიზღოთ თორმეტი ათასი (12 000) თვისი პროცენტით დღეის რიცხვიდგან და ვალდებული ვართ კიდევ, თუ მოითხოვთ ეს აღნიშნული არდგილი დაგიმტკიცოთ კანონიერ ნოტარიუსის წესით თქვენივე ხარჯით. აზრი და ძალა ამა ნასყიდობისა გვესმის, რასა შინა ხელს ვაწერთ[3]

38. 1920 წ., ნაყიდობის პირობა, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ალექსანდრე ჩიგოგიძესა და ივანე კალანდაძეს შორის, ჩმმ ხელნაწერი ფონდები, შწ №1593, 2 ფურცელი, მეორე ფურცელი ცარიელია, დედანი, ზომა 22X35, მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი მელნით ნაწერი, დაუზიანებელია, განკვეთილობის ნიშნები წერტილი, მძიმე, ორნერტილი.

ნაყიდობის პირობა

1920 [სა] წელსა, მარტის 9 [ს] დღეს

მე, ქვემორე ხელის მომწერი, მცხოვრები სოფელ ახალშენში ოზურგეთის მაზრისა, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩიგო-

---

[1] ებრალიძეების

[2] იმნაძეების

[3] საბუთზე ხელმოწერა არ არის, მაგრამ თან ერთვის აღნიშნული მიწის ნაკვეთის გეგმა შედგენილი რუსულ ენაზე 1903 წლის ივლისში – (მ. ვ).

გიძე, გაძლევ ამა ნაყიდობის ხელის წერილს შენ, მცხოვრებს სოფელ ხიდისთავში ამა მაზრისა, ივანე გიგოს ძე კალანდაძეს, რომელ კუთვნილი ჩემდამი ადგილი მდებარე ბასილეთის საზოგადოებაშიდ, სახელწოდებით ჭალა ხილნარით და წყლით საზიარო ხალამპრეს, პავლეს, ერასტოს ჩიგოგიძეების და ალექსი ცხოიძის და ვასო...[1] ჩემი ხვედრი ზომით ოთხას ორმოცდაათი კვადრატნი საჟენი (450 კვად. საჟ.), საზღვრებთა შორის, აღმოსავლეთით შეშელიძის და კალანდაძის მიწა, დასავლეთით ალექსი ცხოიძე, სიო გოგიბერიძე და ვასო ჩიგოგიძე, სამხრეთით ალექსი ცხოიძე, სიო გოგიბერიძე, ჩრდილოეთით ჩემივე ჩიგოგიძის ადგილი. მოხსენიებულ საზღვრებში ზემოდასახელებული ჩემი ხვედრი მოგყიდე ფასათ ოთხი ათას მანეთად (4000 მანეთად), რომელიც ეს ფულები მივიღე მე დღეს შენგან სრულად და უკლისად და გეკვრი ამ პირობით, რომელ თქმული ადგილი გაკუთნო სრულიად შენ, კალანდაძეს დღიდგან საუკუნო და საშვილიშვილო სამფლობელოთ და სასარგებლოთ, ხოლო შემთხვევასა შინა...[2] დღითგან საჭიროდ პოებ მომთხოვ, იმ შემთხვევაში ვალდებული ვარ თქმული ადგილი დაგიმტკიცო კანონისამებრ, სადაც ჯერ არს, შენის ხარჯით და ჩემის საშვალებით, უკეთუ შენს მოთხოვნილებას ვერ შეგისრულებ, ამაზედ კანონიერი სიგელით ადგილის სიმტკიცისა და ნოტარიუსის წესით ანუ რომელიმე ჩემგანი მემკვიდრენი, გინა გარეშე პირნი, კანონიერი მოდავე წარმოდგეს და ანუ მე ვისურვო და კანონის ძალით ადგილი ჩამოგერთვას, იმ შემთხვევაში ვალდებული ვარ: 1, შენგან მოცემული ადგილის საფასე ოთხი ათასი მანეთი 4000 მან. მოგიზღო დღიდგან კანონიერის სარგებლით, 2, პირობის დარღვევის და შეუსრულებლობისათვის გარდვიხადო შენდა სასარგებლოთ შტრაფათ ოთხი ათასი მანეთი, 3, არ მოგთხოვო დღიდგან დამოკიდებული ადგილის ანუ მიწის ნასარ-

---

[1] გვარი არ იკითხება
[2] ერთი სიტყვა არ იკითხება

გებლევი და უკეთუ ჩემის მიზეზით სხვა პირისაგან შეგეხოს, გარდაგიხადოთ ყოველივ გიზღო, 4, მას ადგილს, რაც შენგან გაშენებულობა დარჩეს ხე ვენახით, ანუ სხვებრ, ყოველი შენი ნამოქმედევი, რაიც იქნება, შეთანხმებისამებრ, შევისყიდო და 5, თუმცა გაჩივლო, ამაზედ მომხთარი სუდებნი ხარჯები, ყოველი შენი ზარალი, რაიც შეეხება ამა პირობას, ორთავეს მხრივ გადავიხადო, გარეშე ყოველის მიზეზით. პირობა ესე წავიკითხე და აზრი მისი მოვისმინე მე, ჩიგოგიძემ, რაზედაც ხელს ვანერ ალექსანდრე ჩიგოგიძე

მოწმენი დავესწარით 1. მირიან როსტომის ძე კალანდაძე
2. თეოფანე სიმონის ძე კუტუბიძე
3. ვალერიან გოგიბერიძე

39. 1920 წ., უსათაურო, მიწის ნასყიდობის ხელწერილი ტიტიკო და ისაკი ორაგველიძეებს შორის, ეა, M² №38, მას. 4, ნსმ ხელნაწერი ფონდები, ინვ. №978.

1920 წლის აპრილის 3 დღესა

მე, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმან, მცხოვრებმან ოზურგეთის მაზრის სოფელ **შუხუთში**, ტიტიკო სამსონის ძე **ორაგველიძემ**, დღევანდელსავე რიცხვში მოგყიდე თქვენ, ამავე მაზრის სოფელ **შუხუთში** მცხოვრებს, **ისაკი ნიკოს ძე ორაგველიძეს**, ჩემდამი კუთვნილი და საკუთრება **სამოსახლო მიწა** მდებარე სოფელ შუხუთში თქვენივე ეზოზედ მოდებული, სივრცით, მაგალითებრ, **ნახევარი ქცევა**, საძღვრებთა შორის – აღმოსავლეთით გზა, დასავლეთით მათე ნიკოს ძე ორაგველიძე, სამხრეთით გზა, ჩრდილოეთით თქვენივე ისაკი ორაგველიძის ეზოს მიწა. ეს ზემოთ ხსენებული და აღსაძრული სამოსახლო მიწა დღევანდელსავე რიცხვში მოგყიდე მე, ხსენებულმა ტიტი-

კო ორაგველიძემ, თქვენ, ხსენებულს ისაკი ორაგველიძეს, და საფასოთ ამა ხსენებული სამოსახლო მიწისა დღესვე ნაღდათ გამოგართვი **ოცი ათასი მანეთი** (20.000 მანეთი) და დღეის რიცხვიდგან ხსენებულ ისაკი ორაგველიძეს სრული უფლება გაქვთ როგორც გინდათ ისთე ისარგებლოთ, გინდ გაყიდოთ, გინდ გააჩუქოთ, გინდ დააგირაოთ და გინდ სხვას გადასცეთ. უკეთუ ვინმე მოდავე მოგადგება ამა ჩემს მიერ **მოსყიდულ მიწაზედ,** ვალდებული ვიქნები ჩემი ხარჯით და შრომით ყოველივე მოდავე მოგაცილო, თუ მომთხოვ პირობა ესე გამოგიცვალო ცხრა წლის განმავლობაში, და დამტკიცებას თუ მომთხოვ ჩემ მიერ მოყიდული მიწისა, ვალდებული ვიქნები დაგიმტკიცო შენის ხარჯით იმ წესით, როგორითაც კანონი ნებას მომცემს, უკეთუ თანახმათ ზემოთ ხსენებისა, არ დავიცავ ამა პირობით ხელწერილს, მოდავენს ვერ მოგაშორებ, შენს მოთხოვნილებაზედ პირობას არ გამოგიცვლი ანუ შენის ხარჯით არ დაგიმტკიცებ იმ წესით, რა წესითაც კანონიერებას მომცემს ანუ შეგიშლი ამა ხელწერილს და მოვინდომებ მიწის ჩამორთმევას ანუ ჩემი შემდეგი, იმ შემთხოვაში ვალდებული ვიქნები თქვენგნით მოცემული ოცი ათასი მანეთი უკანვე დაგიბრუნო 10% დამატებით დღიდგან დღემდე, მიწის ნასარგებლევი არ მოვითხოვო, შით თუ რაიმე შენობა გექნება აგებული, რომელიც დაუნგრევლად გადაიტანება, ის ჩემის ხარჯით და შრომით გადაგიტანო და დაგირგა იქ, სადაც შენ ალაგს მიჩვენებ ათ ვერს სიშორემდის, უკეთუ ხეხილი გექნება შით გაშენებული, რაც გადაიტანება და გადაირგვის, ისიც გადაგიტანო და დაგირგა, სადაც შენ ალაგს მიჩვენებ ხსენებულ სიშორემდის, ხოლო თუ ისეთი შენობა იქნება უძრავი არ გადაიტანება ანუ თუ ისეთი ხეხილი იქნება მოუჭრელად არ გადაირგვის, იმ შემთხვევაში ვალდებული ვიქნები შენ მიერ მოყვანილი ორი პიროვნების მუშაკაცების შეფასებით ორმაგი ფასის მოცემით იქვე გაგისტორდე, მასგან შენგან მოცემული ოცი ათასი მანეთი 10% დამატებით დღიდგან დღემდე ხელადვე ჩაგაბარო, მიწის ნასარგებლევი არ მოვითხო-

ვო და ხელწერილის დაუცველობისათვის სხვასთან ერთად გიზღო შტრაფი შენდა სასარგებლოთ ოცი აოასი (20 000) და პირობითი ხელწერილი ყოველმა კანონმა დატოვოს ძალაში. დავსძენ რომ ხელწერილის დაცვა სავალდებულოა თანახმათ ზემოთ ხსენებისა როგორც ჩემი, ისთე შემდეგების. აზრი და ძალა ამ ხელწერილისა მესმის, სრული თანახმა ვარ და მას შინა ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ ტიტიკო სამსონის ძე ორაგველიძე

ამ ხელწერილის სინამდვილეს მოწამეთ დავესწარით

1) გიორგი ირაკლის ძე მახარაძე

2) კირილე კალანდარიშვილი

ლექსიკონი[1]

ა

აგინი (აგინმა, აგინს) – ესენი, ამათ (ს. ჟღ.)

აზიატსკი//აზიაცკი – აზიური ფეხსაცმელი, მამაკაცის მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი[2]

ალაგი – ადგილი (ქეგლ)

ალაფი – ნადავლი (ქეგლ); ოჯახის ალაფი – საბუთებში ნახმარია საოჯახო ქონების მნიშვნელობით

ამ თავით//ამთავითვე – თავიდანვე, ამ დროიდანვე, დასაწყისიდანვე, ახლავე (ქეგლ)

ამომიჟნული – იხ. მეჟევოი

აპეკუნი//ოპეკუნი – (რუს. опекуи) – მეურვე; აპეკუნშა – მეურვე ქალი

აპეკუნობა – მეურვეობა

არდგილი – ადგილი (ს. ჟღ.)

არშინი – ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 16 ვერშოკს (71 სმ) (ქეგლ)

არჩივი – წილი

ახორი – სამზარეულო სახლზე მოდგმული თავლა, კონახი (ს. ჟღ.)

ბ

ბათფანი – ბათმანი, უდრის ნახევარ ფუთს (ს. ჟღ.)

ბარობა – ვისიმე ბარობაზე, ვისიმე წილად, ვისიმე ბარობით, ვისიმე გამო, ვისიმე მიზეზით (ქეგლ); მის ბარობაზე

---

[1] ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ საბუთებში გამოყენებული სიტყვები

[2] სიტყვებს, რომელთაც მითითებული არა აქვს წყარო, განვმარტავთ ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით (23)

არაფერი აღარ დარჩა – მას არაფერი აღარ დარჩა

ბარჯგი – ბოძი (ს. ჟღ.)

ბეღელი – მშრალი თაველის, მარცვლეულის (ღომი, ხორბალი, ჭვავი, ქერი, სიმინდი და სხვ.) და ფქვილის შესანახი ნაგებობა. ზოგიერთ რეგიონში მხოლოდ ღომის თაველის შესანახად იხმარებოდა (ჯ. რუხ., გვ. 97).

ბჟოლი – თუთა, თუთის ხე (ს. ჟღ.)

ბურვაკი – დიდი გოჭი (სამი თვიდან წლამდე) (ქეგლ)

გ

გადამკედლული – სახელდახელოდ ფიცრებით გაყოფილი სადგომი, გადამტიხრული (გ. შარაშ.)

გამოისობა – მიზეზი; შენი გამოისობით, შენი მიზეზით (ს. ჟღ.); შენს გამო

გამოსათავი – ... „სხვაში არაფერში მომეცეს და არც გამოსათავს შეგპირებოდე" (ქართ. სამართლ. ძეგლ., VI, გვ. 521); საბუთებში: დარჩენილი, შესასრულებელი თანხა

გამრიგე – გამყოფი

გამსტვენი//გამტვენი – გამტვენი ლოგინი – ხის ლოგინი მთელი ოთახის სიგრძეზე

გარიგება – ოჯახის გაყრა, გაყოფა (გ. ცეცხ., გვ. 84)

გარიგებული – გაყოფილი (გ. ცეცხ., გვ. 84)

გასათავ-გამოსათავი – იხ. გამოსათავი

გასვენება – დაკრძალვა (ქეგლ)

გაუთაოს – საბუთებში: გაუსწოროს, შეუსრულოს, მისცეს თანხა

გაფარდება – ქონების განაწილება (გ. ცეცხ., გვ. 84).

გაშობილა – უყანო ადგილი, სადაც საქონელს უშვებდნენ (ს. ჟღ.)

გიდელი – ყურძნის საკრეფი ჭურჭელი

გიმი//გვიმი – ჭის თავი, ფიცრებით შეჭედილი, წნელით მოქსოული ან ცემენტისა და ხრეშის დულაბით ჩამოსხმული (პ. ჯაჯან.)

გომრედი//გვაბრედი/ა – მრგვალმუცლიანი, დამრგვალებული

გუბაზოული – მდინარე გუბაზეული

დ

დავარდნა – დავრდომა, დაკუტება, დაუძლურება (ქეგლ); ლოგინად ჩავარდნა ავადმყოფობის გამო

დათავება – დამთავრება, გათავება, დასრულება (ქეგლ)

დარდომილი//დავრდომილი – ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფობის გამო, დაუძლურებული (ქეგლ)

დარდომილობა – ლოგინად ჩავარდნა, იხ. დავარდნა

დგუ̂ემლი – გრდემლი (ს. ჟღ.)

დედო ძროხა – მეწველი ძროხა; **დედო ღორი** – გოჭებიანი ღორი

დერგი – ქვევრის მსგავსი ჭურჭელია, რომელშიც ინახავდნენ ყველს, მწნილს და მისთ.

დობირო – ვაკე ადგილი, სადაც ვენახის ვაზები ხეებზეა გაშენებული (ს. ჟღ.); აღნიშნავს ნაყოფიერ მიწას (ჯ. რუხ., გვ. 14)

დოშკანი – სახლის გვერდზე მოფარებული, ფარდული, წვიმისა და თოვლისაგან კედლის დასაფარავად (გ. შარაშ.);

დუჟინი//დურჟინი – თორმეტი ცალი (ერთგვარი საგნების თვლისას) (ქეგლ)

ე

ერთქამეთი – ერთმანეთი (ს. ჟღ.)

ვ

ვარესი – უარესი

ვერსი – ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 1,06 კმ-ს (ქეგლ)

ზ

ზენგილი – მდიდარი, ყველაფრით სავსე ოჯახი (გ. შარაშ.)

ზიარი – საზიარო (გ. შარაშ.)

თ

თამასუქი//თამასუკი – ხელწერილი, რომლითაც კისრულობენ განსაზღვრულ ვადაში გარკვეული თანხის გადახდას (ქეგლ)

თანე (სპ. tanc) – ცალი, მრავალთაგან ერთი რომელიმე, მარცვალი, წვეთი, ცალობით, ცალ-ცალკე. „ერთი თანე ბაჴალა ქყავს მარტივი?", „ორი თანე ლექსი დაგაწერიო, მოი ჩემთან" (იმერხეული) (შ. ფუტკ.)

თარჯი – ხეზე ამოჭრილი ნიშნად საზღვრისა, საზღვარი ტყეში (ალ. ღლ.)

თალარა – ყანის საზღვარი (გ. შარაშ.); გაშლილი ველი (ალ. ღლ.)

თელი – მთელი (ს. ჟღ)

თვალი – იხმარება რაოდენობის აღსანიშნავად, ორი თვალი, სამი თვალი (ს. ჟღ.); ერთი თვალი სახლი – ერთოთახიანი სახლი, დანაყოფის სახელი (ჯ. რუხ., გვ. 99; გ. ცეცხ., გვ. 26)

ი

იდგა – ესახლა

ივანობისთვე – ხალხური სახელწოდება ივნისის თვისა (ქეგლ) შდრ. თიბათვე

ისთე//ასთე – ისე, იმგვარად, იმნაირად (ალ. ღლ.)

ისრი – ისლი (გ. შარაშ.); წვრილღერებიანი ლელის მაგვარი მცენარეა, რომელსაც სახლის სახურავად ხმარობენ (ს. ჟღ.)

კ

კავი – 1) სახნავი გუთანი, ერთ უღელ ხარს უბამენ; 2) იმ ხეებს ეძახიან, რომელზედაც სახლის სახურავია დალაგებული (ს. ჟღ.)

კარდალა – სპილენძის დიდი ქვაბი

კარიე//საკირიე – საქათმე (გ. შარაშ.)

კედარო – მხარე , გვერდი, „ყოველი კედრიდან" – ყოველი მხრიდან (ს. ჟღ.)

კვირკობისთვე//კვირიკობისთვე – ივლისი (ქეგლ)

კიდო//კიდომ – კიდევ, კვლავ (ალ. ღლ.)

კოდი – გულგამოთლილი ხის მორი შვეულად დამდგარი, რომელშიაც კოდის წისქვილისთვის წყალს აგუბებენ (გ. შარაშ.)

კოდის წისქვილი – სადაც წყალნაკლებობაა, კოდის წისქვილის აკეთებენ (გ. შარაშ.)

კონახი – საქონლის სადგომი, რომელიც ადრე ფიცრული იყო, მოგვიანებით ქვითკირის (გ. ცეცხ., გვ. 33)

ლ

ლამფა – ჭერის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვევიდან მიკრული), ასეთი ფიცრის ჭერი (ქეგლ)

ლები – ლეიბი

მალაზონი//მოლაზონი – მონაზონი (ს. ჟღ.)

მამული – ვენახით ან სხვა ხილეულით გაშენებული ადგილი (ს. ჟღ.)

მარიობისთვე// მარიამობისთვე – აგვისტოს ქართული ხალხური სახელწოდება (ქეგლ)

მაშვინ – მაშინ, იმ დროს

მგზითი – მზითევი (ს. ჟღ.)

მედიატორე – შუაკაცი, გარეშე პირი, რომელიც მონაწილეობს ოჯახის გაყრასა და ქონების განაწილებაში (გ. ცეცხ., გვ. 87-88)

მედიატორული განაჩენი – გაყოფის ფურცელი, ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების საბუთი (გ. ცეცხ., გვ. 87-88)

მეჟევოი//მიჟავიო – (რუს. межевой) – სამიჯნო, მიჯნის

მერე – წყლის პირზე მდებარე საყანე ადგილი (ს. ჟღ.)

მზვარე//მზვარი//ზვარი – მზიანი, უჩრდილო ადგილი (ქეგლ)

მთავნი//თავნი – (ძვ.) ძირითადი თანხა სარგებლით გასესხებული ფულისა ან იმ ფულისა, რომელსაც ვაჭარი ატრიალებდა (ქეგლ)

მთელათ – მთლიანად

მისჯა (მიესაჯა) – საბუთებში: მიკუთვნება (მიეკუთვნა)

მიხედულობა – ჩვენი მიხედულობით – ჩვენი აზრით, ჩვენი გადაწყვეტილებით

მიჯნა – საზღვარი, ზღვარი; საზღვრის ნიშანი, სამანი (ქეგლ)

მოთაღრე – მოსაზღვრე (გ. შარაშ.) იხ. თაღარა; ყანის მოსაზღვრე (ალ. ღლ.)

მოსაშველე პირი – (გურ.) გამშველებელი, გამზავებელი, შემრიგებელი (ქეგლ), საბუთებში ნახმარია მედიატორეს მნიშვნელობით

მოძრავი სამკაულები – საბუთებში ნახმარია მოძრავი ქონების

მნიშვნელობით

მოწყობილობა – ავეჯი, დგამი; რაიმე საქმისთვის საჭირო საგანთა ერთობლიობა; გამართულობა, აღჭურვილობა (ქეგლ)

მხარი – სიგრძის საზომი ერთეული, უდრის სამ ადლს (ადლი უდრიდა დაახლ. მეტრს) (ქეგლ)

ნ

ნადგამობა – რაიმე ნაგებობა, შენობა; დამხმარე შენობები (ბეღელი, საქათმე, ბოსელი, მარანი და სხვ. (ქეგლ)

ნადელი – (რუს. надел) მიწის პატარა ნაკვეთი, რომელსაც სხვადასხვა სახის ბეგარის მიღების მიზნით მიწათმფლობელი აძლევდა გლეხის ოჯახს სარგებლობისათვის (გ. ცეცხ., გვ. 37)

ნაზარდა – ნაზდები (მრავლ.) – ბურვაკზე იტყვიან (ს. ჟღ.)

ნაკუწი – პატარა ნაჭერი მიწა

ნალია// ნალიე – ღომის თაველის საშრობი – გასაწყობი ნაგებობა; ამჟამად იხმარება სასიმინდის აღმნიშვნელ ტერმინად (ჯ. რუხ., გვ. 89-91)

ნამთავნი – პროცენტი (ს. ჟღ.)

ნამოსახლარი – ადგილი, სადაც წინათ მოსახლე იყო (ქეგლ) იხ. ნასახლევი

ნამოქმედი//ნამოქმედარი – ნაშრომი, ნაღვაწი (ქეგლ); საბუთებში ნახმარია ქონების მნიშვნელობითაც

ნამოქმედის გაფარდება – ქონების გაყოფა (გ. ცეცხ., გვ. 87-88)

ნამუშიერი – მოსავალი, ჭირნახული (გ. შარაშ.)

ნაჟური//ნიჟური – ნაწური, გამონადენი, ნაჟონი (წვეთი, სითხე) (ქეგლ)

ნარიგი – განაყოფი (გ. ცეცხ., გვ. 87-88).

ნასახლევი//ნასახლარი – ადგილი, სადაც წინათ სახლი იყო (ქეგლ)

ნაღობი//დაღობილი – საბუთებში: დაწნული

ნაშენები//ნაშენი – გაშენებული ადგილი (გ. ცეცხ., გვ. 44-45)

ნაწველი – საბუთებში ნახმარია შემოსავლის მნიშვნელობით

ნაჭარი მიწა – მიწის ნაკვეთი, ნაჭერი

ნიგოზი – კაკალი (ს. ჟღ.)

ნიშანი – სიგრძის საზომია, ერთი მტკაველი თუ იქნება (პ. ჯაჯან.)

ნოღა – საბუთებში ნახმარია ნოღნარის მნიშვნელობით

ნოღნარი – ნოღებით დაფარული ადგილი; ნოღა – ნორჩი, მოზარდი ხე (გ. შარაშ.)

ნოყო – დამდგარი, ლორწომოდებული წყალი (ს. ჟღ.)

ნუში – „ყველი", კვერეული; ახალი ყველი ან გაწურული მაწონი. „ათი ესე ნუში მიუპყარ ერისთავსა მას", „ათი ყველი სძისა ამისგან და მიართუ ათასის-თავსა" (ი. აბულ.); საბუთებში ნახმარია განსხვავებული მნიშვნელობით, საოჯახო ქონების ჩამონათვალში ასეთ კონტექსტშია: „ურემი, ძველი სახნისი და კავი, ჭურები და ნუში" (ნაწ. II, საბუთი №14)

ო

ობერ მედიატორე – მედიატორეთა უფროსი (გ. ცეცხ., გვ. 88)

ოდა – მაღალ ბოძებზე შედგმული ხის სახლი (ს. ჟღ.)

პ

პადვალი – ოდა პადვალზედ დადგმული – ორსართულიანი სახლის პირველი სართული

პალატი – სახლის, ან რაიმე სხვა ნაგებობის ქვედა სართული

პარმალი//პარმახი – აივანი (ს. ჟღ.); მოკლე სვეტებიანი აივანი (ჯ. რუხ., გვ. 95)

რ

რაყა – ტყიანი ადგილი (ს. ჟღ.); ახალმოზარდი ხეები ჯგუფად ერთ ადგილას ამოსული (ალ. ღლ.)

რთხმელა//თხემლა// თხმელა – მურყანი (ალ. ღლ.)

ს

სააპეკო – სამეურვეო

საზოგადოება – თემი (ს. ჟღ.)

სათავანი – ადგილი, საიდანაც გამოჰყავთ წისქვილის წყალი (გ. შარაშ.); წყლის სათავე (ს. ჟღ.)

საისრე – საისლე

საკედარო – კუთვნილი მხარე

სამაჟევნიო – იხ. მეჟევოი

სამზადი – სამზარეულო სახლი (ალ. ღლ.); ქუხნა – სახლი (გ. ცეცხ., გვ. 27) იხ. ქუხნა

სანაკი//სენაკი – ეკლესიის გალავანში დადგმული პატარა ქოხი, სადაც ცხოვრობენ მონაზვნები (ს. ჟღ.)

სანაშენო – 1) რაიმეს (ძირითადად ვენახის, თუთის) გასაშენებლად გაცემული მიწა (გ. ცეცხ., გვ. 44); 2) სადგამურად გაშვებული საქონელი (გ. შარაშ.)

საჟენი//საჯენი – 1) ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის სამ არშინს, 2,13 მეტრს (ქეგლ); 2) დაწყობილი შეშა, რომელიც 9 კუბიკ. არშინის მოცულობისაა (პ. ჯაჯან.)

სარჩო – წილი, საკვების წილი, რითაც თავი უნდა ირჩინონ, საკვები, საზრდო (ქეგლ); მშობლებისთვის განკუთვნილი წილი (გ. ცეცხ., გვ. 93)

სასიმინდე – ტაროიანი სიმინდის სახმობი ნაგებობა (ჯ. რუხ., გვ. 91)
საყოლი – შინაური ფრინველ-ცხოველი, რაც შეიძლება იყოლიოს ოჯახმა (გ. შარაშ.)
საჩეხი ტყე – საშეშე პატარა ტყე (ს. ჟღ.)
საცივი – მიწიდან ამომდინარე წყაროს წყალი (ს. ჟღ.)
საძღვარი//სამზღვარი//სამძღვარი//საძუღარი – საზღვარი
საწყავი – საწყაო, ჭურჭელი, ჩაფი, რომელშიაც ორი ფუთი ღვინო ჩადის (ალ. ღლ.)
საჭერი ტყე – იხ. საჩეხი ტყე
სახადი ქვაბი – არყის გამოსახდელი ქვაბი
სახელვანო – ხელსაწყო, ხელოსნის იარაღების ზოგადი სახელი (გ. შარაშ.)
სახლიკაცი – მეგვარე, სახლისკაცი (ს. ჟღ.); ძმა, ბიძაშვილი
სიკტილი – სიკვდილი
სიმაური – სიმამრი (ს. ჟღ.); გურიაში ხშირად მამამთილის მნიშვნელობითაც იხმარებოდა

ტ

ტპა – ღრმა და მდორე ადგილი მდინარეში (ს. ჟღ.); ტბა, ჩაღრმავებული, საბანაო ადგილი მდინარეში (ალ. ღლ.)

უ

უმეტნაკლებოთ – თანაბრად
ურთხელა/ი – წითელი ხე (ს. ჟღ.); მაღალი წიწვოვანი ხე (ქეგლ)
უსტა – დურგალი (ს. ჟღ.)

ფ

ფარდი – როდესაც რაიმეს ყოფენ, ნახევარზე იტყვიან: „აი, ჩემი ფარდიო" (ს. ჟღ.), წილი (გ. ცეცხ., გვ. 90)

ფარდის პირობა – ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების საბუთი (გ. ცეცხ., გვ. 89); იგივეა, რაც ფარდის ფურცელი, ფარდის ქაღალდი, ფარდის წერილი, ფარდის ხელწერილი

ფასოვნობა//ფასონობა – საბუთებში ნახმარია ფასის მნიშვნელობით

ფიტა სახლი – სახლის სახეობა გურიაში; ხშირად სამზადის აღსანიშნავად იხმარებოდა (გ. ცეცხ., გვ. 27)

ფსორი – მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი, სადაც წყალი დგას და იზრდება წყლის მცენარეები (ს. ჟღ.)

ფუხარი – ბუხარი (ს. ჟღ.)

ქ

ქრივი//მქრივი – ქვრივი

ქუხნა – სამზადი სახლი (გ. ცეცხ., გვ. 27)

ქცევა – მიწის საზომი ერთეული, უდრიდა 4100 კვ. მეტრს (900 კვ. საჟენს) (ს. ჟღ.)

ღ

ღარდა – ღრმა ხრამი, ან ძნელად ჩასასვლელი, ძნელად მისადგომი ადგილი (გ. შარაშ.)

ღომის ნალია – თაველი ღომის გასაწყობად საგანგებოდ მოწყობილი ფაცხა, ყოველი მხრიდან შემობურული (გ. შარაშ.); ღომის თაველის საშრობი – გასაწყობი ნაგებობა (ჯ. რუხ., გვ. 89)

ღოჯე – სახლის კუთხე, ის ნაწილი, სადაც კედლები ერთდება (ს. ჟღ.); ერთმანეთში ჩაჭედილფიცრებიანი შენობის კუთხე გარედან (გურიაში) (ქეგლ)

ყ

ყაბული აქვს// ყაბული არის – თანახმა არის, თანხმობას აცხადებს (ქეგლ)

ყადა – კათხა – სპარს. ყადაჰ-ის (qadah) შესატყვისი (თ. უთურგ., გვ. 96)

ყავარი – თხლად დახდილი ფიჭვი, სახლის სახურავად ხმარობენ (ს. ჟღ.)

ყორღანი//კორღანი/ო – სასაზღვრო ქვა ან მიწაში ჩაყრილი ნახშირი (ს. ჟღ.); მეზობლის მიწებს შორის გაკეთებული სასაზღვრო ნიშანი, სამანი, ქვების გროვა მიწაში (ქეგლ)

შ

შემთხოვა – შემთხვევა

შეხსნა (შესახსნელად) – შესყიდვა (შესასყიდად)

შლიოპკა//შილოპკა – (რუს. шлепок, шлепка) – რაიმე ნაგებობაზე გარედან (უფრო საწვიმარ მხარეს) აკრული ფიცრები, მოგვიანებით სხვა მასალასაც (შიფერი, თუნუქი) იყენებდნენ

შუმი – უწყლო, მაგარი ღვინო (ს. ჟღ.)

ჩ

ჩამოხურული//მოხურულა – სამზადზე ან სახლზე გვერდით ჩამოხურული, რომელსაც სამეურნეო იარაღების, შეშის, საწნახლის შესანახად იყენებდნენ, მას სეფას ან ოყოჯიოს ეძახდნენ (გ. ცეცხ., გვ. 34)

ჩამური – ღომის საცეხველი (ს. ჟღ.); მარცვლელულის საცეხველი (ჯ. რუხ., გვ. 129)

ჩახანა//ჩარხანა – თუჯის ქვაბი (ალ. ღლ.); შუაცეცხლზე ჩამოსაკიდებელი თუჯის ქვაბი (იციან გურიაში) (ქეგლ)

წ

წაკატი – წერაქვი (ს. ჟღ.)
წვრიმალი – წვრილმანი
წისკვილი – წისქვილი (გ. შარაშ.)
წკნელი – წნელი (ალ. ღლ.)
წყობილობა – ეზო თავის წყობილობით – ეზო საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან ერთად

ხ

ხთომილი – წილხვედრი, წილი
ხულა – ხმელი ხილის, თხილის, წაბლის, კაკლის და მისთ. სათავსი. იქ ინახავდნენ აგრეთვე ჭურჭლით მარცვლეულს და ფქვილს, პარკოსნებს, არაყს, ზამთრისათვის ნედლ ხილს და სხვ. (ჯ. რუხ., გვ. 105). ხულა თავიდან ცნობილი იყო საკრალური დანიშნულებით, მას ახალდაქორწინებულთა დროებით საცხოვრებლად იყენებდნენ (ჯ. რუხ., 1996)

ჯ

ჯარგვალი – მრგვალი ხეებისგან აშენებული სახლი (ს. ჟღ.); მოგვიანებით შუაზე გაპობილი ხის მორებისაგან წყობილ ნაგებობასაც ნიშნავდა (გ. ცეცხ., გვ. 26)

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., მეცნიერება, 1973.
2. ანდერძი ოჯახისა და მიწების გაყოფის შესახებ, 1902, ეა, M^2 №38, მას. 4.
3. კ. ბოროზდინი, რ. ერისთავი, ჟ. მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი, ტფ., 1927.
4. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., მეცნიერება, 1957.
5. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. I, თბ., მეცნიერება, 1976.
6. ნასყიდობის ხელწერილი, 1912 წ., ჩმმ ხელნაწერი ფონდები №1680.

6*. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. I-II, თბ., საბჭოთა საქართველო, 1966.

7. პირობის წიგნი ნიკოლოზ აბაშიძისა მეფესა და კათალიკოსს, 1769 წ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წ.წ.), წ. 1, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., მეცნიერება, 1958.
8. პირობის ხელწერილი მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, 1901 წ., ნსმ ხელნაწერი ფონდები №961.
9. ს. ულენტი, გურული კილო, ტფ., 1936.
10. ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., მეცნიერება, 1976.
11. ჯ. რუხაძე, მიწის იჯარის ფორმები დასავლეთ საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XX, თბ., მეცნიერება, 1979, გვ. 3-13.

12. ჯ. რუხაძე, ხულა-სამეურნეო და საკრალური ნაგებობა, ქართველური მემკვიდრეობა, I, თბ., გამომცემლობა „ქართული ენა",1996, გვ. 218-225.
13. საბუთი მიწის ნასყიდობის შესახებ, 1911 წ., ჩმმ ხელნაწერი ფონდები №607.
14. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., საბჭოთა საქართველო, 1981.
15. ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., მეცნიერება, 1985.
16. თ. უთურგაიძე, ნასესხები სიტყვები დიალექტურ ლექსიკაში, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., მეცნიერება, 1988, გვ. 95-100.
17. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, 1993.
18. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.
19. ქართული სამართლის ძეგლები, VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., მეცნიერება, 1977.
20. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ღლონტმა, ტ. I-II, თბ., განათლება, 1974-1975.
21. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ტფილისი, 1938.
22. თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., მეცნიერება, 1967.
23. გ. ცეცხლაძე, გურიის საველე-ეთნოგრაფიული მასალები, 1981-1989 წ.წ.
24. გ. ცეცხლაძე, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., მეცნიერება, 1991.
25. პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბ., 1977.
26. Д. П. Носович, Экономический быт государственных крестьян

в Озургетском уезде Кутаисской губернии, «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», I, Тифлис, 1885, с. 773-787.
27. Р. Л. Харадзе, Грузинская семейная община, т. I-II, Тб., 1960-1961.

გვარსახელების საძიებელი[1]

ა

ანთაძე 24, 26
ართმელაძე 76,146
არეშიძე 76, 79, 83, 91, 95
ასათიანი 107, 108, 109, 112
ასკურავა 137
აფხაზავა 23, 24, 36
აფხაძე//აბხაძე 27, 52, 126

ბ

ბარამიძე 28, 30, 33, 34, 43, 96, 97, 98, 109,142, 143, 155, 158
ბასილია 59
ბერაია 92
ბერიძე 84, 86
ბზეკალავა 40, 58, 132, 137, 138
ბიბინეიშვილი 142, 143, 155, 156
ბოლქვაძე 138, 148, 152
ბოყვიშვილი 19, 38

გ

გეჯაძე 110
გვარჯალაძე 51, 52
გიგინეიშვილი 24
გიორგაძე 67,70, 75, 77
გირკელიძე 75, 76, 114
გოგეშვილი 95
გოგვაძე 51, 52, 140
გოგიბერიძე 20, 39, 84, 85, 86, 87, 98, 150, 160, 161
გოგიტიძე 114
გოგიჩაიშვილი 130
გოგოლიშვილი 35, 36
გოგუაძე 37, 95, 96
გორგილაძე 87, 88, 89
გორდელაძე 36, 65, 66,.136, 151, 152, 153
გურგენიძე 33, 46, 61, 74, 124
გურიელი 25, 115, 116, 118, 119, 120, 129, 144

დ

დადიანი 147, 149
დარსალია 142
დარჩია 23, 37
დოლიძე 41, 112, 158

ე

ებრალიძე 26, 159
ერისთავი 106, 107, 112, 113, 147, 149
ერქომაიშვილი 108, 110, 113, 130, 131, 133, 134

ვ

ვასაძე 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 130, 133, 134

[1] საძიებელში შეტანილია მხოლოდ საბუთებში მოხსენიებული გვარსახელები

ზ

ზენაიშვილი 48, 129

თ

თავართქილაძე 41, 111, 117, 118
თავბერიძე 20
თავდიშვილი 88
თალაკვაძე 110
თედორაძე 98, 103, 151, 152
თვალაბეიშვილი// თვალაბეშვილი 143, 144
თოიძე 36

ი

იმედაიშვილი 29
იმნაიშვილი 39, 58, 59, 126, 131, 132, 133, 137, 138
იმნაძე 42, 52, 53, 54, 56, 158, 159
ინგოროყვა 21, 22, 25, 26, 45, 119

კ

კალანდარიშვილი 90, 91, 163
კალანდაძე 15, 18, 19, 20, 37, 38, 39, 74, 84, 85, 86, 87, 98, 99, 100, 102, 103, 112, 124, 149, 150, 151, 159, 160, 161
კეჟერაძე 129
კეჭაყმაძე 88
კვასხვაძე 42
კვაჭანტირაძე 131, 134
კვეიძე 115
კიკვაძე 122, 142, 143, 155, 156
კილაბერია 28
კინტრაძე 145, 146, 147
კილურაძე 40, 112, 118
კობიძე 152
კოტრიკაძე 30
კუკულავა 84, 86
კუკულაძე 97
კუპრაძე 23, 144
კუტუბიძე 118, 161

ლ

ლომაძე 34, 35, 43, 44, 47, 48, 49, 57, 121, 129, 136, 137, 138, 139
ლომთათიძე 87
ლომინაძე 109
ლომინეიშვილი 123

მ

მაკალათია 104, 105
მამალაძე 20
მანტკავა 28, 125
მანწკავა 22
მაქსიმენიშვილი 111, 112
მაჭავარიანი 31, 125
მაჭუტაძე 52, 126, 127, 136, 137, 138, 139
მახარაძე 23, 25, 41, 87, 163
მგალობლიშვილი 152
მგელაძე 31, 91, 97, 111, 112
მეგრელაძე 20
მეგრელი 108
მენაღარიშვილი 42, 56
მეფარიშვილი 147, 148
მიქაბერიძე 24
მიქელაძე 112
მოისნრაფეშვილი 25, 62, 63, 115, 116, 118, 119, 120, 144, 145
მურვანიძე 63

მუჯირი 114
მშვიდობაძე 75, 76, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 126, 127
მჭედლიძე 114

ნ

ნადირაიშვილი 117
ნაკაიძე 25, 37
ნაკაშიძე 36
ნანაძე 84, 87
ნარსია 92, 128
ნიკოლაიშვილი 40, 41, 51, 52, 79, 83, 89, 90, 93, 94, 95, 96, 106, 107, 117
ნინიძე 26

ო

ორაგველიძე 14, 27, 29, 39, 40, 52, 58, 59, 73, 125, 126, 131, 132, 133, 139, 140
ორმოცაძე 72, 73, 79, 80, 81, 82, 83, 140, 141, 142, 145, 146, 147

პ

პატარაია 43, 49, 56, 57, 114, 115, 122

ჟ

ჟოჟიკაიშვილი 79, 146
ჟორდანია 125
ჟღენტი 107, 112, 125

რ

რამიშვილი 49, 50, 51, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 76, 77, 78, 79
რუსიძე 25

ს

სალუქვაძე 20, 21, 22, 23, 24, 26, 37, 40, 41, 44, 45, 46
სვანიძე 53, 54
სიმონია 31, 46, 47, 68
სიხარულიძე 30, 31, 33, 61, 104, 105, 106, 145, 146, 147, 148, 153, 154, 155
სოროზანიშვილი 155
სურგულაძე 49

ტ

ტიკარაძე 120
ტორონჩაძე 27
ტრაპაიძე 71
ტუსკია 43, 44
ტულუში//ტუყუში 23, 24, 25, 37, 45, 46, 63, 144

უ

ურუშაძე//ურშაძე 36

ფ

ფილია 89, 127
ფირცხალაიშვილი 27, 28, 73, 83, 89, 90, 92, 93, 94, 95, 138, 139, 140, 141, 142, 146, 147

ქ

ქასრაძე 116, 119, 120, 121, 144
ქინქლაძე 44
ქორიძე 38, 39, 61

ღ

ღლონტი 23, 24, 25, 144

ყ

ყაჭეიშვილი 153, 154, 155

შ

შარაბიძე 28
შარაშიძე 61, 75, 104, 114, 122, 123, 124, 125, 135, 136
შევარდნაძე// შავარდნაძე 41, 110
შეშელიძე 160
შეწირული 34, 35, 43, 48

ჩ

ჩანტლაძე 152
ჩიგოგიძე 84, 85, 86, 159, 160, 161
ჩხაიძე 29, 51, 108, 113, 114, 138, 158
ჩხარტიშვილი 23
ჩხიკვაძე 30, 33, 46, 47, 60, 61, 73, 74, 75, 104, 123, 124, 135
ჩხიკვიშვილი 20

ც

ცეცხლაძე 30, 35, 36
ცინცაძე 15, 26, 27, 28, 29, 97, 149, 151
ცხვარაძე 142, 143
ცხოიძე 20, 160

წ

წილოსანი 27, 28
წიტაიშვილი 41, 112
წულაძე 91, 92, 126, 127

ჭ

ჭავჭავაძე 74
ჭანტურია 63
ჭედია 27, 28
ჭიჭილეიშვილი 93, 127
ჭკუასელი 33
ჭყონია 25, 34, 35, 36, 37, 43, 44, 48, 114, 115, 128, 129, 130, 144, 145

ხ

ხაბეიშვილი 106
ხარაზი 107
ხიტირი 88, 142
ხოფერია 55
ხუნდაძე 28
ხუციშვილი 63
ხუხუნაიშვილი 28

ჯ

ჯანელიძე 68
ჯაში 41, 107, 112
ჯიბლაძე 83
ჯიბუტი 106
ჯორბენაძე 35, 41, 42, 54, 57, 129

შემოკლებათა განმარტება

ი. აბულ. – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., მეცნიერება, 1973.

გურ. – გურული

ეა – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი

მ.ვ. – მ. ვადაჭკორია

ინვ. – ინვენტარი

იხ. – იხილე

ლმმ – ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ნსმ – ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმი

ომმ – ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ს. ულ. – ს. ულენტი, გურული კილო, ტფილისი, 1936.

ჯ. რუხ. – ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., მეცნიერება, 1976.

ჯ. რუხ. (1996) – ჯ. რუხაძე, ხულა – სამეურნეო და საკრალური ნაგებობა, ქართველური მემკვიდრეობა, I, თბ., გამომცემლობა „ქართული ენა", 1996, გვ. 218-225.

საინვ. – საინვენტარო

საქ. – საქმე

თ. უთურ. – თ. უთურგაიძე, ნასესხები სიტყვები დიალექტურ ლექსიკაში, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., მეცნიერება, 1988, გვ. 95-100.

ფ. – ფონდი

შ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.

ქართ. სამ. ძეგლ. – ქართული სამართლის ძეგლები, VI, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., მეცნიერება, 1977.

ალ. ღლ. – ქართულ კილო–თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ღლონტმა, I-II ტ., თბ., განათლება, 1974-75.

გ. შარაშ. – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ტფილისი, 1938.

შდრ. – შეადარე

შწ – შემოსულობათა წიგნი

ჩმმ – ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

გ. ცეცხ. – გ. ცეცხლაძე, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., მეცნიერება, 1991.

პ. ჯაჯან. – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბ., 1977.

შინაარსი

შესავალი..... 3

ნაწილი პირველი
ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების აღწერილობები..... 14

ნაწილი მეორე
ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების საბუთები.....34

ნაწილი მესამე
მიწის ნასყიდობის საბუთები..... 106

ლექსიკონი..... 164

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....177

გვარსახელების საძიებელი..... 180

შემოკლებათა განმარტება.....184